ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N6
6/2010

1522
2010

მთავარი redaktori
მუხრან მაჭავარიანი

მოადგილეები
ნუგზარ მგალობლიშვილი

რედაქტორი
შორენა შტოიერი

ადმინისტრატორი
ვანო ჩხიკვაძე

თეატრი
ბათუმის თეატრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N6(54)
6/2010
ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
დავით კახაბერი

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერ-დამკაბადონებელი
ლექსო ოთარაშვილი

სტილისტ-კორექტორი:
მაია მიქაია

გარეკანის მხატვრობა
ნუგზარ მგალობლიშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ტელ: 31- 70 -47;
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

სარჩევი

მანიფესტი

3. მუხრან მაჭავარიანი - ლექსები

პროზა, ესეი

5. ვანო ჩხიკვაძე - შუშების ომი
33. ედუარდ უგულავა - ლექსები
35. ნოდარ ჯობელიძე - ალდგომის ღამე ქარიმში
43. მურად ნებიერიძე - ლექსები
45. ჩუსა ლომსაძე - მინიატურები
47. გიორგი გაბაიძე - ლექსები
49. ნარგიზ ტატიშვილი - ლექსები

ფანტასტიკური პროზა

51. ანა ყუჩავიშვილი - ფეხსაცმელი ჩამაცვით

სამეცნიერო ესეი

55. ანა ბასილაძე - ლექსები

წერილები

57. შოთა მტო�eი - ქეშმარიტების მაძიებელი
65. მაცაცო ლოსაბერიძე - ანა სიკვდილი ჩას დაარღვევს

ხელოვნება

68. ყარამან ჯიკვიძე - ლექსები

ოფლური

70. ლაშა ჩხარტიშვილი - ირონიულის ბუნებას დასაბუთებად

ესეოგანმაგალი

74. ხათუნა ჯიკვაძე - სცენიური დრო და სივრცე

ფერწერული მინა

79. მაია მიქაია - მინა ხელოვნების განზომილებაში

მხატვრობა

81. გერმანე ფაცაცია - ნუგზარ მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი



მუხრან მაჭავარიანი და ვაჟა ოთარაშვილი

რუსთაველის თეატრში. 17 მაისი, 2010წ.

ფოტო გადაღებულია ბატონი მუხრანის გარდაცვალებამდე ოციოდ წუთით ადრე.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" ღრმა სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს დიდი ქართველი პოეტის და მამულიშვილის – მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი

საბა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა.

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება.
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე.
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა, —
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
—ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო! — თქვა და თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, — ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

— წვიმა არ არი! —
საბას კაბა დაუსველა რამ?!
— თოვლი არ არი! —
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
— ყინვა არ არი! —
სულხან-საბას აკანკალებს რა?
— რამ დაასველა?!
— რამ დაათეთრა?!
— რა აკანკალებს?!

საქართველოა
მისთვის:
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!...
...მზე ეთხოვება ალბათ ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა სულხან-საბავ თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს, —
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს, —
სტამბოლში შვილი დედას სტირის, — ჰყიდიან ყმაწვილს
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმინდა ნინოს, — მუხლზე დაცემულს).

— რამდენს აფასებ მაგ პატარას? — ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
— უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა! —
წარმოსთქვა ბალღმა, — ყური მოჰკრა რა საბას სპარსულს.

— არა პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?!
— უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?...
საბას ცრემლები მოეძალა, — ატირდა კაცი, —
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი, — საქართველოც, — ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან...
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, — სასაცილოა! —
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

27406

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
— მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო ყიალი?! —
გულს ნუ გაიტეხ! — მუხა კვლავაც შეიმოსება!

***

შენ —
სისხლო ჩემო —
სად არ დაღვრილო...
შენ –
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.
შენ —
სისხლო ჩემო —
შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია:
სვეტიცხოველი...
ხანძთა...
ვარძია
და ისიც, —
რაც მტერს წარუტაცნია.

შენ —
სისხლო ჩემო —
შენი დინება
ვეფხისტყაოსნით ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა,
რომელიც გეჩოთირება —
ვცდილობ-გაშორო, —
რაც შემიძლია.

შენ —
სისხლო ჩემო—
სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ,
საბედნიეროდ, —
ჰაი, ჰაი, რომ
კიდევ ხმაურობ.

საქართველოს რესპუბლიკის ე.წ. პარლამენტი

მაღლით კაენი დაჰხარის
უწესრიგობის ლიბოსა;
უკლებლივ ყველა აქ არის, —
ვინც კაც ჰკლა! —
ვინცა იბოზა!

ღიმილს ჰგვრის მათ კავკასია, —
ქართვლის დედა და კიაზო! —
მალე დროშასაც გაშლიან, —
წითელსა, —
კვერნამგლიანსო.

* * *

ორი რამე
მე გულს მიჭამს, —
ახლა;
ერთი:
ცეტებრ
გამიწბილდა
„ჰოპლა“! —
და
მეორე:
სიკვდილს
ჩემმა ხალხმა
რუსის მონად
ამჯობინა
ყოფნა!

რომც ეწყინოს ზოგს

როცა ხარობს ბრბო:
— ამერიკამ გვცნო!

როცა ხარობს ბრბო:
— გერმანიამ გვცნო!

ვაქებ, ვინც იმ დროს
(რომც ეწყინოს ზოგს!)
თავს მათხოვრად გრძნობს!

ჰაი გიდი! —
ჩემო კარგო ქვეყანავ! —
ცნობის ღირსიც
აღარა ხარ შენ განა?!

სულთხდომა

სინათლის არ ჩანს არსაით ხემსი.
უკუნეთია გარშემო სრული.
უბედურთ, — მე და სამშობლოს ჩემსას, —
ორთავეს ერთად ამოგვდის სული.

ვანო ჩხოკვაძე

შუშების ოთი

რომანი

1

დედაქალაქიდან ჩამოსულ თოჯინურ დასს, თეატრის მეორე სართულის ფოიეში, სპექტაკლი უნდა წარმოედგინა.

სკოლიდან როცა მოგვიყვანეს, თეატრის შესასვლელთან, ბავშვების ტევა აღარ იყო.

ვიდრე კარს გაგვიღებდნენ, მამაკაცურ პიჯაკიანი ქალი, ჩვენმა კლასის დამრიგებელმა ადმინისტრატორი რომ უწოდა, ხელების ჟესტიკულაციითა და უჩვეულო ბოხი ხმით ყველას უხსნიდა, ფოიეს ვერ გავბერავთ, რაც არის, ეს არის, ბევრნი ხართ, ამიტომ სკამებზე ორ-ორი ბავშვი დასვითო.

ეტყობოდა, ადმინისტრატორს, ასო-ბგერა „რ“, ძალიან მოსწონდა, რადგან განსაკუთრებულად, მკვეთრად გაგრძელებულად გამოთქვამდა.

აი, ასე:

— ორრ-ორრი... გითხარრით, ორრ-ორრი-მეთქი!

პირველკლასელ ბიჭს, „ადმინისტრატორი,“ ამ უცნაური ქალბატონის სახელი მეგონა და გულში მეც „განსაკუთრებულად“ ვიმეორებდი:

„ადმინისტრრატორრრ... ადმინისტრრატორრრ...“

როგორც იქნა დავლაგდით, დავწყნარდით და სახელდახელო, პატარა სცენის ციცქნა ფარდა რომ გასწიეს, ისეთ ალიაქოთში ამოვყავით თავი, ადმინისტრატორი ვიღას ახსოვდა.

მოკლედ, ბოროტი ბატონის, სენიორ მაკარონეს მეცადინეობით, ღარიბი მწყემსი გოგო-ბიჭის ამბავი, ალბათ ძალიან სევდიანად დამთავრდებოდა, მხიარული და ეშმაკი პულჩინელა მხსნელად რომ არ მოვლინებოდათ.

რაც ამ ჯამბაზმა იქ ოინები დაატრიალა, მარტო პატარებს კი არა, დიდებსაც პირი დააღებინა და სიცილისაგან სულ ცრემლები აწმენდინა.

პულჩინელამ მაგრად აცუცურაკა და თავბედი აწყევლინა სენიორ მაკარონეს. ის უხეირო ლექსიც მახსოვს, მათხოვრის ტანსაცმელში გადაცმული ბატონს რომ მიუმღერებდა ხოლმე:

„თქვენ რომ ქვეყანა გაძარცვეთ,
მე ხომ ამიტომ ვშიმშილობ.
სენიორ,
იქნებ წყალობა გაიღოთ,
ანდა ობოლი მიშვილოთ.“

მოდი და ნუ იცინებდი — პულჩინელა, ერთი ხელით მოწყალებას რომ ითხოვდა, მეორეთი გაუმაძღარ ბატონს ქისაში უძვრებოდა, მაგრამ იმ ქისიდან აწაპნული ფული თავისთვის კი არ უნდოდა, ვისაც მაკარონე ძარცვავდა, ისევ იმათ ურიგებდა...

წარმოდგენა დასრულდა, ფარდა დახურეს. სცენის უკან შეყუჟული მსახიობები თოჯინებით გამოვიდნენ, თავი დაგვიკრეს და მადლობა აქეთ გადაგვიხადეს, ძალიან, ძალიან გაგვახარეთ თქვენი სტუმრობითო.

ნეტავი არ გამოსულიყვნენ — ლოყაწითელი, გაბერილი მაკარონე დაჩუტული ბურთივით ეკიდა მავთულებზე, ლამაზ მწყემს გოგოსა და ბიჭსაც დაეხუჭათ გრძელწამწამებიანი თვალები და ერთმანეთი აღარც აინტერესებდათ.

გული განსაკუთრებით პულჩინელაზე დამწყდა — თავჩაქინდრულს ქუდის პომპონი ფეხებამდე დაჰკონწიალებდა და სიცოცხლისა და ხალისის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა.

გაიღვიძე, პულჩინელა-მეთქი, ჩემდაუნებურად ხმამაღლა დავუძახე.

გაღიმებულმა მსახიობმა თოჯინა ჩემსკენ მოაბრუნა და მოსალმების ნიშნად ხელი ააწევინა.

გასასვლელისაკენ დავიძარით.

თეატრის თანამშრომლებმა, ფოიეს ოვალურ თაღებიან მაღალ ფანჯრებზე დაშვებული მძიმე ხავერდის ფარდები გასწიეს და, შემოდგომის ფერადებით მოხასხასე ფოთლებიანი ალვის ხეები შიგნით შემოახედეს.

დაბლიდან ასე ლამაზად არასოდეს მომჩვენებია ალვები, იქნებ იმიტომ, რომ ახლა მათ ტოტებში ჩამავალი მზის სხივი კი არა, ყურებამდე გაცინებული, მხიარული პულჩინელა დახტოდა.

მას შემდეგ, სენიორ მაკარონეზე გულაცრუებული ჯამბაზი, სამუდამოდ ჩემთან დარჩა. როდესაც მიჭირს, მწყურვალივით მჭირდება ერთი ყლუპი სიცილი, ხან კალმის წვერიდან გადმომიხტება და საწერ მაგიდაზე დამისკუპდება, ხანაც უბეში გაფაჩუნდება და, რომ გამაღიმოს, ნამცეცა თითს იღლიასთან მომითათუნებს.

თან, რა თქმა უნდა, ძალით დაბოხებული ხმით შესძახებს:

— ადმინისტრრატორრრ!..

2

უბის წიგნაკიდან

21.07.2008

„მეთხუთმეტე წელიწადია, ერთი და იგივე ხმა მესმის:

— ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

ურიკიან კაცს ჭაღარა თმა უკვე ფერფლისფერი გაუხდა, მხრებში მოხრილს შესამჩნევად ამოეყარა კუზი, წინ გამოწეული შუბლით და ახრჩოლებული, მუნდშტუკიანი პაპიროსით თანდათან ხელმოკლე ოფიცრის „დენშჩიკის“ სამოვარზე ჩამოცმულ ჩექმას დაემგვანა, ჩაის ასადუღებლად ნაკვერჩხალს რომ უქშუტუნებდნენ ხოლმე.

თხუთმეტი წელიწადია ბოთლების შემგროვებელი მიდი-მოდის, იცვლება ჰავა, კლიმატი, ხელისუფლება, მაგრამ არ იცვლება ამ კაცის ცხოვრება...

ეტყობა, აღარც ჩასაბარებელი ბოთლია იოლი საშოვნი — კაცს, ურიკაზე, ცარიელი ტომრები უდევს.

ახლაც შუა ეზოში გაჩერდა, ააყოლა თვალი აყუდებულ კორპუსს და, გაუმართლა — ბოლო სართულიდან ჩამოსძახეს, ამობრძანდი, ჩაიბარე ბოთლებიო.

ცქვიტად გამოიქცა. მანამდე თურქული ფქვილის ცარიელი ტომარა ამოიდო იღლიაში.

გავიდა სულ ათიოდე წუთი და სადარბაზოში, ერთდროულად სხვადასხვა ხმაზე ატყდა შუშების ჭახაჭუხი, წამოვიდა ნამსხვრევები, კიბეებზე დაბზრიალებული, კედელს მიხეთქებული ბოთლები, თავ-პირის მტვრევით ქვემოთ გარბიან, მიილეწებიან, ყოველ დაცემაზე კიდევ უფრო ქუცმაცდებიან, მოაჯირიდან გადამხტრები ბეტონის საფეხურებზე სკდებიან...

როგორც იქნა შეწყდა ბოთლებისცვენა. ჩამოვარდა სიჩუმე და ამ სიჩუმეში, კიბეზე, დამფრთხალი, შეწუხებული ბოთლების შემგროვებელის ფეხის ხმა გაისმა.

რა მოხდა, რად დაგვბომბე ამ დილაადრიანო, ჰკითხეს გაღიზიანებულმა მეზობლებმა.

თურმე, ზურგზე რომ უნდა მოეკიდა, ბოთლებით გატენილი ტომარა კაცმა მოაჯირზე შემოდგა, ვიდრე მხრებზე გადატარებულ ხელებს ჩაავლებდა, ტომრის პირი თითებიდან გაუსხლტა და ძირს მოპირქვავდა...“

5.10.2006

ღამის სამი საათია. გარეთ უკვე გრილა,
აურჟოლებთ სიბნელეში გაძარცულ ხეებს
—

ბორდიურის ყდაში ფოთოლი შრიალებს,
როგორც წიგნების დაშლილი ტომი...
ტელევიზორში ისევ ისვრიან,
სასხლეტზე უდევს ჯარისკაცს თითი,
და უნებურად ამეკვიატა —
ხვალ რა მოხდება, იქნება თუ არა ომი,
რომლითაც ამდენი წელია გვაშინებენ?..

სამის წუთებზე შვილმა დამირეკა მეორე ქალაქიდან

(ყურმილის აღებამდე მივხვდი, რომ ის იქნებოდა!)

ორივე ხმადაბლა ვსაუბრობდით,
მომიბოდიშა, დაბადების დღეზე რომ ვერ ჩამოვიდა.
მშობლებს ვინ მოგვცა წყენის უფლება? —
ჰოდა, მეც გავჩუმდი, უკან ჩავსხი საყვედურის სიტყვები...
ალბათ, დრო არის ასეთი გულგრილი,
და შენ არაფერ შუაში ხარ, ჩემო ბიჭიკო! —
დავაგდე ყურმილი.
მერე ფანჯარა გამოვაღე და წვიმის ცრემლებს გემო გავუსინჯე...

ქარი არყევდა ხეებს,
სადღაც კიოდა ღამის გულ-მუცელში გაყრილი „სასწრაფოს“ სირენა.
სიბნელეში თავშერგული, უიმედო კენწეროები,
უმწეო ბარტყებივით მოფუთფუთე ფოთლებს
სიბრალულით ჩამოჰყურებდნენ...

იქნებ, უფალიც უძლურია?..
ხვალ რა მოხდება?
ნეტავი, იქნება ომი?
უკვე ძალიან გვიანია —
ახლა უნდა მივიდე საწოლამდე და ძილს ჩავბარდე...
მოიცა, ჯარისკაცო,
სასხლეტს გაუშვი ორკაპივით გამოდებული თითი,
ქვეყანა დაიღალა ხმაურით,
მოიცა, ჯარისკაცო,
არ მოკლა სიჩუმე...

მეც დავიღალე,
ისე ძალიან,
ისე ძალიან,
რომ დაძინებაც არ შემიძლია
და საფეთქელთან ჩარჭობილ ლურსმანს
ამოსაგლეჯად ვეჯაჯგურები —
ნეტავი, იქნება ომი?

3

გაგანია აგვისტოა, მე კი ზამთრის განწყობით ვცხოვრობ. შეიძლება სარდაფიდან ამყვა ციება, შინაგანი ჟრჟოლა ამიტანს, ამაკანკალებს, ღამის კბილს კბილზე მაცემინებს. ქალბატონი ლოლასი რომ არ მერიდებოდეს, პლედს მოვიხურავდი, ჩამსხვრეულ შუშაბანდთან ახლოს მივიდგამდი სავარძელს და, გასუსული, ყურს მივუგდებდი ზემო სართულებიდან ჩამომსხვრეული შუშებით დაჩეხილ, ჩამობალთულ ალუბლის ტოტებზე მოცახცახე ბეღურების წუწუნს.

თუმცა, ბეღურა კი არა, ეზოში ჩიტის სახსენებელიც გაქრა, თორემ აქამდე უკვე გემოს გაუსინჯავდნენ, ხეივანზე, აქა-იქა, კიმპალშეწითლებულ მტევნებს.

ომი მოვიდა, ჩემს ქალაქში, ვიქტორ პეტროვიჩ. ამიტომ აორთქლდა ფრინველი, კატა, ძაღლი... ადამიანებიც, ორ კორპუსში, რამდენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეღა თუ დაღვღივებს. დანარჩენები წავიდნენ, გაიხვეტნენ, მანქანით, ფეხით, მატარებლით, ნაჩქარევად შეკრული ხელბარგით გაასწრეს, გაერიდნენ დასაბომბად განწირულ ქალაქს.

აკი სულ გვაყვედრებდით, სამამულო ომმა ჩვენს კისერზე გადაიარა, არ გინახავთ თქვენს მიწა-წყალზეო და ხომ გვანახვეთ, მეტი რაღა გინდათ!

აქამდე ჭახჭახი მხოლოდ შაშვისა გამეგონა — უთენია, როგორც ქალწული აბაზანაში, მზე ჯერ კიდევ გრილ ბურუსში რომ ნებივრობს და, ამ დროს, ჭახ-ჭახ-ჭახ!.. საწოლიდან ჩიტის ხმა წამოგაგდებს. ჩაიცვამ, გაიქცევი ბაღის ბოლოსაკენ, გაგელუმპება წვივები ლობიოს ბუდნებიდან აკრეფილი ნამით, ჩააღწევ ბებერ, ფითრმორეულ მსხლებთან, მაგრამ სადღაა შაშვი. გაყუჩდება, გაინაბება და, როგორც კი გამობრუნებას დააპირებ, ახლა ბაღის მეორე კუთხეში, სხვა ხეზე დაიხმაურებს, ოღონდ თვითონ მაინც არ დაგენახვება, ფოთოლით შებუმბლული ცაცხვის რტო შეირხევა მხოლოდ...

გეთამაშება ეშმაკი შაშვი და არც ერთმა არ იცით, რომ სხვა ჭახჭახიც არსებობს, დამანგრეველი, სიკვდილის მთესველი...

უკვე მეოთხე დღეა, რაც ჩემი ქალაქის ცაში, გამაყრუებელი კივილით მშობიარობენ რუსული ბომბდამშენები.

გუშინდელი დილა მაინც განსაკუთრებული იყო:

ქალაქის მთავარ მოედანზე, ჩვენს ეზოში და ოთხმოცდაათიანი წლების პირველი „ტალღის" ლტოლვილებით ჩასახლებულ, ყოფილი პროფტექნიკუმის ძველი, დაბენძღებული შენობის სიახლოვეს ჯერ ჰაერში, მერე მიწაზე, ერთდროულად, რაღაც გაუგონარი ჭახანით გასკდა, შეარყია, შეადანდგარა ცა, მიწა, ჩემს წინ აყუდებული კორპუსი. შუაბანდს მომსკდარმა უხილავმა ღვარცოფმა ფანჯრები ლამის ანჯამებიდან ამოყარა, შუშები შემოლეწა, სკამიანად ამაყირავა, ქეჩოზე დამაყენა და უკანალი ამ დამპალი ყოფისათვის მიმაშვერინა.

— გაიმეორე, ბოზიშვილო! — ამოვიგმინე თავში ხელებწავლებულმა.

ვერ გაიგონა, თორემ მფრინავი გულს ნამდვილად არ დამწყვეტდა — ერთხელაც გემრიელად დაგვაჯახებდა.

დივანსა და მაცივარს შორის ჩაჭედილს, სამზარეულოდან, ქალბატონი ლოლას ხმა მომესმა, ჩქარა, სარდაფშიო.

რაღა დროს სარდაფი იყო, ჩემს წილ ტყვიებს დივანსაწოლის უკან გაკრული, გახუნებული პანელი დაეხვრიტათ და ღრმად, ბათქაშში გაჭედილიყვნენ.

მფრინავის „შემკობა" დავამთავრე თუ არა, ქალბატონი ლოლაც წამომადგა. ასეთ არასერიოზულ მდგომარეობაში რომ მნახა, მუხლები გამოითქვიფა, მაგრამ როცა დარწმუნდა სერიოზული არაფერი მჭირდა, სველი ტილო კეფაზე დამაფინა და, მაინც დაწექი, შერყევა არ გქონდესო, მირჩია.

სარდაფში ჩაბრძანება თვითონაც გადაიფიქრა, ლოჯიის ბოლოში ახდილ ჩასასვლელს გადაეყუდა და ჩასძახა, დედა, როგორ ხარო.

პასუხიც მდგომარეობის შესაფერისი მიიღო, ისე ვარ, უკეთესად არ შეიძლებაო.

— ოთხმოცდაცხრა წლისაა და იუმორის გრძნობა მაინც არ ღალატობს.

— მაგარია ძველი ხალხი.

— კი, კი... ეს განსაკუთრებით... — ქალბატონმა ლოლამ რუსების „ქება-დიდებით" შეაღო ჩამსხვრეული სასტუმროს კარი და მალე მისი მოთქმა მომესმა, — ოი, მამაჩემო, მამაჩემო, ეს რა უქნიათ ამ ღმერთგამწყრალებს, ჰა? ამის მერე კიდევ ნამუსი მოეთხოვებათ? თუმცა, რომ მოვთხოვო, ხომ უნდა გააჩნდეთ!.. ისე ნახვედი ამ ქვეყნიდან, რუსზე ძვირს ვერ გათქმევინებდით, ვერა! — მერე ტირილის ტონი შეცვალა და დატუქსვაზე გადავიდა, — ეგეც შენ, კიდევ იტრაბახე, კადრის ოფიცერი ვიყავიო და განსხვავებული სასმისით დალიე „წითელი ღობის" სადღეგრძელო!..

შევედი, რა სჭირს-მეთქი.

— შეხედე, მამაჩემს, ამ საცოდავ ფრონტი-ნიკას, სამი ომი მოიარა, ფინეთის, გერმანიის, იაპონიის, ისე ჩამოვიდა, ნაკაწრი არ ჰქონია და ეხლა არ მომიკლეს?

ალუბლის კურკის სიმსხო ტყვიას, გადიდებულ შავ-თეთრ სურათზე, სამხედრო ფორმიანი ფრონტი-ნიკასათვის შუბლი გაეხვრიტა და მომეჩვენა, საყელოზე რომბებდაკერებულ ოფიცერს, გაოცებისაგან თვალები დაეჭყიტა.

ტყვიას, ჩარჩოს შუშაში, სუფთად გაევლო, არც კი დაეფშხალა.

— დედაჩემს არ უთხრა, ვერ გადაიტანს!

გამეცინა:

— თქვენ თუ არ დამასწრებთ, მე ვეცდები... რატომ ვერ გადაიტანს?

— მამაჩემზე გული როცა მოუვიდოდა, სულ ეუბნებოდა, იმ დასაქცევ გერმანიაში შენი სარგო ტყვია როგორ ვერ ჩამოასხეს, შენც მოისვენებდი და მეცო...

ქალბატონი ლოლას დედა და ჩემი მეუღლის დეიდა, დიდი ქალბატონი ამალია, სარდაფში გვყავს მოყუჩებული.

პირველი დაბომბვის შემდეგ, რადგან ქალაქიდან გასვლას არ ვაპირებდი, მეოთხე სართულიდან დაბლა, პირველზე, ბეღელაშვილებთან ჩამოვინაცვლე, რომ საჭიროების შემთხვევაში, ღამით მაინც თავშესაფარში ვყოფილიყავი.

აწ გარდაცვლილი, ქალბატონ ლოლას მეუღლის, ზაქარია ბეღელაშვილის ღვინის მარნად მოწყობილ სარდაფს, ოპერატიულად დიზაინი და პროფილი შევუცვალეთ — ბოცები, სამწნილე და კონსერვის ქილები, ბოთლები კედელთან ან თაროებზე დავალაგეთ, წვივში ფეხმოტეხილ, ფრონტი-ნიკას თანამეცხედრეს გასაშლელი საწოლი დავუდგით, ჩვენთვის კი დიდი და ღრმა სავარძლები ჩამოვიტანეთ.

თუკი გვაცლიან და თვითმფრინავები კრაზანების ნაყარივით არ ზუზუნებენ, სავარძლებში ნაძინებასაც ვახერხებთ.

ოჯახის მემკვიდრე, პაპის მოსახელე ქირურგი, ნიკა ბეღელაშვილი, დღედაღამ საავადმყოფოშია, ჩვენს ბუნკერში თავის შესაფარებლად სად სცალია, ხანდახან თუ შემოირბენს, ავადმყოფს წამლებს მოუტანს, ფეხს გადაუხვევს, მოეფერება და უკან გარბის.

ბებიას, დიდ ქალბატონს ნიკა ეძახის, აბა, დე-

დაჩემისაგან რაღაცით ხომ უნდა გავარჩიოთო.

ეჰ, ან ერთს, ან მეორეს ქალბატონობას აღარაფერი უკლიათ!..

სირენების ხმაზე ქალაქის მთავარი მოედნისაკენ გავიქეცი.

აბა, იქ დამხვდა ცოდვის კითხვა — მუნიციპალიტეტის წინ, ძეგლის გარეშემო კასეტურ ბომბს დაეთხარა ასფალტი, გადაეკენკა კედლები. ჩამოეღო ბანკების, მაღაზიების ვეებერთელა შუშები, ჩაემსხვრია ასბინიანის, ფოსტისა და გადამკვეთი ქუჩის გაყოლებაზე ჩარიგებული შენობების ფანჯრები და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ოხრად ეყარა დაჭრილი და გარდაცვლილი.

როცა მივედი, ფარღალალა მუნიციპალიტეტიდან, მოედნის კუთხე-კუნჭულებიდან, სამალავებიდან გამოდიოდნენ ჰუმანიტარული დახმარებისა და პურის მაძიებელი მოქალაქეები, ჟურნალისტები, დაცხრილულ მანქანებს მოფარებული მძღოლები, სხვადასხვა მისიების წარმომადგენლები, კოლექტიურად რომ შემოესივნენ კონფლიქტის ზონას.

ყველა ცდილობდა, სასწრაფოების ექიმებსა და სანიტრებს დაზარალებულების პატრონობაში მიშველებოდა.

მეც გავერიე მარაქაში, მიწისქვეშა გადასასვლელის თავზე გავლებულ რკინის მოაჯირზე ხელჩაკიდებულ, ფეხაკანჩურებულ უცხოელს მხართან შევუდექი.

უცხოელი ასკინკილით ძლივს მომდევდა. კბილებით ქვედა ტუჩს ჩაფრენილი კვნესოდა, თან მხარზე გადახვეულ ხელს მაგრად მიჭერდა, ალბათ იმის შიშით, რომ არ გამოვცლოდი და არ მიმეტოვებინა.

ვიდრე სასწრაფო დახმარების მანქანამდე მივიყვანდი, დიდი ჯაფა დამადგა. მერეღა შევამჩნიე, ჩემს „პაციენტს“ მუხლში გადამსხვრეული ფეხი მოწყვეტილივით მოსთრევდა და სპორტული ფეხსაცმელი სისხლში ჰქონდა დამბალი.

მანქანაში საკაცით უკვე ვიღაც დაესვენებინათ, სიკვდილის წინ ტკივილისაგან მობღუნკული და სახე ნაშლილი. ამიტომ, ჩემი მიყვანილი უცხოელი, რომელიღაც მისიის თეთრდროშიან მანქანაში ჩასვეს, ექიმებმა ჭრილობა სახელდახელოდ გადაუხვიეს და თბილისისაკენ გააქანეს.

გვერდით რომ ჩავუარე, თვალი კვლავ კარღია „სასწრაფოსაკენ“ გამექცა – გარდაცვლილის დაფლეთილი გულმკერდიდან ისევ მოჟონავდა სისხლი.

უცებ სასაკლაოს ოხშივარის საშინელი სუნი მეცა.

მოედნიდან ძლივს გავასწარი.

გაზონში, ხეს მიყუდებულმა, ჰუმანიტარული, ობის გემოიანი, დილით მირთმეული წიწიბურა დავამღერე.

ბორდიურზე ჩამოვჯექი და გაბრუებული თავი ხელებში ჩავრგე.

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ნამდვილ მსხვერპლთშეწირვას დავესწარი, იმ კერპის წინაშე, კვარცხლბეკზე ამაღლებული, შინელსა და ჩექმებში, პროლეტარ უპოვართა შეუდრეკელ წინამძღოლად რომ გამოიყურებოდა.

უგუნურობებს შეჩვეულ სამყაროს აღარაფერი უკვირს — ახლაც ტყე გაიჩეხა და ნაფოტი დაცვივდა!

პრესას და ტელეარხებს ახალ-ახალი ნგრევა და მსხვერპლი სჭირდება — სენსაციურ სანახაობებში დიდ ფულს იხდის კაცობრიობა, „ხარები“ და „გლადიატორები“ ამაოდ შეჰყურებენ მბრძანებელთა ლოჟას, იმპერატორის აწეულ ცერზე შეწყალების ჩიტი არ შემოჯდება...

თავი როცა ავწიე, ტელევიზორში ბევრჯერ ნანახი, მაღალი, ყოჩაღი ოპერატორი ბიჭი დავინახე, მოედანზე რომ დარბოდა და იქაურობას აფიქსირებდა.

ოპერატორს ადევნებულ გოგოს ისე ეჭირა შოკოლადისფერი მიკროფონი, თითქოს უნდოდა მოყირჭებული ნაყინივით ვინმესთვის შეეჩეჩებინა.

სხვებიც გამოჩნდნენ, ინტერვიუსათვის შუაში მოიქციეს შავი ჯიპიდან გადმოსული, კოღოს ნაკბენივით ტუჩებდაღუდუდებული, საგანგებო პრესცენტრის პარლამენტარი ხელმძღვანელი. მისი ინტერვიუდან სულ ეს გავიგე — მტერმა, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ საერთაშორისო ნორმებით აკრძალული იარაღი, კასეტური ბომბები გამოიყენა, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მეგობარ ქვეყნებსო.

ბოლოს, ძალად გაღიმებულმა დასძინა, მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა და სიტუაციას ვაკონტროლებთო.

პრესცენტრის ხელმძღვანელმა აუდიენცია მოთავებულად ჩათვალა, თანმხლებლებთან ერთად მიატოვა გავერანებული მოედანი.

ანდა მეტი რა უნდა ექნა.

— ეტყობა, ეს „სტაბილურად მძიმე“ რაღაც დამაიმედებელს ნიშნავს! — ცერი ამიწია ჩემმა უბნელმა ჭროღამ და წითლად აჟინჟღილებულ ნაფოტასთან ერთად, ათი მეტრის რადიუსში მაინც იაფფასიანი არაყის სუნი მოაფრქვია.

— უკვე მოასწარით?

— ეს რა გვიყო, კაცო, ალესთან ვსვამდით და დარტყმის ძალამ სავსე ჭიქები დაგვაყრევინა! — ხელები გაკვირვებით გაშალა ნაფოტამ.

ქალაქის მისადგომებთან ჯერ კიდევ გუშინწინ გამოჩნდნენ ჩვენი უკან დახეული, არმიის რეგულარული ნაწილები, რეზერვისტები, მძიმე ტექნიკა... მანამდე, ფრონტის ხაზიდან მოდიოდა და მოდიოდა „სასწრაფოების“ ქარავანი, გამაფრთხილებელი სიგნალით შერბოდნენ წითელჯვრიანი მანქანები ჰოსპიტალის ეზოში.

რეზერვისტების უმრავლესობა დამფრთხალი, შეშინებული ჩანდა, ჯარისკაცები კი — უკანდახევის გამო გულმოსულები და უფროსობაზე გაბრაზებულები, ღვთის ანაბარად მიგვატოვესო.

კონკრეტულად ვინ იგულისხმებოდა ამ ზოგად „უფროსობაში“, ამის გარკვევისათვის არავის სცხელოდა, არც პოზიციებიდან გამოქცეულებს და არც ქუჩისპირებს მომდგარ მოსახლეობას, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ, თავისი ჯარის ტრიუმფით დაბრუნებას ელოდებოდა.

მოკლედ, კაცი ბჭობდა!..

უდრეკი „სტაბილურად მძიმე“ და „სიტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აციის კონტროლი," დენის გამორთვამდე, ძალოვანი მინისტრის მოადგილე ქალბატონიც ტელევიზიით ხშირად რომ იმეორებდა, იმ ოპტიმიზმის აჩრდილს ელაციცებოდა, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, ქართველ ერს, არაერთხელ რომ ჩააკვდა ხელებში.

წყალზე დაღვრილი მაზუთივით სწრაფად მოიწევდა ოკუპაციის ლაქა.

რეზერვისტებით გადამწვანდა ქალაქის ცენტრი და ცენტრიდან გამავალი მთავარი ქუჩა. ვეებერთელა ორმოში ჩამდგარი, დარუეებული წყალივით, ამ ქუჩით და მტკვარზე გადებული რკინიგზის ხიდით მიიწრიტებოდა მწვანე მასა თუ გაურკვევლობით დაბნეული მოსახლეობა. „წყალსასრუტებმა," ერთიც და მეორეც, სწრაფად გაიწოვეს, შეაფარეს დედაქალაქს და სადგურის დასახლების იქით, მთებში შეყუჟულ სოფლებს.

ცაში მობორიალე, სმოლენსკის საავიაციო ესკადრილიის მზვერავი „არწივი", ასე „ნატურალურად" რომელ ექსტრემალურ ფილმში ნახავდა, ბუდემოშლილი ჭიანჭველებივით რომ გარბოდა დიდ-პატარა. მითუმეტეს, თვითმფრინავიდან დანახულ ადამიანს ხომ არაფერი ასხვავებს ჭიანჭველასაგან.

დღეს მაინც გამორჩეულად „დაგვასაჩუქრეს," თვალის დახამხამებაში დაიმსხვრა და დაინგრა ყველაფერი, რასაც კი ყველგანმავალი ტყვიები და ჭურვის ნამსხვრევები მოხვდა, წამიერმა ქარაშოტმა ცივი ნამქერივით მიაყარა ქუჩების ორივე მხარეზე, სახლების გაყოლებას, ფეხდაუდებელი თოვლივით აგვისტოს მზეზე აბრჭყვიალებული, დაფშვნილი შუშა.

წამოვედი, მაგრამ სასაკლაოს გულისამრევი სუნი თან გამომყვა. დავიყნოსე ხელები, ტანსაცმელი. ასე მეგონა ყველაფერი ყარდა, სიტყვებიც კი ამ სუნით გაიჟღინთა, ერთმანეთს რომ გადაუგდებდნენ ხოლმე კანტი-კუნტად გავლილი ადამიანები.

ჩვენს ქუჩაზე შევუხვიე. მოფარებულში ძველი, დაფახფახებული მანქანიდან პურს არიგებდნენ.

რაც არ უნდა მოხდეს, ცოცხალ ადამიანს პური მაინც სჭირდება — ორი ცალი მარგუნეს, ორივე ჩაცომებული. ალუმინის ყუთებში, ეტყობა, პური ცხელ-ცხელი ჩაყარეს,

შეიძლება გაღვივებაც არ აცალეს, გუნდა ისე ჩადეს ყალიბებში...

დაწყევლილი კომუნისტები — ფასი ხომ ხელმისაწვდომი იყო და, პური უფრო კარგად რომ დაბრაწულიყო, გუნდას ზემოდან კვერცხის გულსაც კი უსვამდნენ, პურიც მშვენიერი ჰქონდათ, მისატანებელიც, მაგრამ რაღაც არ უვარგოდათ და იმ რაღაცამ დაგვღუპა, ჩვენც და ისინიცო, — ეს ქალბატონი ლოლას აზრია, რომელსაც, თუ არ გაიზიარებ, დუმილით მაინც უნდა შეხვდე და წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიო.

ხელისგულისოდენა, ჩაცომებულ პურს რომ მივიტან, არა ხარ მართალიო, მოდი და გაამტყუნე ჩემი მასპინძელი — ვიცი, ხელში ხაზგასმული ირონიით შეატრიალებს, ეს რომ ბაბანაშვილის პურკომბინატს გამოეშვა, დირექტორს და იმის ამქარს, მხოლოდ მოხსნას ვინ აკმარებდაო.

როგორც ზოგიერთი სხვა რამ, ბაბანაშვილის პურკომბინატიც ქალაქის ტკბილ მოგონებებში ჩარჩა. ახლა ვინ აცხობს, რას აცხობს და როგორ აცხობს, ვინ არის გამკითხავი.

შეხედავ, უკვერცხისგულოდაც, პურს ზოგჯერ თითქოს არა უშავს, მაგრამ შეჭამ და, კარგი სნაიპერივით, პირდაპირ კუჭსა და ნაღვლის ბუშტს ურტყამს.

ამ ამბიდან ხეირში მხოლოდ ბაბანაშვილია — დღეს, ქალაქში, მაშინდელზე უკეთესი პური რომ ცხვებოდეს, კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულ, მუდამ ქალებზე თვალებდაპრაწულ, ჯაგარათმიან ჯეელს, ვიღა გაიხსენებდა.

ახლა, მგონი, დედაქალაქში, ისევ პურის საქმეშია ჩამდგარი, აქეთ იშვიათად გამოჩნდება ხოლმე და ძველ დამსახურებას თუ გაუხსენებენ, კმაყოფილი ჩაახველებს, ფქვილის ხარისხის საქმე ისე მიდის, მომავალში კიდევ უფრო მოგენატრებითო.

უმუშევრობით გაწამებულ მოქალაქეებს მეტი რა საქმე აქვთ, დგანან და ვინ მოთვლის, პურთან ერთად, კიდევ რამდენი რამ ენატრებათ და ენატრებათ...

პირველად დაბომბეს თუ არა, კაიხნის გაუქმებული, მივიწყებული თავდაცვის საქალაქო შტაბიც კი გაახსენდათ და მოენატრათ, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობა დროულად და ორგანიზებულად რომ უნდა გაეყვანა ქალაქიდან ან გაენაწილებინა წინასწარ გამზადებულ, უსაფრთხო ბუნკერებში.

თავშესაფარს ვინ ჩივის, ისე პირწმინდად გაიხვეტნენ, როგორ მოვიქცეთო, რომ გვეკითხა, პასუხისგამცემიც აღარ დარჩა არც მუნიციპალიტეტში, არც მუნიციპალიტეტის მისადგომებთან.

განა გაემტყუნებათ? სული ტკბილია!

მადლობა ღმერთს, როგორც ხმა მოვიდა, ადგილობრივი სახელისუფლებო გუნდი, „თბილ ქვეყნებში" ისე გადაბარგდა, სამშვიდობოს ისე გააღწიეს, თმის ღერიც არ დაჰკლებიათ.

ჯარის უკან დახევამ მაინც ძალიან გამამწარა.

მიმავალი ჯარისკაცები, ქუჩისპირის გაყოლებაზე შეკრებილ მოქალაქეებს, თვალს ვერ გვისწორებდნენ.

უბნის „პურისმჭამელი ბიჭები" ცალკე ჯგუფად იდგნენ და შუაში, სარქენად დაკოპილ ბუღასავით, ალე გნოლიძე ჩაეყენებინათ. სახეზე ეტყობოდათ, რომ ცოტა-ცოტა სასმელი შეეშვათ, დაბოღმილები კბილებს აკრაჭუნებდნენ, ვიღაცას თუ ვიღაცებს აგინებდნენ.

— მხარი ხომ არ გექცათ, საით გარბიხართ, ბიჭებო? — როგორც იქნა ხმა ამოიღო დადუმებულმა ალემ.

რამდენიმე სახედაძმარებულმა ერთდროულად მოხედა.

— ორფოლოს პოლიგონზე ქვა-ქვაზე არ დატოვეს... რაც ამათ იქ ივარჯიშეს... — თავი გადააქნია ჩარექამ.

— რა გინდა, მერე, მშვენიერი სირბილი უსწავლიათ! — „გამოესარჩლა" ჭროლა რეზერვისტებს.

მეგონა ავტომატის ჯერს მიუშვებდნენ.

საბედნიეროდ ასე არ მოხდა, ჯარისკაცები უსიტყვოდ გაერიდნენ გაღიზიანებულ მოქალაქეებს.

ვიდრე დავიშლებოდით, გნოლიძეების მეზობელი, ნონიაშვილების ფეხმძიმე რძალი, ნუნუ მოვარდა, რიჟა ნუგზარა დაიჭრაო.

გავიქეცით.

წევს ნუგზარი დივან-საწოლზე გადასვენებული.

თბილისშია გადასაყვანიო, შემოგვტირა ცოლმა.

ვეცი ტელეფონს — სად დარეკავ, სასწრაფოს შენობა აფეთქებულია, ნიკას მობილური — გათიშული.

იქნებ საავადმყოფოში წავიყვანოთ-მეთქი.

არა, ისეთი ადგილები აქვს დაზიანებული, აქ ვერ მიხედავენო, თანაც საავადმყოფოც ხომ დაიცალაო, ქალი რატომღაც საფეთქლებს უსრესავს ფერწასულ ნუგზარს.

ნონიაშვილების რძალი, თავისი მუცლის მიუხედავად, ყოჩაღად გავარდა გარეთ.

მალე, ეზოსთან მანქანა დამუხრუჭდა.

გავხედე — დაფხავებულ, ჯარისკაცებით სავსე „ჟიგულს“ ნუნუ გადასდგომია და მანქანიდან გადმოსულ მძღოლს ეუბნება, ან დაჭრილს გაიყოლებთ, ანდა გადამიარეთ და ისე წადითო.

დანარჩენებიც გადმოვიდნენ, ჩვენ სულაც დავრჩებოდით და დაჭრილს გავაგზავნიდით, მაგრამ მტერმა ფორმიანები რომ გვნახოს, ჩაგვხოცავენო.

არ დაიდოთ ამ კაცის ცოდვა და ღმერთი გიშველითო, ფეხი არ მოიცვალა ნონიაშვილების რძალმა.

რა ქნან, თან ქალია, თან ფეხმძიმე, ნუგზარსაც რომ დახედეს, მიხვდნენ, დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა — აბა, გავიყვანოთო, ოთხივემ დივანზე გადაფენილ ფარდაგს კუთხეებში ჩაავლეს ხელი, ჩვენც მივეხმარეთ და ნუგზარი, თავის მეუღლესთან ერთად, უკანა სავარძელზე მოვათავსეთ. ჯარისკაცებიდან, ორი მძღოლის გვერდით დაჯდა, ორიც — ახადეს საბარგულს და შიგ ჩაიკუნჭა.

მაგარი ყოფილხარ, თუ გადავრჩით ბიჭის ძეობა არ გამოგვაპაროვო, — ხელი აუწია მძღოლმა ნუნუს და მანქანა დაძრა.

თანდათან დაცარიელდა მოედანი, გზაჯვარედინები, ქუჩები, მორჩა მისვლა-მოსვლა, ყაყანი, მიწყდა არეული ფეხის ხმა, განიავდა ნამწვის სუნიც და, მოკვდა ქალაქი, ჩამოვარდა ჭკუიდან შემშლელი სიჩუმე, რომელიც ყველაზე უფრო დიდ ხმაურსა და ღრიანცელზე მეტად ანგრევდა ნერვებს.

4

ომი მოვიდა-მეთქი, ჩემს ქალაქში, ვიქტორ პეტროვიჩ.

ყველაფერი ისე უცებ მოხდა, გაოცებაც ვერ მოვასწარი, შიშით კი, იცოცხლე, აძგერებული გული კაკანათში გაბმულივით აფართხალდა.

იფართხალოს რამდენიც უნდა, რას გახდება!

მოულოდნელად დაცარიელდა სამყარო და უწონადობაში აღმოვჩნდი. ფანჯრიდან ღია კოსმოსში გასროლილი, უსაზღვრო, უფერო არაფერში, თავზარდამცემ უსასრულობაში ვტრიალებ. იქნებ არც ვტრიალებ და დიდი, გაბერილი ჭაობის მწვანე ბაყაყივით წყლის ზედაპირზე ვილანდები. იმ ბაყაყივით, კიდურებგაშეშებული, საცეკვაოდ დაკვანწულივით რომ ტივტივებს ხოლმე... ხან ჩემს თავს ხის თოჯინას ვადარებ, თეატრალური სეზონის შემდეგ ბნელ, აშმორებულ, აბლაბუდიან რეკვიზიტის ოთახში, თასმებზე დაკონწიალებული რომ მიატოვეს. თუმცა, თოჯინას თუ რაღაც მაინც იმაგრებს, მე რა ძალა მიჭერს ჰაერში, მხოლოდ უწონადობა, ჩემი ჯავრით გასიებული გულის შემკავებელია?! რატომ მგონია, სადაცაა ჩამეგლიჯება და სიზიფეს ლოდივით დაგორდება?

თუ დაგორდება, უკან ამის ამომტანი ვარ?

ომი მაღლიდან მოვიდა: უკიდეგანო სივრცეში, მეოცნებე თვალებისათვის საინტერესო აღარაფერი დარჩა, აღარც მთვარე, აღარც ვარსკვლავები და აღარც დილის სხივებით დაზოლილი ჰაერი, სულ რომ ელოდები, ეს სხივები სიმებივით როდის დაიწკრიალებენ.

რასაც ამერიკული კინოსტუდიების აგრესიული, ხმაურიანი, ერთნაირ სიუჟეტიანი, მხატვრული თუ დოკუმენტური, საბრძოლო ფილმები გვთავაზობენ, აგერ, რეალურად უფრო დიდ ეკრანზე გადის და ეს ეკრანი ჩემს ქალაქს თავზე ახურავს.

პირველი ჭურვი ჩამოვარდა თუ არა, მობინადრეებისაგან, თვითმცლელის ქვიშიანი ძარასავით, უცებ ჩამოიცალა სადარბაზოები, გიჟურმა რიტმმა აამოძრავა, ააჩქარა ბავშვებიანი ქალებით დაწიოკებული ქალაქი, ხალხის ტალღები წინ და უკან აწყდებოდნენ, ქუჩები გაწელილი გარმონივით იკეცებოდნენ და იშლებოდნენ, თავს დამტყდარი ჯოჯოხეთიდან ადამიანებთან ერთად ისინიც გარბოდნენ...

ორიოდე დღით ადრე ხომ ვერც წარმოვიდგენდი, ახლა თუ ბეღელაშვილების, პირველი სართულის ლოჯიის ქვეშ, ბეტონის ფილებით შეკრულ სარდაფში ვიჯდებოდი.

ომის „სურნელი“ უკვე კარგა ხანია ტრიალებდა, აღიზიანებდა ცხვირის ნესტოებს და კუჭის თავს სწვავდა, მაგრამ ამას მაინც ვინ იფიქრებდა...

ეკა თბილისში, ბავშვებთან წავიდა.

გავაცილე.

შენც წამოდი, გული ცუდს მეუბნებაო.

ვინ დაუჯერა.

ცოლის გულს ხომ მხოლოდ მანამდე ვუჯერებთ, ვიდრე ჩვენი გახდება.

საწერ მაგიდასთან ხანგრძლივი, მარტოობით ტკბობისათვის ვემზადებოდი.

გასაოცარია, დაბომბვის წინა საღამოს, თქვენს ციმბირულ მოთხრობებს ვკითხულობდი. მოთხრობა „რატომ ტირიან ნაძვებიც“ ჩავათავე, სინათლე გამოვრთე და ლოგინში შევწექი.

უკვე გვიანი იყო. თვალები მეხუჭებოდა. ვერ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, სადღაც, კარიერზე, დაბჩენილი ჩამჩით, ექსკავატორს ხრეში ამოჰქონდა. ჩამჩის გაპრიალებული კბილები ქვებზე ხრჭიალებდნენ და არ მაძინებდნენ.

ხრჭიალი, ძილქუშადქცეულ კორპუსში ალბათ ჩემს გარდა არავის ესმოდა.

ცხრა აპრილის შემდეგ, ეს მჭახე ხმები არ მაძლევენ მოსვენებას. რაც დრო გადის, თანდათან უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც გამიხსენებენ ხოლმე.

„რამეთუ დევნა მტერმა სული ჩემი, და დაამდაბლა ქვეყნად ცხოვრებაი ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკვდარი საუკუნოი, და მოეწყინა ჩემ თანა სულსა ჩემსა“... — მერამდენედ ვიმეორებდი და რატომღაც სურვილი მომეძალა ვინმესთვის წერილი გამეგზავნა, თუნდაც ბავშვობისდროინდელი გულუბრყვილო დასაწყისით, „ვიღებ კალამს, გიძღვნი სალამს“... თუმცა, რა უშავს, გულუბრყვილობა სიკეთის ნიშანია, სიკეთის გარეშე კიდევ ან წერილს რა მადლი აქვს, ან — სალამს...

მერე გადავწყვიტე თქვენთვის მომეწერა... რა მოხდა, წერილებს მიცვალებულებსაც უგზავნიან, მითუმეტეს ისეთებს, თავიანთი დანატოვარი წიგნებით მთელი ცხოვრება რომ გვესაუბრებიან და ხშირად ისეთ კითხვებზეც გვპასუხობენ, საერთოდ რომ არ დაგვისვამს...

დამეზარა ადგომა.

ყურებზე ხელისგულები ავიფარე, დამავიწყდა, რომ ხმაური გარედან კი არა, შიგნიდან მოდიოდა, მანჯღრევდა, მაფორიაქებდა.

მაინც გაილია ქვრივის ქვეშაგებივივით ნატანჯი, გაჭიანურებული, გაბეზრებული ცხელი ღამე.

„რამეთუ დევნა მტერმა სული ჩემი“...

„რამეთუ დევნა“...

„რამეთუ“...

ჯერ კიდევ ლოგინში ვშუშდებოდი, როცა ქალაქის დასავლეთით, დასახლებულ უბნებში, თქვენმა მოიერიშეებმა პირველი „კვერცხები“ დადეს...

ვიდრე დაბლა ბეღელაშვილებს შევეხიზნებოდი, წამით გამიელვა, აქ რომ ჭერი ჩამოიქცეს, რა მეძვირფასება, რისი გადარჩენა მინდა, რა წავიღო-მეთქი. ვერაფერი მოვიფიქრე, მხოლოდ საოჯახო ალბომი და, წინა საღამოს მეგობრის მორთმეული, პლასტმასის ორლიტრიანით ჭანჭურის არაყი გამოვიყოლე. არაყსაც, რადგან ჯერ კიდევ შემოსასვლელში იდგა, უფრო ინსტიქტურად დავავლე ხელი.

კარგადაც მოვიქეცი.

სარდაფი საცხოვრებლად როცა მოვაწყვეთ, მე და ნიკამ, „მხნეობისათვის“ თითო ნათალი ჭიქა გადავუშვით.

როგორც კი სასმელმა ძარღვები თბილად დაიარა, კიდევ ერთხელ დაიბრაგუნა, ახლა უკვე აღმოსავლეთით, თანაც უფრო ახლოს.

დაიბრაგუნა და ზემო სართულების ფანჯრებზე შუშების ნაწილი პირველად მაშინ ჩამოიფშვნა.

სარდაფშიც წკრიალით შეასკდნენ ერთმანეთს ცარიელი ბოთლები და ქილები.

თითოცო, წასწვდა ბოთლს ნიკა.

აღარ დამელოდა, მე როდის დავლევდი, გადაჰკრა და საავადმყოფოში გაიქცა.

ქალებმა რაღაც მიაძახეს, ალბათ, თავს გაუფრთხილდიო.

გუგუნის ვიბრაციით საფეთქლები კამერტონივით იმეორებდნენ აფეთქების ხმას — ქალების მხოლოდ ტუჩების მოძრაობა დავინახე, სიტყვები არ გამიგონია.

საავადმყოფო შორს არ არის, მაგრამ...

„ღმერთო, მშვიდობით მოიყვანე,“ — ქალებს რომ არ დავენახე, ჩუმად გადავიწერე პირჯვარი და გულისჯიბეში თხელყდიან ლოცვანს ხელისგულით ფრთხილად შევეხე.

ჩემი შეჩოჩქოლებული გული მკერდში კი არა, ამ პატარა წიგნაკში ფეთქავდა.

მეორე ჭიქამაც წყალივით ჩაიარა.

სწორედ ასე, იმ ცოფივით არაყის გემოც ვერ ვიგრძენი, ქაშუეთში, მამა ელიზბარმა რომ მომაწოდა.

გაზით დახუთულს, სპაზმები მახრჩობდნენ და კი არ შემომთავაზა, მიბრძანა, რამდენიმე ყლუპი უეჭველად მოსვიო.

დავლიე და გამეხსნა სუნთქვა.

მაშინ, გასული წლის ნოემბერში, ჩვენებმა დაგვცხეს:

ჯერ ხომ პროსპექტზე შემოგრიალებული სპეციალური მანქანიდან წყლის ჭავლი მოგვიშვეს, გააგრილეს მომიტინგეთა გახურებული შუბლები და გულები, მერე აირწინაღებიანებმა შემოგვინთეს მახრჩობელა გაზი, ბოლოს კი, ყველაზე უფრო ფიცხმა, თავის გამოჩენის წყურვილით თუ კიდევ სხვა საშუალებებით აღგზნებულმა, ყვითელლაბადიანმა ყმაწვილებმა ხელკეტებით გამოსცადეს გაქცეულთა ხერხემალისა და ნეკნების გამძლეობა.

ერთი ჩვენი ძველი, მოსულელო ფეხბურთის კომენტატორისა არ იყოს, ისე „ყოჩაღად ირჯებოდნენ“, თავი რომ მქონოდა, აღტაცებისაგან, ტაშს დავუკრავდი.

იმ დროს კი, ნოემბრის მართლაც მშვენიერ ამინდში, როცა აქოთდა რუსთაველის პროსპექტი, ვინც ახლომახლო ვიდექით, ყველა ქაშუეთმა შეგვიფარა:

შემოცვივდა ხალხი, ქალები დაეცნენ მუხლებზე და ლოცულობენ. დაბნეულ, წვერაჩეჩილ მამაოებს გაოცებისაგან სახე შეშლიათ.

ვიღაცამ ცხრა აპრილი ახსენა, ვიღაცამ ცხრა მარტი...

პარალელები გაავებული გველხოკერებივით იკლაკნებიან.

ნებისმიერი ცუდი ამბავი უფრო ძველ, უკვე მომხდარ მძიმე შემთხვევას გახსენებს.

1795 წლის თბილისის აკლების მომსწრე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ, იმას თერთმეტი სექტემბერი დაუდგებოდა თვალწინ...

ქაშუეთის შემოსასვლელთან ისევ ახრჩოლდა მხუთავი გაზი.

— წყალი არ დალიოთ, უარესია! — დაზარალებულთა შორის დაფრიალებს მამა ელიზბარის ანაფორა.

— გვიშველეთ, მამაო, შეაჩერეთ ეს გარეწრები! — ივედრებიან, იხვეწებიან შიშით, გაკვირვებით, მოულოდნელობით გადმოკარკლული თვალები... თვალები... თვალები...

მეტი რა ქნან, ლოცულობენ არანაკლებ გაკვირვებული მამაოები.

სპაზმი ყელში მიჭერს, ცრემლი მდის.

საკურთხეველის გვერდით ოთახში ონკანს ცხვირსახოცი შევუშვირე.

სუნმა აქაც შემოაღწია. როგორც იქნა ჩაკეტეს რუსთაველზე გამავალი ტაძრის კარი.

ახალგაზრდა ხელისუფლების ავადმყოფურად გაღიმებული, ჯგუფური პორტრეტი, მომწავლელი აირის შავბნელ „შარავანდედში“ ეხვევა...

ამ „გაუგებრობაში“ შემთხვევით მოვხვდი.

უნივერსიტეტში, ნაცნობმა მითხრა, მგონი, დღეს, რუსთაველზე მომიტინგეთა დარბევას აპირებენო.

ჭორი იქნება-მეთქი, არ დავიჯერე, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე, ქაშუეთთან გამოვედი და, დაიწყო კიდეც...

ტაძარში ვეღარ გავჩერდი.

„იქნებ ეს ყველაფერი ავი სიზმარია და ცხადი სხვაა!“ — ქაშუეთის სიახლოვეს, სკვერის განაპირას, ძეგლის წინ ვდგავარ და მაინც ვერ გამიგია, შლაპა ახურავს თუ მოხდილი აქვს ლადო გუდიაშვილს. ჩემს ჯეელობაში აქ ვიღაცის გრანიტის სკულპტურა იდგა ხოლმე. იდგა და აღარ დგას. მხოლოდ ადამიანები კი არა, ამქვეყნიდან ძეგლებიც მიდიან... ჰო, გამახსენდა, პროფესიონალი რევოლუციონერის ძეგლი... ასე ეძახდნენ და ასე გვასწავლიდნენ — ე. ი. არეულობისა და რევოლუციის აგორება მათი პროფესია იყო.

მოკლედ პურს (და ზოგჯერ სხვა რამესაც) ამით ჭამდნენ.

ჩვენებური კამოც პროფესიონალი რევოლუციონერი ბრძანდებოდა.

წითლების გამარჯვების შემდეგ, როცა თავისი „პროფესიით“ აქ აღარაფერი ესაქმებოდა, კამომ მოითხოვა, ირანში გამიშვით, რევოლუციას მოვახდენო.

ლენინმა არ ქნა. მგონი ტროცკიმ და სტალინმაც განჭვრიტეს ირანული რევოლუციის უპერსპექტივობა.

უთხრეს, ძვირფასო სიმონ ტერ-პეტროსიანო (რევოლუციური „კლიჩკით“ — კამო, ალბათ, შეგნებულად, აღარ მოიხსენიეს), ირანი ჯერ მზად არ არის ყველა ქვეყნის პროლეტარიატის სანუკვარი ოცნების განსახორციელებლად, ახლა ან ნათელი მომავლის აშენებაში დაგვეხმარე, ანდა ფეხი ფეხზე გადაიდე და მშვიდად იცხოვრეო.

პროფესიონალის ბობოქარმა სულმა მაინც ვერ მოისვენა — საბეჭდი მანქანა, მდივანი და ფურცლები მოითხოვა, ამხელა გამოცდილებას მიწაში ვერ წავიღებ, მემუარებს მაინც დავწერო...

კრემლმა, დაბეჯითებით, ეს განზრახვაც დაუწუნა, მაგრამ კერპი იყო ცხონებული, “პირველ ჩვენებას” ბოლომდე მიაწვა, არა და არაო, ჩემს ნანახსა და განცდილს საფლავში ვერ წავიღებო.

ხაზინა და ბანკები „მიჰქონდა“ და გამოცდილების “წაღება” არ უნდოდა!

რადგან არ იშლი, რა გაეწყობაო — მოართვეს საბეჭდი მანქანა, ფურცლები, დაუნიშნეს მდივან-მემანქანეც. მალე საქმეს უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ მოულოდნელად (!) ვერის დაღმართზე, ველოსიპედი და მანქანა შეეჯახა ერთმანეთს...

ამ კატასტროფაში დაღუპული კამო, რა თქმა უნდა, ველოსიპედზე იჯდა...

მაშინდელ თბილისში, მანქანა დინოზავრივით იშვიათობა იყო. ამიტომ ამ შემთხვევამ ყველა გააოცა, გარდა იმ ბედისმწერალისა, რომელიც ცაში კი არა, სულ ახლოს, „ჩეკას“ საიდუმლო განყოფილებაში ბრძანდებოდა.

დარჩა ოხრად საბეჭდი ფურცლები და გაცრეცილთითება, კარგი ანაზღაურების მომლოდინე მემანქანე გოგო — უხელფასოდ.

გამოსათხოვარ სიტყვაში, მეორე პროფესიონალი, შალვა ელიავა, გარდაცვლილს ასე დასტიროდა — ძვირფასო კამო, არ დამავიწყდება შენი შთაგონებული სახე, ერთ ხელში რევოლვერით, მეორეში — ყუმბარითო...

რა გამოეპარებოდა ცხონებული შალვას მახვილ თვალს — მართლაც ძნელი წარმოსადგენია უფრო მეტი შთაგონება, რომელიც შეიძლება კბილებამდე შეიარაღებული რევოლუციონერის სახეზე აღიბეჭდოს.

არც „შვიდნოემბრელების“ შთაგონებული სახეებია დასავიწყებელი, ჩემს თვალწინ, ყოფილი ალექსანდროვის ბაღის კუთხიდან რომ გამოცვივდნენ და პროსპექტიდან გამოქცეულ ხალხს ხელკეტებით გზა უყელეს.

ვიკადრე და ფეხს ავუჩქარე.

შეურაცხყოფილს, გამწარებულს და გაცამტვერებულს, იმით რაც ირგვლივ ხდებოდა, ორთაჭალაში, მემუარებზე მომუშავე სხვა „პროფესიონალი“ გამახსენდა. იმასაც არაერთხელ ჰქონდა შთაგონებული სახე, როდესაც თავისი მოქალაქეებისა თუ ქვეყნის უბედურებაზე ხელს აწერდა.

მემუარები ასეთებისათვის განსაწმენდელად იქცა.

საკუთარ თავზე კარგ ვექილს სად ნახავ?..

ვიღაც ბღავის, მგონი ეროვნული ბიბლიოთეკის მიდამოებში...

ვიღაცას მანქანის კაპოტზე გადაწოლილს ასულიერებენ.

ისევ მეწვის ყელი და თვალები. მეჩვენება, რომ შედედებული მხუთავი გაზი აღარასოდეს გავა ქალაქიდან.

აფსუს, სად არის მამა ელიზბარის არაყი!

ბაღის ბოლოში, ავტობუსში ავედი.

ვუყურებ გამოქცეულებს.

„დაითრგუნება ხალხი, კაცი კაცს დაჩეხავს, მოყვასი მოყვასს; ბავშვი გაუმედიდურდება მოხუცს, უღირსი — პატივცემულს,“ — ასე „დაინახა“ და „აღწერა“ დღევანდელი დღე ესაია წინასწარმეტყველმა.

გვერდით ასაკიანი ქალბატონი დამიჯდა. აცახცახებული თითებით წინა სკამის საზურგეს ჩააფრინდა, როგორც დასაღრჩობად განწირული წყალში მოტივტივე საგანს.

— ნახეთ, სადამდე მოგვყვნენ? კრწანისელი პენსიონერის ლეკვები! რა იკადრეს, ღმერთო! — ჩამაჩერდა ფოსოებში ჩაკარგული, თავზარდაცემული თვალებით, — იცით, რა ვქენი, ერთს ნიღაბის ჩამოსაგლეჯად ვეცი, მაჩვენე შენი ნაძირალა სახე, ხვალ რომ შემხვდები უნდა შეგაფურთხო-მეთქი...

— ამათ შეფურთხებით გააკვირვებთ ან შეურაცხყოფთ, ქალბატონო? — ჩაიდუდღუნა წინ მჯდომმა მამაკაცმა და, ყოველი შემთხვევისათვის, მაინც მიიხედ-მოიხედა.

მე კი, სწორედ მის მხარზე ჩამოსკუპებული

პულჩინელა დავინახე — მწარედ გამეღიმა და მთელი გზა ამეკვიატა:

„ეს კრწანისელი მოგვი,
ყველას დედა რომ მოგვი...
აჩხრიალებულ ბამბას —
მემუარებს რომ ლამბავს“...

მეტი ვეღარ გავაგრძელე და აღარც იყო საჭირო.

რა იკადრესო! —

ქალბატონი შეშინებულზე მეტად შეურაცხყოფილი ჩანდა.

თან — გაკვირვებული.

თან...

მოკლედ ისეთი, შვილისაგან გაწკეპლილი მშობელი რომ შეიძლება იყოს...

სარდაფის კუთხეში რაღაც ფაჩუნობს. ნეტავ თაგვია თუ ვირთხა? როგორ დავინახო, გადაბრუნებულ ქვაბზე დადგმულ სასანთლეში ჩამოღვენთილი კელაპტარი თავისთავსაც ძლივს ანათებს.

ქალებს სძინავთ.

საბაკურიანე, ნაქსოვ ქუდჩამოფხატული, ქალბატონი ამალია ხანდახან ამოიკვნესებს. წვივი, ალბათ, ძილშიც აწუხებს.

ფეხები დამიბუჟდა - სავარძელში გვერდი ვიცვალე.

ისევ ფაჩუნობს რაღაც. იქნებ ქაღალდია და ნიავი აშრიალებს.

ნიავი არა ზღვაური... ამ გემის ტრიუმივით ჩაკეტილ მართკუთხედში, ისე საიდან ან როგორ დაუბერავს, რომ ახლა გაზეთიც ააშრიალოს.

თაგვს მაინც რა უშავს, აი, ვირთხა უფრო ძნელი ასატანია.

რა უნდათ, რას ეჩალიჩებიან, ბელელაშვილების სარდაფში, ამათაც მარცვლეულის ტომრები არ აღმოაჩინონ.

იქნებ ავიდე, ლოჯიაში ადამიანურად დავწვე?

ღამე მაინც მოისვენონ — სადღაც, ღამის უბეში თვითმფრინავი დაძრწის. შეიძლება სამგზავროა... თუმცა, საქართველოს ცაში, ახლა სამგზავროს რა უნდა... კალინინგრადიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმული ზეცის პატრონმა, ეს პატარა ცის ნაგლეჯიც არ წამართვა?

გულუბრყვილო შამილი:

თუ თეთრ ხელმწიფეს ამხელა ქვეყანა ჰქონდა, მთის მწვერვალებზე დაკიდული, ჩემი პატარა დაღესტანისაგან რა უნდოდაო.

უნდოდა, უნდა და მომავალშიც ენდომება, იმამო!

ოი, „Боже царья храни!“

რა უნდა ამ თვითმფრინავს, ცაში რას დაბოდიალებს!

„შენი გამომშვების დედა!“ — გინება თავისთავად სწყდება ბაგეებს.

„გამომშვები,“ ამ შემთხვევაში, დამბადებელს რომ არ ნიშნავს, მგონი ყველა მიხვდება.

ომის წინ თქვენს ციმბირულ მოთხრობებს ვკითხულობდი-მეთქი.

ციმბირი, ჩემთვის, გადასახლებულთა ძვალშესალაგი, კატორღელთა კვნესა, ხუნდების ჩხრიალი, ტყეების ოკეანეში დაკარგული ბილიკები, თავისებური, უკარება სილამაზე და ყინვის საცეცებია, სხეულს რომ ბოჭავს და სუნთქვას გიკრავს.

თქვენთვის კი, სიმკაცრის მიუხედავად, ისეთი ტკბილი, მშობლიური და საყვარელია, რომ როდესაც კიცხავთ, მაშინაც კი ეფერებით, ელაქუცებით, იხუტებთ, ფეხქვეშ უგორდებით, სიყვარულისაგან ძვლები გტეხთ და გიდნებათ.

სამშობლოა თქვენი და იმიტომ!

მე, თქვენი წიგნით ხელში, დაახლოებით იმ სიტუაციაში აღმოვჩნდი, თქვენთვის დუ-ფუს ან ლაო-ძის კითხვისას, ჩინურ ბომბდამშენებს რომ დაეყმუვლათ ზემოდან, შრაპნელს გაესხიპა ულამაზესი ციმბირული ნაძვის კორომები, პირქვე დამხობილიყო სახლები და ადამიანებს თაგვის სოროები ეძებნათ.

განა ყველა ტყვია თქვენს გულში არ გაივლიდა?

გაივლიდა კი არა, საცერივით დააფხავებდა.

ასე ვარ, ახლა, მე და, ალბათ, იმ გაზეთის თუ ქაღალდის ნაგლეჯს ის ორპირი აშრიალებს, ჩემს გაბურღულ მკერდში რომ გადი-გამოდის...

რა უნდა, არ ასვენებს გამჩენი!

ხომ შეიძლება, ამ მფრინავის პაპა და პაპაჩემი, ომის დამთავრების წინა დღეს, რვა მაისს რომ დაიღუპა, სანგარში გვერდიგვერდ ისხდნენ, „ერთა ძმურ კავშირს“ იცავდნენ და ყუაზე დაყვანილ, ქაღალდში გადახვეულ, მწარე, ჯარისკაცურ „მახორკას“ მორიგეობით ეწეოდნენ!

„რატომ მუცელში არ გაწყალდა, ეს ნაბიჭვარი!“

მძიმე დროა, ყველანი, მზარეულით დაწყებული და პრეზიდენტით დამთავრებული, მათ შორის ესეც — ახლა ჰაერში რომ დაყურყუტებს — დაკვეთაზე მუშაობენ.

ამიტომ მიატოვა, რომელიღაც გუბერნიის მიყრუებული, ნახევრად დაცლილი სოფელი, რათა როგორც სამხედრო მფრინავმა, მუცელღმერთა სახელმწიფოსი და... ციმბირული მოთხრობების ავტორის დაკვეთა შეასრულოს!

დღეს-ხვალ უეჭველად იკითხავენ, ომი პირველმა ვინ დაიწყოო.

ეს ომი, ვიქტორ პეტროვიჩ, თქვენ დაიწყეთ!

დაიწყეთ და თანაც ჯერ კიდევ როდის!

5
უბის წიგნაკიდან

23. 05. 2007

„წუხელის, სიზმარში, სოხუმი დავიბრუნეთ.

სადღაც, რკინიგზის სიახლოვეს, პალმებთან ვდგავარ, სიხარულით ვტირი და ყელში წაჭერილი ბოღმა მახრჩობს.

გამეღვიძა. წამოვჯექი.

ძლივს ამოვისუნთქე, ძლივს მოვითქვი სული —

როგორ მინდა ისევ იმ სიზმარში დაბრუნება!“

6

მორჩა, რომ ვიცოდე პირდაპირ შუბლში დამაჯახებენ, აქ მაინც აღარ გავჩერდები — დავტოვე აკლდამაში ორი ჯულიეტა და აჭრაჭუნებული კიბით ლოჯიაში ავძვერი.

ეზო მთვარის შუქით არის განათებული. ცაც ისეთი სუფთა, კრიალაა, მხოლოდ სოფელში, ჩემს ბავშვობაში რომ მინახავს (ალბათ უფალმა გაწმინდა, როგორც ბერიკაცმა სათვალე, რათა თავისი მოზელილების ნამოქმედარი უკეთესად დაინახოს).

გადაიკარგა თვითმფრინავი და, თითქოს არაფერიც არ მომხდარა, ჩვეულებრივი ღამეა, მაგრამ ძვალ-რბილში გამჯდარი სიჩუმე მაინც გუგუნებს, ყურის ბარაბნებს ხეთქავს. ცოტა მიკლია, ეზოში გავარდნილმა, თავში ხელი არ წავიშინო:

„აღარ შემიძლია!"

ორი ჩამქრალი კორპუსი ბრმა, უსინათლო ხეიბრებივით აყუდებულან ერთმანეთის პირისპირ.

მახსოვს, ჩემი სტუდენტობისას, თბილისში, ეგრეთწოდებულ „ობლების სასადილოში," გვერდით მაგიდასთან მჯდომი, ზურგშექცეული კაცი უცებ მოგვიბრუნდა და იაფფასიანი ღვინით შექეიფიანებულ ბიჭებს, გვითხრა:

— იცით, ბიძია, ნეიტრონული ბომბი რა არის? საშინელება! კაცთა მოდგმას ჯერ ამნაირი არაფერი გამოუგონია!.. ჩამოვარდება ხომ? მოსპობს, გააქრობს ყველა ცოცხალ არსებას... ჩვენც, რა თქმა უნდა... დარჩება ხე, სახლი, მანქანა, ამხელა ვიტრინის შუშა გაბზარვითაც კი არ გაიბზარება და, რაც მთავარია, ეგ თქვენი სავსე ჭიქები, ეგრევე იდგება გალიცლიცებული... მერე მოვა ვიღაც სხვა, გადამთიელი, და დალევს... აბა?

— რას ჰქვია, დალევს! აღარ უშლიან? — ავღელდით ჩვენ.

— ვინ იქნება, ბიძია, დამშლელი!

შებრუნდა თუ არა, ნეიტრონული ბომბის შიშით, სხვებს რომ არ დარჩენოდათ, ვეცით და მაშინვე გამოვცალეთ ჭიქები.

ეტყობა, მეტისმეტად გრძელ-გრძელი საადღეგრძელოებით, ყურები გამოვუჭედეთ და ნეიტრონული ბომბით ამიტომ „დაგვაშინა".

რაღაცნაირი, ნატანჯი გამომეტყველების კაცი იყო, მუდამ სუფთად გაპარსული, მხრებში მოხრილი, თხელ, გაცრეცილ ქურთუკში კუზებამოყრილი. კედლისა და ვიტრინის შუშის კუთხეში განმარტოებული იჯდა ხოლმე და „გარეჯს" ან „საეროს" წრუპავდა.

ავტობუსის გაჩერება სასადილოს ვიტრინის გადმოსწვრივ იყო.

ბევრჯერ დამინახავს, მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი, ქუჩისაკენ პირმოქცეული გარეთ რომ იყურებოდა, მაგრამ სახეზე არ ეტყობოდა გამვლელ-გამომვლელებს თუ ხედავდა.

წვიმიან ამინდში, შუშაზე დაცურებული წვეთები მის სახეზეც ჩამორბოდნენ და ზოლებს ბზარებივით ტოვებდნენ.

ტყავის ქურთუკს, როცა აცივდებოდა, ყელზე მჭიდროდ მოხვეულ შარფს დაამატებდა ხოლმე და ეს იყო მისთვის ზამთრის სეზონზე გადასვლა.

ერთხელ, გაჩერებასთან იდგა და, სანაგვესთან დაგდებულ, დამბალ ფუნთუშას დასეულ ბეღურებს უყურებდა. მერე, როცა ორი მტრედიც მოფრინდა, მობრუნდა და ჩამილაპარაკა, მეც თბილისის ბეღურა ვარო.

რატომ მითხრა? რომ არ შემშლოდა და მტრედი არ მგონებოდა?

რომელიღაც პოეტი პარიზის ბეღურობას ჩემულობდა. სხვა დედაქალაქებსაც ეყოლებათ თავთავისი „ბეღურები."

მაინცდამაინც ამ პატარა, არცთუ ლამაზ ჩიტს რატომ ებაძებიან? რა ხიბლავთ — ალბათ, ბეღურას ერთგულება. ის ხომ არსად არ მიფრინავს, ზის ტოტზე აბუზული, კისერჩაძვრენილი და ელოდება, საყვარელი ქალაქი როდის გადაიზამთრებს.

„ბეღურა," ბოლოს, სამხატვრო აკადემიასთან ვნახე, ეზოში გამოდგმულ, ანტიკური ქანდაკებების თაბაშირის ასლებს უყურებდა.

გამიღიმა, ვიავადმყოფე, ორი კვირაა აღარ ვსვამ და სიფხიზლე ამივარდა თავშიო.

თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა.

რუსთაველისაკენ დაუყვა ქვაფენილიან დაღმართს. თითქოს ორმოში ჩადიოდა, მხრები, შარფით გაკოჭილი კისერი, ყურებზე გადმოჩეჩილი თმა, ტირის სამიზნესავით მრგვლად მოპრიალებული კინკრიხო თანდათან ჩაიმალა და, გაქრა...

გაქრა და გაქრა.

ვიკითხე სასადილოში. მითხრეს, ჩვენც გვაკლია თვალში, კარგა ხანია აღარ გამოჩენილაო.

ვიტრინასთან გავლისას მზერა გამექცეოდა ხოლმე, მაგრამ „ბეღურას" მაგიდა ან ცარიელი იყო, ანდა ყოველთვის სხვები ისხდნენ...

მაშინდელი ნეიტრონული ბომბი დღეს აგვიფეთქეს — ყველაფერი თავის ადგილზეა, სახლები, ხეები, ვარსკვლავები... გამქრალი, მრავალათასიანი მოსახლეობიდან თითო-ოროლაღა დავრჩით. ჩვენც თუ აგვაორთქლეს, მოვა ვიღაც და დაეწაფება ჩემს დანაკლულებულ ორნახადის ბოთლს...

დივანთან, მთვარის შუქზე, მქრქალად განათებულ კედელზე, საოჯახო კალენდარი ჰკიდია. კალენდრიდან, ვარდისფერ კიმონოიანი, ტუჩთან თითმიტანილი იაპონელი ლამაზმანი მიღიმის და თითქოს მაჩუმებს. გარკვევით ვერც ღიმილს ვხედავ, ვერც ციფრებს, მაგრამ ვიცი, რომ ხუთშაბათია.

ხუთშაბათი თევზს მახსენებს (შეიძლება ცოტა მშია კიდეც და ამიტომ).

ამ დღეს, „გენსეკიდან" დაწყებული, ვოლგისპირელ დოკერამდე, მთელი საბჭოთა კავშირი განსაკუთრებულად ყარდა.

ალბათ, საქონლის ხორცის ეკონომიის მიზნით, ხუთშაბათი, თევზის დღედ იყო გამოცხადებული.

თევზი ნებისმიერ დღეს კარგია, მაგრამ ცუდია, როცა მაძალებ, ხუთშაბათს მხოლოდ თევზი უნდა მიირთვაო.

დალოცვილო, ესეც ლენინიზმის საფუძვლებია?

იქნებ, მე, პლეხანოვის მესამე ტომის მეცხრე პარაგრაფი უფრო მომწონს!

ეჰ, სად გადავტოპე!

არაყმა, წეღან წყალივით რომ წავიდა, ეტყობა თანდათან გაჭრა.

თევზის ხუთშაბათობები საბჭოთა კავშირთან ერთად დასამარდა. დღეს რაც გინდა, რამ-

დენიც გინდა და როცა გინდა, მაშინ მიირთვი.

ასეც მოვიქცეოდით, ერთი უხერხულობა რომ არა: რაც გინდა და რამდენიც გინდა, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტას აქვს.

ასე, რომ ბრძოლით მოპოვებული მესამე მუხლი — „როცა გინდა მაშინ მიირთვი," ჩვენთვის, მაინც, მიკლუხო-მაკლაის უსარგებლო ბრჭყვიალა საჩხაკუნოდ უნდა ჩაითვალოს, რომელსაც, პაპუასი, ვერასოდეს და ვერაფერში ვერ გამოიყენებს.

ხომ ვთქვი, მომეკიდა-მეთქი.

ახლა სამზარეულოს შავ ტაფაში აშიშხინებული, ზეთში ოქროსფრად აბრაწული თევზი მომცა და ჯანდაბას, არც სტუდქალაქის სასადილოს, ჩემთვის საძულველ „პერლოვკას" გარნირს დავიწუნებდი.

„პერლოვკას" ჩემს ამხანაგს, ბუბუტეიშვილ ავთოს გადავუღებდი ხოლმე და, ისიც, ისე მოწყალედ დამიქნევდა თავს, თითქოს საჭმელს კი არ ვთავაზობდი, ხრეშის ასარევად დახმარებას ვთხოვდი.

რამდენს ჭამდა და მაინც სარივით იყო!

სად არის ახლა ავთო?

დედაქალაქში!

ისეთი სიჩუმეა, რომ დავიძახო, გავაგონებ კიდეც.

ორივე ხელი პირთან მიმაქვს.

არა, არ ღირს, — ჩამოვიღე ხელები, — აქ თუ სიჩუმეა, სამაგიეროდ იქ არის ხმაური, ჩემი ძახილი როგორ გაარღვევს, მტკვრის ხეობაში ჩაწოლილ მთელი დღის ხმაურსა და გნიასს. ანდა კარგად რომ გადავიწიო ფანჯრიდან, იქნებ ყურშიც წავწვდე უსახური კორპუსის აივანზე გადმოყუდებულ ჩემი სტუდენტობის ძმაკაცს და ბიბილო ღონივრად მოვუსრისო:

— როგორა ხარ, შე ჩემა!..

ომამდე სტუდქალაქთან მოვხვდი და ჩვენი ორსართულიანი საცხოვრებელი ისევ ისე არ დგას? არა მარტო დგას, ვიღაცეები ახლაც ცხოვრობენ.

ეგრეა შელანძღულ-დაფუტუროებული ან ჭერი როგორ უძლებს ანდა იატაკი.

შიგნით, ჩვენი სტუდენტობის ხანაშიც კარგა გვარიანად ყარდა და დღეს რა იქნება, ვერ გეტყვით.

დერფნის გასწვრივ ჩარიგებული ოთახები იმ სპეციფიკური სურნელებით იყო გაჟღენთილი, რასაც გაუნიავებელ ოთახში დატრიალებული ოხშივარის, ოფლიანი წინდებისა და სიგარეტის სუნის ნაზავი შეიძლება ტოვებდეს.

დეკანატიდან გამოტანებული მიმართვით, სტუდქალაქში ჩასასახლებლად მისული, უჩვეულო შემთხვევის მოწმე გავხდი — ვიღაცას, „წითელი კუთხიდან," რომელშიც კეთილად გაღიმებული ილიჩის ბიუსტიც იდგა, ორკარიანი კარადა გაეყიდა.

კარადას ისევ ამშვენებდა ინვენტარიზაციის ციფრით დაღდასმული ალუმინის ოვალური ფირფიტა, ორმა ჯანიანმა ქურთმა, ბორტგადახსნილ მანქანაზე რომ შეაცურა.

ის იყო, მანქანა, უკუსვლით გასასვლელისაკენ დაიძრა, რომ საცხოვრებელიდან სახეაჭარხლებული, თმახუჭუჭა ტიპი ყვირილით გამოვარდა, კარადა სად მიგაქვთ და ვისი მიგაქვთო.

ამ ორი კითხვიდან, თმახუჭუჭასათვის, რომელიც კომენდანტი გამოდგა, საინტერესო მეორე კითხვა იყო, თორემ სად მიჰქონდათ, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

კაბინიდან ღიპიანი კაცი ჩამოქვეითდა, მომყიდეს და მიმაქვს, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარო.

მომყიდესო, თანაც ვისი ტიკი-ტომარა ხარო! — კომენდანტი მთლად დასაბმელი გახდა:

რას მიედ-მოედები, „წითელი კუთხიდან" რაიმეს გაყიდვა რომ შეიძლებოდეს, მე დამასწრებდითო, — გულწრფელი გაკვირვებით აღმოხდა და თავის კარადიან-ქურთებიანად მანქანას ისევ უკან დაახევინა.

გნიასზე ყველა მეხუთე კორპუსთან მოგროვდა.

წითელქუდა მილიციელებიც, ცხადია, მაშინვე ხალხის შუაგულში ამოღაღანდნენ.

— რაში ვარ, ძმაო, დამნაშავე, მომყიდეს და ვიყიდე... გუშინ მომიყვანა, მაჩვენა, აგერ დგას, კარგად დაათვალიერე, დეფექტი არაფერი სჭირს, მხოლოდ საკეტები აქვს დასაცვლელი, წაიღე და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო.

— ვინ მოგყიდა, სახელს აღარ იტყვი? — სული დაელიათ მილიციელებს.

ვინ და, ბოჩიას დედას ასე და ისე რომ ვუზამ, მერე სახელსაც გავიგებთ და გვარსაცო, ჩაიმჯიღა მკერდი გამწარებულმა.

რაღა გვარ-სახელი უნდა, ბოჩიას აფერისტობის ამბავი ამერიკაშიც იციან და შენ როგორ მოტყუვდიო.

მერე, თუ აფერისტია, თან ამერიკაშიც იციან, რატომ არ დაიჭერთო, შეედავა მილიციელებს.

დანაკარგმა, ეტყობა, მთლად დაგიკარგა აზროვნების უნარი, თორემ, ამ ქვეყანაში აფერისტის, მექრთამის, გამომძალველის, ძაღლისა და მამაძაღლის გარეთ ყოფნა არ გაგიკვირდებოდაო, რატომღაც მილიციელებს გადაბღვირა ვიღაც ასაკიანმა კაცმა და ხელჩაქნეული იქაურობას გაეცალა.

ეს იყო პირველი საპროტესტო გამოსვლა, მე რომ მოვისმინე, იმ ქვეყნის მიმართ, რომლის სამართლიანობაში დაეჭვება, საბჭოთა ადამიანებს, ფიქრშიც კი აკრძალული გვქონდა.

ჯეროვნად ვერც ბოჩიას გაბედულება შეფასდა — მთელ ქვეყანაში ტაბუდადებული, საკრალური „წითელი კუთხიდან" ავეჯის „გასხვისება", წესით წვრილმანი აფერისტობის „მუხლს" სცილდებოდა...

მიდგნენ-მოდგნენ, მოიკითხეს, მაგრამ სწორედ მაგის ჩიტი იყო ბოჩია, ნებით შეფრენილიყო გალიაში — დაიკარგა კარადაში აღებულ ხუთთუმნიანად, მაგრამ „მიმალვაში" დიდხანს ვერ სძლებდა, ორი კვირის თავზე, ავთომ, სტუდქალაქის კლუბში საშუალო ტანის, ცოტა ჩასუქებულ, უწყინარი გამომეტყველების ახალგაზრდაზე მანიშნა, აი, რომ გაინტერესებდა, ეგ არის ბოჩიაო.

გამიკვირდა, ჩემს წარმოდგენაში, საუკუნის აფერისტის სულ სხვანაირი პორტრეტი შევქმენი და ძალიან გამიტყდა, რეალობა და გამონაგონი ერთმანეთს რომ არ დაემთხვა.

მერე მივხვდი, მაგარი აფერისტი სწორედ ის არის, ვინც აფერისტს და ქვეყნის ამომგდებს სულაც არ ჰგავს.

„შპიონებშიც“ ასე ყოფილა, თურმე:

მოსკოვში, ახალგაზრდა მწერალთა თათბირ-სემინარზე ყოფნისას, ერთ საღამოს, კომპოზიტორ ალექსანდრა პახმუტოვას, მოკრივე ბორის ლაგუტინს და ვიღაც პუჭურა, მხიარული სახის, პატარა ღიპზე, მოკლე, კოტიტა თითებდაწყობილ კაცს შეგვახვედრეს.

პირველ ორს ვინ არ იცნობდა, ეს მესამე კი, ცოტა სულელურად გაღიმებული რომ აცეცებდა ბაც, ლილისფერ თვალებს, სცენაზე შემთხვევით, თავისი ნება-სურვილით შემოსული მეგონა და ვფიქრობდი, ადმინისტრაცია ან ეხლა ჩაავლებს დაცქვეტილ ყურებში ხელს და გააბრძანებს გარეთ, ან ეხლა-მეთქი.

ეჭვს ისიც მიმძაფრებდა, რომ განაპირას, უყურადღებოდ მიტოვებულივით, მაღალ საზურგიან სკამზე შესკუპებული, იატაკამდე ხეირიანად ფეხებსაც ვერ უწვდენდა და მიმიკა შეუცვლელად, ერთმანეთში ჩახლართულ თითებს, მუცელზე ათამაშებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდა:

უხმეს მიკროფონთან და ისიც სკამიდან ყოჩაღად ჩამოხტა.

დაიწყო და რა დაიწყო: გვიამბო, რა გზა გაიარა, როგორი ხრიკები არ დასჭირდა, რამდენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო, რომ, ბოლოს, ტეხასის კოსმოსურ ქალაქ ჰიუსტონში მოხვედრილიყო, რათა საბჭოთა სადაზვერვო სამსახურის დავალება პირნათლად შეესრულებინა.

თავიდან, მისი შემხედვარე, იფიქრებდი, ფილარმონიის იაფფასიანი, ჭკუამხიარული არტისტი ვიღაც სხვის თავგადასავალს აშარჟებსო, მაგრამ ფაქტს სად გაექცეოდი — ეს დაცხინკული პერსონა ყოფილა ქვეყნის ამომგდები, წლების განმავლობაში საბჭოთა რეზიდენტი, სკოტლანდ-იარდს, ცერეუს, ტაილანდისა და გერმანიის საიდუმლო სამსახურებს რომ აბუებდა.

მისი თავგადასავლების მიხედვით, იმ დროს პოპულარული ფილმი, მგონი „მკვდარი სეზონი“ იყო გადაღებული და მთავარ როლს ლიტველი მსახიობი ასრულებდა.

საქვეყნოდ ცნობილი რეზიდენტები თუ ბოლოს გაიშიფრებოდნენ და ჩავარდებოდნენ ხოლმე, ბოჩია „ღია კარტით“ თამაშობდა — თითქმის ყველა მორიგმა მსხვერპლმა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, მაგრამ მაინც ნებაყოფილობით უძვრებოდნენ ხახაში...

პერიოდულად, ბოჩიას, ავლაბრიდან, მეძავი ანჟელა მოჰყავდა. სტუდქალაქის ტერიტორიაზე შებინდებისას ხელკავით შემოასეირნებდა ხოლმე. ბიჭები მოიჩხრეკავდნენ ჯიბეებს და ახალ კორპუსში, პირველი სართულის ჩამქრალი დერეფნის ბოლოში, დათქმულ ოთახს, მორიგეობით მიადგებოდნენ...

შიშველი, მორგვივით მსხვილბარძაყა მეძავი შავად იყო გადადღაბნილი ზამბარებიანი საწოლის ლეიბზე დაფენილ, სტუდქალაქის ისედაც ბინძურ, ვითომ თეთრეულზე.

ანჟელა, როგორც მისი უტყუარი ბიოგრაფი, ბოჩია ამბობდა, პასკევიჩის დროს, მცირე აზიიდან ჩამოსახლებული სომხის შთამომავლისა და დუხაბორი თეთრი ქალის ნაშიერი იყო, მაგრამ ღონიერ სომხურ გენს ემძლავრა და, როგორც ვთქვი, ზეწარზე, ავტოსადგურის საფუნთუშის, მრავალგზის ნახმარი, დამწვარი საღვეზელე ზეთივით თიმთიმებდა.

გამოცდილ დედაკაცს მხარზე გადაკიდული, ოფლიან იღლიაში მომწყვდეული, აბზინდიანი ხელჩანთა დაჰქონდა. „მიღების“ დროს ხელჩანთა თავთით ედო და, კლიენტისაგან ნაბოძებ ხუთმანეთიანს, შიგ მოაყუჩებდა ხოლმე. როგორც ამბობდნენ, ერთხელ, ბოჩიამ, როცა თავადაც ტკბებოდა ანჟელას სხეულით, თვალმილულული ქალის დროებითი თავდავიწყებით ისარგებლა, წაიწყმიდა სული და ხელი ჩანთაში შეაცურა.

შემოსწყრა ანჟელა, თავისზე უფრო უნამუსო სუტენიორს, მაგრამ ბოჩიამ მოინანია, საჩუქრით მოულბო გული და, საშემოდგომო სეზონი, ონანიზმით თვალებჩაღამებული სტუდენტებისათვის, ისევ „ძველ მისამართზე“ გახსნეს.

იმ ხანებში, ჩემი ოთახის გვერდით, ორი გოგო ცხოვრობდა. მე და ავთო რამდენჯერმე კარტის სათამაშოდ შეგვიპატიჟეს, შეგვიჩვიეს.

ეს მისვლა-მოსვლა იმით დამთავრდა, რომ ორიდან ერთ-ერთს, მსუქან ელიკოს ავთოზე თვალი და გული შეუგორდა.

გარეგნულად უფრო შეუფერებელი წყვილი არ მენახა, მაგრამ სიყვარულს რას გაუგებ.

ავთოც შეეჩვია, უჩემოდაც დაძვრებოდა მეზობლებში, დაასეირნებდა, დაჰყავდა ელიკო კინოში.

ვკითხე ბუბუტეიშვილს, თუ ატყობ, ამ ჩვენს ელიკოს, საეჭვოდ რომ გაუდიდდა ძუძუებიმეთქი.

რა ვქნა, ვერთობიო, — გამომიტყდა.

რომ შეგიყვაროს-მეთქი.

აი, დარდიო...

ერთხელაც, ჩამოუვიდა ელიკოს პურმარილით დატვირთული მამა და, რა თქმა უნდა, მე და ავთო მიგვიპატიჟეს. საქეიფოდ მიმავლებმა დერეფანში გამოსული ბოჩიაც დავიმგზავრეთ — ჩვენი რა მიდიოდა.

შევედით — სუფრაა გაშლილი, ავი თვალით არ ინახვის.

ელიკოს მამა სუფრის თავში ზის.

მოვიკითხეთ.

მოგვიკითხა.

შენ აქეთ დაბრძანდიო, ავთოს შვილის გვერდით, ცარიელ სკამზე ანიშნა და, არ ვიცი რატომ, გულმა ცუდად შემომკვნესა.

გახურდა ქეიფი.

ბოჩია ისეთია, თავაზიანი, ლამაზად მჭერმეტყველი, რომ მიკვირს ზრდილობისა და სიტყვაპასუხის სახელმძღვანელოს რატომ არ წერს.

ავთო — ლექსების სკივრი, ღვინო გაუჯდა და რაღა გააჩერებს.

მე კი სუფრის უპრეტენზიო, თვინიერი წევრი, ვუყურებ, თამადის ზურგსუკან, ფანჯარაში, როგორ შიშვლდებიან ნოემბრის ცაცხვები და გარეთაც და ჩემს გონებაშიც ნელ-ნელა ბინდი წვება.

უცებ, თამადამ, შინიდან საგანგებოდ წამოღებული ყანწი შეავსო, წამომდგარმა ახოვანი ტანით ფანჯარა ჩაფარა, წაშალა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგომის პეიზაჟი.

ეს სასმისიო, აგვიხსნა პატივცემულმა, პირველად, ამ ოცდაორი წლის წინ, ჩემს ქორწილში დაილია და მას შემდეგ, მე და ელიკოს დედას, ბედნიერი ცოლ-ქმრობა გვაქვსო.

გულმა ისევ ცუდად შემომკვნესა. გადამთვრალ ავთოს გადავხედე, ინერციით, როგორც ჩვეული იყო, ელიკოს სკამის საზურგეზე მკლავი რომ გადაუდო.

კიდევ რაღაც თქვა, სუფრის წინამძღოლმა..

ბოჩია გაკვირვებული წამოხტა, სიძე შე ძველოო, გადაეკიდა მაგიდას და მთლად გამოლენჩებული ავთო ჩაკოცნა.

თამადამ წყვილს ბედნიერება უსურვა, ჩამოჯდა, გაათავისუფლა შემოდგომის პეიზაჟი, მაგრამ რად გინდა, გარეთ უკვე ისე ბნელოდა, აღარაფერი ჩანდა.

მოსაწევად დერეფანში გამოვედით.

ბოჩიაც გამოგვყვა, ჰკითხა ნირწამხდარ, გადამჟავებულ სასიძოს, გამაგებინე რა ხდება, უნდათ გამოგიჭირონ, ბიჭოო, გადააქნია თავი და ჩვენს ოთახში შეგვიყვანა.

ცოტა ხანში, ბოჩია, ელიკოს მამას შემოუძღვა, საწოლზე გადაწოლილ, თვალებზე მუქ ცხვირსახოც გადაფარებულ ავთოს თავს დააყენა.

— რა იყო, ეგრე სუსტი ხარ, ღვინომ დაგძალა? — საჩვენებელი თითი მოუღიტინა სასიმამრომ.

ბოჩიამ ხელკავი გამოსდო და მწოლიარეს გამოაცილა.

— ახლა არა უშავს... ემართება ხოლმე.

— რა ემართება? — გაუკვირდა ელიკოს მამას.

ყურთან პირი მიუახლოვა და ვითომ წასჩურჩულა:

— დაბადებიდან ეპილეფსია სჭირს.

— რა? — ვერ მიხვდა.

— ბნედა!.. ხან სად შეუწუხდება გული, ხან — სად... ნუ შეუშლით ხელს, ამათ ბედნიერებას — ექიმები გვაიმედებენ, შეიძლება ეშველოსო, — ყელი გამოუწია ბოჩიამ.

გამონელდა სასმელი სასიმამროს. გამონელდა კი არა, ერთ წამში ყველაზე ფხიზელ კაცად იქცა, რაო, რას ჰქვია „გვაიმედებენ," ახლა ბნედიანი სიძე მინდაო, დაიღმუვლა და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა.

გადარჩა ავთო.

შენს პატივისცემას არ დავივიწყებო, შეჰპირდა ბოჩიას.

მართლაც არ დაუვიწყა — უნივერსიტეტის შემდეგ, მინსკში „კგბ-ს" უმაღლესი სკოლაც დაამთავრა, უშიშროების სამინისტროში საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზე გაიჩითა და, თავის გადამრჩენელს, თანამშრომლობის სანაცვლოდ, სხვადასხვა „სიკეთეებს" შეჰპირდა.

ბოჩიამ იწყინა, შეთავაზება არ მიიღო, აფერისტის სახელი კი მაქვს, მაგრამ თუ ყველაფერის მკადრებელი გეგონე, ამას კი ვერ წარმოვიდგენდიო.

მოკლედ, როგორც იტყვიან, დახმარებისათვის გაწვდილ მარჯვენას ხელი აუკრა...

სხვათა შორის, ამ ჩემი „პერლოვკით" გამოზრდილ ავთო ბუბუტეიშვილს, სოფელში, ბიცოლა ჰყავდა — კლავდია აკიმოვნა, პატარა, კაფანდარა, ყოჩაღი რუსი ქალი, რომელსაც ქმარი, შვილები, შვილიშვილები, მთელი სოფელი და, მგონი ნახევარი გურია, აკიმოვნას ეძახდა.

პატარა, მტკაველის სიგრძე დედაკაცმა, ხუთი ისეთი ყაზილარი გააჩინა, გაგიკვირდებოდა საიდან ან როგორ გამოსტია.

ავთომ სოფელში რომ მიმიპატიჟა, აკიმოვნას უმცროსი ბიჭი, ჯარში ჰყავდათ გაწვეული და სადღაც, ურალს იქით იყო გაგზავნილი.

ერთ დილას ქალის შეცხადების ხმა მოგვესმა.

დაცქვიტა ყურები ავთომ, მგონი აკიმოვნა უნდა ჩიოდეს რაცხასო, გაუყარა კლანჭა ფეხები შარვალში, მერე სტუცა ფლოსტებში და გავარდა.

გავყევი მეც.

შევედით ბიძამისის ეზოში — ოჯახი და მეზობლები სკამზე გადაფოფრილ აკიმოვნას თავს ეხვევიან, დაწყნარდი, ასეთი გადარევა ვის გაუგიაო.

ამშვიდებენ, თან ჩუმ-ჩუმად ელიმებათ.

სულ გამოვშტერდი, ვერ გავიგე ვერაფერი.

— დედა, დედა, მამაჩემი აკიმიც რომ წამოდგეს, არ ვნახავ ამ არე-მიდამოზე გარებულს, არც ჩემს შვილს და არც იმ გათახსირებულის ნაშიერს, ვინცხაა...

— დამშვიდდი, ქალო, ზოგჯერ ეგენიც ხომ გამოდგებიან ხოლმე... შენ რომ მოგიყვანე, ქვეყანა დეიქცა? — აწყნარებს ქმარი.

— არ მითხრა, ეგნატე, არა, გენაცვალე, არ ამოუშვა მაგი პირიდან... ახლა დეიქცევა, ახლა!.. შენ მასწავლი მაგენის ჯიშს? — გამოიფხოჭნა გამხმარი მუხლისთავები.

როგორც იქნა გავიგეთ აკიმოვნას ჭკუიდან გადასვლის მიზეზი — ნაბოლარას ჯარიდან წერილი გამოეგზავნა, აქანა, ერთი კაი გოგო შემიყვარდა, ამ შემოდგომით, დემობილიზაციაში რომ გამომიშვებენ, უნდა ჩამოვიყვანოვო. თან დედას აფრთხილებდა, აკიმოვნა, არ დაიწყო ახლა შენებური, გაჩერდი, ამის გარდა ცოლად არავინ არ მინდაო.

კლავდიას გამჩერებელი იყო ვინმე, თუ თავისით არ გაჩერდებოდა?

საუბრის დროს რუსული სიტყვა არ დასცდებოდა, მხოლოდ, როცა რაღაც უსაზღვროდ შეაშფოთებდა და ძალიან გააკვირვებდა, გაუდიდებოდა ხოლმე ცისფერი, კამკამა თვალები და პირჯვარს გადაიწერდა:

— ოი, "Боже царья храни!"..

ვიცი, ვიქტორ პეტროვიჩ, არ მოგეწონებოდათ გურულების რძალის შეცხადება, მაგრამ, რა ვქნა, როგორც გინდათ მორიგდით, აგერ თქვენ და აგერ აკიმოვნა...

დაბლიდან კვნესა მომესმა.

დედა, ხომ არაფერი გინდაო, იკითხა ძილღვიძილში მყოფმა ქალბატონმა ლოლამ, მაგრამ ავადმყოფი არ გამოეპასუხა და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა...

მთვარე თანდათან გადავიდა. ეზო ჩვენი სახლის ჩრდილით ამოივსო. კიდევ უფრო დაბრმავდნენ კორპუსები. საიდანღაც კნავილი მომესმა. ნამდვილად კატა კნაოდა. ნერვების ბრალია,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ რა, კატის ხმის გაგონებაზე ცრემლი როგორ უნდა მოგერიოს. ახლა, სადღაც, მამალმაც რომ იყივლოს, ალბათ სიხარულისაგან გავგიჟდები. სინათლეჩამქრალ ქალაქში, მგონია, დროც გაჩერდა, მოუმართავი, მექანიკური საათის ისარი თორმეტსა და პირველს შორის გაიჩხირა.

აქამდე ამ ორი ციფრით მთავრდებოდა ძველი და იწყებოდა ახალი...

მაგრად გავიჭედეთ, დროც შედგა და ჩვენც გავჩერდით. გაქრა მოჩვენებითი მშვიდობა, ასე თუ ისე რომ გვიმყუდროვებდა, ჩვენს სიშიშვლეს ფარავდა, ზურგის ძალას გვაგრძნობინებდა... მოულოდნელად, საკუთარ სამშობლოში, სხვის ბუდეში ჩასხმული ბარტყებივით აღმოვჩნდით. ამ ბუდესაც, როცა უნდათ ფეხს ამოჰკრავენ და ამოაბრუნებენ. ჩვენს ირგვლივ უბრალო მინა და ცაა, რომელსაც სახელი აღარა აქვს და ამიტომ ჩვენი არც დაცვა შეუძლია, არც ნუგეში.

ეს არის მსოფლიო წესრიგი, ვიქტორ პეტროვიჩ? ჩინგის ხანის ეპოქასთან შედარებით, განა რაიმე შეემატა პატარა ქვეყნის უფლებებს? როგორი მოსასმენია ჩემთვის პოლიტიკოსთა საყასბო დანებისა და დანა-ჩანგლის ჩხარა-ჩხური — აბა, იჩქარეთ, ოკეანესგაღმელებო და ჩრდილოეთის თეთრი ხელმწიფის ემისრებო, რომელი უფრო მსუყე „ტორტის“ ნაჭერს დაითრევთ!

სამშობლო ანჟელა ხომ არ არის, შეურაცხყოფა ადვილად გადაყლაპოს ან ჩამოიბანოს!..

დაბლიდან ჩახველების ხმა გონებას მაკარგვინებს. რა უნდათ ხანდაზმულ ქალებს სარდაფში! მაცოფებს იმის გაფიქრებაც, რომ უარესად თუ გაჭირდება, კიდევ უფრო ღრმად ჩავძვრებით.

თვალის დახამხამებაში თაგვის სოროს მეტი ფასი დაედო, ვიდრე მდიდრულ აპარტამენტებს!

ეგეც თქვენ, მსუყე „ქონებრივი დეკლარაციების“ პატრონებო, ამ ერთხელ ღარიბებსაც ხომ გაუმართლათ!..

სული მეხუთება, ვიხრჩობი. სადაც არის დასკდებიან ფილტვები — ნეტავ სხვებმაც თუ იციან სამშობლო რომ აღარა გვაქვს? ის ბოჩიაზე მსხვილკალიბრიანმა აფერისტებმა გამოგვაცალეს ხელიდან და, ნაძარცვივით, პირქუშ სასაფლაოზე იყოფენ.

„გაინძერი, ბაყაყო!“ — მართლა არ გავგიჟდე-მეთქი, შევატოკე გაშეშებული კიდურები, წამოვჯექი და ჭურჭლის კარადაზე დადგმულ, დაფშხალულ სარკეში ჩრდილი აქანავდა.

„რა იყო, პულჩინელა, შენც აგატირეს? კარგი, გული ნუ ამოიგდე, მოვა კეთილი ძია რეჟისორი და ჩამოგხსნის მაგ ლურსმანიდან!“

კი ვეუბნები, მაგრამ მჯერა ჩემი სიტყვების?

„სარკეში ვინ ჩაიხითხითა? მოხვედი, ხასიათზე, ოინბაზო... რაო? ანჟელა გაგახსენდა?“

ანჟელა სტუდენტებისათვის დიდი შვება იყო, მაგრამ მხოლოდ ამ დედაკაცის იმედად არ ვყოფილვართ.

მაშინდელ პლეხანოვზე, თბილისში გამოთხოვილ დეიდასთან, ყინულზე მოცეკვავე გოგო ჩამოდიოდა ხოლმე.

ერთხელაც სტუდენტებში წავიყვანე.

ოთახში შვიდნი ვცხოვრობდით და, ავთოს გარდა, ჯიბრზე, ყველანი შინ დამხვდნენ, კარტს თამაშობდნენ.

უცხო, ქერათმიანი, შარიშურა ქვედაბოლოიანი გოგო რომ დაინახეს, კარტი დაყარეს და რიგრიგობით გარეთ გაიზლაზნენ.

იქნებ არ ღირდესო, ჩახსნილ საკინძეს ჩაებღაუჭა გოგო, მაგრამ მალე მაინც საღად შეაფასა შექმნილი სიტუაცია — კოჭის საგორაოდ და ღამისთევით რომ ოთახს არავინ დაგვითმობდა. ვიგემეთ ის ხილი, რომლის გამოც სამოთხე დაატოვებინეს ჩვენს უშორეს წინაპარს და, რას ვხედავ, ფანჯრებზეაკრულგისოსებზე, მაიმუნებივით დაკიდული ეს ჩემი შტერი თანაოთახელები, შიგნით არ იყურებიან?

გავმწარდი. სქელძირიანი ბათინკი საწოლიდანვე ვისროლე.

ფანჯარა ჩაიმსხვრა. „მაიმუნები“ სიცილ-ხარხარით გაიფანტნენ.

სტუდენტებიდან ჭავჭავაძეზე ფეხით ჩამოვისეირნეთ. გზისპირა კაფეში, თბილ-თბილ ფუნთუშებს, კაკაო დავაყოლეთ. წამოვედით და ზოოპარკში შევედით. იქ კიდევ, პავილიონში, წონის ნაყინი მივირთვით, მერე გავუყევით ვოლიერებს, გავცდით სპილოს სადგომს, ირმებისა და ჯიხვების შემოღობილ საჩეხს და, უცებ, მართლა მიწიდან ამოძვრა ორი ჩოფურა, მზეზე მორიგეობით გაშავტუხებული მილიციელი.

აქ რას აკეთებთო.

ზოოპარკს ვათვალიერებთ-მეთქი.

მერე აქ ზოოპარკს რა უნდა, აგე ზოოპარკიო.

ვერეს ხევის შეყოლებაზე, ზოოპარკს, ვიქნებით ასე ოცი, ოცდახუთი მეტრით გამოცილებული.

რა უნდა გვექნა, რას დავუმტკიცებდით, საბჭოთა მილიციის შეუვალობა ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი.

გამოგვყევითო.

გავყევით.

ეგრე არაო, მობრუნდნენ და წინ გაგვირეკეს, როგორც ნაპოვნი, გზადაკარგული ხბორები.

მოგვდევენ, თან მე რომ გავიგონო ისე, ერთმანეთში მსჯელობენ:

— დისპანსერში უნდა მივიყვანოთ!

— თუ განყოფილებაში?

— განყოფილებაში, - მერე... ქალაქში სიფილისია მოდებული და ნახონ, შეამოწმონ ეს ქალბატონი.

— ჰო, თათბირზე ხომ გაგავაფრთხილეს, პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე რად უნდა ავიღოთ...

— შევადგინოთ ოქმები, გავუგზავნოთ ამათ მშობლებსა და სასწავლებლებს!

— მერე, იმ ოქმებში რა უნდა ჩაწეროთ? — მივუბრუნდი.

— სტუდენტი ხარ? — კითხვა დამიბრუნა ერთმა.

თავი დავუქნიე — სხვა რა გზა მაქვს, სტუდ-ბილეთიც და ჩათვლის წიგნაკიც, ორივე ჯიბეში მიდევს.

— მაშ ვინ იქნება, არ ეტყობა ფაფარივით ჩამოგრძელებულ თმაზე?.. ერთი ამის პატრონი ვიყო თუ ცხვრის საპარსი დუქარდით არ მივდგე, — ჩახლართულ ტოითებს ატკაცუნებს მეორე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან, გოგოს ლამაზ ქვედაბოლოში გამოკვეთილ თეძოებს თვალს არ აშორებს.

— რა დავაშავეთ, ოქმებში რა უნდა ჩაწეროთ, — გავუმეორე.

— შენს უფროსებს რომ ვაცნობებთ და გამოგაპანჩურებენ, ნახავ რასაც ჩავწერთ! — რატომღაც ძალიან გაწყრა პირველი და კინკრიხოსთან ოფლით დალაქავებულ წითელკანტიან ქუდს, პლასტმასის კიკირტოზე თითი აჰკრა.

„უფროსებიო“ — რექტორი ვეკუა და დეკანი ურუშაძე, თურმე ჩემი უფროსები ყოფილან!

— დისპანსერში წაყვანა რაღა საჭიროა.

— გოგო უნდა შემოწმდეს, მორჩა და გათავდა!.. ამდენ ახალგაზრდას აავადებენ, სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს!.. — მეორემ, პირველზე მეტად გაბრაზებულმა, დაჭმუჭნული ცხვირსახოცით, მოხდილ ქუდს სარტყელი გაუმშრალა და გაბუტულივით განზე გადგა.

ფარშავანგების, იაპონური მამლებისა და სხვა ეგზოტიკური ფრინველების გალიასთან ვიყავით მისულები.

გოგოს არ ესმის რა უნდათ ამ მათხოჯებს, თავისზე ზომით დიდი მილიციელის ფორმაში რომ ლაღლაღებენ და, ალბათ, იუმორის მქონე უფროსმა, როგორც განსხვავებული ცხოველები, შემთხვევით არ გამოაგზავნა ზოოპარკში სამორიგეოდ.

პაუზამ დიდხანს არ გასტანა. მეორემ მკლავზე დამქაჩა და განზე გამიხმო:

— მე გაგიშვებთ, არ არის პრობლემა, მაგრამ ეს არ იზამს, — ბარაქიანი წარბი გადაქაჩა პირველისაკენ, — ძაან პრინციპულია... მოკლედ, ამ საქმეს ოცი მანეთი დასჭირდება...

— მერე, სიფილისი აღარ გვექნება?

— არ გინდა, ეგეთი ბაზარი, თორემ უფრო მეტი დაგიჯდება! — დამემუქრა.

თანამგზავრს შევხედე. ნიკაპი სატირლად უკანკალებს, დეიდაჩემი ინერვიულებს თუ დროზე არ მივედიო.

— თხუთმეტ მანეთს მოგცემდით, მაგრამ გოგო კაფეში დავპატიჟე და...

— რამდენი დაგრჩა? — გათქვა წუწკმა სულწასულობამ.

— ხუთი მანეთი, — ხუთი „მოვუტეხე“.

— ცოტაა... მაგდენის რა ჭამეთ! — ისე შემომწყრა, თითქოს მობარებული ფული დავუხარჯე.

შეურაცხყოფისაგან გასკდა გული, ლამის ვუთხრა, ან ეგ რაში უნდა მოგცეთ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ არ გიხმარეთ-მეთქი.

ბედზე, სამხრეებზე დაკერებული ვარსკვლავებით თუ ვიმსჯელებდი, ამათზე მაღალჩინოსანი, მესამე მილიციელი გამოჩნდა.

— რაშია საქმე? — ზურგსუკან ხელებდაწყობილი მე მიყურებს და იმათ ეკითხება, — რა დააშავა?

— ქალი ჰყავდა, უფროსო, იქით, ბუჩქებში გაყვანილი, — ცქვიტად უპასუხეს ორ ხმაში.

„უფროსო,“ ეტყობოდა, ცოტა გადაკრულში იყო, ბოყინს ლუდისა და ხინკლის სუნი ამოაყოლა და გულიანად ჩაიხვიხვინა:

— მერე, რას ერჩით, ქალი ჰყოლია, კაცი ხომ არა.

— ჯარიმის გადახდა არ უნდა!

— რატომ?

— მაგდენი არა მაქვსო.

— თქვენც რამდენიცა აქვს იმდენი გამოართვით და ახლავე გაუშვით! — დაუბარა და ღიღინით სეირნობა გააგრძელა.

ეტყობა, თავის წილზე ხელები დაიბანა.

ამათ ფული მიიღეს და გამაფრთხილეს, სხვა დროს ასე იოლად ვეღარ გადაგვირჩებიო.

სხვა დროს ვერც მე გადამირჩებით, კალინინის რაიონის მილიციის უფროსი ბიძაჩემიამეთქი.

როგორ, ცეზარ კარლოვიჩიო, დააჭყიტეს თვალები.

დიახ, ცეზარ კარლოვიჩი-მეთქი.

გაუვარდათ ხუთმანეთიანი ხელიდან. გაფერთხეს, ჯიბეში მიტენიან, აქამდე როგორ არ თქვი, შე კაი კაცოო, თვალდახელშუა ფურნინის ნებიერი კატებივით თვინიერები გახდნენ, აბა, სადღაა ის ბრჭყალები, ის ზიზღი, დაუნდობლობა თვალებიდან რომ სდიოდათ.

გოგო გვიყურებს და ვერ გაუგია ამ ორი არსების სახეცვლილების მიზეზი.

დღესაც წარმოდგენა არა მაქვს, თვალით არ მენახა ცეზარ კარლოვიჩი, მაგრამ ის ვიცი, რომ როგორც ამ რიგითებს, იმასაც ეშინოდა თავისი უფროსებისა, იმ უფროსებსაც — თავისი ზემდგომებისა და, ასე, მიყოლებით, მთელი ქვეყანა ერთი შიშის ძაფზე აბმული ასხმულა იყო.

ოი, „Боже царья храни!..“

ზემოთ ნახსენები თათბირ-სემინარის დროს, „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციაში მიგვიწვიეს.

გრძელი, სათათბირო მაგიდის თავში, სხივილა პიჯაკიანი მთავარი რედაქტორი დაბრძანდა, სათვალის ზემოდან თავაზიანი, მაგრამ მკაცრი ღიმილით გადმოგვხედა და საუბარი იმით დაიწყო, დიადი ქვეყნის გმირულ საქმეთა ასახვას და ახლებურ ხედვას, შემოქმედებითი სისხლის გადასხმა რომ სჭირდებოდა.

რედაქტორსაც შიში ალაპარაკებდა, შიში იმისა, რომ ვიღაც ზემდგომს მისი მცდელობისათვის ცივი წყალი არ გადაესხა, ეყოჩაღა და, როგორც გამოცდილ მეჯინიბეს, წარმატებით გამოეცვალა ძველი, ბებერი, მეხოტბე ჯაგლაგები, ახალი, ჯერ დაუხარჯავი, სუფთა სისხლის დონორებით...

რადგან ამხანაგი რედაქტორის ძვირფას აზრებთან ზიარების უფლება, მხოლოდ ნახევარი საათით გვერგუნა, მის ნათქვამს ქარს ხომ ვერ გავატანდით. ზოგი თუ მეხსიერებას ენდობოდა, ყურადღებით უსმენდა, უმრავლესობა იქვე, რედაქციაში ნაჩუქარ უბის წიგნაკებში იწერდა საპროგრამო გამონათქვამებს, რათა, შემდგომში, თავის რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ჩვენდა საუბედუროდ გამოგონილ ავტონომიებში დაბრუნებულებს, იმ პასუხისმგებლობით ეცხოვრათ, აქ რომ დაეკისრათ.

კალამი მეც ვაცოდვილე, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, როცა უბის წიგნაკი დავხურე, რედაქტორის გამონათქვამების მაგივრად, ორი ფურცელი ახალგაცნობილი გოგოს სახელით იყო შევსებული, ოთხ საათზე, სასტუმროს დასავლეთის ბლოკთან რომ უნდა შემხვედროდა.

რედაქტორი ლაპარაკის ეშხში შევიდა, გადააჭარბა „პროტოკოლით“ განკუთვნილ დროს და, ერთი ესტონელი, ფერმკრთალი, ცოტა ავადმყოფური სახის ახალგაზრდა პოეტის რეპლიკა რომ არა, ალბათ, მაჯასთან მოპრიალე, ოქროსფერი მანჟეტებიდან ამოვარდებოდა:

მომავალმა ბალტიისპირელმა „დონორმა,“ რედაქტორის თავზემოთ დაკიდულ სურათს თვალი გაუშტერა, ადგილიდან ნელა წამოიწია და უცებ წამოიძახა, შეხედეთ, ლენინს, როგორი ნაღვლიანი თვალები აქვსო.

მე არ ვიცი, ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო, რომ ყველა იქ მყოფი გაექვავებინა — როგორც პიკს მიღწეულ მთამსვლელს თოკმა უღალატოს, გაუწყდეს და უფსკრულში ჩაიკარგოს, ეგრე ჩაინთქა ბალტიისპირელი ორატორის მოწოდება საერთო დუმილში.

რა თქმა უნდა, ვერავინ გაბედა თავი აეწია და ენახა, პროლეტარიატის ბელადს, მართლა ნაღვლიანი თვალები ჰქონდა თუ არა.

კაცია და გუნება, სულ ერთნაირ ხასიათზე ხომ არ იქნება, შეგვეხედა, რა მოხდებოდა, ვლადიმერ ულიანოვს ჭმუნვის მიზეზი არ ჰქონდა თუ რა — ჯერ მარტო თავისი ბრძანებულებების და რეზოლუციების გახსენება დაანაღვლიანებდა — დახვრეტა, დახვრეტა, დახვრეტა...

თხუთმეტი წლის წინ, 27 სექტემბერს, უბის წიგნაკში ჩამიწერია:

კიდევ ბევრჯერ შეგვიბერავს,
მავზოლეუმიდან ლენი.
რა ყოფილა ეს ლენინი,
ეს მარქსი და ეს ენგელსი.
ნებით თუ არ შეგვიყვანენ,
ძალით შევალთ „ესენგეში.“

უძახე შენ ნაღვლიანი და სენტიმენტალური ლენინი!

კიდეც შევედით, კიდეც გამოვედით „ესენგედან“ და, მაინც გაურკვევლობისა და შიშის გვირაბში ვართ გაჭედილები.

ასეა, პულჩინელა, წარმოსადგენადაც კი ძნელია, რასაც ჩვენი მეზობლების უკუღმართი ფანტაზია არ ჩაიფიქრებს.

სენიორ მაკარონეს ჯიბეშიც არ ჩაისვამენ — „კალოდა“ მაინც გამოცვალონ, ისევ ძველი, ლენინის დანიშნული, გაცვეთილი კარტით გვეთამაშებიან.

მოდი და ელოდე, ბოზი ანჟელას ოფლიან ხელჩანთას როდის ამოქექავენ და ნახმარ პრეზერვატივში ჩაჩურთულ, ახალ სახელმწიფოებს როდის ამოგვიგდებენ.

საქართველოს ტერიტორიაზე, რა თქმა უნდა.

ეჰ, ოხერია ღორის დინგი, თხრის, თხრის, არ ისვენებს, ვიდრე დანას არ წამოეგება და ჩინელი მზარეულის ქაფქაფა ტაფაზე არ აშიშხინდება.

ოი, „Боже царья храни!..“

სარკესთან მივედი და პულჩინელას ცხვირი ცხვირზე მივადე:

„რა ვქნათ, ჩემო ძმაო, სჯობია ჩუმად, სხვისთვის შეუმჩნევლად იტირო, თორემ თითოეული ცრემლის წვეთს შენი წონა ოქროთი გაზღვევინებენ... იმხიარულე და ამხიარულე დანარჩენებიც, ეგ არის შენი საქმე, შიგნით თუ გული გეგლიჯება, ვის რა ფეხებზე ჰკიდია!.. გგონია სენიორ მაკარონეს გამოიცვლი და უკეთეს ბატონს იშოვი?

მოდი ამეებს მოვეშვათ და უცნობი ავტორის სონეტიდან, ოთხ სტრიქონს წაგიკითხავ:

„აღარ იკითხო, მეგობარო, რატომ, საიდან —
განა შენ თვითონ არ დაუთმე გემი პირატებს?
ახლა უყურე, როგორ განსჯის მართალს პილატე
და ახალ სისხლში ამოვლებულ ხელს გადაიბანს...“

დღეს კმარა, ზოგი მერე იყოს!..“

სარკეს ხელი გადავუსვი და პულჩინელა გაქრა...

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ საკუთარ თავთან თუ ლაპარაკს დაიწყებდი, ნამდვილად არ მეგონა! — ქალბატონ ლოლას კარაქწასმული პური და ჩაის ფინჯანი უჭირავს, — ბოდიში, ულამბაქოდ მოგართვი.

— უკან წაიღეთ და თავიდან მომიტანეთ.

სამზარეულოსაკენ სიტყვის უთქმელად გახუსხუსდა.

— ქალბატონ ამალიას იუმორის გრძნობას უქებდით და თქვენ რატომ დაკარგეთ? — წამოვეწიე, პური და ფინჯანი ჩამოვართვი.

— ყველანაირი გრძნობა დამიკარგეს და იუმორს რაღა ჯანდაბა მოუვიდოდა.

— კარაქი საიდან?

— მაცივარში, მწვანილის პარკში აღმოვაჩინე... რა უნდოდა, ვინ ჩადო მწვანილთან ერთად, ვერ გამიგია.

— ალბათ, ნიკამ.

— ნიკამ კი არა და... ერთი ჰკითხე, მაცივარი საერთოდ გამოუღია?.. ჩემი ბრალია, ძალიან უმწეო გავზარდე, სუპს რომ დავუსხამ, კოვზიც მე თუ არ მივუტანე, იჯდება ისე... როდემდე ვეყოლები, ცოლი მაინც მოეყვანა დროზე.

— მოიყვანს!

— რა ვიცი, რამდენი ხანია სულ ეგ მესმის და...

ჩაი ხმაურით მოვსვი. ასე უფრო გემრიელია. რადგან მიწურებში დაგვაბრუნეს, ზედმეტი „ეტიკეტებისგანაც“ უნდა გავთავისუფლდე და საუზმის მერე, ტუჩებზე და ცხვირზე ხელის ზურგი ღონივრად გავისვა და გამოვისვა.

“რა მნიშვნელობა აქვს, მსუყე ლანჩის ბოლოს, ღორმუცელობით კუჭდამძიმებული სენატორი, თითებს ყელში ყველას თანდასწრებით წაიტაკებს თუ თავაზიანი ღიმილით საქმეს მოიმიზეზებს და ტუალეტში განმარტოებული, ძვირფასი ფაიფურის ნიუარაში წაპირქვავებული შვებას მისცემს მუცელს.

მთავარია თეთრი გულისპირი და ყელთან შეფრენილი შავი „პეპელას“ ფრთები არ დაეწინწკლოს, „ბაბოჩკა“ შესწორებული დაუბრუნდეს საკონფერენციო დარბაზს, სადაც დამშეული, ღატაკი ქვეყნის ბედი წყდება.

თავადაც რომ მშიერი იყოს, მაშინ უფრო ენერგიულად დაუჭერდა მხარს ამ ქვეყნებს თუ როცა ლორის მსუყე სენდვიჩზე ფიქრიც კი ზიზღსა ჰგვრის?..“

— როგორია? — მომესმა სამზარეულოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, სენდვიჩი?

— კარაქი, კარაქი... გამორთულ მაცივარში ხომ არ გაფუჭებულა?

გემო ვერც გავიგე, ისე გადავსანსლე.

— ცოტა წაიმძაღებდა.

— ცოტას არა უშავს.

— დიდ ქალბატონს თუ მიართვით?

— არც გასინჯა... ახალამოღებული ნებავს... გეგონება, ლოჯიაში, ჰოლანდიური ძროხა მიბია.

— ლოჯიაში რომ ძროხაა, იქით თხოულობს რძესა და კარაქს, — ჩემი თავი ვიგულისხმე.

— მაგდენ ლაპარაკს სჯობია დაამთავრო ეგ ნაჭერი, თორემ მოვა რუსი და შეგიჭამს.

— სადღაა, თორემ, ვინ ოხერი...

— არ გეყო, ხომ? მოგიკვდეს ჩემი თავი...

შემოსასვლელში დადგმული ტელეფონი რეკავს.

ჩხირი კედელს — აქამდე გამორთული იყო. არც გაზი, არც სინათლე, მობილურიც „დაჯდა" და აღარ ადგა. კიდევ კარგი, ბეღელაშვილებს თხევადი გაზის ბალონი მაინც აღმოაჩნდათ.

ვნატრობდი ხოლმე, ნეტავ უღრან ტყეში ცოტა ხნით მაცხოვრა, სადაც არც ტელევიზორი იქნება, არც — გაზეთი, დავისვენებ გადარეული, აღრენილი, გაბოროტებული მსოფლიოსაგანმეთქი...

არსად წასვლა არ დამჭირდა — ახლა, ყველაფერთან ერთად ასანთიც რომ გამოგველევა, დავსხდებით და კვეს-აბედით ვიცოდვილებთ ცეცხლის გასაჩენად.

— ჩქარა, ჩქარა, ეკაა! — მეძახის ქალბატონი ლოლა.

ავღელდი, ასე მეგონა, დიდ ყინულეთს მომსხვრეულ ნატეხზე გარჩენილს, როგორც იქნა ხმა მომაწვდინეს.

ქალბატონი ლოლა ძლივს შეელია ყურმილს.

— ჰო, მე ვარ! — ამის თქმა კი მოვასწარი და მერე სულ ეკა ლაპარაკობდა.

საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში, დიალოგი აღარ არის „მოდაში," ქაქანებს მხოლოდ ის, ვინც „მუსიკას" უკვეთავს:

„ჰა, როგორ მოგწონთ ჩვენი ახალი შადრევანი? სულ რაღაც თვენახევარში, მეგობრებო... მოვლენ ქალაქის დასიცხული ბავშვები და გაგრილდებიან!.. დიდებიც, თუკი ამის სურვილი ექნებათ... მე მინდა მივმართო ჩვენს ოპონენტებს — არ არის ეს ხალხზე ზრუნვის გამოხატულება? არის!.. ააქვთ ასეთი რამ ჩვენს მეზობლებს, თუნდაც ჩვენს მეგობარ რუსებს?.. არა აქვთ!.." — აი, ასე, კითხვაც და პასუხიც როცა ერთი ადამიანის ხელშია, შენ რაღა დაგრჩენია, გარდა იმისა, რომ იფიქრო, ეტყობა, რუსებმა, ბალტიის სანაპირო, თავის პეტერგოფის სახელგანთქმულ შადრევნებიანად, ალიასკასავით გაყიდეს ან კარტში წააგეს და უშადრევნებოდ დარჩნენ.

ეგრეც უნდათ, ახია მაგათზე!

ეკამაც, ჩემი შეკითხვის გარეშე, ყველაფერზე ამომწურავი პასუხი გამცა.

როდესაც ჩემს მდგომარეობას, აქ ყოფნის აბსურდულობას შეეხო და გული აუჩუყდა, მეც ყელი გამებურთა — ისღა ვუთხარი, სანტიმენტალიზმი აბერებს ადამიანს, ასაკოვანებს კი, ხომ იცი, საქართველოში ისე უყურებენ, როგორც „ბოინში" მირეკილ, დასაკლავ საქონელს-მეთქი.

მეუღლე შვიდში, მატარებლით გავაგზავნე თბილისში.

უკვე კარგა ხანია საერთო ულელი გვიხეხავს კისრებს და, თუ უფალი ინებებს, გადავურჩებით ამ კოშმარს, პატარა ხანსაც კიდევ ერთად გავაჩალიჩებთ.

აქ დარჩენა რომ გადავწყვიტე, ეკამ ხმა ვეღარ ამოიღო. იცის, ფეხი თუ მივაჭირე, რუსული ტანკიც ვეღარ დამძრავს. ოღონდ, ვაგონის ფანჯარასთან მომდგარს ცრემლმა რომ აუციმციმა თვალები, ლამის შევაფურთხე ეშმაკს და თვრამეტი წლის შეყვარებულივით გამოვენთე დაძრულ მატარებელს.

ვაგონებს სახსრებივით სტეხდნენ ბუფერების აჭრიალებული, ღონიერი ზამბარები, ხრჭიალებდნენ დაუზეთავი საკისრები და გასაქცევად შემართული ბორბლები. ჩვენი გამოთხოვების სცენას ძველი, ოცდაათიანი წლების ფახფახა ორთქლმავალის კვილი, საცეცხლურთან მოტრიალე, სახეგამურული ნიჩბიანი „კაჩიგარი" და ცივ ჰაერში გაფუებული, ორთქლის ვეებერთელა შლეიფი აკლდა, ბაქანს თეთრ საბურველში რომ გაახვევდა.

კიდევ, ძალიან დაამშვენებდა, რომელიღაც ფილმიდან დამახსოვრებული გამოთხოვების ეპიზოდი, ჟან გაბენის, მიშელ მორგანის და ფეხებთან დაცუცქული ცნობისმოყვარე ძაღლის მონაწილეობით.

სადგურის მორიგეს სიგარეტი გამოვართვი, რომ ჟან გაბენის გაუტეხელი გმირივით, აწეული ქურთუკის საყელოში კისერჩაძვრენილს ღონივრად მომექაჩა, გულ-მუცელში დამეტრიალებინა მწარე, შვებისმომგვრელი კვამლი.

გამოვართვი, მაგრამ უკან დავუბრუნე — მე ხომ, კარგა ხანია, სიგარეტს შევეშვი და აღარ ღირდა ამ სისულელის თავიდან დაწყება.

სადგურიდან ფეხით წამოვედი.

ბაქანი გათავდა — სემაფორთან, ერთმანეთში აჭრილი კარტებივით არეული ლიანდაგები გადავკვეთე და ძველ ხიდთან გამოვედი. ხიდის ყურში, მდინარის შემღვრეულ ტოტთან ვიღაცები წყალში ჩაყრილი ანკესების ტივტივებს მისჩერებოდნენ.

ერთმა ხელი ამიწია, თან, ალბათ, ხმაურით თევზი რომ არ დაეფრთხო, თითით მანიშნა, როგორა ხარო.

მეც თითი ავუწიე, გადასარევად-მეთქი.

ჩვენი უბნელი, თავგადაკლული მეთევზე, ნაფოტა იყო.

რაღა ნაფოტა, რატომ მურწა ან ხრამული არ დაარქვეს...

აჰა, ამოჰკრა, მაგრამ ცარიელი ნემსკავი ამოაგდო.

რატომღაც ხიდის მოაჯირს გადაყუდებულს გამახსენდა — ოქტომბერში ორი ხუთიანი დუბეშივით უნდა გავისროლო.

აზრზე მოდი, სიმონ!

ორმოცდათხუთმეტი წლის კაცისათვის ყველაფერი დამთავრებული მეგონა, სიცოცხლეც, ქალიც, დროსტარებაც, ჩემს ასაკს გადაცილებულებს ხომ უკვე ერთ პირ მიწაწაყრილებად ვთვლიდი.

შემინდე უფალო, სიყმაწვილის ცოდვათა გამო!

ალბათ, ჩვენი თინეიჯერები მეც ასე მიყურებენ და ღირსიცა ვარ.

დამაცადონ, თვითონაც ხომ გახდებიან ჩემი ხნისანი.

ნაფოტას ნემსკავი ახლა რაღაც ძონძს გამოედო და ხელჩაქნეული წამოვედი.

წლების მანძილზე, სხვადასხვა მიზეზით, რკინიგზის სადგურიდან, მე და ეკას რამდენჯერ გაგვიცილებია ერთმანეთი, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო – ამჯერად, ომმა, იძულებით დაგვაშორა და სწორედ ამიტომ დამიდგა თვალწინ ჩემი ბავშვობისდროინდელი ფილმის ეპიზოდი... ბაქანზე გათამაშებულ, განშორების მელოდრამას, რომელსაც თან ახლდა ჩემი თაობისათვის ჯერ კიდევ დაუვიწყარი, ძველი სურნელება, მხოლოდ ძალიან ბანალური, სახსოვრად გადმოგდებული შავი ხელთათმანი და უპესთან ფაქიზად ამოსმული, ინიციალებიანი ცხვირსახოცილა აკლდა.

ისიც კი გავიფიქრე, მოხუცთა სხვდასხვა თავშესაფარში გამწესებული ცოლ-ქმარივით ვცილდებით-მეთქი.

დღეებმა შავი, კუპრივით ნიაღვარი ჩაატარეს. ჩემს თვალწინ სამყაროც შეიცვალა და მეც, გულგრილობის სუსხმა სული დამითრთვილა და გამიმკაცრა. ეს არ მომხდარა ერთ ან ორ ადამიანზე, თუნდაც მთელ ერზე გულისაცრუების გამო. მიზეზთა საბადო უფრო ღრმად არის საძიებელი. ჩვენს გულწრფელ გრძნობებს თავგანწირული მფარველი სჭირდება. მის გამოჩენამდე კი არავინ იცის როდის ჩამოდნება უნდობლობის ყინული, ღრუბლებზე და ზებგერით თვითმფრინავებზე უსასრულოდ მაღლა და შორს, ცხელ გულზე ვინ გატყორცნის მკაცრი შეკითხვის გზავნილს:

„შენც გაგვწირე, უფალო?..“

მეუღლის ხმა ძველებურად რბილი და მოსიყვარულეა.

იმიტომ, რომ ცისკენ შიშით არ აუხედავს, ბოლო დღეებში განცდილი, დამამცირებელი უმწეობის გამო თავისთავი არ შესძულებია.

ჩვენ, აქ დარჩენილებმა, ეს სიძულვილიც გამოვცადეთ.

მესაუბრება და ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დარდი აქვს, ეშინია რუსული ჭურვის ნაფლეთმა ზეცად არ გამისტუმროს, როცა თბილისელი ნაცნობები ლტოლვილების უწყვეტ ჯაჭვზე საუბარს დაუწყებენ, ის დაუფარავი სიამაყით ჩაილაპარაკებს:

— აი, ჩემი ქმარი კი იქ არის!

“სად იქ, ქალბატონო ეკა, მეც, ახლა საზენიტო ქვემეხს ვუზივარ და ჭერეხივით ყრია ჩემი ჩამოყრილი „სუ-24“-ები,” გავიფიქრე და ვიდრე რაიმეს ვეტყოდი, თვითონ დამასწრო, მართალია ცხელა, მაგრამ სარდაფმა მაინც თავისებური ნესტი იცის და თბილად ჩაიცვიო.

კიდევ კარგი, ვერ დამინახა, როგორ გავწითლდი — ეტყობა, ქალბატონმა ლოლამ, უკვე ჩაუკაკლა, ღამღამობით, ხანდახან დღეც, სარდაფში რომ ვზივარ და ვიდრე დაბომბვა შეწყდება, სათაგურში გამომწყვდეულივით თვალებს ვაცეცებ.

„აფსუს, ბიჭო, ფიცხელ!“

საუბრის ბოლოს, სერვანტში გამოფენილი, ჩვენი ოჯახის ერთადერთი მატერიალური სიმდიდრე, მზითვის უნიკალური ძვირფასი ჭურჭელი მოიკითხა, რომელიც, როგორც გადმოცემით ვიცით, ლუი მეთხუთმეტეს სახლეულს ეკუთვნოდა.

მკითხა, ხომ არ დაიმსხვრაო და, ზუმერიც გაწყდა, ტელეფონი გაითიშა.

გაწყდა იქ, სადაც უნდა გაწყვეტილიყო!

ახლა ავალ და, თუ ამდენ ზათქსა და ზანზარს გაუძლო, მადონებიან ერთ ფინჯანს მაინც, ყური უნდა მოვატეხო!

ჩანაფიქრის აღსასრულებლად გავემართე.

კარი შევაღე — ჩვენი ბინა მტვრიანი დუმილით შემხვდა. აივნის მხარეს ჩამსხვრეული ფანჯრიდან ორპირმა დაუბერა. საწერი მაგიდიდან აფრიალებული ფურცლები ძირს დაეფინა.

წამოვკრიფე.

ერთ ფურცელზე ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტის კითხვებია. კითხვების ავტორი შემეხვეწა, ინტერვიუ მომავალი ნომრისათვის გვჭირდება და იქნებ ორშაბათამდე გაგვიმზადოთო.

ვინ მაცალა, ომი დაიწყო და კითხვების გაცნობაც კი ვერ მოვასწარი.

კორესპონდენტი ფერმკრთალი, მოკლედ თმაშეკრეჭილი გოგო ბრძანდებოდა. ასეთ გოგონებს, სულ მგონია, ცხვირის წვერი და სიფრიფანა თითები, გაგანია ზაფხულშიც კი ცივი აქვთ, ხოლო ურცხვი რედაქტორები, მიზერულ ანაზღაურებას აძლევენ, ან სულაც ენთუზიაზმის ხარჯზე ამუშავებენ.

ჩემი სტუმარი ულამაზო, მაგრამ მაინც სანდომიანი იყო. ამ სანდომიანობის მიზეზი მალე აღმოვაჩინე — თვალებში ისეთი ნაზი სევდა ჰქონდა, თითქოს გაზფხულის საღამოსთან ჩამავალი მზის გამოთხოვებას ვესწრებოდი.

როგორც ყოველთვის ახლაც აჭარბებო, ჩაიცინებს ვიღაც.

მე კი ვუპასუხებ —

ვაჭარბებ მხოლოდ იმათთვის, ვისაც მხედველობა მარტო თავის ცხვირწინ დადგმული ჯამის დასანახად დაჰყვათ!

ეს ვიღაც ხომ „გავაცამტვერე“, ახლა გავეცნოთ გოგოს რისი გაგება სურდა, მაგიდასთან მორიდებით რომ იჯდა და ეკას მოდუღებული ყავის ჭიქა (ლუი მეთხუთმეტეს სერვიზისეული) ორი თითით ისე ეჭირა, თითქოს საბავშვო ბაღის მასწავლებელი, მუხლებზე კისელგადავლებულ კიკინებიან გოგოს ყურს უწევდა.

(ეტყობა აქაც ვაჭარბებ, მაგრამ ეგეთი ვარ და, რა ვქნა).

კითხვები ჩავიკითხე, თანაც ორჯერ.

ვერაფრით დავაკავშირე ერთმანეთთან ფურცელზე დაგუბებული დაკითხვის ოქმივით მძიმე პათოსი და, გარეგნულად საალბომე-სასიყვარულო ლირიკაზე გამიჯნურებული, კორესპონდენტი გოგო:

„თქვენი აზრით, რა გზა გაიარა ჩვენმა ქვეყანამ 2003 წლის ვარდების რევოლუციიდან დღემდე?“

„7 ნოემბერი, 5 იანვარი, 21 მაისი — რა კომენტარს გააკეთებდით?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რამდენად ქმედითი და შედეგიანი იქნება ახალი პარლამენტის მუშაობა?“

„რას გვეტყოდით საქართველოს საგარეო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და დიპლომატიურ კურსზე?“

„კვლავაც აქტუალურია კონფლიქტური რეგიონების (აფხაზეთი, სამაჩაბლო) საკითხი, ხედავთ თუ არა რაიმე არსებით ნაბიჯებს — გადადგმულს კონფლიქტების დარეგულირების და ქვეყნის გამთლიანების კურსით?“

„თქვენ რომ გუბერნატორი ან გამგებელი იყოთ, პირველ რიგში რა საკითხებს გადაწყვეტდით?“

„რას გვეტყოდით ე.წ. „ჩარეცხილებზე“, შემოქმედების მძიმე ხვედრზე საქართველოში?“

ომით ისედაც ფსიქიკა მოშლილი, მაგრად დავიბოღმე — როგორ უნდა გამიმეტო, მოაგროვო ამდენი სისაძაგლე და სულ მე შემომაყარო, დაჯექი, მაგ შენს საწერ მაგიდასთან და (ორშაბათამდე!) თავიც გიტეხიაო!

„არ გეცოდები, გოგონი? მე თუ არა, გაზაფხულის საღამო მაინც შეიბრალე...“

ეჰ, შენ კი შეიბრალებდი, მაგრამ შენს უკან რედაქციაა, რომელიც დავალების შესასრულებლად ისე გაგზავნის, როგორც კამიკაძეს. ბატონ რედაქტორს რაღაც ისეთი ნებავს, თუ რესპუბლიკური არა, რეგიონის მასშტაბით მაინც ბომბივით რომ გასკდება!

თქვენ გიშველათ ღმერთმა, ვიქტორ პეტროვიჩ, ეს რა ჯვარედინი ცეცხლიდან გამომიყვანეთ. ომი რომ არ დაგეწყოთ, რა პასუხი უნდა გამეცა ორშაბათ დილით, კორესპონდენტისათვის, ნეკერზე განაფული თიკანივით რომ მობაკუნდებოდა?

არა ვარ ის კაცი, თქვენ რომ გგონივართო, ივედრება ერთი ნაწარმოების გმირი.

საცოდავს არ უჯერებენ და, საღ-სალამათი ადამიანი, სიგიჟემდე მიჰყავთ.

გადმოვაბრუნე ფურცელი.

აქ კიდევ ერთი კითხვა ყოფილა:

„თქვენს ნაწარმოებებში ხშირად ფიგურირებს მგელი, შეხვედრიხართ თუ არა ცხოვრებაში?“

ღმერთო ჩემო, ახლა მთლად ტყემლის კენწეროზე მოვექეცი — მგელს „ცხოვრებაშიც“ შევხვედრივარ და ზოოპარკშიც, მაგრამ საკუთარ ნაწარმოებებში თითქმის არა... იშვიათად, მაგრამ ისე, რომ „ფიგურირებდეს...“

მგონი, შეგეშალა, კორესპონდენტო გოგონი, მე არა ვარ „მგლების მწერალი,“ ალბათ, სხვასთან გაგაგზავნეს!

ვიქტორ პეტროვიჩ, ნეტავ, ეს თვითმფრინავებიც სხვა მისამართზე ხომ არ უნდა გაგეშვათ?

არ არის ჩემი პატარა ქვეყანა თანამედროვე ბრძოლების, ბატალური სცენების დასადგმელად შექმნილი.

ერთხელ, შუაღამისას, კახური რთველიდან, ქიზიყურ „ზაოტში“ ნაქეიფრები, რუს მწერლებთან ერთად თბილისისაკენ ვბრუნდებოდით. მაშინდელ ´წითელწყაროსა და სიღნაღს შორის, გადაბმული სოფლების ლაბირინთში გზა აგვერია.

მანქანებით ჩიხში შევედით და რკინის ჩიტებიან ჭიშკარს მივადექით.

სიგნალზე გამოვიდა მასპინძელი, გაბრდღვიალებული ფარებით განათებულმა მოისმინა ჩვენი გასაჭირი.

მაშ, გზა აგერიათო, კინკრიხოზე დაკოსებული ნაბდის ქუდი წინ, წარბებამდე გადმოაცურა, ვერ დაგმართნიათ კარგი საქმე, მაგრამ გზას როგორ არ გასწავლითო, — უცებ შებრუნდა, დაეჭიდა ჭიშკარს, ორივე ფრთა აქეთ-იქით გააფრიალა, გახსნა ფართე ეზოს შესასვლელი და სახლისაკენ ხელგაშვერილმა დაგვიძახა, აი ეს არის ის გზა, თქვენ რომ ეძებთო...

ვიდრე ეზოში შევაყენეთ მანქანები, გადმოვედით ჩვენი სტუმრებიანად, სუფრაზე, საძიძგილაოდ გამზადებული მამლებივით უკვე იფხორებოდნენ სველი საღვინეები...

გათენებისას დავაღვიძეთ საჭესთან ჩაძინებული მძღოლები და ძლივს ჩამოვხსენით მასპინძლის ღონიერ კისერზე დაკონწიალებული ბელა ახმადულინა, თავისი ჩვეული, ახლა უკვე წარაფით ათრთოლებული ხმით, ცრემლად დაღვრილი რომ იმეორებდა, ასეთი რამ, მთელი დედამიწის ზურგზე, მხოლოდ საქართველოში და ისიც კახეთში თუ მოხდებაო.

ამ ქვეყანას, სადაც ასე უყვართ სტუმარი, ტანკი და თვითმფრინავი უნდა?

არა ვარ ის კაციო, რამდენს იხვეწებოდა, მაგრამ ვინ უჯერებდა, შინაურსა თუ გარეულს, ყველას პირი შეეკრა.

როგორც ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე, შენი სული ცხონდა, აკიმოვნა:

ოი, „Боже царья храни!..“

აჰა, შორიახლო ისევ დაიბრაგუნა. ეტყობა, მფრინავებს, „მკვდარი საათი“ დაუმთავრდათ.

დაზანზარდა კორპუსი, მაგრამ იმის ნაცვლად რომ მაჩვივით კვლავ მიწაში ჩავმძვრალიყავი, ფორტეპიანოს ავხადე, გავიხსენე მუსიკალურ სკოლაში ჩემი შვიდწლიანი ტანჯვა-წამება.

გამოსაშვებ გამოცდაზე ლასკოვსკის პიესა, „პესნია ბეზ სლოვ“ — შევასრულე.

ახლა ეკა რომ მისმენდეს, კიდევ ერთხელ სიამაყით აღივსებოდა:

„აი, ჩემი ქმარი კი, შოსტაკოვიჩივით, ბომბებქვეშ, ფორტეპიანოს უზის!“

7
უბის წიგნაკიდან

14.05.1994

„თუმცა ძე კაცისა მიდის, როგორც დაწერილა მის შესახებ, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა; იმ კაცისთვის უმჯობესი იყო არ დაბადებულიყო.“

იუდას სულიერ შთამომავალთა ამბორმა გასცა საქართველოც:

“თვით რუსეთის ინტერესებში არ შედის დაქუცმაცებული საქართველო!

ვიღაცეები ამბობენ, სამეგრელო იკარგებაო, როგორ შეიძლება ამის დაჯერება?..“

ასე ლაპარაკობდა ჩვენი სახელმწიფო მეთაური გაგრაზე!

ასე გვაიმედებდა სოხუმზე!

დაგვცინის ეს კაცი, ბატონებო —

„გამქცევი მე არ ვარ!“ — ბრძანებს რადიო-ინტერვიუში — ეტყობა, საქართველოს დაქცევა-დანაკუწების საქმე ჯერ კიდევ არ მიუყვანია ბოლომდე.

„მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზეთსაც დავიბრუნებთ, სამაჩაბლოშიც მშვიდობა დამყარდება, საქართველოც გაერთიანდება.

მე მჯერა ამისი!..“

აი, ასე, აგანგალი-განგალი!

ჩვენ რომ აღარ გვჯერა, ამაზე თუ ფიქრობთ, ბატონო სახელმწიფო მეთაურო?“

ვის სჭირდება ძველი დავთრების ამოქექვა, ნუთუ მხოლოდ იმის დასტურად, რომ მართლაც არაფერია ცისქვეშ ახალი? იცვლებიან რეჟისორები და შემსრულებლები, სუფლიორს კი ისევ ძველთაძველი და მარად ახალი, უხსოვარი დროის წყაროდან ასო-ასო გადმოწერილი „სცენარი“ უჭირავს.

რა მნიშვნელობა აქვს რაში შეფუთავ სიცრუეს, მთავარია ნაცრისფრად გადაღებილი, პირდაღებული დარბაზი შეუძლებლისაკენ სალაშქროდ აიყოლიო.

ასეთი იყო კომუნიზმი.

ლიკურგეს უთხრეს, ქვეყანაში დემოკრატია დაამყარეო.

ჯერ თქვენ დაამყარეთ თქვენს ოჯახებშიო, — უპასუხა და მიანიშნა, ესეც შეუძლებელის დაძლევის ფუჭი მცდელობააო.

ასე, რომ დემოკრატიის ნაზი ასული, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე, ანჟელასავით გაიხრწნა და გათახსირდა.

8

ნიკა სასწრაფო დახმარების მანქანით მოვიდა.

ვიდრე ლოჯიიდან სარდაფში ჩაძვრა და ბებია მოინახულა, ქალბატონმა ლოლამ ყავა მოგვიდუღა.

— დაჯექი, — უთხრა შვილს.

— დასაჯდომად სად მცალია.

— ფეხზედგომელა ხომ არ დალევ... კუჭი გაქვს ნამდვილად მოკალული... მამამისიც ასე იყო, ღვინო უყვარდა მარტო ცივი, — სამზარეულოდან თეფშით „პეჩენია“ გამიტანა, — საჭმელი? სუპი მაქვს უმწვანილო, უბრალო, შენ რომ გიყვარს, ისეთი... ბაზარი არა, მაღაზია არა, ამათ დაეკეტათ...

— არ მინდა არაფერი, დედაჩემო... საჭმელი იქაც გვაქვს, მაგრამ ისეთ რამეებს ნახავ, ჭამა კი არა, თოკში თავის გაყოფა მოგინდება... გაზი ხომ არ გელევათ?

— ფუი, ფუი, რას ამბობ, — შეაფურთხა ეშმაკს ქალბატონმა ლოლამ, — ჯერ არა უშავს, ანთია... ვუფრთხილდები, ეკონომიურად ვხარჯავ.

— შენ და შენი ეკონომია... მთელი ცხოვრება ეგ მესმის.

— აბა, რა ვქნათ?

— მეც არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, — ამოიოხრა ნიკამ და თვალი ჩამიკრა, — ის კიდევ გვაქვს?

— ლოთებთან არ გამიტანია და ორ ლიტრას ვინ დალევდა.

თაროზე შემოდგმულ არაყის ბოთლს სარდაფის კიბიდანვე მივწვდი.

ნიკა ჩამოჯდა, შევსებულ ჭიქას სინათლეზე გახედა.

ერთი სახარება შეგვეწიოსო, გადაჰკრა და მაჯასთან, თეთრი ხალათის სახელო დაყნოსა.

— ქართველები ლუკმას დავყნოსავდით ხოლმე, ეგ, რაღაც, ჩვენებური არ არის.

— ჰო, რუსეთში, სამედიცინოზე სწავლისას მივეჩვიე... დალევამდე ერთი უნდა ამოიქშინო, ფილტვებიდან ჰაერი გამოდევნო, გადაუშვა, მაჯას დაყნოსო და თავისუფალი ხარ.

— ალბათ, რაღაც მუღამია, — ძლივს მოვითქვი სული და გამხმარ „პეჩენიას“ კუთხე წავატეხე.

— რა თქმა უნდა, მუღამია.

— რამე რომ დააყოლო?

— სტუდენტები არ ვაყოლებდით.

— გამონწკნილი თევზის კუდით პირი რომ მაინც გაიმლაშო?

— ეგ უკვე, ძმაო, ფუფუნებაა, — ჭიქა გამომიწოდა, კიდევ დამისხიო.

ხალათის კალთა წითლად აქვს დაწინწკლული.

„ნეტავ ვისია და რომელი ჯგუფია!..“

— ესენი წუხელისაც იატაკქვეშეთში იყვნენ? — მკითხა ქალებზე.

— არა, ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კონცერტი ჩაატარა მოედანზე და გათენებამდე იქ ერთობოდნენ.

— რა ხარ, რა ხარ... თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგ ენის ამპუტაცია ჩემზე იყოს.

— ამოვიყვანდი დიდ ქალბატონს, მაგრამ დედაშენია უარზე, რამე რომ მოხდეს, ფეხმოტეხილ ქალს წინ და უკან ხომ არ ვარბენინებო.

— აფსუს, ამალია ყარამანოვნა, ამას იფიქრებდი?.. — დაირტყა მუხლზე ხელი.

— გინდა ერთი საიდუმლო გითხრა?

— თუ საიდუმლოა, ნუ მეტყვი.

ბოთლი ავიღე.

— ჩემთვის აღარ შეიძლება, — ჭიქას ხელი დააფარა, — ეკამ დარეკა? რაო, აქეთ რა ამბავიაო?

— კარგად არიან. თქვენი დარდი გვაქვსო, — ჩემს მაგივრად, სამზარეულოდან, დედა გამოეპასუხა, — თბილისი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, ტელევიზორი თუ არ ჩართე, ვერც იგრძნობ, საქართველოში რომ ომიაო.

— მოკლედ, როგორც ფილმშია, ქურდები ქურდობენ, ბოზები ბოზობენ, არა?.. გუშინ იმდენი დაჭრილი მოგვაყენეს, ვეღარ ავუდიოდით... ზოგი, იცი, რას იხვეწება? ჩქარა, გადამიხვიეთ და პოზიციებზე, ბიჭებთან უნდა დავბრუნდეო... ძალიან ჯიგრები არიან! — მოუწყლიანდა თვალები, — ჯანდაბას, ნახევარი დაასხი! — მომიწია ჭიქა, — დამქა გახსოვს?

— ხეობელი?

— ჰო, ხეობელი!

— მოკლეს?

— არა, დაჭრილი, ნანგრევებში „მჩს“-ის რუს ბიჭს უპოვნია... აქაც არ დაანება ჩვენს სანიტრებს, თვითონ ამოიყვანა და პალატაში დააწვინა... მაგრაა დაჩენჩხილი. ტკივილებისაგან გონება ეკარგებოდა, მაინც მიხვდა ვისაც ეჭირა ხელში, ბიჭს თითი დაუქნია და ძლივს ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოილუღლუღა, ჩემს დანგრეულ სახლში უეჭველად დავბრუნდებიო... აბა, წავედი! არა, მაინც რა უნდა გეთქვა? — მომიბრუნდა კართან მისული.

— ჯერ გული გაიმაგრე.

— აჰა, გავიმაგრე, — მკერდზე ღონივრად მოისვა ხელი.

— ქალბატონმა ამალიამ ლექსების წერა დაიწყო!..

— რა, არ უნდა დაეწყო? — მომაჩერდა გაკვირვებული.

— როგორ არ უნდა დაეწყო, მაგრამ... ასეთ ნაადრევ ასაკში, მეშინია, ბავშვს გონება არ გადაეღალოს.

— გადაეღლება და დაისვენებს... შენ რა, მართალს მეუბნები? — როგორც იქნა დასერიოზულდა.

— თუ გაინტერესებს სანახევროდ შევსებული, ორმოცდარვაფურცლიანი რვეული, ბალიშის ქვეშ უდევს.

— რაზე წერს?

— ძირითადად ომის თემატიკაა...

— ოჰ, ამ რუსების დედა, ჩემს ოჯახს კიდევ ეგ უნდოდა? — გადაქნია სიცილით თავი.

— გადმოვალ და დამქა მაჩვენე.

— ვერ გაჩვენებ, ამ დილით, თბილისში, ღუდუშაურში გავუშვით.

დამქას პირველი არეულობიდან ვიცნობ — თავისი ოთხი ბიჭით ბურჯად იდგა ხეობაში.

ოთხმოცდათორმეტის აპრილში, საგაზაფხულო ციებით გასუდრული, მაღალი სიცხით იწვა, საძოვარიდან გამოქცეულმა მენახირეებმა სოფელში ამბავი რომ ჩამოიტანეს, ტყისპირებში შეიარაღებული ბანდა გროვდება, ალბათ, თავს უნდა დაგვეცნენო.

შვილებმა დაავლეს იარაღს ხელი.

საწოლიდან ტანი ძლივს აიტანა დამქამაც.

შენ რაღა გინდა, ხომ ხედავ, მუხლები გეკეცება, იყავი სახლშიო, მიაძახეს ბიჭებმა და ეზოდან გაცვივდნენ.

დაიღრინა დამქამ, სიცხემ როგორ უნდა მაჯობოსო.

შემოვიდა გულხელდაკრეფილი, დადარდიანებული ცოლი.

ქალო, შარვალი, ჩქარაო.

რა ექნა, შემოუტანა.

რამდენჯერაც წამოიწია, იმდენჯერ ჩაჯდა საწოლის კიდეზე...

ბიჭებმა მშრალ ხევში ჩაირბინეს, მოხრილები, მიპარვით, აღმართს ნასახლარებისაკენ აუყვნენ და სხვებთან ერთად, მონგრეულ ყორეებთან ჩასანგრდნენ.

ელოდებიან მტერს, რომ დამქას უმცროსმა ძმებს გადასჩურჩულა, ერთი ამას შეხედეთო.

ბიჭების უკან, შორიახლო, ხის გადანაჭერზე ჩამომჯდარ მამას მუხლებზე ორლულიანი უდევს.

თავდაღუნული გამოიქცა უფროსი შვილი:

— კაცო, ქედანივით ყელმოღერებული, სნაიპერის ნიშანზე რომ დამჯდარხარ, არ გითხარით, შინ დაეტიეო?

— ამ თოფში ორი ტყვია დევს! — ხელი დაჰკრა ორლულიანს მამამ.

— მერე, მაგით გინდა ბერლინი აიღო? — დასცინა ბიჭმა.

— ბერლინს ვერ ავიღებ, მაგრამ თუ რომელიმე ჩემი შვილი მტერს გამოექცევა, ზურგს უჩვენებს, ერთ ტყვიას იმას დავაკერებ... ამიტომ ვზივარ აქ!

— მეორე ტყვიით რაღას აპირებ?

— რა უნდა დავაპირო, შვილის მკვლელი თავს როგორღა ვიცოცხლებ... მეორე ტყვია ჩემთვის მინდა! — ყანყრატოს ზემოთ, ყბის ძირში თითი მიიდო, — აი, აქ მივიბჯენ ლულას და...

კარგი, კარგი, იყავი, ოღონდ სნაიპერმა არ გაგაგოროს, აგე, იმ კლდეს მაინც მოეფარეო, ჩაიდუდუნა ყელში ბოღმა გაჩრილმა ბიჭმა და უკან გაბრუნდა.

იქ დიდი ამბები დატრიალდა, მაგრამ, დამქას, ორლულიანის დაქუხება არ დასჭირვებია...

მაცხოვრის ხატთან დამქას სახელზე დანთებული სანთელი მიჭირავს:

„რატომ ხდება, რომ გმირობად მხოლოდ სხვათა ომში გამოჩენილ მამაცობას გვითვლიან, გამაწამებელ, ეთნოკონფლიქტად მონათლულ შიდა ბრძოლებს კი არც გმირი ჰყავს და არც დამნახავ-შემფასებელი.

ღატომ გვაიძულებენ, ჩვენმა ბავშვმა უსახურ, უსამშობლოო და უჯიშო სპაიდერმენს არ მოაცილოს თვალი და ორლულიანჩაბღუჯული, სიცხით თვალებანთებული თავისი გმირი — დამქა არ დაინახოს.

ეჰ, დამქა, ეს ხომ სატირულ-იუმორისტული პორტრეტია — ორლულიანებით ჩიტებზეც აღარ ნადირობენ, გაშარჟებული ხარ შენც, შენი სამშობლოც და შენი სამშობლოსადმი თავდადებაც.

ომშიც დაგვცინიან და მშვიდობაშიც.

ნახევარი საქართველო ლტოლვილია, ვინ დაბრუნებულა უკან, შენ რომ დაბრუნდე, ანდა მიწასთან გასწორებულ ნასახლარს, კიდევ მიაგნებ?“ — მივიხედ-მოვიხედე, ეკლესიაში არავინ არის, ჯვარცმასთან დაჩოქილი ქალის გარდა.

გარეთ უცებ ამოვარდნილი ცხელი ქარი, ტაძრის გარეშემო ბზრიალებს, ქსელივით ეხვევა, მაღლა-მაღლა მიიწევს და თაღებში განუწყვეტელ გუგუნად გადაიქცევა. შეღებული სარკმლებიდან ძალიან ყვითელი, მკვდრის მზისფერი სინათლე იღვრება, გადაჯვარედინებულ ზოლებად განტოტილი კედლებს ებჯინება და, ასე მგონია, სადაცაა იხუვლებს, ქარის გუგუნთან ერთად შემოვარდება, შემოლეწავს შუშებს, გადმოსკდება და გარეშემო მომდგარ, ცარიელი ქალაქის ჩამშრალ ქუჩებს წალეკავს.

ტაძრის შემოსასვლელიდან გამოგრძელებული ჩრდილი ნოხზე გაცურდა.

მივიხედე.

მეუფე მობრძანდებოდა.

ისეთი მშვიდი თვალები ჰქონდა, აფორიაქებული საფეთქლები მეც დამიწყნარდა.

— ქალაქში ხართ?

— დიახ... სარდაფში! — დავაყოლე ყოყმანით.

გაეღიმა.

— შიში ადამიანური თვისებაა... ახლა მთავარია გადავრჩეთ... გადარჩნენ ბავშვები...

— მაგრად კი დავენარცხეთ და დავანაყეთ ცხვირ-პირი...

— მაგრამ, როცა წავქცეულვართ, აღარ ავმდგარვართ და გზა აღარ გაგვიგრძელებია?

„გაგვიგრძელებია, მეუფეო, გაგვიგრძელებია... ჩვენი ისტორია ხომ დაცემა-აღდგომის უწყვეტი ჯაჭვია, მაგრამ ვაითუ, ერთხელაც...“

თალხმა ანაფორამ გააპო ტაძარში დაგუბებული ყვითელი მდუმარება და კანკელს მოეფარა.

ამ დღეებში, მტერზე ფიქრისას, არც გამხსენებია მისი აღმსარებლობა. გარეგნულად ის, ხმლების ჩახაჩუხით თუ თანამედროვე იარაღის გრუხუნით გავერანებულ მეხსიერებაში, ისეთივე იყო, როგორც ჩვენი ტრადიციული, უფრო შორეული ისტორიული მტრები — ყვრიმალებგაზიდული, ოვალურ ფოსოებში ჩამჯდარი დაუნდობელი თვალებით, ველური ყიჟინით და სარკოფაგიდან აღმდგარი, ახალ საჭურველში, ტყვიაგაუმტარ ჟილეტებში გაკოჭილი მებრძოლებით.

აქ, მაცხოვარის ხატის წინ გამახსენდა, რომ ისინიც, ყველაზე მრავალრიცხოვანი, მართლმადიდებელი ქვეყნის შვილები, ჩემნაირად ისახავენ პირჯვარს და მერე, სამი თითიდან ერთ-ერთს მშვიდად გამოსდებენ ხოლმე ჩემთვის დამიზნებულ იარაღის სასხლეტს.

ამაზე რას იტყოდით, ვიქტორ პეტროვიჩ, მგონი, ასეთ საქციელს, მარტივად ცოდვას ვერც დავარქმევთ, ღვთის წინაშე ხომ რაღაც უფრო მძიმე და უპატიებელი გაუგებრობაა?

ეკლესიიდან გამოსულს ნაცნობი შემხვდა, მოზრდილი პარკით პურები მიჰქონდა, ციხისუბანში მანქანით მოიტანეს და დაარიგესო.

ორი ცალი მიწილადა, მარტო ვარ, მაინც უნდა გამიხმესო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა.

ხეირზე ვიარე, ახლა პატარა, წითელი ჯვრის ავტობუსს გადავაწყდი, ცელოფანში დაფასოებულ პროდუქტს არიგებდნენ.

რიგში სულ რამდენიმე კაცი იდგა.

ზოგი ორ-სამჯერ იღებს. უბან-უბან დაგვაქვს და სხვასაც ხომ უნდა შეხვდეს... ღმერთმა არ ქნას, ომი გაგრძელდეს, თორემ ზოგიერთები ერთმანეთს დასჭამენო, შემომჩივლა ავტობუსის კარში ჩამდგარმა ბიჭმა.

შინ ხელდამშვენებული დავბრუნდი.

ქალბატონმა ლოლამ ცელოფანს ჩახედა.

— ბრინჯი, წიწიბურა, ერთჯერადი ჩაი, მაკარონი...

— სულ ეგ არის? — ჩავიჭყიტე მეც.

— სხვა რამესაც ელოდი? ამისთვისაც მადლობა უფალს!..

— უფალს მადლობა, მაგრამ ამათ ნამუსი მოეთხოვებათ? სად ვიჩივლო, თორემ ამ ამბავს ასე არ დავტოვებდი!

— რა მოხდა, გამაგებინე.

— როგორ, ზოგან სათალი და ხიზილალა და ჩვენ ისევ ბრინჯი? აღარ შეგვიძლია, ბატონო, მუცელი კი არა გვჭრის, გაგვიქვავდა კუჭები!

— მეხუმრები? — ურწმუნოდ შემომხედა, მაგრამ პარკი ხელით კიდევ ერთხელ მაინც მოსინჯა.

ფანჯრიდან, მოპირდაპირე კორპუსის მესამე სართულზე გადმოყუდებული მეზობელი დავინახე.

— თუ არ გჯერათ, აგერ, ბატონ გერონტის ჰკითხეთ.

— მაგ ბაზრის ვირთხას რა უნდა ვკითხო?

— თქვენს პარკში რა და რა იდო-თქო.

— ახლა ეგრე დავიმცირებ თავს!.. — წიწიბურა მაგიდაზე წამოყარა, სათვალე მოირგო და გასარჩევად მიუჯდა, — მაგას შეხვდებოდა, რა თქმა უნდა, ტყუილად არ უთქვამთ, მიეცეს და მიემატოსო... არა, განა საქმე სათალსა და ხიზილალაში კი არ არის... მე, დედაჩემი, ჩემი საწყალი ქმარი, მთელი ცხოვრება ვშრომობდით, ეს ბიჭია და, ხომ ხედავ, საავადმყოფოში დღე და ღამე გასწორებული აქვს... გამაგებინე, ჩვენნაირი ხალხის დრო აღარ უნდა დადგეს? — გადმომხედა სათვალის ზემოდან.

— ეგ დრო, ბუნებაში, ეტყობა საერთოდ არ არსებობს, თორემ აქამდეც დადგებოდა... მე, იცით, რა მიკვირს? როგორ დაიჯერეთ, რომ ამ გაგანია ომში ვინმე სათალსა და ხიზილალას დაარიგებდა?

— მოამატყუე? — ახლა თვითონ გაოცდა.

— არა, გაგეხუმრეთ.

— ეგ ერთი და იგივეა... რა ვიცი, ეტყობა მეც აღარ ვარ ჩემს ჭკუაზე.

სარდაფს ჩავხედე, დიდი ქალბატონი ბალიშზე შემაღლებული ინვა, ნიკას ნაქონი, მკლავებზე წითელზოლებიანი, ლურჯი მაისური ეცვა და წიგნს კითხულობდა.

ჩავედი.

ხომ არაფერი გნებავთ-მეთქი.

შენი კარგად ყოფნაო, ამომხედა. დაკეცილ წიგნს თითი დაუყოლა და ლოლამ არ გაიგონოსო, ჩურჩულით გამანდო, ლექსი კიდევ დავწერეო.

ერთი სული მაქვს, როდის წამაკითხებთ-მეთქი, ვითომ ძალიან აღვფრთოვანდი და ისედაც თეთრი, ჭაღარათმიანი მანდილოსანი, სასთუმალზე მთლად სავსე მთვარესავით გადაიბადრა.

სარდაფს, ეზოს მხარეს, სიგრძეზე დატანებული, მტკაველის სიმაღლის სარკმელი აქვს. აქედან შემოსულ სინათლეზე წერს და კითხულობს, ლამის ცხრა ათეულს მიღწეული ქალი, ახლა ბალიშქვეშიდან რვეული რომ გამოაცურა და სასოებით გადმომცა.

ჩემთვის, ჩუმად ამოვიხვნეშე.

არა, წაკითხვა კი არ მეზარება, რედაქციაში მუშაობისას, რაც ჩემ ხელში სისულელეებს გაუვლია, არც აინონება და არც გაიზომება — ძნელი მერეა, ლექსს ან ლექსებს როცა ჩავათავებ, თავი რომ უნდა ავწიო და ნორჩი, დამწყები პოეტივით გულაფანცქალებულ ქალბატონს ჩემი აზრი რომ უნდა მოვახსენო. მოდი და წყალი გადაასხი მის აღფრთოვანებულ მოლოდინს. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა სიმართლის თქმა სიცრუეზე მეტი დანაშაულია.

ერთადერთი, რითიც შეიძლება მოიხიბლო, დაწყებითი კლასების ყოფილი პედაგოგის კალიგრაფიაა. თითქოს ეფერება ასოებს, გატკბობს ქართული ანბანის სილამაზით.

ეჰ, შიგ ცოტა გამართული სტრიქონებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იყოს.

— როგორია? — ვიდრე ბოლო სტრიქონს თვალს მოვწყვეტ, ისარივით მოზუზუნებს ჩემი მკვლელი კითხვა.

— თქვენ რომ გეკადრებათ, ისეთი!

კმაყოფილია, შვებით ახედა კუთხეებში აბლაბუდიან ბეტონის ფილას და გამხდარი ხელი ხელზე მომიჭირა.

— ლოლას არ მოეწონა! — ისევ წამჩურჩულა, თითქოს ქალბატონი ლოლა იქვე ტრიალებდა.

— როგორც ყოველთვის, — წამომცდა და შეშინებულმა შევხედე, არ ეწყინოს-მეთქი.

— ჰო!.. ბავშვობიდანვე პოეზიიდან შორს იდგა, მხოლოდ ტექნიკური საგნები იზიდავდა... ლექსის წერა აქამდე არ მიცდია, მაგრამ სიყვარულით, ყოველთვის მიყვარდა... ამიტომ, ლოლას აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არცა აქვს... მთავარია... — გამხდარი, დაძარღვული თითები ხელმეორედ მომიჭირა და აზრი, რომელსაც ისედაც მივხვდი, აღარ დაამთავრა.

— რას იზამთ, ქალბატონო ამალია, მწერლებს და, მითუმეტეს პოეტებს, ვერ გვიგებენ.

— ნამდვილად, ნამდვილად... ადრე მეფეებიც კი პოეტები გვყავდნენ და, ახლა...

გაჩუმდა.

მეც გავჩუმდი.

ესეც ის იშვიათი შემთხვევაა, როცა დუმილი უფრო მრავლისმეტყველია: „ჩანიანის“ სამეფო კარი აღარ სწყალობს ლაო ძისა და დუ ფუს სულიერ შთამომავლებს, ხელისუფალმა გრძელყურებმა გადაკორტნეს პოეზიის ნაზი ყლორტები.

— აკი მითხარით, რომ ვწერ, ლოლამ არ იცისო? — დავუსვი „ჩამჭრელი“ შეკითხვა.

— იმას კიდევ ჰგონია, რომ შენ არ იცი... ცოტა წავიეშმაკე!

— ცოტა შეიძლება.

— ძალიან დავიღალე, — ახლა უკვე გატანჯული სახით მომხედა, — დეპრესიაში ვარ, ისე მომაბეზრა აქაურობამ თავი. ახლა ფეხის მოტეხვის დრო იყო? ჩემთვის ხომ მაინც დავჩოჩავდი.

— მაღლა აგიყვანთ.

— ლოლა არ იზამს, ჯერ კიდევ საშიშია, ვაითუ სახლი დაბომბონ და ისევ უკან ჩამოსაყვანი გახდეო... მართალიც არის... ზედმეტი ბარგი ვარ, მეტი არაფერი, — ჩაილაპარაკა საბრალი ხმით და პრიალა ყდიან ლექსების რვეულს, ხელის ნები ყვითელი, მოცახცახე ფოთოლივით დაეცა.

შემეცოდა.

ბევრი არ მიყოყმანია, სარდაფის შიგნიდან ურდულით ჩაკეტილი რკინის კარი გამოვაღე და თავს დავადექი.

— აბა, საბანში კარგად გავეხვიოთ და წავედით!

— სად? — გაუფართოვდა თვალები.

— მაღლა!

— მერე, ლოლა? — იკითხა დაშინებული ბავშვივით.

— თუ არ მიგვიღებს, ზემოთ ავალთ, ჩემთან...

ისედაც პატარა ქალი, ახლა სულ დალეულიყო — ტარება არ გამჭირვებია. სარდაფიდან საადარბაზოში ამოვიყვანე და, რადგან ხელი ხელთ არ მქონდა, ბეღელაშვილების კარზე ფეხსაცმელის წვერით მივაბრახუნე.

— მობრძანდით! — ხმას ქალბატონ ლოლას პარკეტზე გაცურებული ჩუსტების ფხაკუნი მოჰყვა.

ასე, ალბათ, ოკუპანტების დანახვა არ გააოცებდა და ააღელვებდა.

— მიგვიღებთ?

ხმა ვერ ამოიღო, დაბნეული განზე გადგა.

— ქალბატონო ამალია, ახლა მიბრძანეთ საით გირჩევნიათ, ლოჯიაში თუ...

— ჩემს საძინებელში.

წავიყვანე თავის საძინებელისაკენ.

ქალბატონი ლოლა გამოერკვა, წინ გადამისწრო, ლოგინის გადასაფარებელი აკეცა და მოხუცებული პოეტესა, რამდენიმედღიანი „ემიგრაციის“ შემდეგ, თავის საწოლს დაუბრუნდა.

— გაგახაროს ღმერთმა!.. რაკი იმ ჭერსა და კედლებს აღარ დავინახავ... — ხელში ჩაბღუჯული, დახვეული რვეული გაშალა, გაასწორა და ბალიშქვეშ შეაცურა.

გარეთ, ჩამავალი მზის სინათლეზე, მტვრიანი ჭადრის ფოთლები ციმციმებენ.

— მე რომ დავიბადე, იმ წელიწადს, თურმე მტკვარი გაიყინა, — თქვა ფანჯარას მიჩერებულმა.

„რამ გაახსენა თავის დაბადება და გაყინული მტკვარი.“

რთული ხალხია პოეტები, ხელისუფლებას თავი ამიტომაც შორს უჭირავს ლექსების მჩხიბავებისაგან.

— ძველი ხიდის აყოლებაზე, კალაპოტი განიერია და თხელი წყალი ისე მოიყინა, შეშით დატვირთული მარხილებით გადადიოდნენ. ზამთრები მერეც მკაცრი იცოდა, მაგრამ მაშინ განსაკუთრებული ყოფილა... სიბერეს არ უყვარს ზამთარი, სითბო ურჩევნია, ოღონდ ასეთი არა, როცა გცხელა და თან შიშით ციებიანივით გაცახცახებს.

— თქვენ შიშის ვერაფერი შეგატყვეთ.

— მე ხომ ვიცი... უფრო იმ ჩახუთული, სარკოფაგივით სარდაფის მეშინოდა... იქნებ სხეულიც სულისათვის სარდაფია და ამიტომ მიილტვის, მიფრინავს ზევით... იქ, სადაც ტანკები და თვითმფრინავები თავზარს არ სცემენ ადამიანებს.

წიწიბურა მზად არისო, გამოგვძახა ქალბატონმა ლოლამ და ნათქვამს ორი ორთქლავარდნილი თეფშიც მოაყოლა.

— მე ძალიან ცოტა...

— ცოტაა, დედა, ცოტა, სულ ერთი ბელურა ჩიტის სამყოფი, — დადგა ტუმბოზე თეფშები, — არ მომკლა ამ ქალმა? ქვეყანა დაიმშა, გამგელდა, აგერ, ჩვენი უბნის „საკვებმომპოვებლები“ მთელ ქალაქს არიან მოდებულები, რომ სადმე რაიმეს გადააწყდნენ, გაჰკრან კბილი და, ეს კიდევ...

— რა ვქნა, არ გადადის და ჩემი ბრალია?

— სათალი რომ იყოს, ხომ მიირთმევდი, — გადმომხედა ქალბატონმა ლოლამ.

— ერთ ნაჭერს — სიამოვნებით.

— ხიზილალიან პურსაც...

— კარაქით, რა თქმა უნდა...

ვიდრე წიწიბურა შეგრილდებოდა, ავადმყოფს უცებ მოსწყდა ყინწი და ჩასთვლიმა.

რაღაცნაირი, მოშვებული ნეტარებით ფშვინავდა, გამხდარი და დალეული, თითქოს უფრო დაჩიავდა, გაირინდა და მხოლოდ საბნის პირს უღონოდ ჩაჭიდებული თითები შეუთრთოლდებოდნენ ხოლმე.

ჩემი თეფშიანად ფეხაკრეფით გამოვედი. ვიდრე ქალბატონი ლოლა რაიმეს მეტყოდა, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მივიტანე.

— დაიძინა, ბავშვმა? — ჩაეღიმა.

— ჰო, თანაც ძალიან ღრმად.

— დამშვიდდა, რომ ამოიყვანე.

— შემეცოდა...

— გული ჩიტივით აქვს. თუ კიდევ დაიბრაგუნა, ველარც გადაიტანს.

— ჩიტივით რომ აქვს, იმიტომ შემეცოდა.

— მე ვერ გამიბედა, ჩემი ეშინია.

— ამ უმწეო დედაბერის შეშინებას, თუ ეგეთი მაგარი ბრძანდებით, წადით და პუტინი შეაშინეთ!

ჩვენს კორპუსსა და დასანგრევ ბარაკს შორის, ვიწრო გასასვლელი ბილიკი მოკლე ქუჩაზე გადის. ქუჩა ქალაქის ცენტრალურ მოედანთან იწყება და, ორასიოდე მეტრში, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის სარემონტოდ ჩამოტყავებულ შენობასთან მთავრდება. ჩვენს მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის განაპირას, საბაღე ნაკვეთებიანი სახლებია ჩამწკრივებული. უფრო ღრმად, პურის საცხობის უკან, ყოფილი პროფტექნიკუმის ეზოა, კალათბურთის მოედნით, აბალახებული მინდვრით და მის გასწვრივ ჩარიგებული, მანქანების სამრეცხაოებით, სახელოსნოებითა თუ ხმაურიანი ტოტალიზატორით.

ქუჩისპირზე, გნოლიძეების ჭიშკართან, ტროტუარზე გადმოხრილ ჭერამქვეშ, ალე, ჭროღა, ჩარექა და კამფეტა აბუზულან.

ამ ბიჭებს განა გვარსახელები არა აქვთ, მაგრამ ქალაქში უფრო მეტსახელებით იცნობენ.

— ყოველდღე ერთმანეთს ვითვლით, ხომ არავინ გვაკლია! — მეუბნება ალე გნოლიძე.

— რაღაც მეძაღლე, ნაფოტა და ყანჩა არ ჩანან და, ჰა?..

— არა, კარგად არიან, დილით უკვე ვნახე.

— ომის გადატანა ნარკომანებს, ლოთებს და მკვდრებს არ უჭირთ, — სიგარეტს უკიდებს დაცუცქული ჭროღა.

— მართალია, ხომ იცი, ნარკომანი ლომკაშია, ლოთი — გათიშული, მკვდარი კიდევ... — მოეწონა ჭროღას ნათქვამი ჩარექას.

— თქვენ ამ სამიდან რომელი ხართ? — შავი ცელოფანიდან, გამყიდველები ერთჯერადს რომ ეძახიან, ნახევარლიტრიანით არაყი ამოვაძვრინე.

— იცი, რომელიც ვართ და აქამდე რაღას გვაწვალებდი! — მისაყვედურა კამფეტამ, თან ბოთლი სასოებით ჩამომართვა.

ჭროღას რეაქცია მოკლე და კონკრეტული იყო.

— ამ სითხეს ჭიქა არ უნდა?

— ქალო, ჭიქა მოიტა! — დაუძახა ალემ ონკანთან, სარეცხის ტაშტზე დახრილ ცოლს.

— რაღა ჭიქა შემარჩინეთ, ამსხვრევთ და ანადგურებთ, — მოისმა ეზოდან.

— რა ვქნათ, ომია, ან ჭიქა დაიმტვრევა, ან — თეფში...

— ყანჩას გარეშე მე ყელში არ გადამივა, — ამბობს ალე, — ბოლოს და ბოლოს, ღობის მეზობელია.

— არსად დაკარგო!.. ნეტავ სად იქნება? — ფეხის წვერებზე აწეულმა კამფეტამ, ყანჩას ეზოს გადახედა.

— მაგას შინ გააჩერებ?

ყანჩას ვერაფრით დააბამ, ვერც ქარით და სეტყვით, ვერც ტყვიითა და ხიშტით, უთენია შემოისუნსულებს უბანს, ყველგან შეიჭყიტება, დაზვერავს, გაიგებს, რა ხდება უბანში, ჭორსა და მართალს გონებაში დაახარისხებს, თუ ვინმე მწეველს გადაეყრება, ზურგსუკან დაწყობილი ხელებიდან ერთს ისევ ზურგზე დაიტოვებს, მეორეთი კი ორ თითს გაუწვდის და დილის სიგარეტზე დაეწვევა, გააფუილებს, დაიგემოვნებს, პირის წკლარტუნით შეუქებს ან დატუქსავს, ამას რა გაწევინებსო. ბოლოს ერთ ღერსაც გამოართმევს, ყურზემოთ გაირჭობს — მერეც ხომ უნდა! თუ უცხოა, უგემურ მადლობას დაუგდებს, ნაცნობს მარტო ხელს აუწევს და სუნსულს გააგრძელებს.

დადის, დადის, ვიდრე გნოლიძეების ჭიშკარი არ გაიღება. ბოლო სადგური აქა აქვს, აქ უნდა შეიარაქათოს და, თუ სერიოზული არაფერი შესთავაზეს, ეზოში, ერთთავად მოშვებული ონკანიდან, გული ცივი წყლით ხომ მაინც უნდა გაიგრილოს.

მერე, თანდათან, სხვებიც გამოჩნდებიან, სხვა ქუჩებიდანაც მომსევრდებიან, შეივსება მუდმივად აქვე მოტრიალე, ქრონიკულად ნაბახუსევი, უსაქმურობით და გულგატეხილობით ხელჩაქნეული, ქალაქში მომრავლებული, გალოთებული ან გალოთების პირზე მისული უბნელების ძირითადი ბირთვი.

მოდის, გნოლიძეების მოშლილი ონკანივით მოჩქეფს იაფფასიანი სასმელის წყალობით დაკარგული, ზედმეტ ადამიანად ქცეული მასწავლებელის, ინჟინერის, კვალიფიციური ხელოსნისა და მუშის ზღვა ენერგია, უქმად იკარგება ჩვენი დაბნეული ყოფის გაქვავებულ შრეებში.

ომმა სულზე მოუსწროთ, ვიღა დაანამუსებთ, ამდენს ნუ სვამთო. ანდა მთქმელი სადღაა, ნონიაშვილების ახალგაზრდა, ფეხმძიმე რძალს თუ არ ჩავთვლით, თითო-ოროლა, ისიც ასაკიანები თუ გამოკინკილდებიან ეზოებიდან. ნუნუსაც ქმარი საბერძნეთში ჰყავს სამუშაოდ და თვითონ კიდევ ჩავარდნილი დედამთილი ვერ მიატოვა, თორემ რა გააჩერებდა.

ასეა თუ ისე, უბანს პატრონი ხომ უნდა, ვიღაც ხომ უნდა დახვდეს ისედაც გაბოროტებულ ყემულთელ ოსს, ნებაყოფილობით რუსზე რომ არ „ვათხოვებთ“ და მზითევში მიწას არ ვატანთ.

ოი, „Боже царья храни!“

ალემ დომინოს ქვებით გადახეხილი მაგიდა გამოიტანა. დადგეს ზედ ჩემი მიტანილი ბოთლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ირგვლივ ჯვარედინად გადაჭრილი ხახვი და ორი ნაქარი, კვერცხისხელა „შაფრანი“ ვაშლი შემოუწყეს.

— დაიზნიქა სუფრა პურ-მარილით! — კამფეტამ ჭიქას ნეკა თითი გამოუსვა, ვითომ მტვერი მოაცილა.

ნეტა ეგ ჭიქა შენს თითზე ჭუჭყიანი თუაო, ჩაიცინა ჭროღამ.

შენიშვნა უპასუხოდ დარჩა — საამისოდ ვის სცხელოდა, ჯერ ხელის ცახცახი უნდა ჩაეცხროთ, ტანში მოდებული უყმურივით მტანჯველი განცდა განეგდოთ.

ჩამოატარეს ფეხიანი წრუტი და, ყანჩას მოხრილი ჩრდილიც კითხვის ნიშანივით დაეცა მაგიდას.

დახედა სუფრას, შევარდნილი ტუჩის კიდეები უკმაყოფილოდ შეუთამაშდა — თოხლი არაფერი გქონიათო.

სადილი მოვათავეთ, ახლა მსუბუქი ლანჩი გვაქვსო, ჭიქა მიაწოდა კამფეტამ.

არ გამოართვა, შინ წავიდა და ორ წუთში თავი ისევ დაგვიკრა. მაგიდაზე ხელში ჩაბღუჯული გაზეთი გადაშალა — დაჭრილი ძეხვი და პურის ნაჭრები მოეტანა.

— რატომ დაიხარჯე, ყანჩა, ამდენ თოხლს ვინ აუვა, მაცივრებიც არ მუშაობს... — ჭროღამ ცალი თვალი გადაავლო „ხორაგს“.

— ვერ ხედავ, რამდენი ვართ, ხუთი ნაჭერი რომ მოიტანე, ექვსამდე ანგარიშიც აღარ იცი? — ძეხვის ნაჭრები საჩვენებელი თითით დაუთვალა ჩარექამ.

— არ მითხარით, არა გვშია, მსუბუქად ვლანჩაობთო? ჩემთვის მოვიტანე და, რამდენ ნაჭერს შევჭამ, ვისი რა საქმეა... აბა, გაგვიმარჯოს! — დალია.

— ეე, ძაღლიც უარესი ნუნურაქი ჰყავს, — ჩამოანანწკარა ალემ არაყი, — ომამდე ხომ იმის ყეფით გული გვქონდა შეჭმული, ეხლა, როცა გვიჭირს, სიჩუმემ ლამის რომ გადაგვრიოს, ერთ ხმას არ ამოიღებს.

— პირს ალიკაპითაუკრავდა, ყეფა რომ არ დაეხარჯოს.

— იქნებ მოუკვდა და არ ამხელს?

— ისეა დაშინებული, ბიჭებო, ამხელა, დევივით ნაგაზი ზის კუთხეში და სულ დაღონებული იყურება, — დასევდიანებულ ყანჩას ყანყრატო შეუთამაშდა.

— ძაღლს კი არა, ვის აღარ შეგვეშინდა და, კიდევ რამდენჯერ შეგვეშინდება, ვინ იცის! — ალემ ჭიქას გაუშტერა თვალი.

დუმილმა ჩამოიარა.

დიდი, ვერცხლისფერი ბუზი გაზეთს დასტრიალებდა.

ალემ ხელი აუქნია:

— ყველაფერს თავი დავანებოთ, ვგიჟდები, კაცო, სახლში თუ ქუჩაში ბავშვი აღარ დადის, არც ჩემი, არც — სხვისი... მთელი ქალაქი უბავშვოდ დარჩა... შვილიშვილებს რომ ვუბრაზდებოდი ხოლმე, ნუ ხმაურობთ-მეთქი, ეხლა მეთუთქება გული... როგორც ჩიტები დააფრთხო, ეგრე გავაქციეთ, ვისაც საით მოგვხვდა, — ცრემლიანი თვალები დახარა და ჭიქას ჩაელაპარაკა, — დააკვირდით, ხალხო, როდის მომხდარა, საქართველოდან, მერცხალი აგვისტოში გაფრენილიყოს... აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, სადღაა... გუშინ დილით, ბაღის ბოლოში, კიოსკთან, ორი ახლადდახოცილი მტრედი ვნახე, უტყვიოთა, კაცო! ალბათ, შიშით გული გაუსკდათ... უბავშვო და უჩიტო ქვეყანა არ მინდა, ბიჭებო, არა! — ის პატარა მაგიდა, მძიმე მუშტმა, ლამის დალეწა.

ჭროღამ, დალიბრული სათვალის ლინზები, ხალათის ბოლოთი გაწმინდა.

— საკონსერვო ქარხანასთან, საცხოვრებელი რომ დაიბომბა, ამ დილით იქ ვიყავი სანახავად... ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ — მამას ნანგრევებიდან შვილი ნაწილ-ნაწილ ამოეტანა და, რომელიღაც „არხის“ ოპერატორს ეხვეწებოდა, გადაიღეო... ოპერატორმა ვერ გადაიღო, ხელები გაატაცანა და შეძრწუნებული უკანმოუხედავად გაიქცა... ბავშვის გადარჩენილი სამი დაძმაც იქვე იყო... როგორც მეზობლებმა მითხრეს, პატიმარი დედა შვილებს ციხეში ჰყოლიათ, ოცი კილოგრამი ლითონის ქურდობისათვის ოთხი წელიწადი ჰქონია მისჯილი...

ისევ სიჩუმე.

ყანჩას ნათქვამმა გააფითრა ჭროღა, წამოდგა და თითი მომაშვირა:

—შენ კიდევ გვეკითხები, ამ სამიდან თქვენ რომელი ხართო!.. კარგი, რა!.. არ იცი, რომ მკვდრები ვართ? მკვდრები!.. ყველანი მკვდრები რომ არ ვიყოთ, ოთხი შვილის პატრონი ქალის დაჭერას, როგორ გაგვიბედავდნენ, პურის ფულისათვის ოცი კილო ლითონი რომ მოიპარა!.. ამათი ყომარბაზი დედა!.. კამათელივით არ გვათამაშებენ? — არაყი ბოთლიანად მოიყუდა.

ვიდრე ბოლო წვეთი არ ჩაიწურა, ტუჩიდან არ მოუცილებია.

არავის არ გაუპროტესტებია.

საავადმყოფოს ქუჩაზე წითელჯვრიანი მანქანა წიოკით გარბოდა.

— ვინ მოთვლის დღეს მერამდენეა, — ჩაილაპარაკა კამფეტამ...

სკონსერვო ქარხანასთან დაფშვნილ საცხოვრებელ სახლთან გავედი.

აღარავინ იყო.

ჭურვებს ძველი, ორმოცდაათიან წლებში ნაშენები, ტუფის კედლები მუყაოს დეკორაციასავით დაეშალა.

იქიდან წამოსული, წყალთა მეურნეობის ნაღმებით გადახნულ ეზოს მივადექი. ეზოში დადუღებულ მანქანებს აღარც ეტყობოდათ რა მარკისანი იყვნენ. თუნუქი ნამსხვრევებს დაეხვრიტა, დამწვარი საბურავების ნაცარში დახვეული, წვრილი მავთული ეყარა. შუშებჩამოლეწილ ოთახებს ფანჯრები ღია თვალებივით დარჩენოდათ, დრო და დრო, ცეცხლით ამოჭმულ ფარდებს ცხელი ორპირი გარეთ გამოაფრიალებდა ხოლმე.

მძიმე სანახავი იყო სამმართველოს გვერდით დანგრეული, კერძო საცხოვრებელი სახლი. გადახეთქილ კედლებს შორის პირქვე ჩამხობილიყო სახურავი, დარტყმების ძალას გამოეყარა ვებერთელა კუთხის ქვები, დაეშალა ხეივნის რკინის ხარიხები და მტევანი და ფოთოლი ალმურს ერთიანად დაეხრუკა.

გეგონება, სახლს ქვემოთ, ქვესკნელამდე

ჩაქცეული მინა ნანგრევებს ამოევსოთ.

ირგვლივ დამწვარის მძაღე სუნი იდგა, ყველაფერი დიდი ხნის ჩაობებულივით ყარდა.

ქვაზე ჩამოვჯექი.

მზერამ ძირს დამახედა.

ფეხებთან დაგდებული პლასტმასის თოჯინა ამომყურებდა.

ქვა-ღორღიდან ფრთხილად გამოვიღე, გავასუფთავე.

ეტყობოდა, თოჯინა, ცისფერთვალება, ქერათმიან გოგოდ იყო ჩაფიქრებული, ახლა კი, თავზე წებოს ლაქების გარდა, აღარაფერი ჰქონდა შერჩენილი. ქვებს ფეხის თითები ჩაეწეწკვათ და ვიფიქრე, სადაცაა ტკივილისაგან ატირდებამეთქი.

სად არის ის ბავშვი, რომელიც ამ თოჯინით თამაშობდა, აძინებდა, უნანავებდა, ასეირნებდა?.. საერთო უბედურების დროს ყველაზე ცოდვა ბავშვები და მოხუცებულები არიან. იმ ნანგრევებში მოყოლილ პატარას, დედა ციხეში კი არა, გვერდით რომ ჰყოლოდა, იქნებ ზედ გადაფარებოდა ან მოესწრო და დაბომბვამდე გამოეყვანა შინიდან.

შვილები მომენატრნენ. ომი — შიშია, შიში კი ამძაფრებს მონატრების გრძნობას. იქნებ სწორედ ეს შიში შეიქმს სიყვარულს? სიძულვილსაც — მტრისადმი, მაგრამ უფრო სიყვარულს — ამიტომ საკითხავია, ომი სასჯელი უფროა თუ ჩვენი ცოდვილი სულების გამოცდა. იქნებ ორივე ერთად — სასჯელი იმისათვის, რაც ჩაიდინე, გამოცდა კიდევ — რას ჩაიდენ, ამ უმძიმესი, შიშის წნეხის ქვეშ მოყოლილი...

საიდანღაც მუსიკის ხმა მესმის, ყრუ, შორეული, მოძვრება ძაფივით უწვრილესი ნაპრალებიდან, დროდადრო წყდება და წვალობს ვიოლინო.

სმენად ვიქეცი, ვცდილობ ყური მივადევნო, ხმა საიდან მოდის... რადიოა თუ ტელევიზორი? თუმცა ან ერთი ან მეორე, დენის გარეშე, როგორ იმუშავებს... იქნებ მობილურია!.. რა თქმა უნდა, ალბათ, მობილურია, მაგრამ საიდან?

ტანში ამჭინჭრა – სადაც მობილურია, იქ შეიძლება ადმიანიც იყოს... ღრმა, ჩაკეტილ სივრცეში, იმედი და ჟანგბადი ერთდროულად რომ ილევა, იშვიათდება.

უმწეოდ მივიხედ-მოვიხედე.

სახლის მეორე მხარეს, თითქოს ჟანგიანი დანის პირები ერთმანეთს ასალესად გაუსვეს, ფეხქვეშ მოყოლილმა შუშებმა დაიხრჭიალეს.

სახლის პატრონი, მოხუცი ცოლ-ქმარი იყო.

ნანგრევებში ვინ მოჰყვებოდა, მარტონი ვიყავით, მობილურიც არ გვქონია... ნეტავ ჩვენი ნაშრომ-ნაწვალები ასე დაქცეული არ გვენახა და თუნდაც ნანგრევებს თან ჩავეტანეთო, ტიროდა ქალი.

დაეჭვებული ისევ ძველ ადგილს დავუბრუნდი. მივაყურადე, მაგრამ მუსიკის ხმა აღარ გამიგონია.

ცოლ-ქმარმა ქვაზე დასკუპებული თოჯინა შენიშნეს. აიღეს და წავიდნენ.

დავმშვიდდი, „გოგონა“ გარეთ, უპატრონოდ რომ არ დარჩებოდა.

სტადიონთან ვიყავი მოსული, ხიდის ყურთან, ბაზრობის ხუხულებს როცა დასცხეს.

ცალი ყური კაი ხნით „გამიუქმდა“.

ბინდდებოდა, შინ რომ დავბრუნდი.

აფეთქების შემდეგ ნიკას შემოურბენია. შვილსა და შვილიშვილს, იძულების წესით, მაინც დაბლა ჩაუყვანიათ ავადმყოფი.

— ამბობენ, ამაღამ მაგრად უნდა დაიბომბოსო და მაღლა როგორ გამეჩერებინა... შენზე თქვა, ის რომ ყოფილიყო ამის ნებას არ მოგცემდათო, — მითხრა ქალბატონმა ლოლამ.

ჩავედი, დავამშვიდე, ცოტაც უნდა გაუძლოთ-მეთქი.

მეტი რა გზა მაქვსო, ჩაიჩიფჩიფა და ნაღვლიანი თვალები მომარიდა.

ესეც ის თოჯინაა, ნანგრევებში რომ ვიპოვე. ისე ექცევიან, როგორც მოეპრიანებათ... რატომ მივისწრაფვით ხანგრძლივი სიცოცხლისაკენ, თუ ბოლოს ჩვენც თოჯინებად უნდა ვიქცეთ! აღარც თმა, აღარც ჯანი, აღარც კბილები... მხოლოდ გული, ძველებურად ნორჩი და მგრძნობიარე... და თუ შემთხვევით ფეხი გადაგვიბრუნდა, ზრდილობის გამოც აღარ გვკითხავენ, რა გვინდა, როგორ გვინდა ან თუ გვინდა რაიმე, საერთოდ!

„ასეა, პულჩინელა, შენზე პატარა ვიყავი, როცა გაგიცანი და, უკვე მოხეტიალე ცირკის მსახიობივით წანწალში ლამის ჩამოვბერდი... შენ კი ისევ ისა ხარ, შენი ქუდის პომპონიც კი არ გახუნებულა... ალბათ, იმიტომ, რომ მე ნამდვილ ცირკში გამოვდივარ და, თოკზე თუ ფეხი ამისხლტა, არენაზე ნახერხიც კი არ ყრია, კისერმა და უკანალმა, დაცემისას ცოტა შვება მაინც რომ იგრძნოს.

ჰო, ჩემს ცირკს ცხოვრება ჰქვია, ცხოვრებას კი, შენი ზღაპრებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ნაღვლიანი დასასრული აქვს.

— ადმინისტრრატორრრ!“

დივანზე მიწოლილი ამაოდ ველოდებოდი სარკეში როდის დაიხამხამებდნენ მხიარული კაცუნას წამწამები.

თავახდილი სარდაფის ჩასასვლელ ჭრილში სანთლის შუქი ირხეოდა და მერამდენედ ვაფრთხილებდი ჩემს თავს, რომ თუკი ღამით წამოვდგებოდი, არ დამვიწყნოდა, დაბლა, მოცემენტებულ იატაკზე არ მომედინა ბრაგვანი. აბა, ცირკს მერე ვნახავდი, თეძოამოვარდნილს თუ დიდი ქალბატონის გვერდით მიმაწვენდნენ.

ძილი შიშის მოლოდინმა წამართვა. ბავშვობაშიც ასე იყო, როცა შუაღამის სიჩუმეში გატეხილი ჩინჩხვარიც კი ისეთ ხმაურს გამოსცემდა, თითქოს მენახირე ბიჭებთან მოსმენილი ზღაპრიდან გადმოსული, ბოროტი დევკაცის ფეხქვეშ, გამხმარ-გამოფშუტული ძეძვის ღობე იფშვნებოდა... მოდიოდა გუბეების ჭყაპაჭყუპით, ხნეშითა და მუქარით... ბოლოს, მოგვადგებოდა, დაჭყეტილ თვალებს ფანჯარას მოაცეცებდა და მყრალი ამონასუნთქით შუშებს დალიბრავდა.

რა დამაძინებდა — საბანში ჩამძვრალი, ფერხთით მოწოლილ ბებიაჩემს ვეხუტებოდი. ისიც მძინარეც კი გრძნობდა ჩემს გაჭირვებას, ხაოიან ხელისგულს მოფერებით დამისვამდა ხოლმე წვივებზე.

მოფერება მამშვიდებდა, მაგრამ ვიდრე გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეულ ძილს მოვაბრუნებდი, რატომღაც სოფელში გაგონილ მეტსახელებს ჩამოვთვლიდი:

— ტინტლია, ყარაჩი, კრიაჩი, კომუნა, ნასტუპლენიე, კიკუნა, ომია, ფაცერა (მეთევზე), მამლიბოლო, ნაჭუჭიაანი, რადიო, ძოღანაანი, ცხრაჯურაანი (ყველა ხელობის ხალხი), დუხაბორი, მჭედლიაანი, ჭყვირიაანი (თვალებდაჭყეტილები), კოდიაანი (მეწისქვილე), დეკრეტიაანი, მაჭამე, სმაფიცილა, პოპროჭლიაანი, ჭიქის ჭია (დალევის მოყვარული)...

ბევრი აღარც მახსოვს.

ახლაც, როცა მეტსახელებს გულში ვიმეორებ, ასე მგონია, ჩემი მახსოვრობის ნაძვისხეს ფერადი სათამაშოებით ვრთავ.

ვთქვი და ვიმეორებ, ნამდვილმა სახელმა რა უნდა გითხრას ისეთი, რასაც შერქმეული გეტყვის, უცებ დაგიხატავს კაცსაც, იმის გარეგნობასაც, ბუნებას, ხასიათს, ზნეობას, ხელგამოუვალობას თუ ხელმარჯვეობას და, რაც მთავარია, ქართულ ხასიათს.

მეტსახელი თავისი სოფლის თავისებურებებსაც გამოხატავდა, შერწყმული იყო ადგილმდებარეობასთან, ბაღ-ვენახთან, ორღობესთან, საზღვარდადგენილ სამკალ-სათიბთან, ტყესთან, ველ-მინდორთან, სალოცავებთან და სასაფლაოსთან. მეტსახელსაც თავისი მტყუანმართალი ჰყავდა, თავის ცოდო-მადლს ზიდავდა და იყო სოფელი, ვითარცა კამკამა წვეთი, რომელშიც მთელი სამყარო ირეკლებოდა.

რაც მთავარია, სოფელი პულჩინელას უფრო ჰგავდა, ვიდრე ხარბ და ბოროტ მაკარონეს. ჰქონდა — ხარჯავდა, არა ჰქონდა — იჯდა მშიერი, მაგრამ რაც მთავარია, კუტი პურით ხელშიც კი არ ჰკარგავდა ხალისს, დაჰქროდა ჯადოსნური ხალიჩებით და შლიდა პურ-მარილით თავმოდგმულ, ჯადოსნურ სუფრას...

უცხო, გზადგამვლელს კარს ვინ არ გაუღებდა, მაგრამ სოფელში ფორმიანი ჯარისკაცი მაინც განსაკუთრებულად უყვარდათ. ეს შეიძლება ჩავლილი დიდი ომის გამოძახილიც იყო, ყველა ოჯახს ხომ ვიღაც მაინც ჰყავდა ფრონტზე დაკარგული ანდა ნაომარი ოჯახის წევრი.

ერთხელ, უკანამხრიდან, ტყე-ტყე გადმოსულ სამხედროებს, სოფელში მანქანა გაუფუჭდათ. იქვე, წყაროსთან ვცხოვრობდით და რომ შეეკეთებინათ, მანქანის ქვეშ გასაშლელად ტომარა გამოგვართვეს.

კარგა ხანს იწვალეს. მანქანა როცა გამართეს და ტომარა დაგვიბრუნეს, დასიცხული ბიჭები, ეზოში შემოვიპატიჟეთ.

ოთხი თუ ხუთი ჯარისკაცი თუთის ჩრდილში ჩამოჯდა, „პილოტკები“ რომ მოიხადეს, ყველა ქერა იყო, ზოგიც სიმინდის ფუჩეჩივით გახუნებული.

ხელ-პირის დასაბანად სურით წყალი გამოვიტანე.

მოშინაურდნენ, მოიხალვათეს გიმნასტურები, შეისხეს წყალი, გაგრილდნენ.

პირის დაბანამ როგორ უნდა გაგაკვირვოს, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ მუჭში დასხმული წყლის ნაწილს პირში იგუბებდნენ, დარჩენილს სახეზე შეისხამდნენ, მერე, პირში რაც „შეინახეს,“ იმასაც მუჭზე დაისხამდნენ და კვლავ შეისხურებდნენ.

როცა მოვიზარდე, ვფიქრობდი, ჯარისკაცები ამას იმიტომ სჩადიოდნენ, ალბათ, უწყლო ადგილებიდან იქნებოდნენ-მეთქი, მაგრამ ნამდვილი რუსეთი არ არის ისე გაუდაბურებული, რომ პირის დასაბან წყალს ასე უფრთხილდებოდნენ. ეს უფრო გაუდაბურებულ, გახრიოკებულ ტრამალებზე მომთაბარეთა ჩვევა მგონია, მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, გაზიდულ ყვრიმალებთან ერთად, ძღვნად რომ დაუტოვეს რუსეთს და, თვითონ თუ აღზევების, „დუღილის“ ტემპერატურის დაცემის შემდეგ ისევ თავის მოკრძალებულ კალაპოტში ჩადგნენ, ჩაიწრიტნენ, სამაგიეროდ, ჩრდილოურ ძარღვებს სამუდამოდ შეურიეს თავისი მოდგმის თვისებები.

დაპურებული, დასვენებული ჯარისკაცები მადლიერები წამოვიდნენ, მე კი, სახსოვრად, ბრტყელბალთიანი ქამარი და წყლის მათარა დამიტოვეს.

ეს საქმეა, ვიქტორ პეტროვიჩ — იმ ჯარიკაცების შთამომავლებმა, ჩემი სოფელი და სახლ-კარიც მიწასთან გაასწორეს!

რა გინდოდათ, რატომ მოხსენით ჯინის ბოთლს თავსახური, როდემდე უნდა ალაღლაღონ თქვენმა თანამემამულეებმა პირში დაგუბებული წყალი — გადმოღვარონ ბოღმის დუბელა და თვითონაც მოისვენონ და ჩვენც.

— ტინტლია, ყარაჩი, კრიაჩი, კომუნა... — ცოცხლდებიან მათი სახეები, ვინც ამ მეტსახელების უკან იდგნენ. მარტო მჭედლიაანთ ესტატე რად ღირდა, ახოვანი, უღიპო, დაკუნთული. შიშველ მკერდზე კისერთან თასმით ჩამობმული ტყავის წინსაფარი ჰქონდა აკრული, ცეცხლში დარბილებულ რკინას ნახევარფუთიანი ურითი ჰკვერავდა და დაბურცულ მკლავზე შეშინებული, დამფრთხალი ქალთევზა სხმარტალებდა.

საქმეს რომ მორჩებოდა, ეგრევე ჩამოიმხობდა ხოლმე წყლიან ვედროს და ჩამოირეცხავდა ოფლსა და დაღლილობას.

ბავშვები იმ ქალთევზას სანახავად მივდიოდით, ოცდაჩვიდმეტის გადასახლებიდან რომ ჩამოჰყვა.

ვორკუტაში, სვირინგების ოსტატს ეთქვა, იმხელა ბეჭები გაქვს, მთელ საბჭოთა კავშირის რუკას დაიტევს, თუ გაუძლებ, დაგახატავო, მაგრამ ესტატეს უარი უთქვამს, ამ უკანონო ქვეყანამ დამაპატიმრა და ახლა ზურგით ვატაროვო.

მჭედელს, სიცოცხლის ბოლომდე, გულუბრყვილო ბავშვივით უკვირდა, დაჭერამდეც მჭედელი ვიყავი და მერეც მჭედელად დავრჩი, ან რატომ დამაპატიმრეს, ან რატომ გამომიშვეს, ვერ გამიგიაო.

ადამიანს, მთელი ცხოვრება, პასუხგაუცემელი კითხვები სტანჯავენ.

აგვისტოს ამბებიც დიდი კითხვის ყულფს ნასკვავენ — რატომ?

და, თუ ღმერთმა გვაცალა, ვნახავთ, როგორც ეკამ თქვა, შიგ თავს ვინ გაუყრის...

„რომელი ახველებს? ქალბატონი ამალია! სიცხეშიც კი სარდაფი მაინც გრილია, (ესეც ეკას წყალობით ვიცი), მოხუცებულები ადვილად ცივდებიან.“

ყოველთვის, მთელი დეკემბერი, ახალი წლის მოლოდინში ვარ.

ოცდახუთის მერე ხომ საათებს ვითვლი.

ასე იყო შარშანაც.

ნეტავ რად ველოდებოდი, სულის კაწკაწით, თუკი ქვეყანა ყირამალა უნდა დამდგარიყო!..

პირველმა თოვლმა ოცდახუთში, შებინდებისას წამოაყარა. ჯერ წამოფარფლა, მსუბუქად, თეთრი ფქვილის ანაცერივით — სარკმელიდან გაყოფილი ხელისგული წვრილი, ჩხვლეტია ქინძისთავებით ამევსო.

მერე მოუხშირა — დაბლა ეშვებოდნენ თოვლის ფიფქები და მთელი ქალაქი, როგორც ლიფტის კაბინა, მაღლა-მაღლა მიიწევდა.

ვიდექი გულხელდაკრეფილი და ვფიქრობდი:

რაღა დარჩა, ჩაიარა ოცდახუთმაც, მარიამს მუცელიც ასტკივდა და კიდეც მოილოგინა.

პატარ-პატარა, მობუზულ სახლებში, ფანჯრის რაფებზე შემოდგმული სანთლები იღვენთება.

სახლებს უკან, პროფტექნიკუმის მინდორზე, ღობის გასწვრივ, ფოთოლგაცვენილი წვრილი ხილი და ველური იასამანის ბუჩქებია ჩარიგებული, ერთი მხარე ბაღებიდან ჩამონაყონი წყლებით არის დანოტივებული, გაზაფხულზაფხული ლელი და სიმინდა ბალახია მოდებული, მინდვრის შუაში კი გაუკრეფავი, რთვილდადებული ასკილია, ჩამნიფებულ-ჩარბილებული წითელი ნაყოფით, ვიღაცას ციცინათელებივით, ბღუჯა-ბღუჯა, გაყინულ ჰაერში რომ აუსვრია.

გნოლიძეების მხარეს, რიყის ქვით ნაშენებ კედელთან, მომყუდროებულში, ჯერ კიდევ მწვანე, სიცივით მოუთუთქავ ბალახზე თივის ნაძენძია დაფენილი. ზედ დიდი, გაზარმაცებული შავი ძაღლი წევს. ძაღლს ბაგირა ჰქვია. თუ ვინმე ძალიან შეაწუხებს, წამოდგება — ხაფ, ხაფ, ხააფ!.. უგუნებო ღავღავით გაივლის ღობის გასწვრივ და თან უკან იყურება, მისი ნაწოლი ადგილი რომ არ დაიკავონ. გაივლის და თუ გადმოგდებული რაიმე მოჰხელა გალოღნის, გაღეჭავს, მთქნარებით მოდუნებულ ბებერ ძვლებს ტკაცატკუცს აუტეხავს.

აქეთ თუ ვერაფერი ნახა, მინდვრის ბოლოში, გაგლეჯილ მავთულის ბადეში გაძვრება, იქით, სამხერხაო-სადურგლოში მაინც უეჭველად დააპურებენ და ისევ უკან გამოძუნძულდება, მუცელთან ფეხებამოკეცილი თავაწეული გაირინდება.

მოდი და გაიგე, ვის უყურებს ან რას უსმენს შავი, ბებერი ძაღლი!

იქნებ კოსმიურ ხმებს ფიქრებით ეპასუხება?

წინასაახალწლო სევდამ მეც გამარინდა - ვხვდები, რომ რაღაც, მნიშვნელოვანი, უკან დამრჩა, მაგრამ სად არის ეს „უკან," წარსულში თუ მომავალში, საით გავიხედო, რომელ ჭუჭრუტანაში შევიჭვრიტო, ადამიანში ყველაზე მთავარი, როგორ შეიძლება ის იყოს, რაც დასამარდა, ჩაუშვა „არქივში" მესაფლავემ და რაც მინად უნდა იქცეს.

გულისამაჩუყებელი სევდა დამანგრეველ ნაღველად იქცა და ჩამაშხამა ახალი წლის მოლოდინი.

„გადავწევ ფარდას, გადავაბიჯებ ახალწლის ზღურბლს და მერე იქით რა დამხვდება? — კიდევ ერთი თორმეტსაფეხურიანი კიბე, რომელსაც თუ ავივლი, მერმის ამ დროს, ახალი წლის მოლოდინში, ისევ ასე, გულხელდაკრეფილი ვიდგები..."

თორმეტი საფეხური! რა ვიცოდი, მერვე საფეხური თუ ჩატყდებოდა და ომის ღვარცოფში ჩაგვითრევდა.

მაშინ კი, ვიდექი ფანჯარასთან, საწერი მაგიდისა და კედელს აყუდებული წიგნის თაროებისაკენ მიხედვაც არ მინდოდა — ამათ შეჭამეს ჩემი სიცოცხლე, ამათ მომატყუეს და მომაღორეს, დაპირებების ლაბირინთში მაწოწიალეს, რათა, ბოლოს, წარმოუდგენელ ცრუპენტელად ვქცეულიყავი. სიმართლე, რომელიც მხოლოდ მე ვიცი, გაჯიუტებული სახედარივით არავისთვის არ უნდა გამემხილა, მაშინაც კი, როდესაც შეხვედრებზე, საზეიმო საღამოებზე მკვლელის დანასავით მაჩეჩებდნენ დაუნდობელ, გაზულუქებულ სიტყვებს — „ბატონო," „ამაგდარო," „ღვაწლმოსილო," „თქვენი დამსახურება სიტყვაკაზმული მწერლობის წინაშე..." და კიდევ, რა ჩამოთვლის, გულისამრევ ფრაზებს, ტანზე (უფრო ტვინზე) დამშეული წურბელებივით რომ დამასხავდნენ ხოლმე და ჯანმრთელ სისხლს მწოვდნენ.

ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ, ასეთ დროს ჩემი თავის სიბრალული რატომ მაჩანაგებს — „რაო, ჩემს ნაწერებზე გაიზარდეთ? წადით, რა, საქმე ნახეთ, მე მაგის მჭამელი ვარ?.."

სინამდვილე ისე მაფხიზლებს, როგორც მძინარეს ცივი, ყინულის ყვავილებით მოქარგული ფანჯრის შუშა...

შუბლზე დედის ხელისგული! — აი, რისთვის ღირდა სიცოცხლე! აიღეს შუბლიდან ხელი და სიხარულისათვის მაშინვე დავბერდი. გაცვდა ტიკი, სულს ძლივს ვიკავებ, რომ პირიდან თუ არა, სხვა ადგილიდან მაინც არ გამეპაროს.

— თქვენ ვინ გკითხავთ, ბატონებო, უკვდავების ლიცენზიის გაცემას! — ამას უკვე ხმამაღლა ვყვირი, მაგრამ ვის ესმის, თითქოს საგანგებოდ, ჯიბრზე, მეუღლეს მორიგი მოსაწვევი ბარათი შემოაქვს, „ჩმჭყ" საზოგადოება მთხოვს, საშობაო-საახალწლო საღამო დაგვიმშვენეთო.

„ხაფ, ხაფ, ხაფ!" — ახლა მე ვიყეფები და გაავებული კუთხის პატარა ოთახის კედლებსა და ავეჯს ვაწყდები.

ვიწროა ჩემთვის, ჩემი პარამეტრების ნადირისათვის ეს ვოლიერი, საწოლებით, ტანსაცმლის კარადით, ლერწმის ეტაჟერკაზე შეხორხლილი წიგნებით, თითქოს ვინმე მისდევდეთ და ერთმანეთზე შემსხდრები მირბოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროსი
უგულავა

დედაჩემო...

ვლონდები,
ჩემზე დარდით და
ლოდინით დაღლილს გხედავ.
მე არამიშავს,
ნუ სწუხხარ,
შენ...
შენ როგორ ხარ, დედავ?!
ამბობ, გაფრინდნენ მერცხლები,
ჭკნება ყვავილი მინდვრის,
რომ შენც ბერდები,
ცხოვრება
მიდის, თავის გზით მიდის.
მაინც გვირილის სუნი გაქვს,
(მამას სუნი აქვს მაჭრის).
გეტყვი, ვიდრემდის სამარეს
ბედი ჩემთვისაც გაჭრის,
რაც მიწერია,
რასაც ვწერ,
კიდევ რაც უნდა ვწერო,
შენი ცრემლები
და ჩემი
სისხლია,
დედაჩემო!

მაშინ...

მაშინ, როცა დალალდაშლილს
ფიქრს გიგლეჯდა ბედის შიში,
მესტუმრე და ჯერ ოთახში,
მერე გულში შემოგიშვი.
მახსოვს, ხეებს სადად ეცვათ,
ჰქონდა ფოთოლს ფერი ფუტკრის.
შენ ატირდი და ერთ დღესაც
წადი, მაგრამ არ დაბრუნდი.
სწორედ იმ დღეს შავმა ზეცამ
დამისეტყვა პურის ყანა,
მერე ქარი კრამიტს ეცა
და ოდიდან წამოყარა.
ღამით სიზმრად ვნახე დედა,
ვბოდავდი და ვგრძნობდი წყურვილს.
დილით თავი მოვხადე და
ცარიელი დამხვდა ჭური.
გზას ვუცქერდი მერე ცვრიანს,
არჩვეული დარდს და ლოდინს,
თუმცა აზრად არ მომსვლია,
წასულს კვალში ჩაგდგომოდი.
და ვერ ვცნობდი ამ ჩემს იღბალს,
აურაცხელ წყენის დამტევს.
მერე თოვდა, მგონი ვიღაც
ციდან პეშვით ყრიდა ფანტელს.
თითქოს ფიქრი მექცა ობად,
ისე ცივი მქონდა გული,
ვერას გზით ვერ გამითბობდა
ბუხარი ალჩახვეული.
მერე ტახტზე მეწყო ძვლები,
ტვინიც ისე მქონდა მღვრიე,
აბა, როგორ გავიგებდი,
აპრილს რომ არ შევენჯღრიე, —
რომ ეზოში ფრთებით, თურმე
მზე დაჰქონდათ ფერად ჩიტებს
და ვსუნთქავდი ატმის სურნელს
მერცხლის ენით მოჭიკჭიკეს.
მერე ცაცხვი შლიდა რტოებს
და ვერ შევძელ, ალბათ, ბედად
გულის კარი საკუბოვე
ფიცრებით რომ ამეჭედა.

ეს არ არის ჩვენი წლები

ლაჟვარდი მზით ივსებს ჩიჩახვს
და სიგრილე ჩქარობს დილის.
ბინდის იქით ქალაქი ჩანს,
სარკმლებში სხივჩალეწილი.
აქ არავინ ხვდება დილას,
მიტოვებულ დარდის გარდა
და არც მტრედი არ მიფრინავს
ბუხრის გამშრალ ყელიდან და
არ შეჰხარის ჩიტი რტოებს,
უკვე დარიც ვერა დარობს
და თუ მხოლოდ სიმარტოვე
ქექავს კერას უღადაროს,

ეს არ არის ჩვენი წლები,
უცხო სუნი ასდის ამ წლებს.
განა რამეს გეკითხები,
ხელით გიჭერ, რომ არ ჩამწყდე. . .
შენ ისედაც სწვდები ფიქრით
და მონყენით უცქერ, გულო,
გზებს, სოფლებს და სოფლებს იქით
ტყეებს ხშირს და უგუგულოს.

და როგორც შევძლებთ

შენ გაექეცი სიზმრის ფერადებს,
როცა ცისკარი ხსნიდა დარაბებს.
არ გსურდა დედას რომ დაენახე,
შენი სურვილის მკაცრ მოდარაჯეს.
გზად დაიტირე ცაცხვის რტოები,
როცა შენს ბავშვურ უმანკოებას
მკერდში მხტომარე გულით ტოვებდი,
ცისფერ მომავლის მოსაპოვებლად.
მე კი გელოდი, თითქმის მინიერს
სულ მუდამ შენზე ფიქრი მიყვარდა
და როცა მოხველ, წამოვიწიე
სიცივით სავსე სასთუმლიდან და
დღეს ჩემში სევდა ისე მარხია,
როგორც დაკარგულ წლების სიმბოლო.
ახლა ეს სახლი ჩვენი სახლია
და როგორც შევძლებთ ისე ვიცხოვროთ.

და თუ წახველი

უკვე აღარ წვიმს, შუქშენისლული
ჰგავს თებერვლის მზე ვერცხლის ობობას.
ვბერავ ნესტოებს, აქვს შენი სუნი
ჩემსა და ამ თვის ძველ ნაცნობობას.
წარსულის გულთან ასე მიტანა,
კვლავაც მაჟრჟოლებს შემკრთალბედიანს
და თუ არ წახველ, იქ, საიდანაც
უკან არასდროს არ ბრუნდებიან,
ვინ დამიტოვა ხშირი წვიმები,
ან მომავალი მღვრიე თვალება,
ეს ცა — სილურჯეანატკივები
და მარტოობის არდამთავრება?!

გესმის?..

ისევ მკერდზე მჯიღის ცემით
ჰყვება დრო მომავლის ამბავს.
ვიცი, საქართველო ჩემი,
რომ ვერ მოგაწონე, მაგრამ
შენ არ ჩაიქნიო ხელი,
აბა, რა უფლებით ნაღვლობ...
გესმის?— საქართველო მღერის,
შენი საქართველო, ბალღო!

* * *

აქ ვისაც გინდა იმას მიმართე,
ვერას შეასმენ ყურებბალნიანს.
როგორც ყოველთვის ჩვენი სიმართლე
კვლავაც რომ სანთლით საძებარია.
ჯერ არ მინახავს კაცი ამათში,
ბრძნად არ მოჰქონდეს თავი უტვინო.
ან როგორ გინდა ჩასვლა საფლავში,
ამათ რომ დედა არ აუტირო!

ახლა შინ წადი!

სულ მალე მოწვიმს
და იდაყვზე ჩამოვდებ ნიკაპს.
მიყვარს წვიმები,
მიყვარს, რადგან ფიქრები მიყვარს.
თუმცა შენს თვალში
სიყვარულის წყურვილი ნორჩობს
და სასურველი
ათრთოლებით მიწეწავ ქოჩორს.
წვიმს, ლამაზად წვიმს,
მე კი მაინც ვერა ვარ მშვიდად.
ახლა შინ წადი,
ახლა შენზე ვიფიქრო მინდა.

* * *

აბა, როგორ არ უნდა ვღელავდე,
თუმც გაერიდე დღეებს სიძვიანს,
მე შემიძლია მოსვლა შენამდე,
შენ ჩემთან მოსვლა არ შეგიძლია.
ეჰ, განა ფრთების დახრას მიწამდე...
ან სულში თოვლი კვლავ რომ არ დნება...
მე იმას ვდარდობ, რომ ვერ გიდარდე,
იმ ძალით, როგორც შენ გეკადრება.

* * *

კვლავ არ მაღელვებს ქარების ოხვრა,
გონების თვალით ვუმზერ სამიზნეს.
რატომღაც მჯერა,
ხვალ-ზეგ შენც მოხვალ,
კარის ზღურბლს
ფრთხილად გადმოაბიჯებ.

კაცს სხვა რა უნდა ერთი მითხარი,
ადვილად გატეხს ღამეს სუსხიანს,
თუ კარგ რამეზე აქვს საფიქრალი
და ბოთლში ცოტა ღვინო უსხია.



ნოდარ კოტრიკაძე

ალდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე

ეძღვნება თაობას, რომელიც გამოტოვეს

ერთი უცნაური, უკვე კანონზომიერებად ქცეული ტენდენციაც აღმოაჩინა — ასაქმებდნენ, აწინაურებდნენ, ნდობას უცხადებდნენ მხოლოდ ორი კატეგორიის ადამიანებს: ყოფილ ნომენკლატურულ კადრებს და მათთან შეზრდილ შესისლხორცებულ „ინტელექტუალებს“, ან იმ ახალგაზრდებს, რომელთაც კომკავშირს კი მოუსინჯეს კბილი, მაგრამ მთლად მის „მოღვაწეებად“ ჩამოყალიბება ვერ მოასწრეს. პირველთ თავი საქმის მცოდნედ მოჰქონდათ, არადა, როგორი საქმის მცოდნენი იყვნენ, ეს გაპარტახებულ ქვეყანას ეტყობოდა, ერთ დიდ ბაზრობად ქცეულ ქვეყანას. ღირსება?! რაც არასდროს ჰქონია ამ ხალხს, სხვას როგორღა მოსთხოვდნენ? მეორენი კი, ვისაც სინდისი, როგორც ქიმერა კომკავშირში დაეტოვებინა, ახალგაზრდული ასაკისათვის დამახასიათებელი უნაპირო ამბიციებს ისე შეეპყრო, საკუთარი პერსონის გარდა არავინ და არაფერი აინტერესებდათ — საქართველოს ცა ქუდად ეპატარავებოდათ, ხოლო მისი მიწა ქალამნად.

მიხვდა, ყოველივე ეს აშკარად მიზანმიმართულად კეთდებოდა. „თეთრ მელას“ კარგად გააზრებული პლატფორმა შეექმნა. ავანსცენაზე მისივე გამოძერწილი ადამიანები იდგნენ, ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნდათ არც პრინციპები, არც იდეები, არც პატიოსნება, არც სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი, არც ინტელექტუალური მარაგი, არც ეკონომიკის ცოდნა (ამათგან რომელიმე რომ ჰქონოდათ, ნომენკლატურაში რა ესაქმებოდათ?), მთელი მათი ცხოვრება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — რაც შეიძლება მეტი ქონება შეეძინათ, ხაზინისა და ხალხის ყვლეფით. ეს მორჩილნი „ჰომო სოვეტიკები“ არა მარტო ახალგაზრდა სახელმწიფოს ღუპავდნენ, არამედ წამლავდნენ მთელი ერის გონებას, რაც ბევრად უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ხაზინის ქურდობა. თუმცაღა თავი შეუცვლელად მიაჩნდათ და ერთმანეთს სტალინის ცნობილი „პაროლის“ — პარტიის არამზადა — ეს ჩვენი არამზადაა, - მიხედვით ცნობდნენ. მორალი და ზნეობა, როგორც ჯერ კიდევ მანამდე ერთი ცნობილი ქართველი კრიტიკოსი სწერდა, მხოლოდ ლოზუნგად სჭირდებოდათ და თავად სახელმწიფო ექციათ ლოზუნგების ქვეყნად. რაც მეტად იდგამდა ფესვებს ქვეყანაში გახრწნილება, მით უკეთესად გრძნობდნენ თავს, გასვრილი კაცის დამორჩილება ბევრად მარტივია. ამოტომაც რა გასაკვირია, ქვეყანა, სადაც უზნეობა ცხოვრების ნორმად ითვლებოდა და არა სირცხვილად, მეტად სწრაფი ტემპით იძირებოდა.

ეს ყოველივე კარგად იცოდნენ, მშვენივრადაც შიფრავდნენ თავიანთ არჯალ ბუნებას, ამიტომაც განსაკუთრებული სიძულვილით შეიძულეს მესამე ნაპირზე გასულები. ტალეირანს ფუშეზე უთქვამს: ფუშეს იმიტომ სძულს ასე ადამიანები, რომ ძალიან კარგად იცნობს საკუთარ თავსო. აქაც ასე იყო: საკუთარ თავს კარაგდ იცნობდნენ, იცოდნენ რა ბედენაც ბრძანდებოდნენ და თავიანთი „მოღვაწეობის“ შედეგებსაც კარაგდ ხედავდნენ და ისიც იცოდნენ, ქვეყანაში თუ სიტუაცია აიჭრებოდა, პასუხი აუცილებლად მოეთხოვებოდათ. ეს კი განსაკუთრებით აფრთხობდათ. აქედან გამომდინარე, როგორღა ენდობოდნენ მესამე ნაპირზე გარიყულთ? იმათ ხომ ბოლომდე ჰყავდათ ამოცნობილნი და ისინი იმ ადამიანებს წარმოადგენდნენ, რომელთა გახრწნა, გადაგვარება, ჩათრევა სატანურმა კომუნისტურმა მანქანამ ვერ მოასწრო და რომლებმაც თავიანთი მდორე, რუტინული წინააღმდეგობით, ბოლომდე გაამჟღავნეს ნეგატივი, რასაც საბოლოოდ მათი სანუკვარი საბჭოთა სისტემა შეეწირა. მესამენაპირელებს ასო-ასო ჰქონდათ აღნუსხული ამ სულგაყიდულთა მოღვაწეობის პერიპეტიები და მათი მოტყუება ვერ მოხერხდებოდა. ამიტომაც გაიძვერებს დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ — გამონახეს ეშმაკისეული გზა: ადგნენ და თაობა გამოტოვეს! არსად, არც ერთ მნიშვნელოვან პოსტზე, თუ ინტელექტუალურ ჰორიზონტზე არ გააჭაჭანეს მათთვის მიუღებელი ამ კატეგორიის ადამიანი და ეს, თქვენ წარმოიდგინეთ, იოლად მოახერხეს. გამოტოვეს მთელი თაობა, თაობა, რომელსაც ხელენიფებოდა გარდამავალ პერიოდში პასუხისმგებლობა ეტვირთა; რომლის ცოდნა და ლავირების უნარი, იმ შავ ჭირს, რევოლუცია და გადატრიალება რომ ჰქვია, ქვეყანას სამომავლოდ მაინც ააცილებდა. საშუალო თაობას შესწავლილი ჰქონდა საბჭოთა სიბოროტის სტრუქტურული თავისებურებანი, ეზიარნენ რა დასავლურ ფასეულობებს და ისინი ეროვნული ტრადიციების რაკურსით გაითავისეს, ამიტომაც, „ჰომო სოვეტიკებად“ მათი ჩამოყალიბება ვეღარ მოხერხდა და ამ იობის მოთმინებით

დასასრული. დასაწყისი იხ.№ 3,4,5

აღჭურვილებმა მთელი ცხოვრება მითიური ამირანის იმ ბორკილების დაყრის მცდელობას შეალიეს, კომუნისტებმა შობის წამიდან რომ დაადეს. ახლა კი თუ საშუალება მიეცემოდათ, მთელი თავგანწირვით იბრძოლებდნენ აწ უკვე თავისუფლებამოპოვებული სამშობლოსთვის. სწორედ ეს არ მოსწონდა „თეთრი მელას" ხელისუფლებას და მთელის გააფთრებით აითვალისწუნა „მესამე ნაპირზე" მდგომნი, რომელთაც, სამწუხაროდ, საკმარისი ენერგია აღარ შერჩენოდათ და არაქათგამოცლილები თითქმის უბრძოლველად გადგნენ გვერდზე, რაც ტრაგიკული გამოდგა, როგორც მათი თაობისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. „ჩვენ დაღლილები დავიბადეთ!" არაერთხელ უთქვამს გულდაწყვეტილს.

ასე იგდეს ხელთ ძალაუფლება მათი უნიათობით გათამამებულმა ყმაწვილებმა, ვისაც არც ეროვნული ეთნოფსიქოლოგიის ტვირთის პასუხისმგებლობა ამძიმებდა და ახალგაზრდული ენერგიაც უზომო მიენიჭებინა განგებას, რომელსაც ძირითადად იმისთვის იყენებდნენ, ფეხქვეშ გაეგდოთ ყველა, ვინც წინ გადაეღობებოდათ, ხალხიც აეყოლიებინათ და ქარიზმის მატარებელი ლიდერიც გამოეშვათ საასპარეზოდ. ძალაუფლება ისე უცერემონიოდ და უტიფრად მოირგეს, როგორც ეს ნაპოლეონმა გააკეთა, რომელმაც იმპერატორად კურთხევის დროს რომის პაპს გვირგვინი გამოსტაცა და თავზე საკუთარი ხელით დაიდგა.

„თეთრი მელას" დამონტაჟებულ დემონურ მანქანას მოესწრო და ამ ახალგაზრდებისათვის მტკიცედ ჩაენერგა ნიჰილიზმი, ნიჰილიზმი უსაგნო, ამორალური, ნაციონალური არსის დამთრგუნველი. სწორედ ამ კონვეიერის გამართული პროპაგანდის წყალობით მოხერხდა ახალგაზრდობის სულში იმ სატანური აზრის ჩაწვეთება, რომ მამათა თაობას, („თეთრი მელას" მიერ ხელოვნურად თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებულ თაობას), არც უბრძოლია, არც ღირებული პრინციპები გააჩნდა და არც ჰქონდა რამის უნარი. ასე გამოიძერწა „ჰომო სოვეტიკის" შემცვლელი კოსმოპოლიტი, რომელიც არც ტრადიციებს სცემდა პატივს, არც ეროვნულ ფასეულობებს დაგიდევდათ რამედ.

„მიზანი ამართლებს საშუალებას", მარად უკვდავი სენტენციაა და, როცა მას ამპარტავანი, ამბიციური ენერგიაც დაემატა, წინ ვიღა დაუდგებოდა. ეს ვერ გათვალა ნომენკლატურამ. ამ ენერგიამ წალეკა ყოველივე. წალეკა და ჩარეცხა ისინი, ვინც მთელი ცხოვრება ტახტრევანზე წამოგორებული უნამუსოდ ნებივრობდა საკუთარი ჯიშის სიმწრის ოფლისა და სისხლის ხარჯზე. ახლა გულისგულში იმ ძველ დროს მისტიროდნენ, როცა იმპერიის მსახურნი იყვნენ, ელოლიავებოდნენ იმედს — იქნებ კვლავ აღდგეს და საბჭოთა „ძმური" კავშირით აწ უკვე სამუდამოდ შეჰკრას ერები, როგორც ამას მათი ჰიმნი ქადაგებდა. აი, მაშინ კი ისევ მიეცემოდათ პარპაშის საშუალება, ჩამოიხსნიდნენ იმ ნიღაბს, დემოკრატობანას თამაში რომ ჰქვია, და ისევ ჭეშმარიტი სტალინელ-ბოლშევიკების მრისხანე სახით მოევლინებოდნენ მონანიების გზაზე დამდგარ წელში წახრილ მოქალაქეებს. ისევ ამუშავდებოდა „დერჟავის" უშიშროების სამსახური და იმ ყოყლოჩინა ნაბიჭვრებს, გაუთავებლივ ადამიანის უფლებები რომ აკერიათ პირზე, ისევ გაუყენებდა გზას გულაგისა და ფსიქიატრიული კლინიკებისაკენ. აღსდგებოდა ფერფლიდან ფოლადის ჯართი და ისევ მოუღერებდა სამყაროს მუშტს.

დააგვიანდათ! მათ ოცნებებს ახდენა აღარ ეწერა. როგორც მათი ბელადი ლენინი იტყოდა — ძველებს აღარ შეეძლო მართვა, ხოლო ხალხს აღარ სურდა მათი მოთმენა და რუსთაველის პროსპექტი იმ მაჭარივით აბუყბუყდა, ქვევრს რომ ხეთქავს. მაჭარი ღვინოდ უნდა ქცეულიყო, და თან მოეტანა რევოლუცია, — რომელსაც ყვავილთა მეფის სახელი დაერქმეოდა. მისმა თაობამ კი, სამწუხაროდ, ამჯერადაც სეირის მაყურებლის პოზა აირჩია.

თვითონ ამოქმედდა. სეირის მაყურებლად ქცეულ თავისიან მესამენაპირელებს საყვედური შეუთვალა და რევოლუციაში თავით გადაეშვა. აუდიტორიის ტრიბუნიდან სტუდენტებს ღიად მოუწოდა დაუმორჩილებლობისა და რევოლუციისაკენ. არად დაგიდევდა რექტორის არც მეგობრულ შეგონებას და არც პროტესტს — ეს უნივერსიტეტია და არა პოლიტიკური კლუბიო. არც იმათ უჯერებდა, ვინაც აფრთხილებდა, რომ ეს ნიაღვარი კარგს და ცუდს არ გაარჩევდა და ყველას, მათ შორის მასაც, წალეკავდა. ამას არაფრის გაგონება არ სურდა: „ისედაც წალეკილები არ ვართ? — გაიკვირვებდა გულწრფელად, — ამაზე უარესი რაღა მოხდება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვრჩეთ მოვლენების საკუთარი კეთილდღეობის მეტრით ზომვასო. არ იღლებოდა იმის მტკიცებით, რომ გადამწყვეტი მომენტის ჟამს გვერდზე დგომა დანაშაულია. რაზედაც ჩამქრალი თვალებით და კონფორმისტული ღიმილით პასუხობდნენ მისი დოსტები.

შემოდგომაზე კიდევ ერთხელ გაყალბდა არჩევნები და ჯარაც დატრიალდა: ათიათასობით შეკრებილთა შეკავება ვერავინ შეძლო და გამწარებული ხალხი პარლამენტის შენობაში შეიჭრა. ისიც მოწინავეთა რიგებში იმყოფებოდა. „თეთრი მელას" გარემოცვა უცბად შეიფერთხა. შეშინებულმა გოშიებმა უცბად შეაფასეს სიტუაციის სიმძაფრე, და მათმა იმ ნაწილმა, რომელსაც არც ფული აკლდა და არც გავლენა და რომელსაც წინასწარ ეზრუნა საზღვარგარეთ (ძირითადად რუსეთში), დამკვიდრებაზედ და სახლ-კარიც შეძენილი ჰქონდათ, მოპარული მილიონებით დატვირთულებმა ოჯახებთან ერთად სასწრაფოდ დატოვეს საქართველო.

ახალ არჩევნებში ვინ გაიმარჯვებდა, გასაგებია, ოღონდ ეს, რევოლუციის შემდგომი არჩევნები, უკვე ამის გარეშე გაიმართა.

გამარჯვების შემდეგ — ყვავილთა მეფის არომატით გაჟღენთილმა მეყვავილეებმა ეკლებიც გამოაჩინეს: არ ვიცით ვის რა დამსახურება გაქვთ, ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადიო,— შუბლზე წაიწერეს. ამას კი მხოლოდ ერთხელ შეეხმიანენ — აჭარის „სეპარატისტ" ლიდერზე ნადირობას ვიწყებთ — შემოგვიერთდიო.

თავი შორს დაიჭირა. ახლად მოსულებიც გაუნაწყენდნენ.

ერთი თალია ისიც იფიქრა, მივალ, ავუხსნი, მართალია, იმ კაცთან არავითარი ურთიერთობა აღარა მაქვს, მართალია ქვეყნის მომავლის ვექტორს სულ სხვადასხვა განედზე ვხედავთ, გაბუტულებიცა ვართ და ბოლო დროს ისიც გაყოყლოჩინებული ფეოდალივით იქცევა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადად მე იმ კაცისაგან იმდენი სითბო, სიკეთე და გაჭირვების დროს ხელის გამართვა მახსოვს, რომ ასეთი მუხანათური ნაბიჯის გადამდგამი ამქვეყანაზე ვეღარ ვივლი, ამის უფლებას ადამიანობა არ მომცემსო.

არ თამაშობდა. მისი ცხოვრების უკან კაცური საქციელის ისეთი მაგალითები იდგა, რომლებმაც ფსიქიატრიულში გააძლებინა, კომუნისტური საკონცენტრაციო ბანაკის სიავკაცე დააძლევინა, აფხაზეთის ომში უშიშრად იარაღი ააღებინა და ათას ჭირსა და დოზანასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოიყვანა. ახლა ასეთი გაუტანლობა ისე დასცემდა, როგორც დავითმა დასცა გოლიათი და ღირსიც იქნებოდა.

მისვლა მაინც გადაიფიქრა — მიხვდა, არ მოუსმენდნენ, შეიძლება ვერც გაეგოთ და ეთქვათ: მოგცლია, რა დროს ეგ არისო. რაზედაც რა რეაქცია ექნებოდა, თავადაც არ უწყოდა.

გვერდზე გადგომა არჩია. მანამდე ერთხელ კიდეც დაურეკა — აჭარის ლიდერს, ყმაწვილკაცებთან საერთო ენის გამონახვა ურჩია. გაბრაზებულმა და ნაწყენმა ლიდერმა მიუგო — შენი რჩევა არ მჭირდება, მაგათ მე ვიცი, როგორც მოვუვლიო. მიხვდა, კამათით და დავით უფრო დაამძიმებდა სიტუაციას. აშკარად ჩანდა, „ლიდერს" მართლაც „ბაბუის" სინდრომი შეჰყროდა და საკუთარ ძალებს იმაზე მეტად აფასებდა, ვიდრე სინამდვილეში ჰქონდა. ეს კია, კარგად იცნობდა და დარწმუნებული იყო, „ბაბუ" ფესვებს არ უგანებდა, შადიმანობას არასდროს იკადრებდა. გულზე თითქოს ლოდი მოეხსნა, იმან ტყვიის გაუსროლად რომ მიატოვა ქვეყანა და გაიფიქრა — არ შევმცდარვარ მაგ კაცთან მეგობრობაშიო, — და კმაყოფილმა გაიმეორა იმ დღეს, რა დღესაც მეთაურმა ძალაუფლება დათმო.

გახელისუფლებულმა ყმაწვილკაცობამ კი ახლა უფრო ხმამაღლა შესძახა — დიახაც, მე ვარ და ჩემი ნაბადიო და (მათი საშუალო წლოვანება ხომ ოცდაათს ლამის არ აღემატებოდა, მაშინ, როცა ძველ რომში ორმოცდასამ წლამდე კონსულად არჩევის უფლება არავის ჰქონდა, ძველ სპარტაში კი ოცდარვა კაცისაგან შემდგარ საბჭოში, რომელიც ქალაქს მართავდა, რომ მოხვედრილიყავი, სულ ცოტა სამოცი უნდა შეგსრულებოდა), მაქსიმალიზმით დაიწყო აუცილებელი რეფორმების გატარება და რეფორმად მონათლული ნგრევები, რომელიც ძირშივე უპირისპირდებოდა ქართულ მრავალსაუკუნოვან ფსიქოლოგიურ ფაქტურას, მათ კი ყოველივე უცხოეთიდან ბრმად გადმოეღოთ.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მხარს უჭერდა. ხედავდა, შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, მაინც ჯიუტად იმეორებდა — არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებსო. პირველი გულგატეხა მაშინ იგრძნო, როცა ლუსტრაციის კანონის მიღებაზე უარი თქვეს. რა მიხვედრა უნდოდა, საკუთარ მამაძაღლებს აფარებდნენ ხელს, აფარებდნენ ხელს იმათ, ვინაც ცხოვრება „გოთვერნობაში" გაატარა და ახლაც თბილად მოკალათებული, ჰუმანურ მოსაზრებებს ამოეფარა და უტიფრად აცხადებდა — კი ბატონო, მხილება კარგია, მაგრამ მათმა ნათესავებმა რა დააშავეს, ახლობლის მხილების შემდეგ, უხერხულ და მძიმე მდგომარეობაში რომ აღმოჩნდებიანო. ასეთმა პოზიციამ ეს კიდევ უფრო გააღიზიანა; ღიად შეუთვალა ვისაც პასუხი მოეთხოვებოდა: მაშინ მოღალატეებსაც ნუ ვამხელთ, მათაც ხომ ჰყავთ ახლობლები, მეგობრები და ოჯახები; განა მოღალატესა და სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებში დამსმენად მომუშავეს შორის რაიმე განსხვავება არსებობსო? იმედი ჰქონდათ კომუნიზმს პატარა ნიურბერგის პროცესს მოუწყობდნენ, მაგრამ როგორც პირველმა პრეზიდენტმა, ასევე ახლად შექმნილმა „რევოლუციურმა კომიტეტმა" უარი შემოუთვალეს. ესეც ცუდად ენიშნა. ცუდად ენიშნა იმიტომ, რომ ყოველივე უმაღლესი სამართლიანობის პრინციპით კი არა, შერჩევითი სამართლით ხდებოდა. შერჩევითი სამართალი რომ სამართალი არაა, ეს კაცობრიობამ დიდი ხნის წინ გაიგო. გაახსენდა, რომ იტალიაში ოპერაცია „სუფთა ხელების" მიმდინარეობისას დააპატიმრეს ყველა ქალაქის მერი, ყოველი მეექვსე ხელისუფალი და ყოველი მეოთხე პარლამენტარი, რის შედეგადაც ქვეყანამ თავისუფლად ამოისუნთქა. ამათ კი, არომატული რევოლუციის მესვეურებმა ეპიგრამად დაიწერეს ბოლშევიკური ლოზუნგი — ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია და ლამის ერი ორად გაყვეს. სწორედ ეს მიაჩნდა მათ უმთავრეს (თუ არა საბედისწერო) შეცდომად.

ადგა და წერილი მისწერა ახალგაზრდა პრეზიდენტს, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა, თუმცა იმასაც კარგად ამჩნევდა, რომ მოზღვავებული ენერგია და მარადიული აჩქარება (რომელიც მის ნაბიჯებში ღიად იწერებოდა), ხშირად შეცდომებისათვის იმეტებდა. მაგრამ აღტაცებაში მოჰყავდა მის უდავოდ გაბედულ ქმედებებს, როცა ის ძალიან ბევრ დამყაყებულ პრობლემას გორდიას კვანძივით ჭრიდა. წერილში დიდის რუდუნებით ჩამოაყალიბა ყველაფერი — რაც აშფოთებდა და ახსენებდა პირველი პრეზიდენტის დაშვებულ შეცდომებს, რომლებსაც ახალგაზრდებიც ბრმად იმეორებდნენ, უანგარო სამსახურსაც სთავაზობდა და წარმატებასაც უსურვებდა.

არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

საქმე? საქმეც ბევრი სასიკეთოდ კეთდებოდა, მაგრამ ცხრას რომ დიდებულად ჩაატარებდნენ, მეათეს ისეთ რამეს მიაყოლებდნენ, რომ აღარც წინა ცხრა გინდოდა. ზოგიერთნი მდგომარეობამ ისე გააყოყოჩა (რა გასაკვირია, ძალიან ბევრმა, როგორც პირველი პრეზიდენტის დროს, სამსახური ხომ — ან პირდაპირ პარლამენტარად დაიწყო, ანდა მინისტრად თუ არა, მოადგილედ მაინც), რომ არაფერს ქართულს აღარ დაგიდევდა და ქართული სულიერების პანაშვიდიც გამოაცხადა. ხალხი, ასეთ თავქარიანებს დიდი შოთას აფორიზმით: რა ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია, — ღიად დასცინოდა, რითაც აშკარად ისარგებლეს „უკვდავი" ნომენკლატურის წარმომადგენლებმა და გახრწნილმა „ყველა დროის საზოგადო მოღვაწეებმა" და რევანშისთვის პირველი გაუბედავი მოძრაობები დაიწყეს. ეს რომ შენიშნა, რეტი დაესხა და კინაღამ მესამე ინფარქტიც მიიღო.

ეროვნულ ფასეულობათა ნივილირება გრძელდებოდა და, რასაც „თეთრი მელას" ხელისუფლება საჩვენებლად, ფორმალურად, თუნდაც სიტყვით მაინც არ ეხებოდა (საქმით კი, იცოცხლე, ხრწნიდნენ მთელ გენოფონდს), არომატული რევოლუციის შემდეგ არათუ შეეხნენ, არამედ

დაუმსახურებლად გალანძღეს და დააკნინეს. ამის ატანას ერი და ბერი (როგორც ისტორიული ფოლიანტები გვიყვებოდნენ — იყო ფასეულობები, რომელიც ქართველ ერს არასდროს არაფრის ფასად არ დაუთმია), არაფრით შეეგუებოდა. მტერმა, რა თქმა უნდა, ეს ჩაინიშნა. ხოლო როცა ადამიანების ასაკობრივი დიფერენციაცია დაიწყეს (ფაშისტები ეროვნული ნიშნით ახდენდნენ ამას, კომუნისტები - კლასობრივი) და მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა - მე ორმოცი წლის ხეც არ მინდაო; საბოლოოდ დარწმუნდა, ქართული სახელმწიფოს ხომალდის ზოგიერთი კაპიტანი საგანგაშო შეცდომებს უშვებდა.

თვითონ, რადგანაც ორმოცს კარგა ხნის გადაცილებული გახლდათ, უნივერსიტეტიდან უცერემონიოდ დაითხოვეს. როგორც ამის, ისე უფრო მეტად მეცნიერული დამსახურების მქონე მოღვაწეთა ადგილზე ისეთები დანიშნეს, ვისი პრიორიტეტიც მხოლოდ საზღვარგარეთ მიღებული — ერთ ან მაქსიმუმ ორწლიანი განათლებით შემოიფარგლებოდა, რაც შეეხება ავტორიტეტს, იგი, თავიანთ თანატოლებშიც კი მეტად საეჭვო რეიტინგით განისაზღვრებოდა.

ყველა და ყველაფერი, რაც არ მოსწონდათ და რაც მათთვის მიუღებელი ჩანდა, ერთი მაკრატლით, ერთი ცელით და ერთი საზომით იკრი-ბიკრო იჭრებოდა. იმას კი ვერ ხვდებოდნენ, ოცდაათსაუკუნოვან ისტორიის მქონე ერისადმი ასეთი უცერემონიო დამოკიდებულება ისეთ რეაქციას გამოიწვევდა რომელსაც სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე რეაქციულმა კომუნისტურმა რეჟიმმაც ვერ გაუძლო. აშკარად, ჰეროსტრატეს ჩამომავლები ახალ ხელისუფლებაშიც შემძვრალიყვნენ.

პრეზიდენტზე მაინც აუგს ვერ ათქმევინებდით, რადგანაც ამისათვის უმთავრესი მაინც საგარეო კურსი იყო: „ნატო" და ევროკავშირი — იმ ორ ალაყაფად მიაჩნდა, მათში შეღწევა თუ მოხერხდებოდა, ქართული სახელმწიფოს ბედი სამუდამოდ დადებითად გადაწყდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობა კი მისი ცხოვრების ერთადერთ უმთავრეს მიზნად ქცეულიყო. გაჩნდა შანსი, რომ ის, რაც დიდმა დავით აღმაშენებელმა დაიწყო (დიდგორზე ორასი ჯვაროსანის გამოჩენას უზარმაზარი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რომელსაც რუსები და კომუნისტები საგულდაგულოდ ჩქმალავდნენ), შემდეგ კი სულხან საბამ და მისმა თანამოაზრეებმა გააგრძელეს, წარმატებით დაგვირვინებულიყო და საქართველო დაბრუნებოდა ბუნებრივ წიაღს — დასავლურ ცივილიზაციას, რომლის აღმოსავლეთ ფორფოსტს სწორედ თავად წარმოადგენდა, როგორც რასობრივად, ასევე კულტურულად. ესეც არ იყოს, ქრისტიანობის დასაცავად, საქართველოს თავდაუზოგავი ბრძოლა რომ არა, არავინ უწყის აღმოსავლეთ ევროპას რა ბედი ელოდა; განა ცნობილი არ არის, რომ ევროპის ნაწილმა ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ აღმართა თეთრი ბაირაღი, მაშინ როდესაც საქართველო, მარტოდ შთენილი, თითქმის მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ხმალამოღებული იბრძოდა, დიახაც — დასავლეთის გადარჩენისათვის. ეჭვი არ ეპარებოდა ახალგაზრდა პრეზიდენტის გულწრფელობაში, სჯეროდა, რომ მას ნამდილად ეწადა ქვეყნის რუსეთის იმპერიისაგან (ამ გავეშებული მხეცისაგან, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის ყველა დროის ყველაზე დიდი მტერი აღმოჩნდა!), დახსნა. იმასაც ხედავდა, ამის გაკეთება უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე არაბების, თურქების, მონღოლების და ქრისტიანი ბიზანტიელების ზეობისას მოხერხდა, რადგანაც ქართულ სახელმწიფოებრიობას ასეთი სიძულვილით არავინ ებრძოდა (ბიზანტიამაც ვერაფრით მოინელა, რომ დავით აღმაშენებელმა მეფის წითელი წაღები ჩაიცვა), როგორც ამას რუსეთი სჩადიოდა. ეს არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ერი, არიქა, ქართველები არ შემეცილონ მესამე რომის იდეაშიო (რომლის ფლაგმანი, ბიზანტიის დაცემის შემდეგ ისტორიულად საქართველო უნდა გამხდარიყო), ყველა ხერხით უთხრიდა ძირს ქართულ სახელმწიფოს.

ასე სჯიდა: „ახლა უნდა პრეზიდენტს მხარში დგომა, თორემ თუ ისეთივე კირკიტი დავიწყეთ, როგორც ეს პირველი პრეზიდენტის დროს მოხდა, ქართული სახელმწიფოს იდეა სამუდამოდ დასამარდება და მესაფლავედ უკვე კავკასიონის ქედში გამომძვრალი რუსეთი მოგვევლინება."

კიდევ სცადა პრეზიდენტთან დაკავშირება — კვლავ ყრუ კედელი. მესამედაც მისწერა და ისევ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უთხრა სიმართლე. კვლავაც დუმილი. მაგრამ, როცა ერთ-ერთ მიღებაზე პრეზიდენტმა ხელი სახალხოდ ჩამოართვა და უსაყვედურა — სად დაიკარგეო, იფიქრა: იქნებ ჩემი არც ერთი ბარათი ადრესატამდე არ მისულაო. მერე ეჭვმაც შეიპყრო — იქნებ გაითამაშაო, ვერც ერთი ვერ დაიჯერა და გადაწყვიტა ემოქმედა.

შეფიცულებს ჩამოუარა — რამე ვიღონოთ, გავაგებინოთ ამ ბიჭებს, თავსაც დაიღუპავენ და ქვეყანა ისევ არამზადების სათარეშო გახდებაო. შეფიცულებმა წელი ისეთი სიზანტით აითრიეს ბედშეგუებულებს რომ ახასიათებთ.

განათლების მინისტრმა, მეტსახელად ხალხი უწიგნურობისათვის — „სანტექნიკოსს" რომ ეძახდა, მათთან გასაუბრებაც არ იკადრა, მოადგილეს გადაულოცა, მოადგილე კი ისეთი ტონით ელაპარაკა, თითქოსდა ეუბნებოდა: თქვე აცუნდრუკებულო ბეხრეკებო, კუილი ველარ დაგიჭერიათ და ჩვენი ახალი კურსის გამგებლები ხართო?

ერთი სიტყვით, რევოლუციის წინ სხვებს რომ ეძახდნენ „ბაბუინებს" ახლა თავად მიეყოთ ხელი ბაბუინობისათვის.

მელანქოლიამ შეიპყრო, სახლში ჩაკეტილი, ოთახიდანაც არ გამოდიოდა. ჰო, სულ დაგვავიწყდა, რევოლუციის მეორე დღესვე მინისტრი — მეორე ნახევარი — სახლში გამოუშვეს, გამოუშვეს და ილუზიაც არ დაუტოვეს, რომ ოდესმე სამსახურს იშოვიდა. თან მიანიშნეს, ჭკუით თუ არ იქნები სატუსაღოს კედლებს გალესინებთო (იმ პერიოდში ყველა ყოფილ თანამდებობის პირს იჭერდნენ, ფულს მიატანინებდნენ და უშვებდნენ). კიდევ კარგი, ორივე ბიჭი საზღვარგარეთ მოღვაწეობდა, თორემ, ვინ იცის, რას დამართავდნენ.

უმუშევრად დარჩენილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს კარგა ხანს თვალს არიდებდა, სიტყვასაც არ უცვლიდა ერთმანეთს, მაგრამ როდემდის?! ერთხელაც ქალმა კარი შემოაღო და უკმეხად უთხრა:

— ტელევიზორს ხმა დაუწიე, ყურები

გამომეჭედა.

ქალის უხეშ ტონს წაკამათება მოჰყვა, რაზეც ცოლადმობრუნებულმა იფეთქა და გეზელქორივით დააცხრა:

— შე უქნარავ, არაფრის მაქნისო, ხომ მიაღწიე საწადელს, ხომ დამსვი სახლში და თავადაც უსაქმურად გდიხარ, — დაინახა ქმარმა გულზე ხელი საეჭვოდ მოისვა, — დღესვე გული რომ გაგისკდეს ღირსი იქნები. არ გეგონოს, შენს გადასარჩენად თითი გავანძრიო, კაი ბაგაზე მყავდი დაბმული და რატომ ვერ შეიშთვინეო.

შეტევის დაწყების პირველი წამიდან მოთმინებით უსმენდა, თუმცა ზიზღი და სიძულვილი ყელში აწვებოდა და როცა ქალმა ბაგაზე დაბმა ახსენა, მოთმინებამ საბოლოოდ უღალატა.

ქალი მაშინ მოვიდა გონს, როცა გაწნულმა სილამ ლოყა წითლად აუვარვარა. შეცბა და შედრკა, ქმარს თვალებში ჩახედა და იქ ისევ ის ვაჟკაცი დაინახა, რომელიც ასე უყვარდა, რომელსაც დანებდა და რომელსაც მთელი ცხოვრება ეჯიბრებოდა.

რაღაც ამოილუღლუღა და მოწყვეტით ჩაეშვა სავარძელში. სიტყვის თქმა დააპირა, მაგრამ არაცნობიერიდან უკარნახეს, რომ ყველაფერი დამთავრდა და მოთქმით ატირდა.

საერთოდ, სიყვარული და სიძულვილი ადამიანს თავისი ჭეშმარიტი არსის შეცნობაში ეხმარება, მაგრამ ვაი იმ ჟამს, როცა ეს ორი გრძნობა ერთმანეთში გადაიხლართება. ეს არათუ დასასრულია, არათუ ტრაგედიაა, არამედ ორი სამყაროს აფეთქებაა.

ორივე მიხვდა — ცხოვრების რინგზე გონგმა ჩამოკრა. მატჩი დასრულდა, ცხოვრების ტატამზე პაექრობამ ორივე დაამარცხა და ორივე სრულმა სინანულმა მოიცვა. იმ წამს ორივემ დაინახა, რომ მთელი ეს ხანი რაღაც თავისებური, უცნაური გრძნობით ყვარებიათ ერთმანეთი (და ახლაც უყვარდათ), რას არ მისცემდნენ, დრო ხუთი წუთით უკან რომ დაბრუნებულიყო. ახლაღა გაიცნობიერეს, ისიც ბედნიერება ყოფილა, თავთავიანთი ოთახებიდან ქურდულად რომ უთვალთვალებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

თავისი ნივთები მოყარა, ჩანთაში ჩაჩურთა, სახლის გასაღები სავარძელში კუტად ქცეულს ფერხთით დაუგდო და თვალი უკანასკნელად შეავლო — შეეცოდა, ძალიან შეეცოდა, მაგრამ გამეხებამ მაინც თავისი გაიტანა.

ძველ, მიტოვებულ ბინას მიაშურა. კარი მიიხურა და საწოლზე მიეგდო. დროის შეგრძნება დაკარგა. გათენებამდე ასე თვალდაჭყეტილი იწვა. განთიადისას გადაწყვიტა გონების დღიურის ჩანაწერები ქაღალდზე გადაეტანა, ნამდვილ დღიურებად ექცია — ეს იქნებოდა მისი ჭეშმარიტი აღსარება. აღსარება მეობის და თვითობისა. პირველი ფრაზა უცბად ჩაინიშნა: „ჩემი ცხოვრების ბედაურები ლაფში ჩაფლულან და არ ვიცი, თავს დააღწევენ თუ სიმონ პირველივით ვერაგი ბედისწერის მოგზავნილები მოგვისწრებენ და მეც დარჩენილი დროის გატარება „იედი-ყულის" ციხეში მომიწევს. პატიმრობას კი გავუძლებ?" ვერა, ვერ გავუძლებ, — უკვე ზეპირად გასცა პასუხი. სუნთქვა გახშირებოდა, ტახტზე წამოწვა. გაახსენდა მეორე ინფარქტიც ასე წამოეპარა. გაირინდა. გულის ცემას მიაყურადა. საბედნიეროდ, პულსაცია ნელ-ნელა კალაპოტში ჩადგა და გულიც ჩადგა საგულეში. დედა გაახსენდა — ამ სიტყვებით აწყნარებდა ხოლმე აფორიაქებულ, დამფრთხალ, პატარა ბიჭს. ნაღველში დაიძირა და დიდხანს დაბორიალობდა მოგონებებში. შუადღე გადასულს მომჯობინდა — „ძნელი ყოფილა აღსარების თქმა", გაიფიქრა. ტელეფონს გადაწვდა, კულტურის მინისტრის მისაღებში დარეკა და აუდიენცია ითხოვა. არა სცალია და უახლოეს ხანებში ვერც მიგიღებთო, — უპასუხეს უკმეხად. მაშინ პრემიერ-მინისტრის სამდივნოში გადარეკა, კარგად იცნობდა პრემიერს — სტუდენტი ბიჭი პირველად მან დააკვალიანა. აქაც, მართალია ზდილობიანი, მაგრამ მაინც უარი მიიღო. სიმწრით ჩაეცინა და კიდევ ერთხელ (ადრე ეს პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს უთხრა), მოუწია იოანე მოციქულის სიტყვების გამეორება: „თავიასიანებთან მივიდა იგი, და თავისიანებმა არ მიიღეს იგი". ისევ დღიურს მოუბრუნდა, ჩაწერა: „სამშობლოს ხელისუფალი ხელს რომ აუკრავს და თავისიანს, თავისიანად არათუ მიიღებს, არამედ დაამცირებს, ღირსებას შეულახავს, ასეთი კაცი შეიძლება სამშობლოს წინააღმდეგ წავიდეს და ახლა მესმის გიორგი სააკაძისა, რომელმაც რა არ გაიღო საკუთარი ქვეყნისთვის და მერე ამ ქვეყანამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ ხმალიც კი აღმართა მის წინააღმდეგ. იყო ასეთი კაცი ანათემას გადასაცემი? მე მგონი არა." წერტილი დაუსვა, რაღაც მოუსვენრობის გრძნობა დაეუფლა. მალე რომელიღაც იმპულსმა ამცნო — ცდებოდა, ასე რომ სჯიდა. „სამშობლო ხომ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და მის წინააღმდეგ წასვლა არც ერთ შემთხვევაში არაა გამართლებული!" — შეეპასუხა საკუთარ ნააზრევს. ჩამოჯდა, ჩაწერილი გადაიკითხა, ხმამაღლა თქვა: არა! ნაწერი ამოხია, ნაკუწებად აქცია. ფანჯარა გამოაღო, გადაყარა. იცოდა, ამ ომში თუ გამარჯვებული არ გამოვიდოდა, წასული იყო მისი საქმე და მაშინ იმ ნაკაცართა რიგებს შეუერთდებოდა, თბილისის ბაზრობები, სამიკიტნოები და თავშესაფრები რომ გაევსოთ. „ნეტავი რომელი საათია?" — ჰკითხა თავს და წამს გალაკტიონის სტროფი გამოეხმიანა:

„სამის შეიძლება იყოს მესამედი,
მაგრამ ხედავ, მაინც წყვდიადია,
კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე —
რომელი საათია, რომელი საათია..."

ავად ჩაიღიმა, გაიფიქრა — მალე წასვლის საათიც დადგება. სასოწარკვეთამ მოიცვა. მეუღლე გაახსენდა, ბათუმის სასაფლაოზე რომ განისვენებდა. ყველაზე უფრო ის დაუდგებოდა გვერდში. მხოლოდ მისი განუმეორებელი სიმშვიდე დააშოშმინებდა. გულგატეხილობამ თავის საკანში გამოკეტა, კარი საგულდაგულოდ ჩაურაზა და საწოლზე მიაგდო.

დღე ღამეს მისდევდა, ღამეს — დღე, ეს კი უხმოდ გაშტერებული ეგდო საწოლზე. გახდა, ჩამოდნა, მაგრამ ყურადღებას არაფერს აქცევდა. საშველი მოულოდნელად ტელეფონიდან მოვიდა; ტელეფონმა იმდენი რეკა, იძულებული გახდა ყურმილი აეღო. ასე შეიტყო, რომ მავანს, მის ტოლსა და სწორს გული გასკდომოდა, მავანს ტვინში სისხლი ჩაექცა, ვიღაც აივნიდან გადახტა, თუ მტკვარში გადაეშვა... მისი კბილა ბიჭები და არა საპყრები, როგორც ზოგიერთმა უწოდა, პანტაპუნტით ტოვებდნენ ქვეყანას. სამზეოს ემშვიდობებოდნენ ისე, რომ ამ შესანიშნავ პიესე-

ბიდან სპექტაკლის გამართვა არ მოხერხდა.

უცნაურია, მაგრამ მდგომარეობიდან პანაშვიდებზე და დასაფლავებებზე სიარულმა გამოიყვანა. პანაშვიდის და ქელეხის დარბაზები სადისკუსიო კლუბებად გადაიქცა, სადაც გაუმართავი სპექტაკლები გულს იოხებდნენ, მაგრამ როცა აღმოაჩინა, პანაშვიდები და ქელეხები, მისი ცხოვრების ყოველდღიურობად ქცეულიყო, შეცბუნდა, სერიოზულად შეცბუნდა. ძალები მოიკრიბა — პირველი ცოლის ვნება და მეორის შეძახილი მჭირდებაო, — წაეანგლა თავს და ცოცხლად დარჩენილ ტოლ-ბიჭებს კიდევ ერთხელ ჩამოუარა, იმათ მიაკითხა, კომუნისტურ ბნელეთს რომ არ უშინდებოდნენ და დამღიან მხეცთან ბრძოლაში ფსონად საკუთარ სიცოცხლეს დაუფიქრებლად დებდნენ სასწორის პინაზე. ლამის ვერც ერთი ვეღარ იცნო — მთელ თბილისში ცნობილი ვაჟკაცები ისე დაეჯაბნა ცხოვრებას, ეგონა, ვიღაც სხვა კაცები ესალმებოდნენ, ეხვეოდნენ. უმძიმეს ყოფას შეგუებულთა შუშის თვალები ერთ დიდ განურჩევლობას ასხივებდნენ. გენიალურია რუსთაველი — იგი მიენდო სოფელსა, ვინცა თავისა მტერია. სოფელს მინდობილნი საკუთარ თავს მტრებად მოვლენოდნენ, მხრებჩამოყრილები თავს (ხშირად უაზროდაც), აქიცინებდნენ. უნდოდა შეეძახა — რა მოგვიდათ, ძმებო, ჩვენ ხომ ჩვენი სათქმელი ბოლომდე არ გვითქვამსო, მაგრამ მიხვდა — ისინი უბრალოდ დააქიცინებდნენ თავს, გაუღიმებდნენ და ქელეხის სუფრას მიუსხდებოდნენ. ქელეხის სუფრაზე სიარულს იმათაც მოუხშირეს, ვინაც არომატულმა რევოლუციამ სავარძლიდან გადმოყარა და მსუყე ლუკმა გამოაცალა, მაგრამ ისინი ამ პოლიტიკურ კლუბად ქცეულ მუქთა პურმარილზე ტკივილის გასაზიარებლად კი არ მოდიოდნენ, არამედ შხამისა და ბოროტების დასათესად დაძვრებოდნენ. მოგისხდებოდნენ გვერდზე და იმ საშუალებებზე გიყვებოდნენ, რომელსაც ქვეყანაში ისევ დიდი ღამე უნდა მოეყვანა, მაგრამ ამას ისეთი აფერადებით აკეთებდნენ, რომ კარგ მხატვარს შეშურდებოდა. მეხუთე კოლონა ლამის ღიად ირჯებოდა, მაგრამ ხელისუფალთ ლუსტრაციის კანონის გაგონება მაინც არ უნდოდათ. რევანშისტებმა კი მოსკოვს სიარულს მოუხშირეს. ეს მოღალატეები, ზუსტად იმ გზას იმეორებდნენ, შუა საუკუნეებში ქართველი შადიმანები რომ გადიოდნენ, ოღონდ ჩრდილოეთის მაგივრად სამხრეთისაკენ. რიგში ჩამდგარნი, სპარსეთის შაჰის კარზე ისფაჰაანში, თუ თურქეთის სულთანის კარზე სტამბოლში, ერთნაირად ეხვეწებოდნენ დამპყრობლებს — მოგვეცით ჯარი, დაგვიჭირეთ მხარი და ნახავთ რარიგ ავაოხრებთ საქართველოს და როგორ დაჩოქილს მოგგვრითო! თანაც ერთმანეთს თვალებს უბრიალებდნენ და შაჰსა თუ სულთანს ყოველგვარი ბინძური მეთოდებით (რა თქმა უნდა, საქართველოს ხარჯზე) უმტკიცებდნენ ერთგულებასა და შეუცვლელობას. მოსკოვში მორბენალნიც ამ არამზადათა კოჰორტის ჩამომავლები ბრძანდებოდნენ, და ისინი, ერთი ჯიშის ნაძირლები, ოცდამეერთე საუკუნეში არათუ განსხვავდებოდნენ წინამორბედი იუდებისგან, არამედ ღალატის დიაპაზონში აჭარბებდნენ და სჯაბნიდნენ კიდეც, შუა საუკუნეების წყეულ წინაპრებს. ნიღბად კი საქართველოს ინტერესები აეკრათ პირზე. ეს როგორც იუდას ჩამომავლებს ეკადრებოდათ. იუდამაც ხომ ქრისტეს გაყიდვა ქრისტესავე ინტერესებით გაამართლა. და ესენიც, როგორც მაშინ, საუკუნეების წინ, დღესაც აცხადებდნენ: (ადრე სპარსეთისა და თურქეთის), რუსეთის, ჩვენი დიდი მეზობლის გარეშე, საქართველო ვერ იარსებებსო. ასე რომ, მარადიულად უცვლელია მოღალატის ლოგიკაც, ფანტაზიაც და უზნეობაც. საქართველომ კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაარკვიოს ვინ-ვინ არის, მიხედოს თავის გზას, მოეშვას გულუბრყვილო "ჩერჩეტივით" პირღია სიარულს, თორემ...

ხალხმა მასობრივად ეკლესიას მიაშურა. ახლა მხოლოდ უფლის იმედიღა ჰქონდათ. რწმენა ბევრისათვის გადარჩენის საშუალებად იქცა და ლამის ფანატიზმამდე მივიდა. ეს კლერიკალებმა პოლიტიკაში ჩარევის საბაბად გამოიყენეს და ეკლესიამ პოლიტიკური ფუნქციის მითვისება დაიწყო. გაჩნდა საშიშროება, რომ ხელისუფალთ საერო სახელმწიფოს სადავეებს ის ადამიანები შეეცილებოდნენ, ვისაც ანაფორა ჩაეცვა და საეკლესიო კატეხიზმოს განუხრელი სიმკაცრით ნერგავდა. მათი სიტყვა უაპელაციოდ უნდა ყოფილიყო მიღებული, მკაცრი (ხშირად სასტიკიც) სასჯელიც კი უსიტყვოდ უნდა შეგესრულებინა, სისასტიკე რომ უფლისთვის უცხოა, ამას არაფრად დაგიდევდნენ. საქმე ისეთ აბსურდამდე მივიდა, რომ მართლმადიდებლობა, ქრისტიანობის ნაწილი და შტო, ლამის ცალკე რელიგიად ცხადდებოდა. ყველა ქრისტიანული კონფესია მართლმადიდებლობის გარდა, მწვალებლობად აღიქმებოდა და მათ წინააღმდეგ ლამის ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოეწყოთ. ეკლესიის ზოგიერთი მსახურნი იმას სჩადიოდნენ, რაც ქართულ ეკლესიას შუა საუკუნეებში არ ჩაუდენია. ჩვენ ხომ ტოლერანტობით გამოვირჩეოდით, ახლა კი ყველას ქოქოლასა და წყევლას უთვლიდნენ.

ქვეყანა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაეშვა და მშველელი არ ჩანდა. როცა ერთ-ერთი ქრისტიანული, ოღონდ არამართლმადიდებლური დღესასწაულის (უფრო გართობის) ჩატარების წინააღმდეგ აქოჩრილ ფანატიკოსებს წინ გადაუდგა და სალაღობოდ გამოსული ახალგაზრდები არ აცემინა, სულ ჯოხები უქნიეს და საცემრად იწიეს. არადა, რიტუალს, რომელსაც ეს ახალგაზრდები ასრულებდნენ ვერაფრით განასხვავებდით ბერიკაობისა თუ ჭიაკოკონობისაგან, მაგრამ სარბიელზე გამოსული კლერიკალი თავის კონფესიურ დიქტატურას ამყარებდა, არაფერს დაგიდევდათ და ახალ კერპს ჰქმნიდა. თუმცა მაცხოვარი მთელი კატეგორიულობით აფრთხილებდა ცოდვილთ — არა დაისვათ კერპიო, მაგრამ ვინ იყო გამგონი — ახლა ეს აძლევდათ ხელს და, მაშასადამე, ეს იყო სწორი.

მანაც თავი ჩაქინდრა და ერთ-ერთ შეფიცულს, რომელსაც ხელისუფლება წყალობდა, საყვედურის ტონით მიმართა: ქართული სახელმწიფოსთვის პარლამენტს გარეთ დარჩენილებს არავსიზე ნაკლებად არ გვიბრძოლია და როგორ შეიძლება ჩვენი ასეთი იგნორირებაო. პასუხად მიიღო: თუ რამეს აკეთებდით, თუ იბრძოდით, თქვენი სამშობლოსთვის იღწვოდით და ახლა რა სამაგიეროს მოითხოვთ ჩვენგან, ჩემო ბატონოო. ამ პასუხმა ისე გააცხარა, ლამის საკუთარი თავის კონტროლი დაკარგა, მაგრამ თავს მოერია და რაც შეეძლო დინჯად შეეკამათა: „სამშობლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეა დედის იდეის ტოლფასია და, შვილი კარგად რომ მოიქცევა, დედა აუცილებლად თავზე ხელს გადაუსვამს, შეაქებს, შეიძლება ეამბოროს კიდეც თავის ნაშიერს, ყოველ შემთხვევაში, მადლობას მაინც გადაუხდის, თქვენ კი ბოროტი დედინაცვალივით გვექცევით". იმ დღიდან იმ შეფიცულის სახელი აღარ უხსენებია — დაკარგულად გამოაცხადა და სიმბოლურად ჭიქაც წაუქცია.

მარტოდ რომ რჩებოდა, გაგულისებული საათობით სცემდა ბოლთას, მაგრამ რევანშისტების ბანაკში ვერ გადაბარგდებოდა, ეს ზუსტად იცოდა. ნომენკლატურის რევანში სახელმწიფოსთვის კატასტროფად გადაიქცეოდა და ისედაც დეგრადაციის შარაზე დამდგარი ერი საბოლოოდ დაიქცეოდა, რასაც ასე ელოდა საქართველოს დაუძინებელი მტერი ჩრდილოელი დათვი.

საქართველოს სახელმწიფო — ეს მარადიული გეიზერი, გამყინვარებულ ჩრდილოეთს ჭირის დღესავით სძულდა, მაგრამ ფაქტზე წასწრებული ბოზი ცოლის არ იყოს, არაფრით აღიარებდა ამას. საქართველო კი გეიზერად ყოფნას აღარ სჯერდებოდა და ვულკანად უნდოდა ქცევა. რუსეთს ცოფი ერეოდა (ქვეშაც ისვრიდა), ემანდ სხვა დაჩაგრულ-დაპყრობილ ერებსაც არ მოუნდეთ და მოესურვოთ თბილ დინებად ქცევაო, — წართმეულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აღარ სჯერდებოდა, ქვეყნის გულის — თბილისისკენ მოიწევდა.

ამის თვალს ეს როგორ გამოეპარებოდა. ხედავდა შავ სუდარას — ქვეყნისათვის რომ იკერებოდა, მაგრამ მარტო რას გააწყობდა. თავის დოსტების შემხედვარემ, მანაც ხელები ძაბუნად ჩამოყარა. ამ ქვეყნისთვის ზედმეტი გამხდარიყო, წასასვლელი კი არსაით ჰქონდა. როცა გაიგო მისი სიყრმის მეგობარი, რომელთან ერთად აბრუნა ცხოვრების დოლაბი, საიდუმლოდ ბერად აღკვეცილიყო, საშინლად აფორიაქდა — თავის ყოფა იმ შუქნიშანს აგონებდა, რომელზეც მწვანე შუქი ჩამქრალა, ყვითელი უძლურად ციმციმებს და სადაცაა წითელი აინთება.

ყოველივეს დიდი უბედურებაც დაემატა — მის ძმას ფილტვის კიბო აღმოაჩნდა და დიდმარხვის დღეებში გარდაიცვალა.

ჩაკვდა. ჩაკვდა, როგორც კაცი; ჩაკვდა, როგორც პიროვნება, ჩაკვდა და ლეშად იქცა. ცხოვრება ნაკარტუტად გადაექცა. ლოდინი, ლოდინი ხვალინდელი დღისა, ლამაზად იმედსაც რომ ეძახიან, სიცოხლეზე ადრე გარდაცვლილიყო. ლეშად ქცეულს სიკვდილისთვის მოეგო მარათონი, რადგანაც მოარულ გვამთან მისი გამოცხადება ვეღარავის შეაშინებდა. აწი გინდ მობლაყუნებულიყო და გინდ არა — მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — სიკვდილისთვის დაესწრო და გარდაცვლილიყო. ასეთი რამ მითებშიც არ გაეგო.

ეკლესიური რომ ყოფილიყო, მეგობრის კვალს გაჰყვებოდა და სადმე გადაკარგულ მონასტერში გააგრძელებდა არსებობას, მაგრამ ალქიმიკოსად შობილი კეთილი ქრისტიანი ვერ გახდებოდა.

იმ ღამეს სიზმრად მამლუქები გამოეცხადნენ. რატომ, საიდან მოვიდნენ, რა უნდოდათ, ვერ გაეგო. საბრძოლოდ აღჭურვილები ისხდნენ და ვიღაცას ელოდნენ. იქნებ მას? მამლუქებთან რა აკავშირებდა? არაფერი. არც საერთო ჰქონდა მათთან და არც არასდროს ყოფილა მათი ცხოვრებით დაინტერესებული. ის კი არადა, პირამიდებთან განთქმულ ბრძოლაში, სადაც ნაპოლეონმა დაასამარა მამლუქთა დიდება, პირველი კონსულის მხარე ეჭირა და ახლა საიდან გამოჩნდნენ? მასთან რა საერთო ჰქონდათ? გაოცებას ვერ ფარავდა, მაგრამ ეს ზმანება რაღაცაზე რომ მიანიშნებდა, ამას ცხადად, მთელი არსით შეიგრძნობდა. ერთი კვირის თავზე სიზმრად ახლა სფინქსმა „მოინახულა", ამეტყველებული თვალებით რაღაცას ანიშნებდა. იქნებ საიდუმლოს? იქნებ, ისტორიის სიამაყეს ადგილზე უნდა ხლებოდა — საიდუმლოს გასაშიფრად?! გაურკვევლობის შიში მაჯლაჯუნასავით შემოაწვა და, ეგვიპტეში უნდა ნავიდე როგორმეო, ახირდა.

ქაიროში წითელ პარასკევს ღამით ჩაფრინდა. ძილში კვლავ მამლუქები გამოეცხადნენ. სფინქსი იქვე იდგა — იდუმალი მზერით ათვალიერებდა მეომრებს, მერე მზერა მისკენ გამოაპარა და მასში ჩაბუდებულმა საუკუნეთა ნაღველმა ისეთი სევდა მოჰგვარა, რომ არ გაღვიძებოდა, ალბათ, გული გაუჩერდებოდა. ვეღარ დაიძინა, მალე გათენდა. სიზმრიდან გამოყოლილი უჟმური მოსვენებას უკარგავდა. წაიხემსა და პირამიდებს მიაშურა.

იმდენი ჰქონდა წაკითხული პირამიდებზე, სურათებსა თუ ფილმებში იმდენჯერ ენახა და ეყურებინა, წარმოსახვაშიც იმდენჯერ გაეცოცხლებინა, რომ მათი ნახვა თუ კიდევ გააოცებდა აღარ ეგონა. მაგრამ თვალახელილი ბრმა ნათელს რომ დაინახავს და აღტაცებისგან შეკრთება, ეს რა დიდებული, დაუჯერებელი რამ ყოფილა ნათელიო, ისე მოუვიდა. უყურებდა კაცთა მოდგმის შექმნილ საოცრებებს და უკვდავებას იჯერებდა. ისტორიის სიამაყეს — სფინქსს მიუახლოვდა. მისი სიბრძნე ეფინებოდა არემარეს და ირგვლივ სასო მდუმარებას ამეფებდა. დიდხანს, დიდხანს შესცქეროდა და მის დაბერებულ ნაოჭადქცეულ სახეში მთელ ათასწლეულებთან ერთად საკუთარი ცხოვრების განვლილ წლებსაც ლანდავდა.

ისე მოსაღამოვდა, ვერ გაიგო. უკანასკნელი ტურისტული ავტობუსით დაბრუნდა ქაიროში. ერთხანს სასტუმროს მეოცე სართულის აივნიდან გადაჰყურებდა ღამის ქაიროს, არაბულად ალქაჰირად წოდებულს ადგილობრივები „მაშრ"-ად რომ მოიხსენიებენ, რაც გამარჯვებულს ნიშნავს. გაჰყურებდა დამარცხებული გამარჯვებულს და გული სწყდებოდა.

უცბად გაიაზრა, რომ მართლმადიდებლური აღდგომის ღამე იდგა და კოპტები, ეს ნაღდი ეგვიპტელები გაახსენდა. ისინი ხომ უძველესი მართლმადიდებლები იყვნენ და გაგონილი ჰქონდა, ქაიროში მილიონამდე კოპტი კიდევ ცხოვრობსო.

ვესტიბიულში ჩავიდა, მეტრ დოტელს ჰკითხა:

„აქ სადღაც კოპტების კვარტალია, ვერ მიმასწავლით, იქ როგორ მოვხვდე?"

„ოოო, მენაგვეთა ქალაქში გნებავთ? იქ დღეს დიდი დღესასწაულია."

„ ვიცი, მეც ქრისტიანი ვარ."

„ორთოდოქსი?"

„დიახ, ორთოდოქსი მართლმადიდებელი."

„მაშ, მოზეიმეებს უნდა შეუერთდეთ. მანსარდაზე ავიდეთ, იქიდან მთელი კვარტალი ხელისგულივით მოჩანს."

ლიფტისკენ წარუძღვა.

„მენაგვეთა ქალაქს რატომ ეძახით მათ დასახლებას?"

„შეურაცხყოფის მიყენება არც მიფიქრია. უბრალოდ კოპტები ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნების მონოპოლიას ფლობენ, რითაც კარგა გვარიან ფულს შოულობენ. იქ მღვიმეში, წმინდა სიმონის ისეთი ტაძარი ააშენეს, რომ თხუთმეტი ათასი ადამიანი ეტევა, — ლიფტიდან გადმოვიდნენ, — ნამყოფი ვარ, დამიჯერეთ, საოცრებაა."

„თქვენ ამას ამბობთ, მუსლიმი კაცი?"

„ვითომ რატომ არ უნდა ვთქვა. ჩვენ რომ მოვედით, ისინი აქ დაგვხვდნენ, ძირძველი ეგვიპტელები ეგენი არიან, ფარაონთა ჩამომავლები. დღეს ერთად უპრობლემოდ ვცხოვრობთ და ამით ვამაყობთ კიდეც, აქეთ მობრძანდით."

სპეციალურად ტურისტებისთვის გაკეთებულ ბაქანზე გაიყვანა.

„აი, მოშორებით, ასე სამი კვარტლის იქით, გაჩახჩახებული რაიონი რომ ჩანს, ეგ გახლავთ მენაგვეთა ქალაქი, ფეხით სულ რაღაც ნახევარი საათის სავალია."

„დიდი მადლობა. მაგ ქალაქის სიახლოვეს დიდი ტერიტორია ჩანს, ის რატომაა ჩაბნელებული?"

„ეგ მამლუქთა მიტოვებული სასაფლაოა. თუ სასაფლაოს გზით წახვალთ, უფრო მოკლე კია, მაგრამ არ გირჩევთ მაგ გზით წასვლას. მაწანწალების თავშესაფარია და შეიძლება კობრასაც გადაეყაროთ. დღისითაც კი ერიდებიან მანდ გავლას."

„დიდი მადლობა, თქვენგან დავალებული ვარ."

„რას ბრძანებთ: სტუმართან ვალი მოვიხადე, ეგ არის და ეგ. კიდევ ერთხელ გთხოვთ, ფეხი არ შეგიცდეთ მამლუქთა სასაფლაოზე."

ტანთ გამოიცვალა, აუჩქარებელი ნაბიჯით „მენაგვეთა ქალაქის" გზას დაადგა. სასაფლაოს რომ მიუახლოვდა, ფეხი აითრია, შედგა, რაღაც ძალა ანდამატივით იზიდავდა, უხმობდა. თითქოს ძახილიც შემოესმა.

„უნდა შევიდე, მართლა ჩვრად ხომ არ გადავიქეცი. რა უყავ შენი „იგავმიუწვდომელი გაბედულება", — ლამის დაცინვით შესძახა თავს, — ვინ იცის, რამდენი შენი თანამემამულე წევს აქ და საუკუნეები ელის, რომ ოდესმე აღდგომის ღამეს მოვა ვინმე ქართველი და მამაპაპურად ჩასძახებას საფლავში — ქრისტე აღსდგა, ბიჭებო, გიხაროდენ!"

ამ არგუმენტმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. საათზე დაიხედა, თორმეტი დაწყებულიყო. ნაბიჯი გაბედულად გადადგა. მიდიოდა და აკვირდებოდა აკლდამებს, რომელთაც ნათელ ღამეში მეტი სიკუშტე შეეძინათ. ქვებსა თუ მავზოლეუმის ტიპის სარკოფაგებს ყურანიდან ამოკრეფილი სურები ამშვენებდა, ეპიტაფიები მიცვალებულის ცხოვრებაზე ტკბილად ყვებოდნენ. მოზრდილმა, თაღისებურად გადახურულმა აკლდამამ დააინტერესა. შესვლა გადაწყვიტა. მობილური ტელეფონი მოიძია, სიბნელეში ამით გავანათებო, გაიფიქრა. გახსნა ვერ მოასწრო, ნაბარბაცდა და ჩანგრეულ აკლდამაში პირქვე ჩაეშვა. ჩავარდნის ელდას ვიდრე გაიაზრებდა, ძუძუსთავზე რაღაცამ უკბინა და სისინით გასრიალდა. სწრაფად ამოტრიალდა. ნაწილობრივ ჩამოშლილ ცას ჰკიდა თვალი. ცას სისხლისფერი ედო.

წამოდგომა არც უცდია, ერთხანს გარინდული იწვა. ნაკბენი ეწვებოდა, მწარედ ტეხავდა. შეამჩნია, ხელები უსივდებოდა. თვალებიც აუჭრელდა. ძალა მოიკრიბა, ცას რაღაც გაუთვითცნობიერებელი იმედით ახედა და უგზაკვალობა ეწვია. მიხვდა, მამლუქებთან მამლუქი მოსულიყო და, სიზმარიც გაახსენდა. მარტო თვითონ კი არა, ისინიც მამლუქები იყვნენ ახლა საქართველოში ყველასგან უარყოფილები სანთელს რომ ანთებდნენ, გალახულები მაინც ზეიმობდნენ და უფალს შენდობას სთხოვდნენ. დიახ, მამლუქები! სამშობლოს მიერ მედროვეებზე გაყიდულნი, ვერაგ დროების მიერ დამარცხებულნი და მაინც მისი მონები. და ახლა, აღდგომის ღამეს, ერთი მათგანი თავის დოსტებთან მოსულიყო, რათა აღსარებასავით ეთქვა თავისი თავგადასავალი, და მერე მათ გადაეწყვიტათ — შეარცხვინა თუ ასახელა მამლუქთა მოდგმა!

ღიმილისმაგვარმა გადაურბინა გათეთრებულ სახეზე.

გულის ჯიბიდან პასპორტი ამოიღო, რის ვაივაგლახით შარვლის ჯიბიდან სანთებელა ამოაცურა, აანთო. პასპორტი თავის სურათზე გადაშალა, რამდენიმე წამს უყურა, ცეცხლი ნაუკიდა. კარგად რომ აალდა და ხანძრად იქცა, რაც შეეძლო შორს მოისროლა. ალექსანდრე მაკედონელის ანდერძი გაახსენდა: ხელებგაშლილი დამასაფლავეთ, რომ მთელმა მსოფლიომ დაინახოს, რა მიმაქვს ამ ქვეყნიდანო — დაუბარებია მთავარსარდალს.

მიტკლისფერმა გაღიმებამ დაუფარა პირისახე. მიტკლისფრად იღიმოდა ვაჟკაცი, ბედისწერამ საკუთარი სამარეც რომ არ აღირსა და სხვისი საფლავის მოზიარე გახადა. ზეცას გაუშტერა თვალი. რაღაც შვების მაგვარს გრძნობდა. არაფერს დარდობდა, არაფერს. გამობრუნებას ხომ არაფრით დაუშვებდა. დედოზარის ხმა ჩაესმა, მენაგვეთა ქალაქში ზარებს აგუგუნებდნენ.

აღდგომა დამდგარიყო. ზარები გამალებით რეკდნენ და ქვეყნიერებას ამცნობდნენ ყველაზე დიდ სასწაულს, უფლის ძის მკვდრეთით აღდგომას. ჟრუანტელმა დაუარა, რადგანაც აჩრდილნი შენიშნა. დააკვირდა და იცნო. სიზმრად ნანახი მამლუქები მოდიოდნენ. მოდიოდნენ სამშობლოს მიერ გაყიდულნი, ცოცხლად გამოტირებულნი და დავიწყებულნი. აკლდამაში შემოვიდნენ, დასხდნენ, გულხელი დაიკრიფეს და გულსაკლავად გაშეშდნენ. ცივმა ნამმა დაუფარა მთელი სხეული, ჟრუანტელმა ისევ დაუარა და მთელი არსით შეიგრძნო — აღდგომის მადლი შემობრძანდა დაცემულ სულში.

მამლუქები წამოიშალნენ, ხმლები იშიშვლეს, ყმაწვილური ენერგიის მოზღვავება იგრძნო და ცხადად დაინახა — მასაც ცეცხლოვანი გორდა ეჭირა ხელში. ყველამ ერთად ყიჟინა დასცეს და ასე ყიჟინით გაემართნენ ახალი ბრძოლების გასამართად.

მურად ნიბერიძე

წიგნიდან: „ადამის წიგნი“

მანიფესტი

სიცოცხლე,
ბოლომდე რომ განვიცადო,
ჯერ ალბათ,
ბოლომდე უნდა მოვკვდე...

მილევადი —
ყოველდღიურობის ალბათობა,
მწარე ბალის გემოთი ცვლის
ცხოვრებაზე
ტკბილ წარმოდგენას...

შორეულდება
და გაუცხოებული,
აუმღვრეველი ნათლით მოსავს
ზმანებათა სიშიშვლეს...

*

ინერტული —
მოვლენათა განზოგადებაში ეძებდე
საკუთარი თავის გამართლებას
ძნელია,
როცა წარმოდგენაც კი არა მაქვს
არსებობის
საკუთარ რეალობაზე...

ცხოვრება რებუსებიდან
კიდევაც რომ ამეწყო,
მაინც ვერ შევიცნობდი —
ცდუნების საზღვრებში გამომწყვდეული
ჰარმონიის ლოგიკურობა
დღემდე
ურცხვად მიმალავს
ღვთაებრივი ნების გამოვლენას...
და მსგავსება იგივეობა რომ არაა
დიდიხანია შევეგუე
და როცა
საკუთარ თავს ვუმღერი,
თავდავიწყებაში განვიქარვებ
მოკვდაობის მარადიულ შიშს...

*

სურვილები,
მისწრაფებათა აბსტრაქციაში ფორმირდება
და დასაბამიერ მნიშვნელობას კარგავს
ცნებითი ერთგულებისათვის
გამხოლოებული
სიტყვები —
განსხვავებათა ნებით სამყაროში
სინათლის წელიწადის სიგრძე აქვს
გაფიქრებას...

შეგრძნებების კატეგორიულობა მაიძულებს
ინსტინქტურად მივდიო
მისწრაფებათა მიზანდასახულებას
და ვნებითი გადაწყვეტილებებით
მართული
შემზარავია,
რწმენის გარეშე,
მხოლოდ ცოდნით,
უზენაეს ღირებულებებისაკენ სწრაფვის
მისტერია...

*

ვაღიარებ:
ჩემი პარადოქსული დამოკიდებულება
რყვნის და აკნინებს
დასაბამიერ —
პირველყოფილ,
უმანკო ჰაეროვნებას
და დღემდე დაუნანებლად ვფლანგავ
ჰარმონიის მოჩვენებით თავისუფლებას...

შეცნობილს
გამჭვირვალე ნიღბები ავაფარე,
მაგრამ განდგომილებით
მაინც ვერ დავიცხრე,
შეუცნობლისკენ ლტოლვის
დაუოკებელი ჟინი
და საკუთარი წიაღიდან თავდაღწეულს,
ბასრი თვალსაწიერი,
მაინც უკუსვლას მაიძულებს...

და როცა განცდილი
და განცხადებული,
განწირულია გარდასულის შესამკობელად,
წარმავალს მივდევ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუსრულებელ მეტამორფოზაში
დასრულებულ საგნებზე ჯვარცმულს...

*

ორჯერ-ორის აქსიომატური ორიენტირი
მორყეულია და ტორტმანებს —
დრომ ვერ გაითავისა
და ვერც გადამალა
სინანულის გააზრების სიბრძნე...

და თუ მხოლოდ ხილვა
და შეხებაა
რეალობის წვდომის სიღრმე,
ვის გადავძახო ჰორიზონტს მიღმა...

თვალი ვერ წვდება
სულის უმძაფრეს უმანკოებას —
ჭეშმარიტებაში დავანებულ სისრულეს...

სიტყვის მაგია,
როცა გრძნობის რეზონანსია,
მხურვალე ვნება ვერ ეწევა
ზეცისკენ სხეულს...

*

არა
და არარაობა
არაფერს ამხელს
საკუთარ არარაობაზე —
სანამდე უნდა ვწუხდე კვარცხლბეკის
მიწიერებაზე მიჯაჭვულობას...

იქნებ
და ღირდეს,
პარადოქსის გავხსნა ფრჩხილები
და ერთად შევსვა,
შეუცნობელ მშვენიერებით,
შეცნობილი,
ცეცხლი და წყალი...

ავტოპორტრეტისათვის

გამოვლილ გზაზე სინანულის
ნაფეხურები მრჩება...

და...
ვბორიალებ —
ნათელბინდში მივეხეტები —
ეული მგზავრი,
უვიცობით გაოგნებული...

სნებაშეყრილი უძრაობიდან
წამოიმღვრა
და
სივრცეს მიკვალავს —
ელავს, გულით ამოძახილი:
ნეტავ სად ვიყავ, მაშინ როდესაც,
შენი ოცნება ღრუბელ-ღრუბელ ეხეტებოდა...

ძლივს დაველწიე —
სურვილების ფერადი ვნება,
ჩემში ესნრაფვის ერთ აზრად ქცევას —
დემონურია ხატი მძვინვარე...

ჩემი თვალების ცეცხლის ლაჟვარდში
წვიმას სწყურია დუმილად დანთქმა
და მელოდიურ მდუმარებით
ძველის
და ახლის
შენ სახეს მალავს სასოწარკვეთა:
გულს თუ არ შერჩა
ლტოლვის მიზანი
რა საჭიროა სულისთვის ფრთები —
თანაგანმცდელი უგრძესი ღამის
მიილევა
და ჩაქრება მთვარე...

ილუზიებით ოცნების მართვას —
ტანჯვას, ნუ მყვედრი
შენ შეგთხოვ ცაო...

გარდუვალობის მდინარებაში
ვინც განკაცდა
და განსხეულდა
და თავს ვერ ართმევს
ამ სხეულში ყოფნას და წუხილს...

ამ სიყვარულით
ნუთუ ბრმად და არაფრის გამო...

თოვლის ყვავილები მზეს

დუმილი მზარავს...

ცხადად თუ მალვით,
ცრემლი სწვეთს სიტყვას
და ბედისწერა —
გააფთრებული მომბღავის ზვავი,
გული სწყვეტს ძგერას...

დუმილი მზარავს...

მლაშე თან თბილი,
ცრემლი ჰგავს სიტყვას
და სიტყვა გლოვას —
მეძახის გიო —
ნანატრი შვილი —
ტყემლების თოვა...

დუმილი მზარავს...

დაფეთდა ფიქრი,
გულს დაუხლელი დაჟანგდა ტყვია,
ზეცას სდის სისხლი —
ატამი ჰყვავის —
აპრილის თვეა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთია ჩომსაძე

სისხლის ტბაში მოსუსავე ბედის ღებენდა

როცა შეხება გწყურია და როცა ეხები ამ წყურვილს, წამით თითქოს იმას გრძნობ, რისი განცდაც მხოლოდ სიზმრებში შეიძლება... ეს შეხება ისეთი ნაზია, ისეთი თბილი, რომ ყველას და ყველაფერს გავიწყებს ამქვეყნად... სევდიანად ელოდები თითოეულ სიტყვას, რომელიც ძალიან გსიამოვნებს... ო, როგორ გინდოდა ცხოვრებაში რაღაც ახალი, განსაკუთრებული, ყველაზე ლამაზი, შეუდარებელი და შენ ის მიიღე... მიიღე უცებ და უსასყიდლოდ... მიიღე და მუდამ გემახსოვრება...

სიყვარული არაა ისეთი გრძნობა, რომელიც წამებში ქრება, მაგრამ შენ არც გინდა, გაქრეს... გინდა, მუდამ არსებობდეს... თუნდაც ფიქრებში, თუნდაც წარმოდგენებში, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდეს... მუდმივი შეკითხვა:„რა იქნება შემდგომ?" და მუდმივი პასუხი: „ნუ ფიქრობ მომავალზე! იცხოვრე დღევანდელი დღით!"

— იცი, მე ახლა ძალიან მინდა, შენთან ერთად ვიყო და შენთან ერთად განვიცადო ის, რაც შენს ცხოვრებაში ხდება...

მაგრამ არსებობს უამრავი „მაგრამ", რომელიც არასოდეს მოგცემს მოსვენებას და შენ ისევ ჩუმად და რუდუნებით მოგიწევს ოცნება... ერთ დღეს ოცნებაც მთავრდება... ალბათ, როცა აგიხდება, ან უბრალოდ, როცა მიხვდები, რომ ახდენა არ უწერია... არ არსებობს ისეთი ოცნება, რომელზეც მთელი ცხოვრება იფიქრებ... ოცნებები იცვლება და ადამიანებიც... იცვლება გრძნობები შენს გულში...

ტელეფონის ზარი უკვე მერამდენედ გაყრუებს... გინდოდა, გქონოდა დიდი მომავალი... როცა გარდაცვლილთა სულებს იგონებდი, თეთრად ისუდრებოდი... როცა წარსულზე ფიქრობდი, — შავი ფერი ისადგურებდა...

მაინც გაგიჟებს ერთი და იგივე ფეხის ხმა, რომელიც მუდამ თან გდევს ზამთარსა თუ ზაფხულში, და შემდეგ, როცა მიიხურავ საკეტმონგრეულ კარს, მიხვდები, შენი ცხოვრება მეტი არა ყოფილა რა — მხოლოდ სისხლის ტბაში მოცურავე გედის ლეგენდა...

გარეთ თუ წვიმს, შენს სულში უცნაური სუნი იღვიძებს... ეს სუნი არ ჰგავს არც ასფალტისას, არც ბენზინისას, ეს უფრო მკვდარი მომავლის სასტიკი სურნელია, რომელიც ამის შემდგომ უკვე ყოველდღე შეგაწუხებს...

შენ იქცევი მტვრად, უფრო სწორად, ხარ... შენს ადგილს ყოველდღე სხვადასხვა თაღლითები და ფარისევლები იკავებენ... როცა თენდება, იცი, შენ კიდევ ერთი სანატრელი დღე მოგაკლდა ცხოვრებაში და, სამაგიეროდ, შენს გამო ერთი პეშვი ცრემლი დაიღვარა უაზროდ...

— რა არის სიყვარული?

— არ ვიცი...

— დიდი გრძნობაა?

— უშველებელი...

— ერთადერთხელ მოდის ცხოვრებაში?

— ჰო, ერთადერთია და განუმეორებელი...

— ტკივილს უნდა გაყენებდეს?

— არა, ცაში უნდა აჰყავდე ბედნიერებას...

— სიზმარია თუ ცხადი?

— სიზმარიც და ცხადიც... ეს თითქოს თეთრი ბინდია, სხეულის ჟრჟოლა, გულის ხმიანი ძგერა და მუდამ ერთი და იგივე დაუვიწყარი ხმა, ნაზი და ალერსიანი, იმედის მომცემი...

გარშემო ყველაფერი იდუმალია...

სიზმარი, რომელის უნდა დავივიწყო

— სად იყავი მაშინ?

— როდის?

— როცა მე მჭირდებოდი, გელოდი და შენი ჯერ კიდევ მჯეროდა. არ მეგონა, თუ ასეთი რთული იქნებოდა ამის გაძლება... შენს პატიებას არც ვაპირებ, მაგრამ სინანულის გრძნობა გამიჩნდა... საბრალო სინანულის გრძნობა... რა საშინელებაა...

საოცარი დილა იყო — ეს იყო დილა მშვიდობის, თავისუფლების, როცა ყველაფერი საზარელი მთავრდება და სინათლით იწყება ახალი ლამაზი ტალღა შენს ცხოვრებაში. ეს ისეთი

განცდაა, როცა თვალებს ახელ და გახსენდება, რომ ყველაფერი სიზმარში ნახე და შენს რეალურ ცხოვრებას არანაირად არ შეესაბამება. ალბათ, სულ რამდენიმე საათი გრძელდებოდა, მაგრამ შენთვის მთელი ცხოვრება. თითქოს მთელი კაცობრიობის სიბრძნე ამ ერთი, არაფრით განსხვავებული ღამის განმავლობაში ისწავლე. ჰო, ახლა დამთავრდა ეს წვალება, ახლა გათენდა და დაიმსხვრა ის უაზრო ზღაპარი, სადაც გამოგონილ და არაფრისმთქმელ გმირებთან ერთად, შენ და შენივე გამოგონილი სილუეტიც მონაწილეობთ. როგორც არ უნდა შეეცადო საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ისე არაა, როგორც იყო – ვერ მოახერხებ და თუკი ეს ზღაპარი, მთელი თავისი თავგადასავლებითა და გრძნობების მორევით, შენში დარჩა და ისე გიდგას თვალწინ, როგორც წინა ცხოვრებაში მომხდარი ამბავი, ესე იგი, ეს რაღაცის ნიშანია... ან ვიღაცის...

ახლა ხომ დილაა? შენ ნელ-ნელა ცდილობ დაარწმუნო თავი, რომ ყველაფერმა ჩაიარა, მორჩა. მაშინ რატომ დადიხარ ცივ და ბნელ ოთახებში ასე გაოგნებული და გაქვავებული?.. არაფრის კეთება არ გინდა, არაფერი გინდადა არავინ. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ აზრი არ აქვს. მალე, ძალიან მალე, შენ ამ ცხოვრებისგან გაქცევას მოიწადინებ, რადგან რაღაც ძალა გკარნახობს, რომ შორს, ძალიან შორს მთავრდება რეალურ და ირეალურ სამყაროებს შორის ზღვარი და ხდები განდეგილი, რომელიც უფრო მეტს წვდება ამ საიდუმლოებებში და ლაბირინთში იკარგება... ისევ სიზმარი...

ადრე სულ ტკბებოდი ამ მოშრიალე ფოთლებით, ფანჯარასთან რომ ფუსფუსებდნენ და ღელავდნენ, ახლა აღარ მოგწონს და აღარც ცდილობ ამის დანახვას. ადრე ზღვაზე მშვენიერიც არაფერი გეგონა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცდებოდი. მართალია, ზღვა ზებუნებრივია, უკიდეგანო, მჩქეფარე, მაგრამ ბოროტი. არასოდესაა წყნარი, არასოდეს გამშვიდებს, პირიქით, თავისსავით გაღელვებს. რატომ? რატომ აძლევ შენს თავს უფლებას ასე გაფიქრებინოს? რატომ ანგრევინებ ვიღაცას შენი ცხოვრების ლამაზ მოგონებებს? სიზმარი? ცხადი? შენ? მე?... ვინ?... – რამდენი შეკითხვა ჩნდება ერთდოულად? რისთვის?

დილა, რომელიც ულამაზესი გეგონა, თავისუფლებისა და სიმშვიდის მომტანი, თურმე დილაც არ ყოფილა, არამედ რაღაც გაუგებარი და არანორმალური. ო , ღმერთო, რატომ ბინდდება ასე თვალებში და არაფერი არ ჩანს, არცერთი ფერი...

სხვა რა დაგრჩენია?.. გაოგნებულ სველ თვალებს ხუჭავ და დიდი, დიდი ხანი არ ახელ, მაგრამ ეს ხილვა კი არ იყო! ეს სიზმარი იყო, რომელიც გინდა დაივიწყო. ასეთი ადვილი რომ იყოს დავიწყება, მაშინ კაცობრიობა მთელი თავისი ცხოვრების მძიმე მომენტებს დაივიწყებდა და ადამიანები გაღიმებული სახეებით შეეგებებოდნენ განთიადს, არანაირი წვალებითა და კითხვებით, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში აწვალებთ. მორჩა, თავს ძალა უნდა დაატანოს და ამაზე აღარ იფიქროს, კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი მომხდარს და წყალს გაატანოს, ვითომ არც ყოფილა.

შენ გქონდა არჩევანი, წაგეყვანა იქ ადამიანი, რომელიც ყოველთვის შენთან ერთად იქნებოდა და არასოდეს მიგატოვებდა, არასოდეს გიღალატებდა, რადგან „იქიდან" შეუძლებელია გაქცევა. ღალატი კი გაქცევაა! შენ უკვე ისწავლე და გინდოდა, მთელი შენი არსებობა ერთი ადამიანისთვის შეგეწირა, უკვე მზად იყავი. ზუსტად ის მომენტი იყო, როცა ყველაფრისთვის მზად იყავი და მან უარი გითხრა, უარი გითხრა იმაზე, რაზეც ოცნებობდა, იმაზე, რაც თავად უნდოდა ყველაზე მეტად. ასე გაუყევი ბილიკს მარტოდმარტო, ჩრდილების გარემოცვაში და უმძიმეს პირობებში. დრო ისე სწრაფად გავიდა, ერთ ამოსუნთქვაში მიხვედი და დაიწყე ახალი ცხოვრება, ოღონდ სულ მარტომ, მაგრამ უდიდესი ძალა გქონდა და ვერანაირი სევდა ვერ განიჭებდა იმედგაცრუებას. იცოდი, რისთვის აკეთებდი, რატომ აკეთებდი, რა მოჰყვებოდა. შენს ირგვლივ ერთადერთი ფრაზა ზუზუნებდა უიმედოდ: — „სად იყავი მაშინ?" მაგრამ ეს უფრო დიდ შემართებას გაძლევდა. შენ უკვე ყველაფერი იცოდი ცხოვრების სიავკარგეზე. იცოდი, ვინ გატყუებდა, ვის უნდოდა შენი ცუდად ყოფნა, შენი დამარცხება, შენი სიკვდილი. იცოდი, რა უნდა ყოფილიყო შენი მიზანი, რისთვის გებრძოლა. იცოდი, რომ სულ ჩუმად არ უნდა ყოფილიყავი, სულ სევდიანი. ეს ის ყველაფერი იყო, რაც მთელ სამყაროს აწუხებს.

ც ე ც ხ ლ ი ეკიდება ამ თეთრ ფურცელს. რა ნელა ალდება, მაგრამ სხვანაირად არცაა შესაძლებელი. მთელი ეს ცხოვრება არც ისე პატარაა, იმდენია მასში ლამაზი.სილამაზის განადგურება უფრო ადვილია, ვიდრე შენება, რადგან ამ აშენებას მთელ შენს შეგნებულ ცხოვრებას სწირავ და ერთ წამში ანგრევ.

წ ყ ა ლ ს მიაქვს ეს შენი ცხოვრება და გიტოვებს იმედს, რომ ერთხელაც ისევ შენთან დაბრუნდება, როგორც აორთქლებული წყალი, წვიმის წვეთად ქცეული.

ჰ ა ე რ შ ი ტრიალებს ახლა ეს სუნი, შენი ცხოვრების ახალი სუნი, ძველის დამარცხებისა და ახლისთვის საბრძოლველი, რათა გამარჯვებამდე მიგიყვანოს. რა ადვილი ყოფილა მოსპობა და განადგურება!

მ ი წ ა ს გინდა შეეხო, ცივ და სველ მიწას, სადაც შენი ცხოვრება დაიმარხება, როცა ამის დრო მოვა, როცა ერთდერთ ფრაზას წარმოთქვამენ შენი გაყინული ტუჩები და მის გულს სამუდამოდ აადუღებ.

„სად იყავი მაშინ? "

გიორგი გაბაძე

მატადორი

ამყვა თქვენი ნელსაცხებლის
სურნელი და გამაბრუა,
ამერია სინორჩეში
სილამაზის მაგივრობა,
განა ყრუ ვარ, თუ ცხოვრების
ხმამაღლობამ დამაყრუა !?
თებერვალმა სისხლძარღვებში
ფანტელები დამიგროვა.
მერამდენედ, სახის უკან
ვითამაშე ემოცია,
მერამდენედ გავექეცი
ნეგატიურ ზოდიაქოს,
სიშიშვლეზე რამდენჯერაც
ძოწეული შემმოსვია,
იმდენჯერვე პეტრესავით
მომყვებოდი შორიახლოს.
მომყვებოდი, თუმც წყურვილი
ჩემებრ დაგიოკებია?
გაზაფხულის დილის ნამზე
ენა დაგინწებია?
ახლა შენი ფიანდაზი
ეშაფოტის თოკებია,
ჩამომხმარი ფრთებია და
დამტვრეული ბეჭებია.
ახლა შენი გარდამოხსნა
შემოდგომით დაიწყება,
შეგრაგნიან სხეულს მწიფე
ღვინისფერი მეტაფორით,
სურნელება არასოდეს
მიეცემა დავიწყებას,
როგორც უწინ...
ხარის რქებით
გაღადრული მატადორი.

ლექსის რაინდო
(გენრის)

შენ შეიძლება არც გიფიქრია,
შენი ფიქრები ქარმა არია,
ნაპოეტრები სადღაც მიჰქრიან...
შენ სისხლში რჩები, რაც მთავარია!

შენ პოეტობა გეფიანდაზა,
გწამდეს, წარსულში უსამსალია,
ახლა პოეტობს ყველა ჯამბაზი,
ყველა მასხარა, ვისაც სცალია.

დრო დადგა დაჭკნეს ტრიფოლიატი,
შენში გენია თითქოს გაორდა,
უფალს ტარიგად სტროფებს მიართმევ,
თუ არ გაგისკდა მანამ აორტა...

თუკი განგებამ კვლავაც დაგინდო,
კვლავ აირეკლო სუნთქვაში ფრესკის,
შენ, საქართველოს ლექსის რაინდო,
მილენიუმი ხელთათმანს გესვრის.

სულების გასეირნება ანუ 1+1=1

(სულის სარკმლიდან მტრედივით შემოფრენილ
მამა პეტრე კვარაცხელიას)

უცებ რა მხსნელივით გამოჩნდი, მამაო,
ამ ჭურჭელს არავინ ავსებდა აქამდე,
(რომელსაც სულიერს ვუწოდებ ამაოდ,)
ნარჩევი კუნჭული იქ თქვენთვის გადავდე.
და ალბათ ამიტომ მოიჭრა ის სული,
რომელიც ზეცისკენ ფიქრებს გაჰყოლია,
გვეყოფა ორივეს კელია, ფიცრული,
იების - მელანი, ფურცლად - მაგნოლია.
გვეყოფა ორივეს განცდების გარეშეც
მოვტაცოთ ქარიტებს უშრეტი იდეა,
ზენაა, კაცი, თუ მუზათა თარეში,
ზღვასავით ურჩი და კლდესავით მშვიდია...
გასცდება ნაპირებს, ხეობებს აჰყვება,
გათელავს ჟვავივით დანამულ სანუთროს,
ბავშვივით მორცხვი და ბავშვივით თავნება,
ეცდება ლაჟვარდიც რომ დაისაკუთროს.
და ორი სხეულის ერთი ნაკვალევი,
ნაპირებს მიჰყვება, ოღონდ არ - ეულად,
სულთა ნატეხები რაღაც საკრალურად,
შერწყმულან და ორნი ერთში არეულან.
ზეპურად ნარჩევი სავანე გადავდე,
(რომელსაც თქვენს მერე არ ჰქვია ამაო,)
ამ ჭურჭელს არავინ ავსებდა აქამდე,
„ოსანა“, მხსნელივით გამოჩნდი, მამაო.

გენაცვალე-ს

გენაცვალე! განა რამე მეტი?
ვზივარ შენთან, გაზაფხული მქოჩრავს,
სურნელებით მომარიე რეტი,
მორჩა მოცდა და ლოდინიც მორჩა!
გენაცვალე! განა მეტი რამე?
მარწუხივით მომეკარი, — მბოჭავ,
ეს აღდგომაც გავა, როგორც წამი,
მერე მორჩა, უშენობა მორჩა!
გენაცვალე ! მეტი რამე განა?
ჩავეწვეთე თვალებს შენსას ნორჩებს,
ა, ყელი და გამომისვი დანა,
იქნებ ასე ყველაფერი მორჩეს!
გენაცვალე! განა მეტი რამე?
გაზაფხული, უკვე აღარ მქოჩრავს,
ეს აღდგომაც გაქრა, როგორც წამი,
ახლა მორჩა, ყველაფერი მორჩა!

გავა აღდგომა...

ახლა მზესავით მცივა სიშორე,
ბაბუანვერებს მიაქვთ მარტისთვე,
დღემდე რამდენი სახეც ვიშოვე,
ყველა უკლებლივ გავაარტისტე.
ახლა ზღვასავით მტკივა სიცივე,
ყოჩივარდები დამდნარ მარტის დღის,
რამდენჯერ - ცრემლებს მიღმა ვიცინე,
რამდენჯერ - ღიმილს მიღმა ავტირდი.
ახლა ბავშვივით მაკრთობს სიბნელე,
ღამის სიშავეც თითქოს გამრჩობლდა,
ვერ ავუდივარ დღემდე იმ ვნებებს,
ერთად ყოფნისას ჩვენ რომ გვახრჩობდა.
ახლა მუხლებში მტკივა ამინდი...
წვიმა — ნაპირზე ზეცის ტროპარი,
მერე ტუჩები როცა გამანდე,
ცოტა ზედმეტი კოცნა მოგპარე.
დღემდე ფიქრითაც მიჭირს მიღწევა...
წვიმას აპრილის ცივი ქარი ცრის...
გავა აღდგომაც... და ის ჯვრისწერა, -
შენ რომ მოხვალ და... მერე, არ ვიცი...

და მეც...

შემოიჭრები, როცა არ გელი...
თრთიან სიმები და პიანისტი
უკრავს და მღერის... აუტანელი
სიშორე ჩნდება, თუმც არ განვიცდი.
ამიტანია დღემდე ლურსმნებიც,
ხელის გულებზე, - ნაკვალევს ხედავ?!
შენ კი... რამდენჯერ გაილურსები,
წარსულში ჩემო შვილების დედავ.
არყოფნა შეცვლის დღეებით მორიგ,
იმ დღეებს, როცა გვწამდა ორთავეს,
ხოლო ტალღები სველ-სველი ჭორით
სანაპიროზე წარსულს მორთავენ.
შორს ჰორიზონტი თრთის და კანკალებს,
სადღაც შორეთში რეკენ ზარები,
ვერ შეგადარებ, რა ვქნა, სხვა ქალებს,
და მეც ვერავის შევედარები.

* * *

სლუკუნშიც გიცნობდი,
რატომ ვერ გათვალე,
პირიქით, გათვალე ან იქნებ,
გაუყვა ოცნება ცრურწმენის ნაკვალევს,
„ალიხე, მალიხე, სალიხე...”
დუმილზეც შეგიცნობ, სუნთქვის შეკავებით
ფილტვები უცებ არ გაიხეს,
გამომდე ოცნება მოდურ ხელკავივით...
„ალიხე, მალიხე, სალიხე...''
ნაცნობი ხმაურიც გაუცნაურფერდა...
წვიმა კი მძივებად აისხეს
ტუჩებმა. და ახლა ოცნებაც დაბერდა,
და ვუკმევ... „ალიხეს... მალიხეს!”

* * *

არავინ არ მიყვარს, საერთოდ არავინ!
მივტირი ზღვის უკან ჩაფერფლილ დაისებს,
დავდივარ ზამთარში, - მბჟუტავი ფარანით,
და ვეძებ, ვინც ასე არ მიყვარს; და ისევ...
არავინ არ მიყვარს, საერთოდ არავინ,
დარდისგან დალამბულ
ნაკვალევს ლანდების
მივყვები და ჩემი იშლება კარავი,
სულში კი იწყება პროცესი ანთების –
გზა და გზა, მივდივარ ფიქრებში და რავი
ასე თუ ველევი გრძნობების სიცხადეს,
მინდა, რომ ვუყვარდე საერთოდ არავის,
და მაინც მინდა, რომ ვიღაცა მიყვარდეს.

ერთი ჩაის კოვზი

ტანზე სუროსავით ლექსმა დაივანა,
სულის სამოსელი ქრისტე — იესოა,
სანამ დამთავრდება „შუაღამიანი”...
სანამ ქუთუთოებს ბინდი მიექსოვა,
ვამსხვრევ მდუმარებას ფორტეპიანოზე,
ახლა ბეთჰოვენი შეცვლის ჩაიკოვსკის,
ზეცას დაემართა მკვეთრი ციანოზი,
სისხლი ვუწყალობე ერთი ჩაის კოვზი.
ნაპირს შემახიზნა უპოეზიობამ,
სადაც ღრმად შეჭრილი ზღვაში კონცხებია,
ვწერ და ემოციამ ვერ იმსახიობა,
მწუხრზე აღვლენილი ყალბი ლოცვებივით.
ვსუნთქავ სახარებას,
ამინდს ნაგოლგოთარს...
ვგრძნობ, ეს სურნელება, მაშინ შემაწია
ღმერთმა, როცა ჩემში თომა დაგმო. ჰოდა,
მოხდა ყველა ეჭვის სრული კრემაცია.

ნანუკა ლალიშვილი

ღმერთო, ნატვრა ამისრულე

(მეუღლის ხსოვნას)

ვენატრები ჩვენს ქუთაისს,
ჩემი შვილების მამულეთს,
გეგუთს, ობშკვითს თუ ბალახვანს
ჩემს ფიქრებს რომ აპურებს,
იმერული ოდა სახლის ჭერს,
აივნის რიკულებს...
მუხიანის მუხნარები ეჭვიანად მიყურებს,
არ სჯერათ, რომ მართალს ვამბობ,
თუმცა მართლის ვარ მთქმელი,
მოგონების უღრანში
მათზე ფიქრით დავთვერი...
ვეჩქარები, მალე ვნახო
ყოველივე ნანატრი და ფერანი,
საღორიის ვერხვნარებში
გავიქროლო მერანით,
ვინახულო წისქვილები,
რიონში რომ ჩამდგარან,
შევატოკო ბუხრის ჯაჭვზე
დაკიდული კარდალა,
გელათისკენ შევუყვები
ბილიკს დაუზარებლად,
ერთხელ კიდევ გამაბრუონ,
მსურს გეგუთის ზარებმა...
უსათუოდ უნდა ვნახო
ძველ ციხეთა ბზარები,
წინაპართა საძვალეთი,
კვალი დინოზავრების,
მზერას ცისკენ გავაპარებ,
მკერდს მივიბნევ ღიღილოს.
რაც კი დამრჩა უნახავი
მსურს ყოველი ვიხილო.
ღმერთო, ნატვრა ამისრულე:
დამამგზავრე ამურებს,
ერთხელ კიდევ ჩამახუტე
ჩემი შვილის მამულეთს!

ვედრება

მე ვით გიშველო, რომ არ გაგთელონ,
ირგვლივ ველურთა ბრბო რომ გარტყია.
ო, საქართველო, ო, საქართველო,
გიცქერ ჩაჩოქილს, გულში ნატყვიარს.
იქნებ, ღვთისმშობლის ძალით იძალო,
შეინარჩუნო ძველი სინაზე,
იქნებ, გამაგრდე, იქნებ, იმძლავრო,
გაუმაძღარი მტრების ჯინაზე.
ისევ მოყვასმა უნდა მოგხედოს,
შენ ჭირთათამენას იყავ ჩვეული.
უფალო ღმერთო,
უფალო ღმერთო,
გადაარჩინე შენი რჩეული;
ნუ დაუკარგავ შვილებს სამშობლოს,
შენი სამწყემსო, ვიცი დიდია.
ლოცვა-კურთხევით,
ლოცვა-კურთხევით,
ლოცვა-კურთხევით გადაგიხდიან.
მაღალო ღმერთო, მაღალო ღმერთო,
იხსენ ქვეყანა, რომ არ გათელონ,
რომ ამირანის ცეცხლი კვლავ ენთოს
და მქუხარებდეს კვლავ საქართველო...

ძველი კაბა

სადაფის ღილით
გოგონას ვეძებ,
ერთ დროს ბანზე რომ ასკინკილობდა,
ლამაზი კაბის დაწინწკლულ კალთას
პეპელასავით აფარფატებდა...
ყოველწუთს „სანდლებს“ იპრიალებდა,
ეზიდებოდა წყაროს წყალს კოკით.
„კვახივით გასკდი, ჩიტირეკიავ“,
— თაქავდა ბებო, მაგიერ ლოცვის.

დრო ბერდებოდა, ხსოვნასთან ერთად
მემატებოდა დარდიც, ასაკიც...
ამ აღსარებას ტკივილი ბედავს,
მას რომ ვერ ვუთხარ ის, რაც ახლა ვთქვი.
ზოგჯერ გავხედავ წარსულის მთა-ბარს,
გასახსენებლად როცა მოვიცლი,
წლების ნაჩუქარ, ხავსისფერ კაბას,
ბევრიც რომ მსურდეს, ვერ გამოვიცვლი.

ციხის ნანგრევები

გორის ციხიდან ჩამოველ,
ნანგრევი ვნახე ძველი,
იმდენი სხივი ეფინა,
დათვლაც ვერ შევიძელი...
ამ დიდებული ტაძრიდან
გადარჩენილა ესღა,
კედლიდან შემომყურებდა
აცრემლებული ფრესკა.
ჰგავდა შორეულ დედოფალს
და მზეჭაბუკის სატრფოს,
მიცქერდა, მეკითხებოდა —
კიდევ რამდენ ხანს გავძლო?

***

ქუჩა-ქუჩა,
    შუკა-შუკა
ფიქრმა დარდებს უარა,
    ჩრდილებს,
    ჩრდილებს
დანაჩრდილებს
    ჩრჩილმა გადაუარა.
ჩემი გული მახრამ
    დახრა,
ძარღვი დაახვიარა,
სხვა გზა ნახა,
სხვის გულებში
სევდა გაახმიანა.
    ბედმა ახლაც,
    ბედმა ახლაც,
    ახლაც დააგვიანა!

ნოსტალგია

ყმაწვილქალობის კედლებს მოვქარგავ
ფერად-ფერადი ფარჩის კაბებით,
სათქმელს ცრემლებში მივკარგ-მოვკარგავ,
მერე გრძნობებში ჩავიკარგები.
ნადარბაზევის ტბასთან ავიგებ
ლიანების და ლერწმის მიწურებს,
და თუ ზეციურ ამბებს გავიგებ,
მისგან ავდარსაც არ დავიწუნებ.
წმინდა გიორგის მივალ საყდართან,
მის სიდიადეს გვერდს ვერ ავუქცევ,
ვისი სიცოცხლეც ტანჯვით გათავდა,
მოსახსენებლად ჭიქას წავუქცევ.
გამიტაცებენ სადღაც ფიქრები,
ვთხოვ უფალს, ღმერთო, გადამარჩინე,
რიდით და ლოცვით გავესიტყვები
პაპის და ბებოს წმინდა აჩრდილებს.
ლოცვა თავის გზას, ვიცი, გაიკვლევს,
თავს დამიხრიან, ნაზად შინდები,
მერე კი მკერდზე ხელებს დავიკრეფ —
ხელდაკრეფილი გავირინდები...

ლექსი კვიცივით გადამერია

ამ გაზაფხულზე, აპრილის თვეში,
როცა იღვიძებს დედაბუნება,
ეულად ვგრძნობდი თავს სამოთხეში,
ვნაღვლობდი მე შენს არდაბრუნებას.
გვიან გამოჩნდი და ამერია
საყვედური და რაღაც სათქმელი,
ლექსი კვიცივით გადამერია
და სიყვარულის ბანგით დავთვერი.
მივყვები ბილიკს ჭერმების რიგში,
მეიმედება — კვლავ სიზმრად გნახავ,
შენი დაკარგვის არა მაქვს შიში
და შენი მზერით სავსე ვარ ახლაც!

მაცალე

ცისა და მიწის შვილი ვარ,
დილის რიჟრაჟის მაყარი,
მუდამჟამ ფრთებგაშლილი და
გიჟი ქარების ამქარი.
კოლხეთის მიწის სუნთქვა ვარ,
ზღვაში ნაპოვნი ალმასი,
ნაკადულივით სუფთა ვარ
და სინდისივით ხალასი.
ისარს ნუ მესვრი, სიკვდილო,
ავი ჟამივით გულცივო,
მაცალე, ამ ჩემს ქვეყანას,
ცოტა ხანს კიდევ ვუცქირო!

ანა ყურშაკიშვილი

„ფეხსაცმელი ჩამაცვით“...

რამდენიმე დღეა, შიშით იღვიძებდა თუ ძილშივე ეშინოდა, ვეღარ ხვდებოდა ანიკო: „ვაითუ, აღარ სუნთქავს“... ფეხაკრეფით მიიპარებოდა 94 წლის მოხუცი, ავადმყოფი ქალბატონის ოთახისაკენ. კარს ოდნავ შეაღებდა, ჯერ მუხლებისაკენ გაიხედავდა, მერე ნელ-ნელა ააპარებდა თვალს მუცლამდე. „ჰო, მგონი სუნთქავს. არა, არა, სუნთქავს!“

მერე ისევ კალაპოტში დგებოდა ყველაფერი. „ისევ ცოცხალია, ღმერთო ჩემო, დიდება შენს სახელს. როგორღა ცოცხლობს ეს მოხუცი? მოხუცი კი არა, ჩონჩხად, ძვლების გროვად ქცეული ადამიანი“.

რა არ ნახა ათენში...

მომაკვდავის მოვლაც თუ შეეძლო, როგორ წარმოიდგენდა.

პირველად, სიკვდილს რომ შეეჯახა პირისპირ, 6-7 წლის იქნებოდა. შველივით ლამაზი, საყვარელი დეიდაშვილი, 27 წლის ესმა რომ გარდაიცვალა, ამშვიდებდნენ: ცაში მიჰყავთ ანგელოზებსო... დაიჯერა, მაგრამ უკვირდა, მაშ, რაღად ტიროდნენ ყველანი?

უკვე მოზრდილი იყო, რუსეთის ჯარში დაინვალიდებული მამიდაშვილი, თვალებბრიალა, გრუზათმიანი ნოდარი რომ წაიყვანეს ანგელოზებმა...

მერე... თითქოს შეეჩვია საყვარელი ადამიანების გამჭოლ მზერას სურათებიდან, მაგრამ მაინც საოცრად ეშინოდა სიკვდილის. ერთხელ თანამშრომლებმა კისერში „მკვდრის მინაც“ კი ჩააყარეს, თითქოს ამ შიშის დასაძლევად...

ახლაც სიკვდილზე ფიქრი აეკვიატა...

მაღალი, ლამაზი, ჭკვიანი მამა ჰყავდა. არასოდეს ენახა ლოგინში დაწოლილი. მთის კაცის ჩვეულებით მტკიცე ხასიათი ჰქონდა. ხშირად უყვარდა ვაჟა-ფშაველას სიტყვების გამეორება: „ტკივილს მოთმენა უნდა, განა მარტო შენა გტკივაო“...

ერთხელაც, „ჯოჯოხეთის დამტეველმა პაწაწინა სამოთხემ“, გულმა უმტყუნა, 70-ს იყო გადაცილებული. რამდენიმე წუთში მოეშვა, ხმას აღარ იღებდა, რა არ იღონეს ექიმებმა...

ზურგს უკან მიუჯდა, წამოდგომას ცდილობდა მომაკვდავი... გულზე მიიხუტა ბეჭებით, უშიშრად იყო, ვერ გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს, ალბათ ვერც იმეტებდა მამას... სუნთქვა უჭირდა... ექიმმა ხელი მოჰკიდა და სთხოვა ოთახიდან გასულიყო, რასაც იქვე მდგომი უფროსი დის განწირული ხმა მოჰყვა... მიხვდა, სხვა სამყაროში იყო მამა გადასული... უფროსი და ჩაეხუტა მამას... ის ვერ მიეკარა, გაქვავებული იდგა... განწირული ხმა გარედანაც შემოესმა, ოთახიდან გავარდა სასონარკვეთილი და გულსა და თვალზე მომდგარ ცრემლის მდინარეს მისცა გზა...

აქ, ათენში, ცრემლი გაუშრა. ან რომელი ერთი ეტირა, 94 წლის მოხუც მშობლებს თავიანთი ღვიძლი შვილებიც აღარ ტირიან. წავიდაო, ისე იტყვიან... რის სიკვდილი, რა გარდაცვალება...

ისე, რა ძნელია უცხო ტრადიციებთან შეგუება. მიცვალებულის დაკრძალვის დღეს, ჭირისუფალთა გამოსამშვიდობებელი სიტყვის თქმისას დანარჩენები ტაშს უკრავენ. ქართველები ლამის სამარემდე მიჰყვებიან. „ო, ღმერთმა დაგვიფაროს ყველა, უფალო, შემინდე...“

თუმც ვერასოდეს წარმოიდგენდა ანიკო მომაკვდავის მოვლა რომ შეეძლო, მაგრამ უვლიდა. სტუდენტობისას, ძალიან მოდაში იყო სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა, ჩარიცხვა — უფრო ძნელი. სკოლის დამთავრებისთანავე, მშობლებმა შეაპარეს ექიმობა, მაგრამ ბაბომ მაშინვე დაუსვა წერტილი:

— ვის გაუგია, ქა... ზომაზე მეტად არის მხიარული, მეტისმეტი და რეტისრეტია, ერთ წუთს არ ისვენებს. თავისი წერით რო არაფერი მოუვიდეთ, ეს დახოცამს... — იმეორებდა დაბეჯითებით, ვინ იცის, მერამდენედ, გაკვირვებული კითხულობდა: — ვისი ცოდო უნდა დაიდოთ,

ქა?!

გადარჩა მაშინ ცოდვების „აკიდებას“, მშობლებმაც ოცნება ვერ აიხდინეს. თუმცა ბაბოს არც მუსიკით დაინტერესება მოსწონდა აბეზარი შვილიშვილის. ეშინოდა კიდეც, არასერიოზული ხელობა — ხელების ქნევა არ დაეწყო (დირიჟორობას გულისხმობდა). ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ის წუთები, სოლფეჯიოში რომ მეცადინეობდა. „ისე იმღერე ეგ გულისგასაწვრილებელი მი, მი, მი, რე, სოლ, ლა, ხელების ქნევა რაღად უნდაო“. ფორტეპიანოში მეცადინეობისას კი: „დამიწვრილდა გულის ძაფები, სუ ერთი და იგივეს უკრამო“, — ქოქოლას აყრიდა.

ახლა „უკრამდა“ სხვადასხვანაირს, მიუჩვეველს, უცხოს, არგაგონილს, ოღონდ ინსტრუმენტთან კი არა, მომაკვდავთან...

ტყუილად ეგონა ანიკო ბაბოს, რომ „ეს დახოცამდა ავადმყოფებს“, პირიქით, თავზე დაჰკანკალებდა, ყოველდღე მეორდებოდა იმ მომაბეზრებელ მუსიკასავით ერთი და იგივე:

ცხელი წყლის ჩართვა:

საპონი;

წყალი;

პირსახოცი;

თეთრი, გამჭვირვალე ხელთათმანები (თანაც, ორი ერთმანეთზე ჩაცმული);

ნანოლების ჩამობანვა;

მერე სპირტი;

ჟელე;

ანტიბიოტიკიანი მალამოთი გაჟღენთილი მარლა;

ცელოფანის დამჭერი;

საშინელი, ამაზრზენი სუნი ნანოლებიდან;

რბილი ქსოვილების გახრწნის სუნი...

თითოეულ მოძრაობაზე მოხუცის ტკივილისაგან შეძრწუნებული სახე. ლურჯ-მონაცრისფრო ბაგის ქვეშ აქა-იქ ჩაცვივნული, ფოლადის დამჭერებით გამაგრებული კბილების ღრჭიალი.

კვნესა: ოო... ღვთისმშობელო!

— ცოტაც მოითმინეთ, ახლავე, ერთი წუთიც და...

ესაც კვნესაა, ოღონდ ანიკოსი, უფრო სწორად, გმინვა, ამოხავილი, თუმც უკვე განედლებული, თითქოს გულგრილიც...

მერე ხელების კანკალი;

გულის ფრიალი;

მოწყვეტით დაჯდომა უძვირფასეს სავარძელზე ანუ „წუთშესვენება“;

მერე ისევ თავიდან...

მოხუცს ხელები მაჯებიდან შებრუნებული აქვს, თითები ხელისგულებს ჩახვეულ-მიკრული, ზედ გართხმული.

სათითაო თითის ოდნავ განშორება ხელისგულებიდან, დაბანა, გამშრალება, გადატყავებული ხელისგულებიდან ზედმეტი კანის აჭრა, კრემის წასმა, პუდრის მობანვა. მერე პატარა, სულ პატარა, რბილი, სპეციალური ბურთულების ჩაჭედვა თითებსა და ხელისგულებს შორის, რომ სამუდამოდ არ მიეწებნენ ერთმანეთს.

საოცრად მზარდი, მორკალული ფრჩხილების წაჭრა. გულის „გასალაღებლად“ ფერადი ლაქის წასმა და, რაც მთავარია, მოფერება:

— რა ლამაზი, მშვენიერი და კეთილი ქალბატონი ბრძანდებით, ღმერთი აუცილებლად გიშველით. მალე გამოჯანმრთელდებით, მერე ჩემს სამშობლოში წაგიყვანთ სამოგზაუროდ.... და ამისთანები.

— როდის, ასი წლის რომ შევსრულდები?

— არა, საყვარელო, უფრო მალე. რამდენიმე დღ... ისა, რა ჰქვია... რამდენიმე დღეში თუ არა, თვეში...

უნდობლობა.

— ხომ არ მატყუებ? მე მგონი, ვკვდები...

— არა, რას ბრძანებთ, ჩემო საყვარელო ქალბატონო, ექიმმა თქვა, ჯერ კიდევ დიდხანს იცოცხლებსო.

— რომელმა ექიმმა? შემახსენე!

„გულმავიწყობა“.

— ყველა ექიმი ამას ამბობს, თერაპევტიც, ქირურგიც, ნევროპათოლოგიც, გინეკოლოგიც...

— გინეკოლოგიც?!

(ვერაფერს გამოაპარებ)

— უჰ, არა, წამომცდა, კარგად არ ვიცი ბერძნული.

— კინაღამ გული კი გამიხეთქე...

გულში: „რა ცოდვა ჰქონდათ ჩემს წინაპრებს, ნეტა“... „ღმერთმა დაგიფაროს, შენ რომ გული გაგისკდეს, ჩემი გულიც თან მიჰყვება, საშინელებაა უმუშევრობა“. „ნეტა ვინმემ მოიფიქროს გინესის წიგნში იმ ქართველების შეტანა, ვინც ბერძენ მოხუცებს თვალს უხუჭავენ სამუდამოდ და აპატიოსნებენ“.

ანიკოსთვის მესამეა, მესამე და სამართალი...

ფიქრიდან ქალბატონ ეფთალიას ყვითელი „წებოსგან“ მიწებებულ წამწამებს გამოჰყავს.

თბილი წყლით ჰბანს, უწმენდს, საფენს ადებს და მერე ქუთუთოებს უშორიშორებს.

— მართლა არ მოვკვდები?

— არა, ჩემო ქალბატონო, რას ამბობ...

გულში, ან ცოტა ხმამაღლა, ოღონდ ქართულად: „რას ამიტყდი, რა გინდა ჩემგან, მგონი, შენზე წინ მე ვკვდები“... ოღონდ ღიმილნარევი, დაშაქრულ-დათაფლული ხმით, ცუდად რომ არ მიიღოს.

ისევ ღიმილი — ყალბი, ფარისევლური, არტისტული...

ისევ ფიქრი და ნატვრა:

„ნეტავი იცოცხლოს. ოღონდ იცოცხლოს, ცოტაც... შობა-ახალმა წელმა მაინც ჩაიაროს. ამ საზეიმო დროს არც ერთ ოჯახს არ უნდა ახალი მოსამსახურე...

„აღარ შევალ მძიმე ავადმყოფებთან, იქნებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსიარულე ბებია ვიშოვო, ხანდახან გარეთ მაინც გავისეირნებ, მიწაზე მაინც დავადგამ ფეხს, თვალს გავახელ, მივიხედ-მოვიხედავ, მაღაზიაში თვალს წყალს მაინც დავალევინებ...".

აქ, მომაკვდავი და მძიმე ავადმყოფები 3-4, ზოგჯერ 9-10 წელსაც ცოცხლობენ და საწოლში ცხოვრობენ.

რა ენაღვლებათ, ყველაფერი ხელოვნური აქვთ:

სუნთქვა გინდა? ჟანგბადზე ხარ შეერთებული.

ჭამა? — შპრიცით, პირში კი არა, ცხვირის ცალი ნესტოდან მუცლამდე ჩაყოფილ რეზინის მილში. ათქვიფე ხირცი, მაკარონი, ბოსტნეული, ხილი და ჰაიდა, ცხვირიდან. ასევე წყალიც. მონელებაც იოლია. მოკბეჩა-დაღეჭვა-ჩაყლაპვაზე არ წუხდებიან და „მეორე განყოფილებას" რაღა უნდა, იქაც საჭირო ორგანოებიდან საგულდაგულო მილებია შეერთებული.

სიცოცხლეც მეტი რა ჩარაა...

ისევ ვერ იშორებს სიკვდილზე ფიქრს.

ფიქრს ორ რიგად, ორ მწკრივად, ორ ვარიანტად ალაგებს:

სიკვდილი — კარგი,

სიკვდილი — ცუდი ან კარგი და შემზარავი... ან... ან... ბედნიერი და უბედური...

დიდი კონსტანტინეს იდუმალი ხმა:

„სიკვდილშიაც არ ჰქონია ბედი მეფე გიორგის"...

სვანური ზარი:

„ვოი, რა შემზარავია სიკვდილი ლოგინში, ისიც ყინულის ლოგინში"...

ყინულის ლოგინში სიკვდილმა უკვდავება მოუპოვა კლდის ვეფხვს, სნორუპოვარ მთამსვლელს მიხეილ ხერგიანს...

...სცენისკენ მზირალ ათასობით მსმენელს ტაშის მაგივრად ცრემლი სცვიოდა... ქართული ჰანგის მოტრფიალეთა გულში სამუდამოდ დარჩა გიორგი ცაბაძის ხმა, საყვარელ თბილისქალაქს რომ უმღერა სცენიდან უკანასკნელად და სცენაზევე დატოვა უკანასკნელი ამოსუნთქვაც: „შენ იყავი ოღონდ დაა... მე სულ არა მინდა რა"...

არც არაფერი წაუღია იმ ქვეყნად, თავისი ერის უსაზღვრო სიყვარულის მეტი...

ისევ შიშით აღებს კარს... ისევ მუცლისკენ აპარებს თვალს...

— ოო, ღვთისმშობელო... — ესმის ჩურჩული, ოდნავ გასაგონი.

ისევ სუნ-თქავს!

ტელეფონის ზარი.

ქალბატონი ეფთალიას შვილის, ქალბატონ ამალიას ხმა:

— როგორ არის დედა? მღვდელი მოვა ახლა, კარი გაუღე...

საოცრად უღიმის სახე ეფთალიას.

მღვდელი ლოცვას კითხულობს...

ისევ ფიქრი: სადღაც ამოკითხული სტრიქონები: „მე ცეცხლის ალში ვიმყოფები".

ვისი სიტყვებია, ღმერთო!

გაახსენდა. ცნობილი ათეისტის ანუ უღმერთოს, დავით ჰიუმის. იგი აღსასრულის ჟამს გამუდმებით მოსთქვამდა და თავზარდამცემი სასოწარკვეთით იმეორებდა: მე ცეცხლის ალში ვიმყოფებიო.

სხვები? როგორ კვდებოდნენ სხვა ათეისტები?

გონშერყეული გარდაიცვალა ვლადიმერ ლენინი. იგი პატიებას სთხოვდა მის ოთახში მდგარ მაგიდას და სკამებს თავისი ცოდვების გამო.

სტალინის ბრძანებით დახვრეტილმა ზინოვიევმა, ათეისტური ქვეყნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, სიცოცხლე ამ სიტყვებით დაასრულა: „ისმინე, ისრაელო, უფალი ღმერთი არის ერთადერთი ღმერთი".

ასევე, სტალინის ბრძანებით დახვრეტილმა სსრკ საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელმა იაგოდამ სიკვდილის წინ თქვა: „როგორც ჩანს, ღმერთი არსებობს და იგი ჩემი ცოდვების გამო მსჯის".

ათეისტური ინტერნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტმა იაროსლავსკიმ, სიკვდილის წინ ითხოვა: „დაწვით ყველა ჩემი წიგნი. შეხედეთ ღმერთს. იგი უკვე დიდი ხანია მელის. იგი აქ არის".

საფრანგეთის იმპერატორის, ნაპოლეონის მკურნალი ექიმი წერდა, რომ იმპერატორი საშინელ მარტოობაში, ყველასაგან მიტოვებული მოკვდა, საშინელი სიკვდილისწინა ბორგვით და ბრძოლით.

საშინელი აღსასრული ერგო წილად ღმერთის მოძულესა და მგმობელ ვოლტერს. მოწყალების და, რომელიც მას უვლიდა, წერდა, რომ ევროპის მთელი სიმდიდრის სანაცვლოდაც არ ისურვებდა ვოლტერისნაირ სიკვდილს. „იგი მთელი ღამის განმავლობაში ყვიროდა და შეწყალებას ითხოვდა".

ინგლისელი ფილოსოფოსი ჰობსი სიკვდილის წინ ამბობდა: „მე ქვესკნელში საზარელი ნახტომის წინაშე ვდგავარ"...

ისევ დიდი კონსტანტინე:

„სიკვდილშიაც არა ჰქონია ბედი მეფე გიორგის".

რას იფიქრებდა „დიდოსტატის მარჯვენა"-ს ავტორი, როცა ამ სტრიქონებს წერდა, რომ მისი ერთადერთი ვაჟი, საქართველოს ერთხმად არჩეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მეფე გიორგივით, რომელსაც არასოდეს უღალატია სამშობლოსათვის, მარტოობაში დაასრულებდა სიცოცხლეს, ყველასგან ნაღალატევ-მიტოვებული და ამ სიკვდილით უკვდავებასთან ერთად გულის გამგმირავ კითხვის ნიშანს დაუტოვებდა ქართველ ერს...

ისევ ეფთალიას კვნესა...

მღვდლის გამომშვიდობება...

ბინდი...

თენდება...

ისევ აპარებს თვალს ანიკო მომაკვდავის ოთახში...

ჯერ მუცელი, მერე გულ-მკერდი, ყელი...

ისევ სუნთქავს.

იგივე პროცესი. იგივე ფიქრი. ნატვრა, ოღონდ ერთი განსხვავებით.

ჩონჩხადქცეული მოხუცის მიხრწნილი ხმა:

— ფეხსაცმელი ჩამაცვი, ჩემო ანიკ...

— ?!

— მივდივარ. ჩამაცვი. გთხოვ. ოო, ღვთისმშობელო... ფეხ...საც...მე...ლი... ჩაა...მაა...ცვი...

...ფანჯარასთან ფარდა ირხევა.

სიკვდილი მოდის. იქნებ შემოვიდა კიდეც და...

და!!!

***

მქუხარე ტაშით გაისტუმრეს ქალბატონი ეფთალია იმ ქვეყნად.

ცრემლგამშრალი დაბრუნდა ანიკო ეფთალიას სახლში. ტანსაცმელი ჩაალაგა, სამსახურის ძებნისათვის განეწყო.

ახალი გოლგოთა იწყებოდა.

***

შეძრწუნებულს აღარ უნდოდა მომაკვდავთან ან ლოგინში მწოლიარე მოხუცთან მუშაობა.

როგორც იქნა, იპოვა მოსიარულე ბებია — ქალბატონი მარია.

რამდენიმე დღეში მიხვდა, მოხუცს გულმავიწყობა სჭირდა. მაინც შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ანიკო ხალისიანად ალაგებდა სახლს, ამზადებდა საჭმელს, მარიას ცივ ნიავს არ აკარებდა.

გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მისწევია და ანიკო-მარიასაც ასე დაემართათ.

სააღდგომოდ ვაჟიშვილმა დედა თავის „კოპელიანად" ვილაში მიიპატიჟა. მძღოლი დროულად მოვიდა. ჩასხდნენ და გაეშურნენ.

...ავარია არც ისე რთული იყო, ანიკოს ფრჩხილიც არ სტკენია, მაგრამ მარიას ფეხი მოსტყდა.

საავადმყოფო.

ოპერაცია.

ორ კვირაში შინ გაწერეს.

ყოველდღე მოდიოდა შვილი, წამლებით, საჭმელებით, ეფერებოდა დედას. ანიკოსთვისაც საჩუქრები მოჰქონდა. ერთხელ მეზობელმა გადაუჩურჩულა, ეს რა შვილის პატრონობის ღირსია, ქმარი რომ მოუკვდა, უდედმამოთა სახლში ჩააბარა რამდენიმე თვისო... მერე სკოლა-ინტერნატში სწავლობდა, ინგლისში დაამთავრა იურიდიული ინსტიტუტი და იქიდან დაბრუნებულმა ისევ თვითონ მოძებნა დედა, წლების შემდეგო.

ქალბატონ მარიას არ ახსოვდა ოპერაცია და ეხვეწებოდა ანიკოს, საწოლიდან აეყენებინა და გაესეირნებინა, ზოგჯერ ისე გამოდიოდა წყობიდან, ხან ხელზე კბენდა, გამიშვიო, ხან ფრჩხილებით კაწრავდა...

შვილი ებოდიშებოდა, ფულსაც ჩუქნიდა, ეხვეწებოდა, არ მიეტოვებინა დედამისი.

ერთ საღამოს, როგორც იქნა, დაწყნარდა ქალბატონი მარია და დაიძინა.

ანიკოსაც ჩაეძინა, მაგრამ შემზარავმა ყვირილმა გამოაღვიძა: — დამიბრუნეთ ჩემი შვილიო, — ვიღაცას ეხვეწებოდა ტირილით მოხუცი, თან საწოლის თავთან დაკიდებულ სურთზე უთითებდა.

ოთახებს შორის გამავალი ღია კარიდან დააკვირდა მოხუცს. შეწუხებული სახე ჰქონდა. ხმა არ ამოუღია, იქნებ ისევ ჩაეძინოსო.

მოხუცი შფოთავდა. ჯერ საბანი გადაიძრო და ძირს დააგდო. მერე ბალიში ისროლა. სხეულის ქვემოთ ზეწარსაც დაეჯაჯგურა. ნაოპერაციევ ფეხს ვერ მოერია. წამოჯდა. ღამის პერანგი გაიხადა წვალებით. მუხლებზე დაიფინა. სახიდან მწუხარება გაჰქრობოდა. თითქოს ვიღაცას ეფერებაო, ისე იღიმებოდა. შიშველმა ჯერ მკლავები შემოუკეცა ღამის პერანგს, მერე ბოლო აუკეცა, თითქოს ბავშვს ახვევსო, თავზეც ნაზად წამოაფარა... რაღაცას ეჩურჩულებოდა... ანიკოს ყურამდე ვერ აღწევდა მოხუცის ხმა. სმენად იქცა.

— ნუ ტირი, ჩემო პატარავ, ახლავე მოგაწოვებ ძუძუს...

გააჟრჟოლა.

მოხუცმა დაკეცილი ღამის პერანგი მკერდზე მიიკრა ფრთხილად და სათუთად. სიხარულით გაუბრწყინდა თვალები, სახე... ბედნიერებამ თითქოს გაახალგაზრდავა ქალი და უცებ, უნაზესი ხმით დაიწყო სიმღერა, თან ოდნავ არხევდა მკლავებს, თითქოს ეშინოდა არ გამქრალიყო ძლივს ნაპოვნი ჩვილი, ბედნიერებით ავსილი რომ აწოვებდა ძუძუს...

ანიკო საწოლზე ჩამოჯდა. გაოგნებული თითქოს ვეღარც კი სცნობდა მოხუცს, რომელიც სათუთად დაკეცილ ღამის პერანგს გაშტერებით დასცქეროდა უსიცოცხლო თვალებით, ნაზად იკრავდა გულში და რაღაც, ქართული „იავნანის" მსგავს მელოდიას ღიღინებდა თავდავიწყებით...

სიმღერა შეწყდა. ახლოს მივიდა. ღამის პერანგში გახვეული ჩვილივით გამქრალიყო მოხუცი, მისი უკანასკნელი გედის სიმღერა დუმილით შეესრუტა უსაშველოდ განიერ კედლებს... სასთუმალთან დაკიდებული პატარა კი მაინც იღიმებოდა ძველი სურათიდან...

ვინ მოიყვანა გაზაფხული

ენძელამ თქვა, — ჩემთან ერთად,
გაზაფხულიც მოდის!
მე რომ არა, გაზაფხული,
მოვიდოდა როდის.

კვირტი ამბობს, - ტყეს ჩავაცვი
მწვანე ფარჩის კაბა.
ჩემს გარეშე გაზაფხული,
ვის უნახავს აბა?

მორბის, მორბის, მორაკრაკებს
მთიდან წყაროს წყალი. —
გაზაფხულდა! როცა წყარომ,
გავახილე თვალი.

— ჩიტუნებმა გადმოვლახეთ
შორეული გზები,
გაზაფხული მოვიყვანეთ
პაწაწინა ფრთებით.
. . .
ცხრათვალა მზე ცის ლაჟვარდში
ათას ფერად ელავს,

და ღიმილით, ოქროს სხივებს, —
უხვად აფრქვევს ყველას!

პინგვინები

დედას მწკრივად მიჰყვებიან
პინგვინები პაწია.
ზამთარსა და ზაფხულში
შავი ფრაკი აცვიათ.

ირგვლივ თვალუწვდენელი
გაყინული ზღვებია,
სიცივეს და ქარბუქსაც, —
სიხარულით ხვდებიან!

მამალი და მელია

დაიყივლა მამალმა,
სადღაც, სოფლის ბოლოში.
ეს ხმა მინდვრებს გადასწვდა,
შეაღწია სოროში.

საოცარი ხმა აქვსო, —
გაიფიქრა მელიამ,
მომღერალი ასეთი,
აბა, სხვა რომელია?

მართალია ყიყლიყო
ძლივსღა ისმის შორიდან,
მასთან ერთად სოროში, —
იმედებიც მოვიდა!

ქსოვს კურდღელი წინდებს

თოვლი ფარავს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.

ბჟუტავს სანთლის ალი,
არ ეღლება თვალი.

ქოხშიც როგორ თბილა,
შვილებს სძინავთ ტკბილად.

ათოვს, ათოვს მინდვრებს,
ქსოვს კურდღელი წინდებს.

გაკვეთილზე

— ყურადღება ბარტყებო,
აბა, სწორდით, სმენა!
დროა უკვე ისწავლოთ,
მშობლიური ენა.

რომელია ჩიტუნების
მშობლიური ენა?
ყველა ერთხმად პასუხობს, —
ჭიკჭიკი და სტვენა!

მზესუმზირა

— მზესუმზირა, დედი,
მზეს რად უმზერს ნეტა? —
ცხრათვალა მზე შვილო,
არის მისი დედა.

მოკაშკაშეს ცაზე,
თვალს აყოლებს მუდამ.
მას ხომ დედის სითბო
და ალერსი უნდა.

მზე ღიმილით ავსებს,
რომ ნათელი დღეა.
მზესუმზირაც შვილო,
პაწაწინა მზეა.

კურდღელი და ქოლგა

ტყეში ქოლგა უპოვია
და კურდღელი ასე მღერის: —
დარშიაც და ავდარშიაც
მექნებაო თავზე ჭერი.

თუთიყუშის სიზმარი

გალიაში თუთიყუში
ასეთ სიზმარს ხედავს:
თითქოს, მაღლა ტოტზე,
გვრდით უზის დედას.
ირგვლივ მართლაც ზღაპრული
ტროპიკული ტყეა,
ცაზე მზეა კაშკაშა
და ნათელი დღეა.

ქოქოსები პალმებზე,
ქანაობენ ნელა,
ლომები და ვეფხვები,
სალამს აძლევს ყველა!
. . .
ტროპიკული ტყეები,
სიზმარია ტკბილი...
ჩუმად, ჩუმად თუთიყუშს,
არ დაუფრთხოთ ძილი.

სამშობლო

ჩემი ტკბილი სამშობლო, —
კავკასიის მთებია!
ზღვის ტალღები გუგუნით, —
ნაპირს ეხეთქებიან!

მწვანე მოლი, ხასხასა,
ზედ პატარა ოდები.
ვენახები, ბაღები,
მობიბინე კორდები!
ძველი ციხე-კოშკები,
წყაროები ანკარა,
მოშრიალე ტყეები,
ცაში ფრინველთ კამარა!

ჩემი ტკბილი სამშობლო,
ქვეყნად მხოლოდ ერთია,
იბერია ქართველთა, —
სალოცავი ღმერთია!

კბილის ექიმთან

ბორმანქანა არ მაშინებს,
ვარ ნამდვილი გმირი.
კბილის ექიმს როცა ვხედავ,
არასოდეს ვტირი.

კაბინეტში მასთან შესვლას,
სიხარულით ველი.
ექიმი ხომ არც ლომია
და არც რუხი მგელი.

აი, ჩემი ჯერიც დადგა,
ეს რა ხდება ნეტა? —
კვლავ მუხლები მიკანკალებს,
კვლავ მამშვიდებს დედა.

გაზაფხულზე

ზურმუხტოვან ტყეებიდან,
კარგად ისმის მათი ხმები,
და პირველად ზამთრის მერე
ამ ზღაპრული ხმებით ვტკბები.

ყველა ხეზე ჩიტი გალობს,
ბუდეს თავზე ევლებიან.
მეჩვენება თითქოს ირგვლივ, —
მომღერალი ხეებია!

მარიამი

ვერ გაიგებ ვინ ვისა ჰგავს
ვისი დასადარია,
მარიამი ვარდებს ჰგავს თუ,
ვარდები ჰგავს მარიამს.

ჯეჯილი

— დახეთ, რარიგ იქცევიან
პურით სავსე თავთავები? —
მშობელ მიწას მოწიწებით,
დაუხარეს მათ თავები.

ჯონეს ჯროიერი

(ავსტრია)

ჭეშმარიტების მაძიებელი

კირიონ მეორე და მარჯორი უორდროპი

საზღვარგარეთ არსებული წიგნსაცავები და ქართული კოლექციები მრავალ საინტერესო და მნიშვნელოვან ინფორმაციას იცავენ საქართველოს შესახებ. ამათგან მრავალი ჯერ კიდევ აღმოუჩენელი და შეუსწავლელია. ერთ-ერთ ასეთ ფასდაუდებელ საცავს წარმოადგენს ოქსფორდის ბოდლის ბიბლიოთეკა, ოლივერ უორდროპის მიერ შედგენილი მარჯორი უორდროპის ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია. ოქსფორდში არსებული ლიტერატურა და ხელნაწერები ორჯერ იქნა აღწერილი. პირველად ოლივერ უორდროპის მიერ საქართველოდან მიწვეულმა ეკატერინე ჩერქეზიშვილმა აღწერა. კატალოგი ორი ტომისაგან შედგება და შესულია მარჯორისა და ოლივერ უორდროპებთან, ინგლის-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებული ლიტერატურა, პირადი ხელწერილები და თავად მათ მიერვე შეძენილი, ხელით გადაწერილი, თუ ფირზე აღბეჭდილი მასალები. იმის გამო, რომ აქ არ შედიოდა ყველა მასალა სრულიად, დევიდ ბარეტმა კვლავ მოახდინა საქართველოსთან დაკავშირებული მასალების კატალოგიზაცია და 1973 წელს გამოსცა წიგნად (354 გვერდი). David Barrett: Catalogue of the Wardrop Collection and of other Georgian books and manuscripts in the Bodleian Library. ondon: Oxford University Press for the Marjory Wardrop Fund.

უორდროპებთან დაკავშირებით უკვე არსებული მრავალრიცხოვანი კვლევების მიუხედავად, 2008 წელს საცავში არსებული მასალების ხელახალი გადახედვისა და შესწავლის შემდეგ, მოძიებულ იქნა მრავალი ახალი, საინტერესო და ღირებული ინფორმაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ინგლისურ-ქართული ურთიერთობების, არამედ საქართველოს ისტორიის შესწავლისა და მრავალი დეტალის დადგენისათვისაც.

როგორც ოქსფორდის ქართულ საცავში მიკვლეული მასალიდან ჩანს, მარჯორი უორდროპისათვის საქართველოსთან დაკავშირებული ყოველი ინფორმაცია დიდ მნიშვნელობას იძენდა. იგი დაბეჯითებით აგროვებდა თითოეულ ხელნაწერსა თუ ქართულად დაწერილ ნებისმიერ ლიტერატურას თავის ძმასთან ერთად. ქართველი მეგობრებისგან იღებდა გაზეთებს და სწავლობდა ნებისმიერ სიახლეს. მხარში ედგა ქართველ მეგობრებს გასაჭირის დროს. იგი თავად იყო რუსთა კოლონიური პოლიტიკის გამო ქართველ მეგობართა უსამართლო ჩაგვრის მოწმე და მათ დასახმარებლად საქართველოდან მიღებულ გაზეთებს თარგმნიდა და შემდეგ აგზავნიდა მაღალი რანგის პირებთან, სიმართლის ცნობებისა თუ მათგან დახმარების მიღების, მცირე ერის, კულტურისა და რელიგიის დაცვის მიზნით.

მარჯორის მიერ 1900 - 1909 წლებში „დიპლომატიური" მიზნით თარგმნილი მრავალი მასალაა დაცული ოქსფორდში, ორინეტალისტიკის განყოფილებაში. ამჟამად მინდა ყურადღება შევაჩერო მის ერთ-ერთ თარგმანზე, რისი მიზანიცაა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ქართველი მამების და მეუფე კირიონის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისაგან დაცვა. მარჯორის ინტერესი ქართული მართლმამდიდებლური ეკლესიისადმი თუ სასულიერო პირების მიმართ საკმაოდ დიდია. დიდი პატივისცემით გაიმსჭვალა კირიონ ეპისკოპოსის მიმართ, რომელიც ალბათ ყველაზე მეტად დაისაჯა იმის გამო, რომ იგი თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ზრუნავდა, უსამართლოდ დასწამეს ცილი და მრავალჯერ გადაასახლეს რუსეთში, მოაშორეს თავის სამშობლოს, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესი და ღირებული იყო.

ვინ იყო კირიონ ეპისკოპოსი? ისტორია სამ კირიონს იცნობს: იბერიის კათალიკოს მთავარეპისკოპოს კირიონ I 595 – 610, კირიონ II 678 – 683 და კირიონ III-ს, ქართველ მეცნიერს, სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს და სრულიად საქართველოს პირველ კათალიკოს-პატრიარქს 1917 – 1918 წლებში. ამდენად, ერისკაცობაში - გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი სწორედ კირიონ მესამეა და შეცდომით იწოდება იგი მეორედ.

მარჯორი სწორედ კირიონ მესამის ცხოვრებით დაინტერესებულა. რაა საერთო ამ ორ ადამიანს, საქართველოს კათალიკოსსა და ინგლისელ მთარგმნელ ქალს შორის? მარჯორი იყო კირიონ ეპისკოპოსის თანამედროვე, მათთვის ორივესათვის მნიშვნელოვანი იყო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და უძველესი ქართული ენის მომავალი, რომელიც ბოლო დროს დავიწყებას მისცემოდა. ორივე თავისი გზით ცდილობდა მათ დაცვასა და მხარდაჭერას. მათ აერთიანებთ

ერთი სულისკვეთება, საერთო მიზანი, რაც ილიამ „მგზავრის წერილებში“ გამოხატა - ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.

კირიონი, თავის სტატიების საშუალებითა თუ, როგორც ბიბლიის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე იბრძოდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. მარჯორი, ქართული ენის მოტრფიალე, აღშფოთებას გამოხატავს იმ ქართველი ინტელიგენციისადმი, რომელთაც ქართულად ლაპარაკის რცხვენიათ. უკვირს, რომ უძველესი ენა სწორედ ახლა ეცემა დავიწყებას და ახლა იწყება მისი შერყვნა. აკაკი წერეთელი იგონებს მის სიტყვებს: „ნუთუ გიკრძალავენ ქართულად ლაპარაკს?“ - კითხულობს მარჯორი. „ვის უნდა აეკრძალა?! მაგრამ უცხო ენები უფრო გვეხერხება და, მართალი რომ ვთქვათ, მაინცა და მაინც სასიამოვნო ენა ვერ არის ქართული, ყურს ეჩოთირება, გამოსათქმელადაც ძნელია: წ, ძ, ყ, ჭ, სანამ გამოსთქვამდეს კაცი, ენას დაიმტვრევს... მაგნაირი რამეები განა სხვა ენებში კი არ არის? მაგრამ ჩვენი ენა მაინც კეთილხმოვანი გვგონია და არავისში არ გავცვლით. ფრანცუზები ცხვირში დუდუნებენ და მოსწონთ.“ - წერს იგი. მის მიერ ილიასადმი ქართულად დაწერილი წერილი 1894 წლის 8 სექტემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ, იმათ სამხელად, ვისაც მსგავსი მოსაზრება გააჩნია. იგი იყო მაგალითი ყველა ქართველისათვის, ვინც ქართულ ენას რომელიმე ენაზე ნაკლებად მიიჩნევდა. დიდი შრომისა და შეუპოვრობის დამადასტურებელია ბოდლის ბიბლიოთეკაში, ოქსფორდში დაცული „ინგლისური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ლონდონი, 1884 წელი) რომლის კიდეებზე მარჯორის თავისი ხელით მიუწერია შესატყვისები. ეს წიგნი მიჩნეულია მარჯორის მიერ შედგენილ პირველ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონად.

კირიონის ღვაწლი, სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებისათვის დიდი ხანი უცნობი იყო. მისი ცხოვრების შესწავლას მხოლოდ ბოლო საუკუნეებში მოჰკიდეს ხელი და ჯერაც არ ამოუწურავთ. კირონი დაიბადა 1855 წლის 10 ნოემბერს გორის რაიონში. დაამთავრა მამის მიერ დაარსებული ანანურის სამრევლო სკოლა. შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებლის, ხოლო 1876 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტია. კიევის სასულიერო აკადემიაში მოიპოვა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. 1883 წელს კირიონი საქართველოში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. ასწავლიდა ქართული სიტყვიერების ისტორიას, რუსულ ენას, საღმრთო ისტორიას. 1896 წელს ოჯახის დაღუპვის გამო ბერად აღიკვეცა და ქვათახევის მონასტერში განაგრძო მოღვაწეობა. 1898 წელს კირიონი ალავერდის ქორეპისკოპოსად დაადგინეს. 1901 წელს გადაიყვანეს გორის სავიკაროს ეპისკოპოსად. მან მოახერხა საერო და სამრევლო სკოლების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების დაარსება. დაუღალავად აგროვებდა ხელნაწერებს და წიგნებს. ხშირად აქვეყნებდა წერილებს „ივერიელის“, „ნიქოზელისა“ და „ლიახველის“ ფსევდონიმებით საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ვეფხიტყაოსნისა და ქართლის ცხოვრების უძველესი ნუსხების შესახებ, მის ნაშრომებში შედიოდა ასევე სტატიები ნუმიზმატიკის, ხალხური სიტყვიერების ისტორიის, ხუროთმოძღვრების შესახებ. მას ეკუთვნის წიგნად გამოცემული ორმოცზე მეტი მონოგრაფია. მისი აქტიურობა რუსეთის მოხელეთა წყრომას იწვევდა, რის გამოც მასზე მეთვალყურეობა დააწესეს და შემდეგ გადაასახლეს რუსეთში. საქართველოს საეგზარქოსოს სასწავლო ოლქის მზრუნველმა და საღმრთო რჯულის პედაგოგმა დეკანოზმა ივანე ვოსტორგოვმა მის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გამოაცხადა იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აღმავლობისა და ქართული ეკლესიის გაძლიერების წინასწარმეტყველება ახსენა. კირიონი სამშობლოში დააბრუნეს რევოლუციური აღმავლობის პერიოდში და სოხუმის ეპარქიის მმართველად დააყენეს. ამ დროს იგი უფრო აქტიურად ჩაერთო რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი უმთავრესი მიზანი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გახდა. იგი მონაწილეობას იღებდა პეტერბურგის საეკლესიო სხდომებზე და ასაბუთებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერებას. რევოლუციის დამარცხებას მისი კვლავ გადასახლება მოჰყვა ვითომდა აფხაზთა გაქართველების ბრალდებით. ამ ფაქტის მცდარობას ასაბუთებს 909 რუსი, აფხაზი, ქართველი და სხვადასხვა ეროვნების, მოქალაქის მიერ ხელმოწერილი წერილის გაგზავნა სინოდში სადაც მოთხოვნილია ეპისკოპოსის დაბრუნება, ვინაიდან მისი ეპისკოპოსობის დროს რუსები სლავურად, ბერძნები ბერძნულად, ქართველები ქართულად ისმენდნენ წირვას. კირიონს 1902 წელს კამენეც – პოლდოლოს ეპარქიაში გზავნიან, აქედან 1903 წელს ხერსონში, 1904 წელს ორიოლის ეპარქიაში, ხოლო 1907 წლის 27 იანვარს კვლავ ცივ რუსეთში – კოვნოს ეპარქიაში ისტუმრებენ, საიდანაც 1908 წლის ზამთარში ითხოვენ უეპარქიოდ და ჟანდარმების თანხლებით კურიაჟის მონასტერში, ხარკოვში აგზავნიან. აქედან იანვარში ავადმყოფი კირიონი ჟანდარმებს მოსკოვის გზით სანაქსარის უდაბნოში მიჰყავთ და პოლიციელთა დაცვის ქვეშ იმყოფება. 1908 წელს ეპისკოპოს ნიკონის მკვლელობის ამბავი იქცა მისი კიდევ ერთხელ დასჯის საფუძვლად. მისი უდანაშაულობა, მართალია, დაადასტურეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების ნება მაინც არ მისცეს.

მარჯორისეული თარგმანის დედანი კირიონის ცხოვრების სწორედ გადასახლების პერიოდს ეხება. მისი მოსკოვში გამგზავრება აღწერილია ეპისკოპოსთან დაახლოებული პირის, მისი თანამგზავრის, გიორგი მოუსვენარიძის მიერ. ავტორი სტატიას შეკითხვით იწყებს და შემდეგ სცემს პასუხს, მის უდანაშაულობას ამტკიცებს. წერილი ხარკოვშია დაწერილი და გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“. მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად წაიკითხოს ეს წერილი იმ სახით, როგორც იგი გამოქვეყნდა 1909 წლის 13 თებერვალს, პარასკევს, 33-ში.

კირიონ ეპისკოპოსი
წერილი ხარკოვიდან

გაზეთებიდან უკვე იცით კირიონ ეპირკოპოსის ხელ-ახალი დასჯა და ხარკოვის გუბერნიიდან

ერთ მიყრუებულ და მივარდნილ მონასტერში გადასახლება. წარმოუდგენელია ის ტანჯვა-წვალება, რომელიც მოხუცმა ეპისკოპოსმა ამ დროს განიცადა. მერე არ იკითხეთ, რაზედ აწამებენ და სდევნიან კაცს?

კირიონ ეპისკოპოსი ჭეშმარიტი გულ-შემატკივარია თავისი ერისა. იგი გულწრფელის სიყვარულით არის განმსჭვალული, ამასთან იგი ნამდვილი ქრისტიანია, ჭეშმარიტი მოსარჩლე ტანჯულ-წამებულისა, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდნენ ეს ტანჯულ-წამებულნი. აი, სწორედ ამისთვის განიცდის უწყალო დევნა-რბევას, ამიტომაცაა, რომ შეუმჩნევლად იტანს ყველაფერს.

პირველად კირიონ ეპისკოპოსი იმით დასაჯეს, რომ რუსეთში უმნიშვნელო ადგილზე დანიშნეს. რამდენიმე წლის შემდეგ საქმის ვითარება გამოიცვალა და იგი პირველხარისხოვან ორლოვის ეპარქიაში გაამწესეს. პატარა ხანს უკან ორლოვის ეპარქია კირიონმა სუხუმისაში გაუცვალა ეპ. დიმიტრის. აქედან ეპ. კირიონი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საქმის გამო სინოდში გაინვიეს, სადაც იგი მედგრად იცავდა ავტოკეფალიას და დიდი ცოდნაც გამოიჩინა ისტორიაში, როგორც ეს შემდეგში, ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ბუტკევიჩმა გადმოგვცა; პროფ. ბუტკევიჩიც იმ დროს ეპ. კირიონის საწინააღმდეგო პოზიციაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამის შემდეგ სოხუმიდან ეპ. კირიონი ისევ მცირე ადგილზე გაამწესეს, კოვნოში. არც აქ დაჰყო დიდხანს: შეატყო, რომ უმაღლეს სასულიერო წრეებში ცუდის თვალით უყურებდნენ, თვითონვე თავი გაანება სამსახურს და ძველ ათონზე ცხოვრების ნება ითხოვა. ამაზე ცნობილ ვასტორგოვს ეთქვა: „მაგას იმიტომ უნდა ძველ ათონზე ცხოვრება, რომ ოსმალებთან დაიჭიროს კავშირი და საქართველო რუსეთს ჩამოაშოროსო". სინოდმა მართლა აუკრძალა ძველ ათონზე ცხოვრება. ხარკოვის მახლობლად, კურიაჟის მონასტერში გამოგზავნა საცხოვრებლად, სადაც შარშან 25 აპრილს დაბინავდა. დიდად ანუგეშა კირიონ ეპისკოპოსი ხარკოვის ქართველ სტუდენტობის დეპუტაციამ, რომელიც ამ მონასტერში მივიდა მის სანახავად და რომელსაც ეპისკოპოსმა მშვენიერის სიტყვით მიმართა და მადლობა უძღვნა თანაგრძნობისათვის.

აქ ეპისკოპოს კირიონის სადგომს შეადგენდა სამი ძირის ოთახი, რომელთაც ნესტისაგან კედლებიდან წყალი გამოსდიოდათ. პენსია არა ჰქონდა დანიშნული და მონასტრის უბრალო ბერის ხარჯით კმაყოფილდებოდა. მიუხედავად ამნაირ გაჭირვებულ ცხოვრებისა, კირიონ ეპისკოპოსი მაინც სულით არ ეცემოდა და მხოლოდ იმითღა ინუგეშებდა თავს, რომ ახლოს იყო საუნივერსიტეტო ქალაქთან და თავის ბიბლიოთეკის გარდა, რომელიც 5000 წიგნს შეიცავდა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით ისარგებლებდა. აქ მან შვიდი თვის განმავლობაში განაგრძო და კიდეც დაამთავრა თავისი ახალი თხზულება რუსულ ენაზე ამ სათაურით „Культурная роль Иверіи въ исторіи Руси". აქვე გაიცნო რამოდენიმე პროფესორი, რომელნიც ძალიან დაინტერესა თავისი ახალი თხზულებით. პროფესორები აჩქარებდნენ, მალე გამოეცა ეს თხზულება.

თხზულება მართლა საყურადღებოა საინტერესო გამოკვლევებით. ვეცდები შემდეგში მოკლედ გავაცნო მკითხველებს. გ. მ.

ამნაირად გაატარა ეპისკოპოს კირიონმა სრული შვიდი თვე კურიაჟის მონასტერში, მხოლოდ მერვე თვის დეკემბრის 10-ს, როგორც ვიცით, დეპ. პურიშკევიჩმა სახელმწიფო სათათბიროში საჯაროდ გამოაცხადა ცრუ ამბავი, ვითომ ეპისკოპოსი კირიონი დასწრებოდეს მღვდელ ჩიჯავაძესთან მომხდარ კრებებს 22 თებერვალს და 18 მაისს და ვითომ ამ მოგონილ კრებებს მოჰყოლოდეს ეგზარქოსის ნიკონის მკვლელობა და სხვა. არ გაგიკვირდება მკითხველო, ამნაირი უცნაური ტყუილი! ჯერ ეს კრებების ამბავი ვისა სმენია და მერე ეპისკოპოს კირიონს რა უნდოდა ტფილისში 22 თებერვალს, როდესაც იგი მხოლოდ 9 მარტს გამოემშვიდობა თავის კოვნოს ეპარქიას და 18 მაისს კი, მე თითონ მონამე ვარ, კურიაჟის მონასტერში მწირველი იყო და კიდეც ვიღაცა აკურთხა იღუმენად!! მაშ საიდან შეხანხლა ასეთი სიცრუე პურიშკევიჩმა?!

მაგრამ პურიშკევიჩის სიცრუემ მაინც გასჭრა და მისი სიტყვის სწორედ ორი კვირის შემდეგ, 26 ქრისტესშობისთვეს, მოვიდა სინოდიდან ბრძანება, ეპისკოპოს კირიონის კურიაჟის მონასტრიდან ტამბოვის ეპარქიის სანაქსარის მონასტერში გადასახლების შესახებ. რისთვის, რა მიზეზია, რომ ამ ცივ ზამთარში უფრო ცივ ყინვიან უდაბურ მონასტერში მასახლებენ, რომელსაც რკინის გზაც არ უდგება და 80 ვერსი ეტლით არის გასავლელიო, ჰკვირობდა კირიონი. კირიონმა გაუგზავნა სინოდს საპასუხო დეპეშა. სთხოვა ნება მიეცათ პეტერბურგში მისვლისა, რომ გაეგო რაში იყო საქმე. ხელმეორედ მოვიდა დეპეშა: „სინოდს საჭიროდ მიაჩნია, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავროთ სანაქსარის მონასტერში. პეტერბურგში მისვლის ნება არ მისცეთ".

ამ დეპეშის მიღების მეორე დღესვე ჩააყენეს სტრაჟნიკი საყარაულოდ, ირგვლივაც ეტყობოდა, რომ პოლიცია თვალყურს ადევნებდა ყველაფერს. ამან ცუდად იმოქმედა კირიონის გატეხილ ჯანზე და ძალიან დასუსტდა და თითქმის სასოწარკვეთილებასაც მიეცა. სტუდენტების რჩევით, ხელმეორედ გაუგზავნა დეპეშა სინოდს, სთხოვდა: „რადგან ამ ჟამად შეუძლოდა ვგრძნობ თავს, მაისამდე მაცალეთ დანიშნულ ადგილას წასვლა ან არა და რომელიმე სამხრეთის მონასტერში მომეცით ბინაო". მაზე უფრო მკაცრი პასუხი მოუვიდა: „ნაბრძანებია დაუყოვნებლივ წახვიდეთ დანიშნულ მონასტერშიო". მეტი ჯანი აღარ იყო, დამორჩილდა ბედს და 10 იანვარს გაუდგა გზას. რადგან სუსტადა გრძნობდა თავს, გავყევი მეც მოსკოვამდის გასაცილებლად. ვამჩნევდი, რომ ყველგან, საცა კი წავიდოდით, უცხო პირები თვალს გვადევნებდნენ და კატორღელებსავით უკან დაგვდევდნენ.

მოსკოვში ვნახეთ პროფესორი ხახანაშვილი, რომელსაც ეპისკოპოსმა კირიომა გააცნო თავისი ნაწარმოები. პროფესორი ხახანაშვილი კიდეც შეჰპირდა მის გამოცემას. ვინახულეთ აგრეთვე ცნობილი ნ.ნ. დურნოვო, რომელიც ძალიან სწუხდა იმის უდანაშაულოდ დასჯას და სხვადასხვა რჩევას აძლევდა. რაც დრო გადიოდა, კირიონი მით უფრო სუსტდებოდა, რისთვისაც 16 იანვარს ნაშუადღევს პირველ საათზე იგი გოლიცინის

საავადმყოფოში დაწვა. ჩვიდმეტ იანვარს საავადმყოფოში მისვლისთანავე შემატყობინეს, რომ ეპისკოპოსი წაიყვანესო. „ვინ, რად, სად?" განცვიფრებულმა ზედიზედ მივაყარე კითხვები მორიგე ექიმს, რომელმაც გადმომცა შემდეგი: „წუხელის, ღამის ორ საათზე, უნდოდათ წაეყვანათ ეპისკოპოსი პოლიციელებს, მაგრამ სამკურნალოს სამმართველომ არ შემოუშვა, ამიტომ დღეს, დილის რვა საათზე, მოვიდა ბოქაული თავისი ამალით და შეეკითხა ექიმს: შეუძლიან თუ არა ეპისკოპოსს გამგზავრებაო. ამაზე ექიმმა მიუგო, თუმცა ძალიან სუსტად არის, მაგრამ იქნებ შესძლოს მგზავრობაო." ამის შემდეგ ბოქაულმა უბრძანა ეპისკოპოსს, საჩქაროდ ჩაიცვით ტანისამოსი და ჩემთან ერთად წამოდითო. ჩასვეს კარეტაში და სად წაიყვანეს ან რისთვის, ჩვენ თვითონაც არ ვიცითო".

ჯერ პროფესორ ხახანაშვილს შევატყობინე ეს ამბავი და შემდეგ ნ.ნ. დურნოვოს, რომელიც მაშინვე გაექანა ამბის გასაგებად. პატარა ხანს უკან გავიგეთ, რომ სამკურნალოდან კირიონი პირდაპირ სადგურზე წაეყვანათ და ორი დარაჯით გაესტუმრებინათ სანაქსარის მონასტერში.

მესამე დღეს ხელმეორედ მივედით ნ.ნ. დურნოვოსთან. მოხუცი თითქმის სტიროდა ეპისკოპოს კირიონის ამნაირ სასტიკ მოპყრობის გამო, ამტყუნებდა ქართველ საზოგადოებას, რომ იგი არა ზრუნავს და რამე საშუალებას არა ხმარობს მის დასახსნელადაო. საჭიროა, ამბობდა ნ.ნ. დურნოვო, რომ ყველა ქართველი ეპისკოპოსები შეეკითხნენ უმაღლეს მთავრობას, რადა სჯიან ასე სასტიკად ეპისკოპოს კირიონს და ან როდის მოეღება ბოლო ამ დევნასაო. აქვე გადმომცა, რომ დღეს მოსკოვის უნივერსიტეტის ინსპექტორის თანაშემწეს ბოგოიავლენსკის ელაპარაკნა ვოსტორგოვთან კირიონის უსაფუძვლო დევნაზე, და ვოსტორგოვს პასუხად უთქვამს: „я его утоплю и всю Грузию кровью залю." ამაზე მოსკოვის გაზეთის რომელიღაც თანამშრომელს ბ-ნ ბალაშოვს, რომელიც იმ დროს იქა ყოფილა, ეთქვა: „ეპისკოპოს კირიონმა ამ სიტყვებზე უჩივლოს ვოსტორგოვს და მე მოწმედ დამნიშნოსო".

ამის შემდეგ, უკან დაბრუნებისას კურსკის სადგურზე ჟანდარმებმა მეც დამიჭირეს, აქ პოლიციის მოხელემ ჩამომითვალა ჩვენი მგზავრობა და თან მუქარით მკითხა – სთქვი, სადა და სად იყავით, თორემ დაგიჭერთო. სულ ერთია ჩვენ ყველაფერი ვიცითო". თუ იცით, მე მივუგე, მაშ რაღა საჭიროა ჩემი თქმა-მეთქი. ჩვენება ჩამამართვეს და ბოლოს როგორც იყო გამიშვეს.

ასე და ამნაირად დაბოლოვდა ეპისკოპოს კირიონის მგზავრობა.

წერილი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა პირველ რიგში იმიტომ, რომ ესაა ამ ამბის მომსწრის მიერ დაწერილი და შეიცავს უტყუარ ინფორმაციას. იმ დროს, როცა ყოველი ანტირუსული იდეის გამოხატვა სახიფათოდ ითვლებოდა, მეტად გაბედული ნაბიჯი იყო ამ სტატიის გამოქვეყნება, კირიონის გასამართლებელი საბუთების მოყვანა და მასში ვოსტორგოვის სიტყვების ჩართვა, რამაც თავად რუსი თანამემამულე გააოგნა, იგი მზად იყო სასამართლოში მოწმედ დადგომოდა კირიონს. მეორე მხრივ, ნაჩვენებია რუსების განწყობა და დამოკიდებულება ქართველი საზოგადოების, ეკლესიის მიმართ, აღწერილი და გაანალიზებულია კირიონის ცხოვრების უსამართლოდ გადასახლება, ნაჩვენებია კირიონთან დაახლოებული პირის პირადი განცდები რუსული აგრესიისაგან თავის დაღწევის დროს, მოყვანილია ზუსტი თარიღები.

სტატიაში ნახსენებია რუსი პიროვნება, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, ასახულია მისი პოზიცია ქართული ეკლესიისა და კირიონის მიმართ. ვინ არის დურნოვო? რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მცოდნე ღვთისმეტყველებისა, საეკლესიო ისტორიისა და კანონმდებლობისა. როგორც კანონისტი, დურნოვო ავტორიტეტი ყოფილა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. იგი მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის კანონიერ ავტოკეფალიას, მათი ქონების, ხატების, ჯვრების და ნაძარცვი ნივთების დაბრუნებას. იგი ამხელდა რუსეთის საეკლესიო მთავრობას უწესო და უსამართლო ქმედებების გამო, მათ ქმედებებს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ქართული ეკლესიების, ხატების, ხელნაწერებისა და წიგნების მიმართ. მისი მოსაზრებები გამოხატულია მის ნაშრომში, „ქართული ეკლესიის ბედი."

მარჯორი მოუსვენარიძის წერილის შინაარსით დაინტერესებულა, სწორედ იმის გამო, რომ აქ საუკეთესოდაა ნაჩვენები რუს მოხელეთა მიერ ქართველი სასულიერო პირის დევნისა და ქართული ეკლესიის შეურაცხყოფის ფაქტები. ამიტომაც იგი იმავე, 1909 წელსვე უთარგმნია. ყოველგვარი სიახლე, მანძილის მიუხედავად, მისთვის მაშინვე ხდებოდა ცნობილი. თარგმანი S.Wardr. C29 შიფრითაა დაცული ოქსფორდის ბიბლიოთეკაში და იგი სამი ხელნაწერი ფურცლისაგან შედგება.

Bishop Kirion
A letter from Kharkoff

You already have learnt from the newspapers that Bishop Kirion has once more been condemned and sent from the Kharkoff to a lonely solitary monastery. The sufferings of the aged Bishop at this time was unimaginable. Why should they thus torture and rescue this man.

Bishop Kirion is a true sympathiser with his people. He is full of science love and a true Christian, true protector of the oppressed and what somewhere race they belong. This is the very reason for his merciless persecution and all the worse as he hears everything in silence.

The first punishment of Bisho Kirion was his appointment to an insignificant place in Russia. Several years after this circumstances changed and he was appointed to the first monk in the Bishoprie of Orel. A short time afterwards Kirion exchanged the Bishoprie of Orel for Sukhum with Bishop Dimitri. Hence Bishop Kirion was invited to the Synod. In discussions of the question of authocephaly of the Georgian Church, he defended warmly authocephaly and displaced great knowledge of history, as Professor Butkevich of Kharkoff University afterwards informs us. At that time prof. Butkevitch was an ardent opponent of Bishop Kirion. After this Bishop Kirion was again appointed to a small place at Kovn. He did not remain here long. Seeing that the high spiritual church looked on him with disfavour, he resigned Bishoprie and asked permission at Mount Athos. Upon this the famous Vostorgoff said: "He wished to live at mount Athos, so that he may intrigue with the Turk and remove Georgia from Russia." The Synod forbids him to live

at Mount Athos and sent him to monastery neat Kharkoff, where he took up his alone last year on April 25th. He was greatly consoled by a deputation of Georgian students from Kharkoff University, who came to see him. He expressed his thanks for sympathy in a beautiful speech.

Here Bishop Kirion lodging consisted of three underground cells so damp that water was down the walls. No pension was assigned to him and he was content with the fare of a simple monk. In spite of this Bishop Kirion didn't loose courage and was consoled in the proximity near to University, as he could use its library in addition to his own 5000 volumes. Here he lived seven months and completed a new work in Russian tongue.

"The Civilising Role of Iberia in the History of Russia". Here he also made the acquaintance of various professors who were deeply interested in his new work and are anxious to haste its publication.

Though Bishop Kirion spent seven whole month in Curiadhis Monastery, only in the eighth month on the 10th December (o.s) as we knew, the deputy Purishkevitch publicly declared in the Duma, that Bishop Kirion was present at the meetings held in the house of the Chidjavadze on the 22th February (o.s.) 18th May (o.s.). These imaginary meetings were followed by the Exarch Nikon's murder and so on. Do you not marvel, reader, at such strange falselivion, who has heard of these meetings and next how could Kirion be in Tiflis on February 22, when he only resigned the Bishoprie of Kovno on march 9th and on May 18 can witnessed that he was officially in the Monastery of Curiadhi and never blessed someone as abbat (igumen).

Then where did Prishkevitch find such lei. Nevertheless Purishkevitch's falsehood of his work cut and joint two weeks after his speech on Dec 26 the order came out of Synod that Bishop Kirion was to move from Curiadhis Monaster to Sanaxaris Mosnastery in the Bishopery of Tamboff. Kirion wondered why and for what reason they should send him in midwinter to a still cold, more solitary monastery, where the railway station is 80 verst distant. He sent a telegram to the synod and begged to allow him to come to Peterburg and learn what had happened. A second telegram came: "The Synod considers necessary that you should immediately travel to Sanaxaris Monastey. They do not give you permission to come to Peterburg."

The day after the receipt of this telegram a guard was set to watch him and the police were observing everything.

All this had a bad influence on Kirion's health and he became very weak and almost gave himself to despair.

By the advise of students he again sent a telegram to the Synod asking that on account of terrible state of health he might be allowed to delay his departure till may or if not that he might be granted shelter in a monastery in the South. To this a still more peremptory reply came ordering him to leave at once for the appointed monastery. There was nothing for it but to obey fate and on Jan. 10th he sat out. As he felt weakly, I went as far as Moscow with him, noticed that wherever we went there were stranger who watched and followed as like convict.

In Moscow we saw Prof. Khakhanashvili and Bishop Kirion showed him his new works which Khakhanashvili promised to have published. We also saw the famous N.N. Dunovo who was deeply grieved at this undeserved punishment and gave advice, various councils. As time passed Kirion became worse and worse ailing until Jan 16, when he entered the Golifzin Hospital at one o'clock. On the 17th when I went to hospital I was informed that they have taken away the Bishop. I asked why, where, what for in amazement. The doctor informed me that the night before at two o'clock the police wanted to take away the Bishop but the hospital authorities would not allow it. At 8 in the morning the Pristav came with his assistants and asked the doctor if it was possible or not for the Bishop to travel. The doctor replied that "although he was very weak it might be possible for him to travel." Upon this the Pristav ordered the Bishop to dress quickly and to go with him. They put him in the carriage and drove away with him. The doctor didn't know where and why.

I informed Prof. Khakhanashvili of what had taken place and then N.N. Dunovo, who immediately hasted to learn the news. On a short time we heard that from the hospital Bishop Kirion had been taken direct to the railway station and sent to Sanaxaro Monastery with two guards.

The nest day I went to N.N. Dunovo's again and was almost weeping at this severe treatment to the Bishop and wishes to know if Georgian society could do nothing to save him. It is necessary, said N.N. Dunovo, that every Georgian Bishop should enquire of the government why Bishop Kirion is thus persecuted and then this will be an end of it. He also told me that the assistant inspector of Moscow University Bogoiabovsky was asking with Vistorgoff about Kirion's groundless persecution and Vostorgoff replied: "I will drown him and all Georgia with blood." Upon this Mr. Balashov a member of a Moscow newspaper, who was present at the moment said: Bishop Kirion may complain of these words of Vostorgoff, may call me as witness.

After this on my return to the Kursk Railway station jandarmes seized me, a police official related to me own journey and menacing me said: tell me where you have been or I shall arrest you. It is all the same, we know everything. If you know, replied I, then why it is necessary that I should tell you. They handed me testimony and finally let me go. Thus ended Bishop Kirion's journey.

G. Mousvenaridze"

მარჯორი უორდროპის ამ თარგმანში გარდა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა, ასევე მოცემულია საგაზეთო სტატიის მისეული თარგმანის პრინციპები. როგორ მიუდგა მარჯორი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის თარგმნას? რისი გადატანა ჩათვალა მან უმთავრესად – მხატვრული მხარის, თუ ერთგული დარჩა შინაარსის?

თარგმანის დედანთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ მთარგმნელი საოცარი სიზუსტით თარგმნის ყოველ ფრაზასა თუ სიტყვას, არც ერთი სიტყვაა ზედმეტი. დიდი სიფრთხილით გადააქვს დედნისეული ელემენტები, ინტონაცია. Do you not marvel, reader, at such strange falselivion... ისიც ეკითხება მკითხველს. მთარგმნელს ესმის მოცემული დოკუმენტის მნიშვნელობა და ამდენად შინაარსიცა და ფორმაც სიზუსტითაა გადატანილი. თარგმანს აშკარად ეტყობა, რომ ეს არაა მხოლოდ საინტერესო შინაარსის გამო თარგმნილი.

რაში დასჭირდა მარჯორის დედნის ადეკვატური თარგმანის შესრულება? რა მიზანი უნდა ჰქონოდა ქართულ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის თარგმანს? ოქსფორდში დაცული წერილების მიხედვით და-ძმა უორდროპები ცდილობენ ქართული კულტურისა და ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანას და პოპულარიზაციას. თანამემამულეებისათვისაც იმ დიდი სიამოვნების მინიჭებას, რაც თავად განიცადეს ქართული ლიტერატურის კითხვის დროს. ნუთუ მხოლოდ ეს იყო მის მიერ ამ თარგმანის შესრულების მიზანი?

ამ კითხვაზე პასუხი ისევ ბოდლის ბიბლიოთეკაში მოიძებნა იმ მრავალრიცხოვან წერილებს შორის, რომლებიც ოლივერ უორდროპმა შეაგროვა და ბოდლის ბიბლიოთეკას შესწირა.

ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავება დაკავშირებულია ოლივერის ტრანსკავკასიის ბრიტანეთის პირველ კომისრად დანიშვნასა და ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაწყებასთან.

წლების მანძილზე მარჯორი უორდროპი, – ტრანსკავკასიაში ბრიტანეთის პირველი ელჩის ოლივერ უორდროპის და ცნობილი იყო როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელი, არავინ იცოდა იმის შესახებ, რომ მარჯორიმ უამრავი რამ გააკეთა ქართველი ხალხის დასახმარებლად. იგი საქართველოში სულ ორჯერ იყო, თუმცა საქართველოსადმი სიყვარული არ შენელებია.

ბოდლის ბიბლიოთეკის საარქივო მასალის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ოლივერის გვერდით მუდმივად იდგა მარჯორი. ქართველი ხალხი მას, როგორც მანდილოსანს მიმართავდა გასაჭირის დროს, თამარ მეფის, ქეთევანისა და ნმინდა ნინოს გვერდით აყენებდა, რომელიც ღმერთმა ქართველთა სახსნელად გამოგზავნა. ის იყო არა მხოლოდ მთარგმნელი და საქართველოთი აღფრთოვანებული პიროვნება, არამედ ეგრეთ წოდებული „დიპლომატი" და ამ მიწის, კულტურის და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დამცველი. მის თარგმანებს და ორიგინალურ ნაშრომებს, მის შუამავლობას და დაუღალავ შრომას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა საქართველოს ისტორიის განვითარებაზე. შეუძლებელია ბოდლის ბიბლიოთეკაში, უორდროპის კოლექციაში ნანახი, მის მიერ თარგმნილი და მაღალი რანგის პირებთან (გიბრალტარის მღვდელმთავარი, სესილ სპრინგ რაისი - პეტერბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჰენრი ნევინსონი, - ბრიტანელი ჟურნალისტი) გაგზავნილი წერილების გაუთვალისწინებლობა, სადაც იგი სიმართლეს აწვდის საზოგადოებას და ამხელს რუსებს, იმ დროს როცა ყოველი სიმართლის მთქმელი სასტიკად ისჯებოდა. მის თარგმანებსა თუ საგაზეთოდ დასაბეჭდ სტატიებს რუსების საქართველოში განხორციელებული უსამართლობანი საზღვრებს გარეთ უნდა გაეტანათ.

მარჯორი უორდროპის ქართულ ხელნაწერთა ფონდის კვლევის დროს აღმოჩენილი მრავალი ასეთი დიპლომატიური წერილიდან გამომდინარე მოგვეცა მისთვის დიპლომატად წოდების უფლება. მას ეს თანამდებობა არასოდეს სჭერია და ოლივერის საქართველოში ჩამოსვლის უმთავრესი მიზნიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ იგი ამ რეგიონში დიპლომატიური საქმიანობის მართვის დროს მას თავის საქმეში არ ახედებდა.

ეს ნაბიჯი სწორედ რომ დიდი გაბედულების გამოვლინებაა, იმ დროს, როცა იგი თავად ხედავდა, თუ როგორ ისჯებოდა ყოველი სიმართლის მთქმელი. ამის მიუხედავად, კირიონის ტანჯვით, მისი დევნით შეძრულმა მარჯორიმ გადაწყვიტა მოუსვენარიძის წერილის თარგმნა და ამ ამბის ევროპისათვის გაცნობა მისი გადარჩენისა და ქართული ეკლესიის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით.

მარჯორის გულისტკივილსა და აღფრთოვანებას რუსი ხალხების საქართველოში განხორციელებული სასტიკი ზომების გამო ასახავს ასევე გიბრალტარის მღვდელმთავართან 1909 წლის 15 აპრილს ბუქარესტში გაგზავნილი წერილი. მასში კარგად ჩანს, რომ მარჯორის საკმაოდ კარგად სცოდნია საქართველოში არსებული მდგომარეობა და ქართველთა დევნის თითოეული ფაქტი, მას წაკითხული აქვს მრავალი სტატია. მასში მოკლე შინაარსის სახითაა გადმოცემული ქართველი ხალხის გასაჭირი და კირიონის დევნა. ეს წერილი სწორედ ზემოთ მოყვანილი სტატიის თარგმნის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ვინაიდან მასში მოკლედაა აღწერილი წერილის შინაარსი. „დაქვეითების შემდეგ იგი დაატყვევეს შორეულ რუსულ მონასტერში. თუმცა ის საკმაოდ ხანში შესულია და ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუარესებული აქვს, მას შუა ზამთარში აიძულეს მგზავრობა. პეტერბურგში ჩასვლისა და ბრალდებისაგან თავის გამართლების თხოვნა უგულებელყოფილ იქნა. იგი მოსკოვში ავად გახდა, თუმცა პოლიციამ ძალით წამოიყვანა იქიდან და მოსთხოვა გზის გაგრძელება. ისაა რამოდენიმე ღირებული ლიტერატურული ნაშრომის ავტორი და ხალხი მასზე ძალიანაა შეყვარებული." მარჯორი აღწერს მღვდელმთავარი ლეონიდის, არქიმანდრიტი ამბროსის დევნის და უსამართლოდ დასჯის ფაქტებს და უმარტავს გიბრალტარის მღვდელთმთავარს, რომ: „დევნის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ქართველი სამღვდელოება ანონიმურად ემხრობა საკუთარი ეკლესიის თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არსებულ ავტოკეფალიას." მას მოჰყავს მაგალითები, თუ რა შედეგები მოიტანა მართლმადიდებლური რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილმა დამსჯელმა ქმედებებმა: „ეკლესიის დევნა ხალხს მართლმადიდებლურ რწმენას აშორებს. ბევრმა მიიღო კიდეც რელიგიის შეცვლის გადაწყვეტილება. კახეთის ორი სოფლის მოსახლეობა ბაპტისტი გახდა. ესაა კურიოზული სიმპტომი იმ ხალხისა, რომლის ეკლესიასაც არასოდეს სცოდნია ერეტიზმი და სეპარატიზმი." საზოგადოება არ ზის რეაქციის გარეშე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „მთელი ქართველი ერი აღშფოთებულია. თავადთა შეკრებებზე გამოთქმული იქნა მოსაზრება, რომ თუ გაგრძელდება სასულიერო პირთა მსგავსი დევნა და ყოველგვარი გასამართლების გარეშე გადასახლება, ხალხის მართლმადიდებლური ეკლესიისაგან მასობრივი ჩამოშორებაა მოსალოდნელი.

ქუთაისში მარტის დასაწყისში რამოდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი თავადი დააპატიმრეს და დაემუქრნენ გადასახლებით მსგავს შეკრებებზე დასწრების გამო. მაგრამ ამჟამად თბილისის გაზეთებიდან ვიგებ, რომ ზოგი უკვე გამოუშვიათ."

მარჯორი წერილში საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნას ავლენს. მისი თქმით: „ქრისტიან ერს რწმენა და თავისუფლება შენარჩუნებული ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში მონღოლების, არაბების, თურქების, ირანის შემოსევის დროს, ახლა კი ორივეს დაკარგვის წინაშე დგას დიდი ქრისტიანული ძალის მფარველობის ქვეშ, სადაც ისინი თავისი სურვილით გაერთიანდნენ ასეული წლის წინ."

მარჯორი აქვე ასრულებს წერილს, ბოდიშს უხდის ადრესატს მცირე ინფორმაციის მიწოდებისა და მისი შეწუხების გამო და დასძენს: „მე გამოვხატავ ჩემს უმწეობას, მაგრამ ვგრძნობ, რომ

უნდა გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც შემიძლია ამ მამაცი ქართველი ხალხისათვის, რომელთაც მე ასე ძალიან ვაფასებ და მიყვარს.“ იგი სთხოვს გიბრალტარის მღვდელმთავარს, რომ უშუამდგომლოს ქართულ ეკლესიას რუსულ სინოდთან და რაიმეთი დახმარება გაუწიოს ამ მცირე ერს. იგი საკუთარი ხელით დაწერილ ბარათს ოლივერის მიერ თარგმნილ ალექსანდრე ცაგარელის გაზეთ „სლოვში“ დაბეჭდილ წერილს ურთავს და დასძენს, რომ ის, რისი თქმაც თავად ვერ მოახერხა, დანართი წერილიდან შეიტყობს. (30. 10/31.12.1908.)

მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თავად წაიკითხოს და შეაფასოს ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული მარჯორისეული წერილის ვერსია.

"Dear Bishop of Gibraltar,

The sad news from Georgia of the persistent persecution of ancient Iberian Church and its clergy has moved me to appeal to you. I do not know if you personally are in touch with the Russian Synod but, in any case, no doubt you are acquainted with English churchmen who are I feel sure that you will use your influence to interest them in the spiritual state of their Georgian brothers and to try to obtain justice for them.

Bishop Kirion after suffering degradation and exile has been imprisoned in a distant Russian Monastery. Although he is well up in years and in horrible health, he was forced to travel in the depth of winter and his request to be allowed to go to St. Peterburg to answer any accusation which might been against him was refused. He fell ill in Moscow but was drugged from the hospital by the police and made to continue his journey. He is the author of several literary works of merit and much beloved by the people.

Bishop Leonid perhaps the most esteemed of the Georgian clergy was subjected to a domiciliary search and removed from his see.

Archimandrite Ambrose, an eloquent preacher has been degraded and exiled to a Russian monastery and many of the local clergy have been dismissed and punished.

The only reason for this persecution is that the Georgian clergy unanimously support the autocephaly of their church, which has existed for 15 centuries. The accusation of instigating the murder of the Exarch Nikon, brought against them by the notorious Russian reactionary, Purishkevitch is too fantastic and infamous to be considered.

The great enemy of Georgian church, the missionary archiipriest Vostorgoff, was in Moscow, heard to declare that he would 'drown' Bishop Kirion and flood all Georgia with blood'. He has recently received the order to ST. Peterburg from the Tsar.

This persecution of their church is alienating the people from the Orthodox faith. Many even discuss the advantages of changing religion. Two villages in Cakheti have become Baptists. This is a carious symptom in the people whose church has never known heresy or sectarianism.

The whole Georgian nation is naturally roused to indignation. Meetings of the nobles have been held in which the fear expressed that the mass of the people would be alienated from the Orthodox Christian faith if the highest hierarchs continue to be arrested and exiled without trail.

At Kutais, in the beginning of March some of the most notable men in the country were imprisoned and threatened with exile for the taking part in such a meeting, but I see from the latest Tiflis papers that several of them have now been revealed.

From the enclosed translation of an article* by Prof. Tsagareli of St. Peterburg University, a Priory Counsellor of the Empire you will see what an expert has to say about the authochephaly of the Georgian church.

This Christian nation has hold last faith and freedom through centuries of invasion by Mongols, Arabs, Turks, and Persians is now like to lose both under the protection of the great Christian power to whom the voluntarily united herself a hundred years ago.

I hear that these few facts give but poor ideas of the state of affairs, but I do not wish to weary you. Please forgive me for troubling you. I realise my utter helplessness, but I feel that must do what I can for the brave Georgian people whom I so much admire and love.

I hope to have the pleasure of seeing you again soon.

Yours sincerely,

M.Wardrop."

წერილზე პასუხი არ არის ოქსფორდის ქართულ კოლექციაში, ამდენად ძნელი სათქმელია, რა უნდა მოჰყოლოდა მის გაგზავნას, თუმცა არსებობს მარჯორის მიერ გიბრალტარის მღვდელმთავარისადმი მიწერილი კიდევ ერთი წერილი, სადაც ჩანს, რომ იგი ღრმა ინტერესს გამოხატავს არსებული მდგომარეობის გამო და ცდილობს იმის გაკეთებას, რაც შეუძლია, რის გამოც მარჯორი დიდად მადლობელია. მარჯორი გარკვევით ახსენებს, რომ მას და გიბრალტარის მღვდელმთავარს ერთად უნახავთ ბატონი ბირკბეკი სანტ პეტერბურგში. როგორც ჩანს, ინგლისელი ქალისათვის საქართველოს კეთილდღეობის სურვილი სურვილად არ დარჩენილა, იგი არა მხოლოდ მიმოწერით, არამედ პირადადაც ხვდებოდა ადამიანებს, ვისაც შეეძლო ქართული ეკლესიის შერყვნის ხელის შეშლა.

„ძვირფასო გიბრალტარის ეპისკოპოსო,

დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის. დიდად მადლობელი ვარ იმის გამო, რაც გააკეთეთ და დარწმუნებული ვარ ქართული ეკლესიაც მადლობელი იქნებოდა, ეს რომ სცოდნოდა.

ფაქტმა, რომ ინგლისელმა ეპისკოპოსმა ინტერესი გამოთქვა ახალგაზრდა ძმების მიმართ, დადებითი გავლენა უნდა იქონიოს რუსულ სინოდზე. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ბატონი ბირკბეკი, მისი მცირე ხნით ნახვის შემდეგ, გამოიყენებს თავის გავლენას რუსულ ეკლესიაზე." Ms. Wardr. D26/5

ბოდლის ბიბლიოთეკაში დაცულია მარჯორის მიერ პროფესორ ალექსანდრე ცაგარელთან მიწერილი წერილის დასამუშავებელი ვერსია. ცაგარელი მარჯორიმ პეტერბურგში გაიცნო და მასთან აგრძელებდა ქართული ენის დახვეწას. მოცემულ წერილზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარჯორის გიბრალტარის მღვდელმთავართან მიწერილი ორივე წერილი ალექსანდრე ცაგარელის თხოვნითაა შესრულებული. ერთი ნაცნობი კაცი სწორედ გიბრალტარის მღვდელმთავარი უნდა იყოს.

„11 თიბათვე 1909 წელი,

ღრმად პატივცემულო პროფესორო,

ნუ გგონიათ, რომ ჩემგან დავიწყებული არის ქართული ეკლესიის საქმე. მივიღე თქვენი კეთილი წერილი და სტატიები და მეყსეულად მივსწერე ერთ ნაცნობ კაცთან, რომელსაც მეგობრები ჰყავს რუსეთში. მისგან პასუხები მაქვს. მეტყველი თუ

ვსწერეთ მეგობრებთან და თანაგრძნეული პასუხები მომცემენო."

მარჯორი არ შეჩერებულა მხოლოდ გიბრალტარის მღვდელმთავარისათვის მიწერითა და საქართველოსთვის დახმარების გაწევის თხოვნით. ის იყენებდა თავის კავშირებს, პრივილეგიებს და ცოდნას, რომ ყველასათვის გაეცნო საქართველოში არსებული მდგომარეობა. სწორედ ესაა მის მიერ კირიონთან დაკავშირებული წერილის თარგმნის მიზანიც.

მარჯორის გარკვეული წვლილი უნდა მიუძღოდეს ასევე ევროპაში კირიონ II დაცვის საზოგადოების დაარსებაში, რომლის წევრებმა კარგად იცოდნენ ის, თუ რაც ხდებოდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. კირიონის ცხოვრებას და საქართველოში არსებულ მდგომარეობას კარგად გაცნობილმა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ჟორჟ ლორანმა, ბელგიიდან, ბრიუსელიდან 1909 წლის 10 მარტს ყოფილ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვს სთხოვა ეპისკოპოს კირიონის წამებისაგან დაცვა. ცნობილმა ანარქისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა ქართულ-ინგლისური კომიტეტის თავმჯდომარის ს. მორისის თანხმობით რუსეთის სინოდს მოსთხოვა კირიონის დევნის შეწყვეტა, თუმცა ვერც შინაურმა და ვერც ევროპის ჩარევამ ვერ უშველა კირიონს, მანამ, სანამ მისი მოღვაწეობის წყალობით 106-წლიანი პაუზის შემდეგ არ აღდგა ავტოკეფალია და 1917 წელს საქართველოში არ დაბრუნდა. იმავე წლის 17 სექტემბერს იგი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად. მან თავის ცხოვრების განმავლობაში მრავალი რამის გაკეთება შესძლო, მოაგროვა უამრავი ქართული ხელნაწერი, დოკუმენტური მასალები. გადაარჩინა მრავალი უძველესი ხელნაწერი, ხატები თუ მონეტები. დიდი სიფრთხილით აგროვებდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ლეგენდებს, სიმღერებს. ბევრის გაკეთებას შესძლებდა, რომ არა 1918 წლის 27 ივლისის მარტყოფის ტრაგედია. იგი დაცხრილეს თავის საწოლ ოთახში, მკვლელი დღესაც დაუდგენელი დარჩა, ვინაიდან მთავრობას არ აწყობდა მისი მკვლელის დადგენა. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძარში. ქართველი ერისათვის გაწეული ღვაწლისათვის მოწამებრივად აღსრულებული კირიონი 2002 წლის 18 ოქტომბერს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. კირიონის ღვაწლი აღუწერელია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში, ვინაიდან ეკლესიურ დამოუკიდებლობას წინ უძღოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

მარჯორი ვერ მოესწრო კირიონის გარდაცვალებას, ვინაიდან 1909 წელს, ავადმყოფობის შემდეგ, ბუქარესტში გარდაიცვალა. ავადმყოფმა მანდილოსანმა მაინც მიახერხა კირიონის მხარდასაჭერად ქართული სტატიების თარგმნა და მათი გავრცელება. იგი არასოდეს მალავდა სიყვარულს ქართველი ხალხისადმი და საქართველოში კიდევ ერთხელ ჩამოსვლის სურვილს. მისი ცხოვრების მიზანი იყო სწორედ მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა... მისთვის უსაქმოდ და უსწავლელად ყოფნა არ ითვლებოდა ცხოვრებად. იგი დიდ წყრომას გამოთქვამს თავისი ძმის მიმართ მის გარეშე რომ ესტუმრა საქართველოს:

„გუშინ ნაშუადღევს მივიღე შენი წერილი, 20 ოქტომბრით დათარიღებული, და დღეს ტომმა მოიტანა დეპეშა, სადაც წერია:

„მისამართი ბათუმი, ბრიტანეთის საკონსულო". ბუნებრივია მე ძალიან ვწუხვარ რომ შენთან ერთად არ ვარ, როდესაც საქართველოში მიემგზავრები. სიბრაზისაგან შემიძლია მხოლოდ ვიტირო, როდესაც ვფიქრობ, რომ მე მხოლოდ საზიზღარი ქალი ვარ, ნაცვლად იმისა, რომ ვიყო მამაკაცი. მე უნდა დავრჩე სახლში და არაფერი ვაკეთო, როდესაც მე შემიძლია ვიცხოვრო, ვისწავლო, ვიმუშაო... მენატრება ჩემი სახლი და ჩემს ქართულთან დაბრუნება. ჩემი სამუშაოს გარეშე სრულიად უბედურად ვგრძნობ თავს, ჩემი ქართული ბიბლიოთეკა იზრდება: მე კმაყოფილებით გავაგრძელებდი მუშაობას, რომ შემეძლოს საქართველოში ჩამოსვლა. მე რომ მამაკაცი ვიყო, ჩამოვიდოდი. მე სულ შენზე ვფიქრობ და ყოველთვის ჩემს ფიქრებში იქნები. ჩემი ორი სიყვარული ერთადაა უძვირფასესი და საქართველო." „არ ვიცი რატომ არი, რომ მე საქართველოს გარდა, ვერაფერზე ვფიქრობ ან ვლაპარაკობ, ეხ, რა იქნებოდა მეც რომ შენთან ვყოფილიყავი."

მისი ცხოვრება თითქოს შეიცვალა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ. იგი მიხვდა, რომ აუცილებელი არაა მამაკაცი იყო იმისათვის, რომ იცხოვრო, იმუშაო და კეთილი საქმე აკეთო. ქართველი მანდილოსნებით აღფრთოვანებული მარჯორი წერს: „ძალიან მცირე ქვეყანაში შევხვდებით, რომ ქალს ისეთი დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონოდეს, როგორც საქართველოში, რომანტიკულ რეგიონში, რომელიც მდებარეობს შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის" (. Wardr. C 26) ამბობს მარჯორი ქართველი ქალების შესახებ და დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მუდამ მათ გვერდით დგომას ცდილობს.

ბიბლიოგრაფია:

1. გოზალიშვილი შ. ილია და მარჯორი უორდროპი, ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, IIტ, გამომც. „მეცნიერება", თბ, 1972
2. Peter Nasmith, The Wardrops, Ge, 1998
3. აკაკის კრებული, 10, 1898

ეროვნული ბიბლიოთეკა



მასალა ისტორიის

„აბა, სიჯვდილი ჰას დაჯღებს ანთებული მგოსანს!..”

ქუთაისი ლეგენდების ქალაქია. აიეტისა და მედეას უძველეს ქალაქში ბევრი ლეგენდა აღმოცენდა ბესიკის, აკაკისა და გალაკტიონის,ზაქარია ფალიაშვილის, ვასილ ამაშუკელის, ცისფერყანწელებისა და დები იშხნელების ნაფეხურებზე. ამ ქალაქში დაიბადა სამი ოთარის ლეგენდაც და დღეს ქუთაისის ცენტრში სამი მზეჭაბუკის: ოთარ მამფორიას, ოთარ სულაბერიძისა და ოთარ ქორქიას ქვაში გამოკვეთილი სახება ეფერება ქალაქს. ეს არის ლეგენდა დიდებულ ვაჟკაცებზე, ღირსეულ ქალაქელებზე, თავიანთ მკერდზე რომ გადმოატარეს ადამიანური ურთიერთობების,ნიჭისა და კაცურკაცობის გაუხუნარი ტრადიცია და თავისთავადობითა და გამორჩეულობით დაიმკვიდრეს სახელი ჩვენს ქალაქში. ოთარ მამფორიამ თავისი განუყრელი მეგობრის, ოთარ სულაბერიძის ქვაში გაცოცხლება ლექსით ასე გამოხატა:

„და გაჰყურებ შენს მშობლიურ ქალაქს,
სადაც შენი სიჭაბუკე შფოთავს,
მოვდივართ და გესალმებით კვლავაც,
გამარჯობა, საყვარელო ოთარ! ”

პოეტმა ლილი ნუცუბიძემ კი ოთარ მამფორიასა და ოთარ სულაბერიძეს მიუძღვნა სიყვარულით სავსე სტრიქონები:

“დღეს რიონმა თეთრი ხიდი
ლამის ბეჭზე გაიდო,
საქართველოს სიყვარულში
გულდამწვარო რაინდნო,
დადიოდით ერთად ორნი,
გულმოღეღილ-მშფოთვარნი,
ვინ შექმნა და გამოძერწა
ასე ორი ოთარი!”

უყვარს ქუთაისს თავისი გამორჩეული შვილები, თავისებურ ხიბლს და ანდამატს რომ დაატარებდნენ ქალაქში და თავიანთი ცხოვრებით დიდი კაცობის ლეგენდა რომ დატოვეს. დიდი კაცი იყო ოთარ მამფორია, დიდებული პოეტი,როგორც თეიმურაზ ლანჩავამ უნოდა მას—”პურღვინიანი კაცი, ლხინისმოყვარე, იუმორითა და ცინცხალი, მოსწრებული სიტყვა-პასუხით სევდის დამმარცხებელი.''ქუთაისი ხშირად იგონებს ნაღდი გულის პოეტს და მისი სიტყვით ილამაზებს წარსულსა და აწმყოს: ოთარმა თქვა, ჯარში ვერ წავედი, აკოპში რა დალევდა ღვინოს, სადღეგრძელოს მოკაკვული ვერ ვიტყვოდიო, იგონებენ ბაღის კიდეში შეკრებილი მისი მეგობრები. ისიც ხომ თქვა,ნასვამ, მძინარე კაცს ლოგინიდან საბანი რომ ჩამოუვარდება, ან დედა აიღებს ან ცოლიო. დედა საბანს დაგახურავს, არ გაცივდესო, ცოლი აიღებს და იტყვის, არ დაისვაროსო.

თურმე მამია გურიელის (ფაზელის) ხსოვნა თქვა ერთხელ ოთარმა სუფრასთან, ძმაკაცებს სთხოვა, სანამ შევსვამთ, თითო პეშვი ჩვენი ძველი ფაზისის, რიონის წყალი ავიტანოთ მამიას საფლავზე და დავბრუნდეთო. ყველა გაჰყვა. პეშვით მიჰქონდათ რიონის წყალი და ასე აიარეს მრავალსაფეხურიანი კიბე. წმინდა გიორგის ეკლესიამდე მხოლოდ ნვეთებიღა შერჩათ ხელისგულებზე თურმე, აპკურეს მამიას საფლავს, ჩამობრუნდნენ და მერე შეუსვამთ შესანდობარი.

კიდევ რას აღარ ყვებიან, მოსაგონარს რა დალევს მამფორიაზე. თვითონ ოთარი ჩვეულებრივი ქართველი კაცის სურვილებს დაატარებდა. უყვარდა ,,ბალახზე ციმციმი ცვარის”, ,,ატმის ყვავილების ჟრჟოლა”, ,,მუხებში მგმინავი ქარი”, ,, წვიმა და ლამაზი თოვა”. ქართული დარდიმანდობით იმასაც ნატრობდა, მზის ალი რომ დასცემს ბუღიან აფრებს, ,,როს ჩაგიქროლებს ლამაზი ქალი და დაგავიწყებს მთელი დღის საქმეს”. რითმების ღელვა უყვარდა, როგორც ნაღდ პოეტს, როცა ,,თავადმოსული ხასხასა რითმა დაეჯახება სტიქონის ფაცერს”, მეგობრების ღიმილით სავსე დღეს ნატრობდა და კიდევ იმ დღეს, ალუბლობისას, ვერის ,,ბახში ყვავილებს აპრილი რომ რთავს, გადამეხვევა ნაცნობი ძველი, ხელს დამკრავს მკითხავს: როგორ ხარ, ოთარ!”

როგორ უნდა ყოფილიყო ქართული მზით გულგამთბარი, ამოდენა სიყვარულის დამტევი კაცი, რომელიც მოკრძალებით მღეროდა:

,,ვემთხვევი მამულს, მწვანეში ჩაფლულს,
მკერდში ჩავიფრენ ზედაზნის სიონს,
გავეჯიბრები შავი ზღვის დგაფუნს
და მის მაგიერ ჩავიკრავ რიონს.
ვეტრფი ფერების უცნაურ ღაღადს,
ამ სილამაზის მონა ვარ მხოლოდ”.

თუ თვალს გადაავლებთ ოთარ მამფორიას შემოქმედებას, იგრძნობთ, რომ სამშობლოზე თქმული ერთი დიდი ლექსი ჩაგრჩათ გონებაში. მისი პოეზიის ყოველი სტიქონი მამულის შუქით ფერჭრელობს, მისი ფიქრის საწნახელი ქართული ტკივილების მტევნებითაა სავსე და ყურში მუდამ მინის ძახილი ესმის:

,,მიცან და მენდე, მენდე და მიცან,
ეს მე ვარ, მე ვარ – ქართული მინა.
ეს მე ვარ, ვისაც გაჩენის დღიდან
არ გამერია ჭაღარა თმაში
და მხრებით ვზიდე, მარტოკამ ვზიდე
ამაყი მთები, ხმალი და ვაზი.
ვზიდე მამულის ცრემლი და სეტყვა,

ტაძარი, ციხე, სამარის ლოდი,
შენც თუ გაგიშლი მადლობა მითხარ,
ვენახის ლერწით დალამბულ ლოგინს!"

ამ ლოგინზე იწვა თვითონ მთელი ცხოვრება და ცისარტყელებით განათებულ ქაღალდის ხნულში დაატარებდა ,,სიტყვა ბატონი."

სამშობლოს ყოველთვის მისი წარსული და ბუნება განგაცდევინებს. ყველა შემოქმედი მამულის იმ ხატს ეფერება, რომელიც მის უღრმეს შრეებშია ჩალექილი. აკაკისათვის მამული სალოცავი ხატია, გალაკტიონისათვის – ცვრიანი ბალახი, ტიციანისათვის – გოლიათი მთები, გოგლასათვის — ნინოწმინდის მეფეთა პალატები... ლექსის კაცები ასე აიდეალებენ თავიანთ წარმოსახვაში წამომართულ სიმაღლეს, რომელსაც სამშობლო ჰქვია. ამ გზას მიჰყვება ოთარ მამფორიაც. სხვაგვარად, აბა, როგორ უნდა იმღეროს მამულის მეტრფემ, მას ხომ ყოველ ნერვში აქვს ჩაწნეხილი სამშობლოს განცდა. ამოტომაა იგი ხან ,,შავი ზღვიდან მოვარდნილი ქარი", ხანაც ,,ვარძიის დაცვარული ლოდები" თუ ქოხის ბუხრის ცეცხლის ნაპერწკალი", ,,მყინვარიდან აფრენილი არწივია", ,, დარიალზე მოხვეული ნისლიც" და საერთოდ, ლექსად თქმული კაცია ოთარ მანფორია. სიყვარულის დიდი ლექსი თქვა მან სამშობლოზე, კაცობაზე და ,,სიმღერითა და ოცნებით გათანგული" დააჩნდა ერის სულს. 1975 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულზე ასეთი მინაწერი აქვს: ,,ეს კრებული ორმოცდაათი წლისამ შევადგინე. მადლიერი ვიქნები, თუ ასი წლის შემდეგ ამ წიგნიდან ერთი ლექსით მაინც გამიხსენებთ." მე ყოველთვის იმ დიდებული ლექსით ვიხსენებ, რითაც დაიწყო ჩემი ბავშვობა, როცა ჩემმა მასწავლებელმა ემოციით დატვირთული ლექსი — ,,როცა ლექსს ვწერ" — მომცა წასაკითხად. ალბათ დუტუ მეგრელის ,,მე პატარა ქართველი ვარ'-ს შემდეგ ყველაზე მეტად ამ სტრიქონებმა გააღვივა ჩემში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. საოცარი ემოციური მუხტი მოდის ლექსის ყველა სტროფიდან, რომელიც თავზარდამცემად შეგაგრძნობინებს წინაპართა სულის ძახილს, ახლა შენში რომ ხმიანობს და უნდა შერჩეს მარადისობას:

,,რუსთაველის სტრიქონი ვარ ართქმული...
მახვილივით მტერზე წამომართული,
დარიალზე მოხვეული ნისლი ვარ,
სააკაძის ჭრილობების სისხლი ვარ
და კრწანისთან გაკვესილი ფრანგული!"

ოთარ მამფორიას პოეზია ძალიან ქართულია. მისი ლექსებისათვის თითქოს სხვა თემა არც არსებობს. ამ სტრიქონებიდან ვერ იგრძნობ სიმშვიდეს და შენც ბორგავ, რადგან პოეტის სულის კვილი არ გასვენებს. ბოლომდე შეწირული კაცის ხმა ისმის ამ სტრიქონებში:

,,ან შუამთაში დამაგდე,
ბახტრიონს ნისლით ამავსე,
ან ჩირაღდანად ამანთე,
დამკიდე ნარიყალაზე!
სამშვილდის ციხეს მშვილდივით
მკერდს გადამაკარ ჩემს წილად,
იმ ისარივით გამტყორცნე,
გეგუთის ცას რომ შესწივლა!
მერე სულ დამიმარტოვე
და მუჭა მიწა მაღირსე,
ერეკლეს ცრემლად დამტოვე
ამ აყვავებულ კრწანისზე!"

წინაპართა თავგანწირვებით სუნთქავს ოთარ მამფორიას პოეზია, მამაულის მეხოტბე წარსულის გმირები კვებავენ მის შთაგონებას, მათი ხმა ესმის, მათი ზვარაკობითაა მადლიერებით სავსე, ეამაყება სურამის ციხეში ჩაკირული ზურაბის თავდადაება, რომელსაც ,,არ შეშრობოდა ტუჩზე დედის რძე და მამაულისთვის ქვებში დადუმდა, ბალღი თუ ასეთ სიკვდილს შეიძლებს, ისეთ ქვეყანას ციხე რად უნდა!" ციხე-ტაძართა ნანგრევები სევდით ავსებს პოეტს, წუხს, ძველ ნანგრევებზე ჩამომდინარი სუროს ჩანჩქერი ბალახის მწვანე მდინარეს რომ უერთდება, რომ ,,დადუმებულა, დაშრეტილა ედემ მწვანე—აქ ჩამარხულა ჩუქურთმები, სიბრძნე ქართული. "

გრემის უძველეს ტაძარს დასტირის ასე პოეტი. ეს სტრიქონები რომანტიკოსთა სევდითაა ნასაზრდოები, რომელთა წაკითხვისას უნებურად გაგახსენდება ალ. ჭავჭავაძის "გოგჩა"-ადრე სიცოცხლით სავსე ტბის სანაპირო უბედურებას, მდუმარებას, არარაობას რომ მოუცავს. ამ გაერანებული მიდამოების ცქერას დიდი რომანტიკოსი უიმედობის მძაფრ შეგრძნებამდე მიჰყავს, მაგრამ, ალ. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით ოთარ მამფორიას სიცოცხლის ძახილი ესმის გრემის დადუმებული კედლებიდან, რომელთა დაშლილ სვეტებს ახლა "ქარი აწყდება გლოვის ნაღარით,"მაგრამ ეს ხმა იმედიანია, რადგან "მინა ბუბუნობს, თითქოს ძვლების ჟრიალი ისმის, იქნებ სიცოცხლეს უბრუნდება ნაქალაქარი"... —ამბობს პოეტი და თან იმედს ისიც უმძაფრებს, რომ "ხავსიან ქვებზე არწივები ლესავენ ბრჭყალებს და ნაქალაქარს აღვიძებენ ფრთების ფათქუნით." ოთარ მამფორიას რითმაშეუწყობელი არ დარჩენია ლამის არც ერთი კუთხე-კუნჭული,ყველაზე მეტად კი ლიხსაქეთურ იმიერს ეფერება, უყვარს გელათის მიდამოების "მწვანე ტყე და ცა ფირუზი,'' სათაფლიის გაქვავებულ ნატერფალზე ფიქრი დამრჩა გაფანტულიო, ამბობს, რადგან აქ მოისმინა "სიცოცხლის და სამყაროს სულ პირველი გაკვეთილი,"საქართველოს ქვების კვნესა ესმის და კლდეთა სიმაღლე აოცებს. და ამას ლექსებით ისე გამოხატავს, გგონია სადღეგრძელოს ამბობს, ხელში აღებულ ჭიქასთან ერთად რომ იბადება. სადღეგრძელებელი მხოლოდ ერთი ჰქონდა-სამშობლო! ამიტომაა მართალი გულით ნათქვამი მისი სიტყვები.

"არ მყოლია ღმერთი ქვეყნად,
ამ ზეცის და მიწის მეტი.
მე მეგონა ჩინჩხლებს ყრიდა
ჩემი ლექსის კვეს-აბედი,
თურმე არც კი ამომითქვამს
სიყვარულის მესამედი."

გრძნობის გამოხატვის დაუკმაყოფილებლობა იგრძნობა ამ სტრიქონებში ანუ ბოლომდე ვერ ამოთქვა, ვერ გამოხატა თავისი სიყვარული, მისი გაგებით, სიტყვაში ვერ დაიხარჯა. მიაჩნდა, რომ ვერც მეგობრობაში დაიხარჯა, არადა იგი დიდი მესიტყვე და დიდი სიყვარულის კაცი იყო. მასთან უხაროდათ, სულ დაეძებდნენ, რადგან ყველას სიტყვას და ღიმილს მიაგებებდა და მათთან ერთად ხარობდა ''მწვანეში ჩადგმული დოქის ყელყელაობით,"თუმცა მაინც რაღაც აკლდა თითქოს, უფრო მეტი უნდოდა, უგანზომილებო სიყვარული იცოდა:

"ხარივით ვეღარ მოვკალ წყურვილი,
რადგან ეს ნატვრა მახრჩობს ზვიადი,
მინდა, ო, მინდა, ლუკმა-პურივით
მასაც გავუყო ეს განთიადი."

სურდა,ქართული განთიადი ეწილადებინა მეგო-

ბრისათვის და რომ შეძლებოდა, სიცოცხლესაც გაუყოფდა. სულ ვიღაცას ელოდა, სიყვარულის შემატებაზე ფიქრობდა.

"ყველა აქ არი და მაინც კარი,
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია,
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან."

ოთარ მამფორიას ლირიკის გმირი ზნესრული ადამიანია, რომელსაც სიყვარული უნათებს გზას, წუთისოფლის ოკრობოკრო შარაზე გზანათელში დადის. იგი მტკიცედ იცავდა კოდექსს რაინდობისას და არ შეშლია ის, რისი შეშლაც არ შეიძლებოდა კაცობაშიო,-თქვა მამფორიაზე რეზო ჭეიშვილმა და ისიც დაამატა, ისე წავიდა, ცხოვრების ყველა ვალი გაისტუმრაო. ცხოვრება მარულაია, ამბობდა ოთარი. ერთადერთი, რაც აფრთხობდა,წლები იყო, რომელსაც გაშლილ ბადეს ადარებდა, სანამ შიგ მოექცევი, მზე რომ გგონია და გახალისებს მისი შრიალი, მაგრამ:

"იქნებ წლებიც ამ ჭაღარას
ბადესავით ისვრის,
მე კი მაინც მზე მგონია
თმაზე თეთრი ნისლი.
და ვინ იცის, იქნებ უკვე
მისი კალთა მფარავს,
იმ ბადეში გავხვეულვარ
ორაგულის დარად."

ხანაც მონადირედ მიაჩნდა წლები, მის ტყვიას რომ ვერსად გაექცევი:

"დრო-მონადირე მომდევს კვალდაკვალ,
ჭაღარა მისი თოფის ბოლია,
ისე მოვარდა ის ჩემს კარავთან,
ფეხის ხმა არც კი გამიგონია."

ვერ გაიგონებდა, რადგან სიყვარულში აღამათენებდა, ლექსით იწვოდა, სიმღერად იღვრებოდა. ოთარ მამფორიას ტექსტზე შექმნილი სიმღერები დღესაც პოპულარულია. ლამაზ მელოდიებთან ერთად გულში ჩამწვდომი ტექსტი გხიბლავს და არასოდეს ამოგდის გონებიდან დარდიმანდი, სიყვარულში ხელგაშლილი კაცის სიტყვები:

"დაგეძებ, სად რ დაგეძებ,
შენ მენატრები როგორ,
ნიბლიასავით თოვაში
არ გამეყინო გოგო!"'

ან

ყაყაჩო მაგ შენი ბაღის,
გიშრისწამაწამა ყაყაჩო,
მე ყოველ ღამით მეძახის
როცა შენს ფანჯრებს ვდარაჯობ."

მუდამ სიყვარულს ნატრობდა "ვით მზეს წვიმაში" და ''გვალვიანში წვიმას ნატრობენ." მარადიული გრძნობის სიშმაგეს ეტრფოდა და მისი ლექსი ბესიკის სუნთქვას ითავსებდა. ბესიკივით სიტყვით ხატავდა ფერწერულ ტილოს, რომლის ხილვა გხიბლავს, რადგან მის აქარიშხლებულ სტრიქონებში ულამაზესი კონტურები იხატება:

"შემხვდა ქალი მწიფე,
როგორც შემოდგომა.
ჩამოთლილი, ანაღერი ბროლის ყელი,
დაჭრილ ირმის ნაბიჯები ნაჩქარები,
მათრახებად დაკიდული თეთრი ხელნი-
და თვალები, რა თვალები."

მარადიული გრძნობის მეხოტბე გახლავთ ოთარ მამფორია, რომელზედაც ახლაც წერენ მოგონებებს, იხსენებენ მეგობრები და ამ მოგონებას თან ახლავს სიხარული მისი სახელის ხსენების გამო, ბედნიერება მისი ლექსის გამო, ღიმილი მისი იუმორის გამო, სინანული მისი წასვლის გამო. მოიგონებენ მას ყოველთვის თუმცა თვითონ ამბობდა:

"მე უკვდავების არ ვარ მთხოვნელი,
ისეც მეყოფა მიწა ცვრიანი.
ვიტყვი: ულექსოდ ქვეყნად მოვედი,
ლექსით წავედი ადამიანი."

თეიმურაზ ლანჩავამ ლექსითვე მოიგონა ღიმილიანი პოეტი, ულალატო კაცი და ასევე გამოხატა მისი უკვდავება:

"მახსოვხარ, ღვინისგან ირწეოდი,
შე ფრანგო, მეტყოდი, მაცინებდი,
არასდროს მთავრდებოდი, იწყებოდი,
სიცილით სატკივარს მაცილებდი.
იცოდი ზარხოში მადლიანი,
სიტყვის ცეცხლს სუფრაზე დაანთებდი,
ამბობდი, სიკვდილი ადრე არი,
სიკვდილზე საფიქრალს წაგვართმევდი.
ოდესმე მტერიც რომ დაგეჩაგროს,
არ მახსოვს, სურვილიც არ გქონია.
იტყოდი-სანამ ვარ, ამიტანეთ,
გიყვარდეთ ოთარ მამფორია.
მგოსანი ღვთისაა, ალამდარი,
შორსაა შურისაგან, იფიცებდი,
პოეტი არ მახსოვს გადამდგარი...
სულ პირველიაო, მიმტკიცებდი.
იყო მზე დარდისაგან შენისლული,
დიდი და პატარა აბრაგობდა,
ზეცისკენ გაგვექცა შენი სული,
რადგან დრო მიწაზე არ ვარგოდა.
წახვედი, ნათელი გაიყოლე
და ბინა დაიდე ცათაშინა,
სიკვდილმა სიცოცხლე შეგვახსენა,
სიცოცხლემ სიკვდილით დაგვაშინა.
მოვიდა ზამთარი მერამდენე,
სულ მალე ჩვენც წარსულს მივბარდებით,
შენსავით თუ ვინმე გაგვიხსენებს,
ეს ნიშნავს, ხელახლა ვიბადებით.
მახსოვხარ, ღვინისგან ირწეოდი,
შე ფრანგო, მეტყოდი მაცინებდი,
არასდროს მთავრდებოდი, იწყებოდი,
სიცილით სატკივარს მაცილებდი."

„უკვდავების არ ვარ მთხოვნელიო",ეს მოკრძბული სურვილი არ აუსრულა სიცოცხლეში მუდამ პოეტის თანამდგომმა, მეცენატმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა, მან ოთარ მამფორიას სახელის უკვდავსაყოფად პოეტის სახელობის პრემია დააწესა. ბატონი ელგუჯა ბუბუტეიშვილის კაცური თანადგომით ოთარ მამფორია არასოდეს დამთავრდება, რადგან, როგორც ოთარი ამბობდა:

„უკვდავებამდე როს დარჩება
ორი ნაბიჯი,
სულის ყივილი როს გადადის
მიწის ძახილში...
აბა, სიკვდილი რას დააკლებს
ანთებულ მგოსანს,
როცა საფლავშიც არ მთავრდება "

იმასაც ამბობდა სინანულით, დროს ვერსად გაექცევიო და ერთი სურვილის ასრულებას თხოვდა უზენაესს, "როცა ბედის საცერით სამარის ქვიშად გამცრი, ჩემივე სუნთქვით არწიე ერთი ობოლი ნაძვი."

ნაძვი ირწევა...
ქუთაისში ისევ იხსენებენ:
ოთარმა თქვა...

ყასამან ყოლეიძე

* * *

კაცი წაიქცა! — დაიძრა ჭორი,
მოედო ქუჩებს, ბანებს, აივნებს,
შენ ჩემო გზაო, და პურო ჩემო,
ჩემო ლამაზო რწმენავ, — ვაიმე! —
რა წამიერი ყოფილა კრძალვა,
რა წამიერი ყოფილა რიდი,
ამაყი კაცის, ამაყი სულის,
მე ასე მწამდა და ასე ვთვლიდი,
ჩემის გაგებით და ჩემის გზნებით,
ჩემის განგებით, ან გარდასულით...
რწმენა, რომელიც ცეცხლად ანთია,
რწმენა, რომელიც მზედ დაგვბრიალებს,
არ არის ერთის, და მხოლოდ ერთის,
რადგან ერთია და მხოლოდ ერთი
თვით მისი სახე, მისი ხატება,
ვაი მას, ვინც მის სიწმინდეს შერყვნის,
ვაი ჩვენ —
ყველას! —
ცოდვილთ თანაბრად...
უკეთუ ხატი დავამხეთ ერთი
და დავრჩით ათას ხატის ანაბრად.

* * *

ახლა სიცრუეს უფრო ჰგავს ეს მზე,
ეს მთა — გიჟური რწმენის ნაბოდვარს,
მე სულ ახლახან ვფიქრობდი შენზე...
და რაღაც კარგს და მართალს ამბობდი...
ყალბია ეს ცა და მოგონილი,
ეს იმიტომ, რომ უცებ წახვედი...
და მე როგორღაც სულ არ მეგონა,
თუ ასე უცებ დაგიძახებდი...
და გასდევს კვლავ ჩემს დღესა და ხვალეს
ისევ მოწყენა და გამრუდება...
და ჰგავს გრძელი გზა — წინ გაწვდილ ხელებს —
რომლითაც აღარ დამიბრუნდები...

* * *

წუთები, მხოლოდ წუთები ბედთან
შეხვედრის — ქარის ფრთები და ქროლვა.
ღმერთო მაღალო, დიდება შენდა,
რამეთუ წუთით შემიტკბობ ხოლმე.
რამეთუ ქროლვა დასაბამია
დროის და ფიქრის არგასრულების.
ჯერ არის — რწმენა ჰკლავს ადამიანს,
მერე იმედი აშთობს სრულებით.
შენ გხედავ ნისლში, შენ გხედავ ქარში,
როცა ძალიან მიჭირს — ყოველთვის,
როცა მტანჯველი ფიქრები ამშლის,
ყოველთვის, ხსნაო ჩემო, ყოველთვის...
რამეთუ თრთოლვაც დასაბამია
ხსნის, არამღვრევის, არგამრუდების,
და...
ვინ სად მიდის,
და ვის რა მიაქვს,
ვინ ზღვარს გავცდებით,
ვინ ვუბრუნდებით.

ფიქრი

ღმერთი ის არის,
რაც არ არის ყალბი,
ღმერთი ჩვენშია და ჩვენზე ძლიერი...
ჩვენ მას ვეძებთ,
ვეძებთ...
და ვკარგავთ...
ფიქრი სულის ჭდეა და იარა...
მე ვარ ღმერთი და მე დავდივარ მიწაზე,
მე მაქვს სურვილი და ჭირთა თმენა...
მე შენ მებრალები და გიწამე,
ფიქრი სამყაროს ნერვია და რწმენა.
შენ ხარ კაცი და ღმერთებს დასცინი,
იმ ღმერთებს, რომლებიც შენშია...
სამყარო მზის თასია დაცლილი...
სინათლე სულ ერთი პეშვია.

* * *

იყო ზვირთცემა,
იყო მზეც,
მიწაც,
იყო დიდი მთა ამ მთების იქით...
სადღაც დაღლილი მამონტი იწვა...
არ იყო კაცი...
არ იყო —
ფიქრი.
და გაჩნდა კაცი და ფიქრი ერთად,
ზღვა ითქვა ლურჯად,
ხე ითქვა მწვანედ,
მზე ითქვა სუნთქვად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ითქვა ღმერთად,
როს იშვა ფიქრი —
ტკბილი და მწარე.

* * *

შენ მეუბნები მშვიდად — და გჯერა —
არ დაგივიწყებ! და გეღიმება.
ძვირფასო, მართლაც არ ეღირება
სიცოცხლე შენი რწმენის გარეშე.
მე რომ ცხოვრების ფსკერზე დავეშვე,
შენ ისე მეტყვი, ისე უბრალოდ:
(გმადლობ ამისთვის, ხსნავ და უფალო)
ნუ შიშობ! — შიშის გრძნობა მიქრება...
სიცოცხლე ითხოვს აზრს და მიგნებას,
და სულში, რაიც ჯერ არ ყოფილა,
ისე უეცრად იღვიძებს დილა,
როგორც უეცრად იქცევა სვეტი...
და რაღაც მძაფრი, და რაღაც მეტი
არის მსგავსება ახლოც და შორიც
დაბადებას და განკითხვას შორის.

* * *

სადღაც აფეთქდა, ალბათ, პლანეტა —
თვალთმაქცობაა დუმილი ზეცის...
წამით მსუსხავი ფიქრი ამიტანს
და საფეთქელთან გაკრთება ვერცხლი.
სადღაც დამწვარი სხეული ბოლავს...
ეჭვები მცლის და ეჭვები მავსებს —
„დასასრულია სიმღერის ბოლო
და დასაწყისი სიმღერის არსი...“
...აზრი აქვს ზეცას, სამყაროს მთლიანს,
აზრი აქვს ლტოლვას, სწრაფვას, ძიებას...
ვმღერით, ვეცემით, ჩავალთ, ვიხრწნებით
და ამოვსკდებით მერე იებად.
და მერე ისევ ვკვდებით, ვეცემით,
ვჩნდებით, თვალს ვახელთ,
ვოცნებობთ, გვიყვარს...
გზებს, ლურჯ გზებს ვეძებთ
თვალის ცეცებით
და ვეწირებით ერთ ლამაზ სიტყვას.

* * *

როგორც არასდროს — მე ვარ მართალი,
როგორც არასდროს — წრფელი და სანდო.
მე დამიჯერეთ: არ გამოსცადოთ
ყველაზე დიდი ბედნიერება.
ეჰ, ძმანო ჩემნო, რა გემღერებათ,
თუ სიყვარულში ზღვარს მიაღწიეთ...
ახლა ფიალა მაღლა ასწიეთ
და უყოყმანოდ შესვით სამსალა.
მე ბედმა ჩემმა თვისად ჩამთვალა
და მიმაყენა უფსკრულის ნაპირს,
და გულუბრყვილო, უგნური ღლაპი
მასხრად ამიგდო და შემაჩვენა.
ნეტავ გაჭრილი გული გაჩვენათ
ჩემი — ნეტავი შიგ ჩაგახედათ...
ძმებო, ეს —
ჩემი ბედი ამხედრდა
და სული ჩემი თან წარიტაცა...
და მომევლინა მხსნელი ვითარცა
ქარი, ნისლები და მღვრიე დელგმა...
გაშალეთ, თმები გაშალეთ დებმა,
ვერ მითქვამს, რაა ჩემთვის სულერთი...
მაგრამ ქვეყნის წყალს ცრემლიც თუ ერთვის —
როგორც არასდროს, მე ვარ მართალი.

* * *

მოვა დრო, მაგრამ ხომ ვიცით ყველამ
ის დღე... ხმამაღლა იმღერებს გედი...
ის დღე შემოვა მშვიდად და ნელა,
როგორც მზე, როგორც დაცინვა ბედის...
და ყველა ფერებს — ცისფერს,
თუ მზისფერს —
ექნებათ ერთი სათქმელი, ლილი,
მე ვამბობ, — მზეო, ო, მზეო, — ისე,
როგორც არასდროს არ მითქვამს: ლილი...
მოვა დრო, მაგრამ ხომ ვიცით ყველამ
ის დღე... მე ახლა სულ სხვა მსურს, ჩემო,
მინდა გიყვარდე, ან არ გიყვარდე —
ისე, უბრალოდ, ამომიჩემო...
მერე კი, მერე ცისფერს და მზისფერს
ექნებათ ერთი სათქმელი, ლილი,
მე ვყვირი: მზეო, ო, მზეო!.. — მისმენ
და შფოთავ: გითრთის წამწამთა ჩრდილი.

* * *

ლილე, მე შენი სურვილით ვიწვი,
ლილე, მე მახსოვს შენი ბავშვობა,
ახლა თოვს, თოვს... და მიგონებ, ვიცი,
გვიყვარდა თოვლი... მერე დავშორდით.
ახალი წელი...
მიწა და ზეცა...
ძვირფასო, ეს სულ ერთი წამია,
რამდენი ფიქრი, რამხელა სივრცე
აღელვებს, ლილე, დღეს ადამიანს...
ეს ის წამია, როცა ბავშვივით
ყველაზე ლამაზ ფიქრებს ვნებდებით,
ლილე, ძვირფასო ლილე, დამშვიდდი,
წინ სურვილია და იმედები...
ეს ის წამია, როცა ტკივილებს
უფრო ამაყად უნდა მოთმენა,
ჩემზე თქვი, ფიფქებს გაჰყვა-თქო, ლილე,
და დაბრუნდება მზედ და ფოთლებად...
როგორ ჰგავს ახლა ეს აღმაფრენა
რწმენას — ბავშვობის დღეთა სიამეს
და არაფერი,
ო, არაფერი
ისე არ გვხიბლავს ადამიანებს,
როგორც რწმენის და სიმღერის ნიჭი
და ჩაყოლილი ძილში ბავშვობა...
ახლა თოვს, თოვს და...
მიგონებ, ვიცი,
გვიყვარდა თოვლი... მერე დავშორდით.



ერთ ჩხარიშვილი

ამჯერად, იონესკოს ბიენალეს დასაპყრობად...

გაინდაურებული ქართველისა და გაქართველებული რუსის ტრაგი-კომიკური ზღაპარი

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 131-ე სეზონში, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, იუსუფ კობალაძის პრემიების ლაურეატის რეჟისორ გიორგი თავაძის მიერ განხორციელებული სპექტაკლი, „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით", ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ერის საზოგადოებრივ-კულტურული, გნებავთ, პოლიტიკური ცხოვრებისთვის, მნიშვნელოვანი განაცხადი თანამედროვე ქართულ თეატრში და ამ განაცხადს არაერთი ფაქტორი აპირობებს...

ცხადია, როდესაც საუბარი ხელოვნების ნაწარმოებზეა, შეფასება მისი მხატვრული გადაწყვეტიდან, მხატვრული ღირებულებიდან იწყება და ყველაფერი, უპირველესად, ამით განისაზღვრება, მაგრამ ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ რას ეუბნება ხელოვნების ნაწარმოები საზოგადოებას და სპექტაკლიც „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით", პირველ რიგში, სწორედ იმ პრობლემატიკითა და თემითაა მნიშვნელოვანი და ღირებული, რომლებზეც ეს, შემოქმედებითად გამორჩეული, ნაწარმოებია აგებული.

გიორგი თავაძის სპექტაკლი, შეიძლება ითქვას, პირდაპირი რეაქციაა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომზე, მისი უშუალო გამოძახილი, ამ ტრაგიკული და ამავე დროს, გმირული დღეების მხატვრული ხატი. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებს ქართული თეატრი, სხვა შემთხვევაში არ გამოხმაურებია.

ესაა სპექტაკლი, რომელიც საქართველოს, ქართული საზოგადოების შესახებ მოგვითხრობს ქვეყნისთვის ექსტრემალური ვითარების პირობებში და საბედისწერო მოვლენების გარემოცვაში, როდესაც ცხოვრების ჩვეულებრივი დინება ირღვევა და როდესაც ნებისმიერი ადამიანი თავის ნამდვილ სახეს ამჟღავნებს, როდესაც არჩევანს ყველა თავად აკეთებს და ამ არჩევანის მიხედვით, მათი ერთიანობით, ერის სახე იქმნება.

თუმცა, კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებული და სრულიად აბსტრაგირებულ ფორმაში მოქცეული ფაქტები, დრო და მოქმედების ადგილი, თავის მხრივ, კიდევ უფრო განზოგადებულია, ერთი მთავარი მიზეზის გამო. ის, რაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს თავს დააატყდა, არც აგვისტოში დაწყებულა და არც 2008 წელს, ხოლო გამეორების საშიშროება კვლავ არსებობს.

ესაა ძალიან სერიოზული და საქართველოს უახლესი ამბავი — ორი წლის წინანდელი და რუსეთთან დაკავშირებული ორსაუკუნოვანი ისტორიიდან, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ რუსეთის დამპყრობლური ჟინის, სწრაფვისა და ქმედების სამიზნე და ობიექტი არამხოლოდ საქართველო, არამედ მსოფლიოს ბევრი ქვეყანაა, შესაბამისად, გიორგი თავაძის სპექტაკლის გავრცელების არეალი, არა მხოლოდ დროშია განზოგადებული, არამედ გეოგრაფიული მასშტაბითაც.

ამდენად, ეს სპექტაკლი, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა სახელმწიფოების ბედსაც ასახავს, დამპყრობლური აგრესიის, ძალადობისა და ომის პირობებში, თუ საფრთხის წინაშე რომ დგანან ან შეიძლება აღმოჩნდნენ. ესაა ყველასთვის იმის გახსენება და შეხსენება, თუ რა არის ომი, რა მოსდევს მას და რომ თანამედროვე სამყაროში ეს რეალური საფრთხე მსოფლიოსთვის რუსეთია.

რუსეთი, რომელსაც სპექტაკლში ადამიანების, საზოგადოების ერთობა, ერთიანობა, თავდადება და ქვეყნის დაცვაზე ზრუნვა ამარცხებს.

რაც შეეხება ფორმას, მხატვრულ გადაწყვეტას, თუ როგორ ასახავს გიორგი თავაძე ამ ყველაფერს თავის ახალ, წარმატებულ სპექტაკლში, აღსანიშნავია, რომ ის სიახლეებითა და არაორდინალური აზროვნებით ხასიათდება, როგორც თავდაპირველი ჩანაფიქრის, ასევე ყველა შემადგენელი ელემენტის გათვალისწინებით.

მხატვრული გადაწყვეტის სტრუქტურაში, პირველ ყოვლისა, ინტერესს იწვევს ჟანრი, რომელიც, თავად ავტორებმა, როგორც კომიკური იგავი, განსაზღვრეს. იგავი, თავის მხრივ, სხვადასხვა ჟანრის არსებობასა თუ შემცველობასაც გულისხმობს და უშვებს, რაც „ბანანისა და კომშის პუდინგის...“ ქსოვილში ორიგინალურადაა მოქცეული. ამასთან, სპექტაკლი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტრაგი-კომედია, იგავის სისტემაში ან იგავი, ტრაგი-კომედიის ფორმაში, აბსურდისა და პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობებთან ინტეგრირებით.

„ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ თხრობის მანერის, პერსონაჟთა სახეების, ტექსტების, ქმედების მთელი „არასერიოზულობის“ მიუხედავად, სერიოზული სათქმელითა და პრობლემატიკით, მხატვრული ამოცანებითა და მათი გადაწყვეტის არაორდინალური ფორმებით დატვირთული, რთული სტრუქტურის, მრავალშრიანი სპექტაკლია, დეტალების სიმბოლიკიდან დაწყებული ერთ მთლიან სიმბოლომდე.

რეჟისორის მიერ ქართული ზღაპრის, ეროვნული ფოლკლორის ახლებურ - პოსტმოდერნისტულ წაკითხვას, მისი უსაზღვრო ფანტაზიის მრავალწახნაგოვნებას, ტრადიციული ფაქტი და ფორმა, განზოგადების კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აჰყავს.

კიდევ ერთი და არცთუ უმნიშვნელო თვისება და სიახლე, რომელიც გიორგი თავაძის სპექტაკლს „ტრადიციული“ დადგმებისგან განასხვავებს, პიესის აგებულება და დადგმის ფორმაა. რეჟისორის გამომგონებლობა და მხატვრული აზროვნება ფეიერვერკივით იფრქვევა.

ეს არაა მარტივი, „ვალის მოხდის“ მიზნით, მაყურებლის მისაზიდად დადგმული ან კონიუნქტურული წარმოდგენა, თუმცა, სწორედ გადაწყვეტის არაერთგვაროვანი ხასიათიდან გამომდინარე, ის სხვადასხვა ასაკის, გემოვნების, მოთხოვნილების მაყურებელს იზიდავს და თუნდაც მცირე ხნით — სამაყურებლო დარბაზში მაინც — ერთი სულისკვეთებით აერთიანებს და ამთლიანებს.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, სპექტაკლის („ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“) ერთ-ერთი უპირველესი და უმთავრესი ღირსება — რეჟისორის, მთელი შემოქმედებითი ჯგუფის — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მოქალაქეობრივი განაცხადია და თეატრის, როგორც ერის ცხოვრებაში განსაკუთრებული, სულიერი წინამძღოლის (რასაც საფუძველი ილიამ და აკაკიმ ჩაუყარეს) ფუნქციის არსებობის დადასტურებაა.

ტრაგი-კომიკური ზღაპარი, რომელიც ბათუმის თეატრის სცენაზე იუმორით, ირონიითა და ტრაგიკული მოტივებით გათამაშდა, ირაკლი სამსონაძემ და გიორგი თავაძემ ერთობლივად შექმნეს. ეს დრამატურგისა და რეჟისორის პირველი შემოქმედებითი შეხვედრა არ არის. 1991 წელს რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა გიორგი თავაძემ ახალგაზრდა ირაკლი სამსონაძის „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ დადგა. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს სცენაზე არაერთხელ შეხვდნენ. ამჯერად კი ერთი განსხვავებით — დრამატურგიული ტექსტის თანაავტორად თავად რეჟისორი მოგვევლინა.

ვინც ირაკლი სამსონაძისა და გიორგი თავაძის შემოქმედებას ადევნებს თვალს, უმალ გაახსენდება, რომ ამ ხელოვანთა ერთობლივი სატკივარია სამშობლო — საქართველო. მათთან კონკრეტული პერსონაჟი, თუ პერსონაჟთა კრებითი სახე, სიმბოლურად ჩვენს სამშობლოს და მის ტრაგი-კომიკურ ბედს, გნებავთ ხვედრს, განასახიერებს. „ოჰ, ეს ტრაგიკომიზმი როგორ თან სდევს ჩვენს არსებობას...“ - ამბობს კიდეც არასასურველ სიმართლეს ,,შეჯახებული” სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი გმირი — ანრი კუკუა.

ირაკლი სამსონაძემ და გიორგი თავაძემ ახალი სპექტაკლი, საკმაოდ გრძელი და სიმბოლური სახელწოდებით „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“, ჯერ არარსებულ ჟანრში — კომიკური იგავი — გადაწყვიტეს. იგავი ზღაპრული სიუჟეტის, მაგრამ შემეცნებით-შეგონებითი ჟანრია, რომელიც კომიკურობას უნდა გამორიცხავდეს, მაგრამ ავტორებმა გარისკეს და შემოგვთავაზეს ექსპერიმენტი, რომელმაც გაამართლა. ამას მაყურებლის სპექტაკლისადმი დამოკიდებულებაც ამყარებს.

ამბავი, რომელსაც რეჟისორი მოგვითხრობს, იგავური ხასიათისაა, ზღაპრული სიუჟეტითა და შეგონებით, ოღონდ მას იუმორნარევი, ხშირად ირონიული და ამავდროულად, სევდიანი ფონი აქვს. ამ ზღაპარში დაშვებულია უკიდურესი პირობითობა, თანაც ისე, რომ ცალსახად ნათელია სურათები ჩვენი შორეული, თუ უახლოესი წარსულიდან. იუმორი, ირონია და ტრაგიზმი ერთმანეთში ისეა აღრეული, რომ ეკლექტიზმის ასოციაციას კი არ ბადებს, არამედ პირიქით, ჟანრთა მონაცვლეობა ერთიან სტილისტიკად აღიქმება. სწორედ ჟანრულ-სტილისტური თვალსაზრისითაც არის საინტერესო გიორგი თავაძის ახალი სპექტაკლი, რომლის სიუჟეტიც დასაწყისში თითქოს მხატვრულად ამაღლებულ ყოფით ჟანრში ვითარდება, შემდეგ მალევე მკვეთრად გადადის აბსურდში, მხოლოდ აბსურდის არა ტიპიური, არა კლასიკური გაგებით (განსხვავებით ამავე ავტორების ფანტასმაგორიული ჟანრის სპექტაკლისგან, სახელწოდებით „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“, რომელიც ბათუმის თეატრში 2006 წელს განხორციელდა). რეჟისორის მიერ შემოთავაზებული სპექტაკლის სტილისტიკა და თამაშის მანერა, რომელშიც სამსონაძე-თავაძის სიუჟეტი ვითარდება, ერთობ რთული გასათავისებელი და შესასრულებელია მსახიობებისთვის... სპექტაკლში მონაწილე ახალგაზრდა მსახიობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ რთულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს.

გიორგი თავაძის ახალი სპექტაკლი „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ საქართველოსა და ქართველებზე, მის ისტორიულ ეპიზოდებზე და ქართველთა ხასიათის ყველა მანკიერ, თუ მნიშვნელოვან თვისებებზე მოგვითხრობს, ის გვახსენებს იმას, რაც ხან ღიმილს, ხანაც გაბრაზებას, ხან კი სინანულს იწვევს. დრამატურგისა და რეჟისორის სხვა

ერთობლივ სპექტაკლებში საქართველოს სახესიმბოლო ერთი კონკრეტული პერსონაჟია. ამჯერად, სპექტაკლის ავტორებმა საქართველო ერთ პერსონაჟში კი არ გამოხატეს, არამედ წარმოგვიდგინეს ოჯახი, როგორც სახელმწიფოს მეტაფორა თავისი შემადგენელი წევრებით, ანუ საზოგადოებით. სპექტაკლში წარმოდგენილ ქართველ ტიპაჟთა მრავალფეროვანი გალერეა ვერ ვიტყოდი რომ ჯანსაღი და იმედისმომცემია. ერთდაერთი იმედი სპექტაკლის ერთ-ერთი პერსონაჟის — ქეთის ჯერ არდაბადებული შვილია, რომლის სქესიც მართალია გარკვეულია, მაგრამ რთული წარმოსადგენია რა მემკვიდრეობას მიიღებს ის, ან როგორი იქნება მისი პერსპექტივა...

სპექტაკლში ერთი ტიპიური ქართული ოჯახის ისტორიის ფონზე გათამაშებულია საქართველოს უახლოესი წარსული ომამდე, ომიანობის ჟამს და ომის შემდეგ... თუმცა ანალოგიური არასასიამოვნო თავგადასავალი თავს შორეულ წარსულშიც გადაგხვდენია, კონკრეტულად კი მას შემდეგ, რაც ქართველი ქალი ერთმორწმუნე რუსს მივათხოვეთ. სპექტაკლში გათამაშებული ამბავი ისტორიული ფაქტის ნათელი ანალოგიაა. ლიანა (ეკა ჩავლეიშვილი), რომელიც ღმერთმა უწყის მერამდენედ თხოვდება, საქართველოს ერთგვარი სიმბოლოა. ამ შემთხვევაში ცხადია კიდევ ერთი პარალელი ისტორიულ სინამდვილესა და სამსონაძე-თავაძის კომიკურ იგავთან: როგორც ერთმორწმუნე რუსეთმა გვიან გამოავლინა თავისი სახე და მიზანი საქართველოსთან მიმართებაში, ასევე „შემოეტენა" პანტელეიმონ პაპასტვირის სახელით პიესის მთავარ გმირს, ლიანას, პროხორ კუზმიჩი (კახა კობალაძე). კომიკური იგავის დასაწყისში, კვანძის შეკვრამდე, თითქოს ყველაფერი კანონზომიერად და ლოგიკურად ვითარდება, ვიდრე ლიანას დასანიშნად მისულ პანტელეიმონს ანრი კუკუა (ოთარ ქათამაძე), რომელიც მზარეულ-ექსპერიმენტატორია და ამავდროულად ლიანას სიძეა, კონიაკითა და რომით შეზავებულ ბანანისა და კომშის პუდინგს არ გაასინჯებს. აი, ამ მომენტიდან იწყება ლიანას ოჯახში არეულობათა, დაბნეულობათა და უცნაურობათა სერია. პროფესიით ფსიქიატრი (მისი და - კაპიტოლინა სემიონოვნა მას „ფსიქიატრიის გურუს" ეძახის) პანტელეიმონი, რუსეთის მეტაფორა, რომლის კოსტიუმიც მთლიანად წითელ ფერშია გადაწყვეტილი და კარიკატურასაც წააგავს, ლიანაზე აგრესიულ და ძალადობრივ ეჭვიანობას იწყებს.

სპექტაკლი საბოლოოდ პროქართული ხაზით სრულდება. მაჟორულ რიტმზე ცოცხლდებიან ლადო გუდიაშვილისეული კინტოები - ამაყები, თავმოყვარეები და ბედნიერები. ოპტიმისტური დასასრულის მიუხედავად, პასუხგაუცემელია კითხვები, რომლებიც, ისევ და ისევ, ლიანას ჯერ არდაბადებულ შვილიშვილს ეხება: როგორი გენეტიკური ფესვებით მოევლინება იგი სამყაროს, ან მოევლინება კი საერთოდ?... აშკარაა, რომ მშობიარობა ვადებს გასცდა, ისე როგორც გვიანდება გვირაბის მეორე ბოლო, რომელშიც ქართული სახელმწიფო იმყოფება.

სამსონაძე-თავაძის სპექტაკლში გასაოცარი თანხვედრაა მხატვრობისა და ქორეოგრაფიის. სცენოგრაფმა თემურ ნინუამ სცენური სივრცე თეთრ და ვერცხლისფერ ტონებში გადაწყვიტა. სცენაზე რეალისტური სამზარეულოს, ნაძვის ხისა და ავეჯის პარალელურად, ჟანრის – კომიკური იგავი, პლუს ზღაპარი – გამართლებისთვის სცენაზე დეკორატიული ჟირაფები, უცნაური ჩიტი და ტარაკანი შემოიტანა. საკმაოდ სტატიური დეკორაცია (ავეჯი, სამზარეულო) თავაძის სპექტაკლში გაცოცხლდა და სიმბოლური დატვირთვაც შეიძინა. გულდასაწყვეტია, რომ სახლს, რომელშიც ლიანა და მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ და მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს, მასში მაცხოვრებლები ვერ ერგებიან და მენტალურადაც ჩამორჩენილები არიან დროსთან შესაბამისობაში... ამ დადგმაში, ისევე როგორც რეჟისორის სხვა სპექტაკლებში, პერსონაჟები უცნაურად მოძრაობენ, არასტანდარტულად გადაადგილდებიან... თუმცა, გმირების პლასტიური გადაწყვეტა აქ მულტიპლიკაციური ფილმების პერსონაჟების მსგავსი მოძრაობებითაც დაიტვირთა — თითოეულის ქორეოგრაფიული ხაზი მისი ხასიათის გამოვლენას უწყობს ხელს, რაც რეჟისორთან ერთად ქორეოგრაფ კოტე ფურცელაძის დამსახურებაა. მსახიობების მიერ შესრულებული რუსული ნაციონალური ცეკვა ერთგვარი როკვაა და სულის ამოძახილია — ის სიტყვიერ პროტესტზე მეტს გამოხატავს...

დამდგმელი ჯგუფის მიერ შექმნილ მხატვრულ სამყაროს ლოგიკურად ერწყმის მსახიობთა ანსამბლი. პანტელეიმონ პაპასტვირის, იგივე პროხორ კუზმიჩის როლი შესანიშნავად მოირგო კახა კობალაძემ. მსახიობი მაყურებლის წინაშე სრულიად განსხვავებული სახით წარსდგა. პროხორის როლი მისი მნიშვნელოვანი მონაპოვარი და გამარჯვებაა. იგივე ითქმის ახალაგზრდა მსახიობზე — მარინა ბურდულზე (კაპიტოლინა), რომელმაც გარდასახვის მაქსიმალურ ხარისხს მიაღწია. იგი მუდმივად მუშაობს, მის მიერ მოძებნილი გამომსახველობითი ხერხები (მიმიკა, მოძრაობა, ხმა) კაპიტოლინას მხატვრულ სახეს ზედმიწევნით მოერგო. სერიოზული სამსახიობო ნამუშევარია ოთარ ქათამაძის ანრი კუკუა. მანერულობა, ხმის უცნაური, ცვალებადი ტემბრი ზუსტად გამოხატავს გმირის ბუნებას. უემოციოდ ვერ უყურებ მამუკა მანჯგალაძის (იმარინდო) პერსონაჟის ვერც ერთ ეპიზოდს. მსახიობის განსაკუთრებული ვოკალური მონაცემები და პლასტიკა იარაღია, რომლითაც ის მაყურებლის მოხიბლვას მუდმივად ახერხებს. ოსტატურად ხატავს ეკა ჩავლეიშვილი ლიანას მხატვრულ სახეს. მსახიობი უცნაურ და დადებით პერსონაჟს მწირი, ზედმეტი გამომსახველობითი საშუალებების გარეშე წარმოაჩენს. მულტიპლიკაციურ პერსონაჟად ხატავს თეონა შამილაძე ქეთის (ამ როლს დუბლიორი მსახიობიც ჰყავს — შორენა მამრიკიშვილი, რომელიც დამდგმელთა მიერ შეთავაზებული ერთიანი მხატვრული გადაწყვეტისა და სტილისტიკის გათავისებას ცდილობს). თეონა შამილაძის გარეგნული გამომსახველობა (კოსტიუმი, გრიმი) მსახიობის მიერ გაცოცხლებულ გმირს ლოგიკურად ერწყმის. სახასიათო პერსონაჟებს ხატავენ ქეთი ეგუტიძე (კატო) და ლევან თედორაძე

(ნესტორი). ისინი ერთიანი სამსახიობო ანსამბლის ორგანული ნაწილები არიან. მსახიობები წარმატებით ახერხებენ მათზე დაკისრებული რთული მხატვრული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ირაკლი სამსონაძე და გიორგი თავაძე ალეგორიულ, მხატვრულ სამოსელში გახვეულ სიმართლეს და ჩვენი ცხოვრების რეალურ სურათს თვალწინ ნათლად და მოურიდებლად გვიშლიან. ავტორები ცდილობენ კიდევ ერთხელ დაგვაფიქრონ იმაზე, თუ ვინ და რა არის მთავარი პრობლემა? სპექტაკლის ნახვის შემდეგ აუცილებლად გაგახსენდებათ შაჰ-აბას პირველის მიერ ნათქვამი, ქართველების ყველაზე დიდი მტერი თავად ქართველები არიანო...

ირაკლი სამსონაძისა და გიორგი თავაძის ერთობლივ სპექტაკლში, ყოველგვარი პლაკატურობის გარეშე, ბევრ სიმბოლურ პასაჟს აღმოაჩენთ. სიმბოლოთა სიუხვით კი სიუჟეტი არ ბუნდოვანდება. სამაგიეროდ, სიუჟეტის მრავალნახნაგოვნება და პერსონაჟთა ხასიათების სიმდიდრე სათქმელს ამოუწურავს ხდის. აქ მაყურებელი თავის წილ სიმბოლოს, იუმორს და სევდას თავად გაიყოფს და გაიზიარებს. სპექტაკლში კი ეს, ავტორთა წყალობით, იმდენია, რომ საბედნიეროდ ყველას და დიდხანს ეყოფა.

გიორგი თავაძის მიერ დადგმული მაღალმხატვრული სპექტაკლებით ბათუმის თეატრის დასმა უკვე სახელი გაითქვა არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე. მიმდინარე წლის 26 მაისს თეატრი ამ სპექტაკლით მიემგზავრება ეუენ იონესკოს IX საერთაშორისო თეატრალურ ბიენალეზე, რომელიც გაიმართება მოლდოვეთის დედაქალაქ კიშინიოვში.

ბათუმის თეატრი პრესტიჟულ თეატრალურ ბიენალეზე წარმოადგენს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელისა და ისუფ კობალაძის სახელობის პრემიების ლაურეატის გიორგი თავაძის ბოლო ნამუშევარს „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“, რომელიც საქართველოს უახლოეს წარსულს ასახავს და წარმოადგენს ერთგვარ პასუხს რუსეთის აგრესიისადმი.

ბათუმის თეატრის სპექტაკლის თემატიკა კიდევ უფრო ზრდის საერთაშორისო ბიენალეზე ქართველთა მონაწილეობის მნიშვნელობას და მას ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგან ბათუმის თეატრი 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, კიშინიოვის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე წარმოადგენს ანტირუსულ სპექტაკლს. იმავე დღეს კიშინიოვის ნაციონალურ საკონცერტო დარბაზში წარმოდგენილი იქნება ქართული ნაციონალური ბალეტის „ლეგასი“ კონცერტი.

ქართული პროგრამის დასრულების შემდეგ ეუენ იონესკოს საერთაშორისო ბიენალეს გენერალური დირექტორი პეტრუ ვიტკარაუ და ბათუმის თეატრის მმართველი ზაზა ხალვაში გამართავენ პრესკონფერენციას მიძღვნილს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი.

აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობის მიღება უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებს ბათუმის თეატრს, რადგან ქართველები სპექტაკლს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს წარმოადგენენ, რაც სიმბოლურიცაა. თეატრის მმართველს — ზაზა ხალვაშს დაგეგმილი აქვს მოლდოვაში, სხვა საჩუქრებთან ერთად, პატარა ზომის 500 ცალი საქართველოს სახელმწიფო დროშის ქართველების სპექტაკლზე მოსული უცხოელი მაყურებლისთვის დარიგება.

ეუენ იონესკოს საერთაშორისო თეატრალური ბიენალეს ორგანიზატორია კიშინიოვის ეუენ იონესკოს სახელმწიფო თეატრი, ბიენალე სახელმწიფოებრივი სტატუსის მატარებელია და მოლდოვეთის მთავრობის პატრონაჟით ხორციელდება.

იონესკოს IX საერთაშორისო ბიენალეში მონაწილეობენ მხოლოდ პროფესიონალური თეატრალური ჯგუფები რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, ინდოეთიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან და სხვა ქვეყნებიდან.

საფესტივალო პროგრამა წარმოდგენილი იქნება კიშინიოვის ყველაზე პრესტიჟულ სცენებზე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ ბათუმის თეატრს და მის შემოქმედებით ჯგუფს აღნიშნულ ფესტივალზე.

გიორგი თავაძის სპექტაკლმა „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ უკვე მოიპოვა კოტე მარჯანიშვილის და იუსუფ კობალაძის სახელობის პრემიები. ახლა სპექტაკლის რეჟისორი წარდგენილია საქართველოს ეროვნულ და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიებზე. ვიმედოვნებთ, ბათუმის თეატრის და გიორგი თავაძის ერთობლივი ნამუშევარი პრემიების მიმნიჭებელი კომისიის წევრებშიც ისეთ აღიარებას მოიპოვებს, როგორც საზოგადოებაში და პრესაში.



სალომე ყიფაძე

სცენიური დეკორ და სივრცე

სცენოგრაფია სპექტაკლის გაფორმების სახვით-პლასტიკური სახის შექმნას ემსახურება. სპექტაკლში სცენოგრაფია მოიცავს ყველაფერს, რაც მსახიობის გარშემოა: დეკორაციას, მატერიალურ-საგნობრივ გარემოს, ცალკეულ აქსესუარებს; ასევე მსახიობის კაზმულობას: კოსტიუმს, გრიმს, ნიღაბს და გარდასახვისათვის საჭირო სხვა ატრიბუტებს. მის გამომსახველობით საშუალებებს წარმოადგენს ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, სხვადასხვა ფაქტურისა და სუბსტანციის მქონე საგნები, ყოფითი ნივთები, ყველაფერი, რაც შემოქმედების პროცესში მხატვრის მიერ არის შექმნილი. ასევე საგნობრივი რეკვიზიტი, ფერწერული, გრაფიკული, არქიტექტურული და სხვა მხატვრული ფორმის საგნები, სასცენო სივრცის პლასტიკური გადაწყვეტის, ფერის, განათების და ამ ყველაფრით მიღწეული სპექტაკლის დინამიკისა და ტემპო-რიტმის ჩათვლით. საუკუნეების მანძილზე სცენოგრაფია ვითარდებოდა სახვითი ხელოვნების კანონების ფარგლებში არსებული მრავალფეროვანი და მრავალი სტილისტური მიმდინარეობების ფონზე.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, სცენოგრაფია თანამედროვე ავანგარდისტული და მოდერნისტული მხატვრული მიმდინარეობების ძლიერი გავლენით ვითარდებოდა (ექსპრესიონიზმი, დადაიზმი, კუბიზმი, ფუტურიზმი, აბსტრაქციონიზმი, კონსტრუქტივიზმი). ავანგარდისტულმა მიმდინარეობებმა მხატვარ-სცენოგრაფებს საშუალება მისცა სცენაზე მოქმედების მრავალფეროვანი კონკრეტული, თუ განზოგადოებული ადგილები შეექმნათ. ამ პერიოდში მხატვრები პლასტიკური ხელოვნების კანონების მეშვეობით, სცენაზე სრულიად ახლებურ კონცეპტუალური სამყაროს მოდელებს ქმნიდნენ. ამავდროულად აღორძინდა უძველესი დროიდან არსებული სცენოგრაფიის ადრეული ეტაპის ფორმები: სათამაშო და პერსონაჟული სცენოგრაფია, რომლებიც გაერთიანდნენ ერთიან ქმედით სცენოგრაფიულ სისტემაში და ახლებურად განსაზღვრეს სცენოგრაფიის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე თეატრში. ახალი თეატრალური ესთეტიკის შექმნა და თეატრალური დადგმების გაფორმებაში ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომა გახდა ის ძირითადი ბიძგი, რამაც შექმნა მხატვრის თეატრის ფენომენი, გააღრმავა და გაამდიდრა მხატვრის როლი თეატრში და სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტაში. მხატ-

ვრის ამოცანას უშუალოდ სპექტაკლის – მოქმედების გაფორმება წარმოადგენს. ამიტომაც სცენოგრაფია ქმედითი ფორმის სახვით-სივრცობრივი ხელოვნება გახდა.

სცენოგრაფიის მნიშვნელობა სპექტაკლის ერთიანი მხატვრული სახის შექმნაში განისაზღვრება სპექტაკლის სიუჟეტურ-დრამატურგიული ლიტერატურული საფუძველით, მუსიკალურ-ხმოვანი ქარგითა და უშუალოდ სცენოგრაფიით, რომელიც სპექტაკლის სივრცობრივ-პლასტიკურ ფორმას განსაზღვრავს და დეკორაციის, კოსტიუმის, განათების საშუალებებით, დადგმის ვიზუალიზაციას ემსახურება, ანუ ყველაფერ იმას, რითიცაა შექმნილი სპექტაკლის პლასტიკური მოცულობიანი ფორმა.

სცენოგრაფია ხელოვნების სხვადასხვა ფორმების დინამიკურ თანაფარდობას წარმოადგენს. ეს სრულიად ახალი ფორმაა სპექტაკლის ტემპო-რიტმის შესაქმნელად. ეს არის რეალური დინამიკა სცენაზე, რომელსაც ცოცხალი მოძრავი მსახიობების მასები, დეკორაციის ემოციური დატვირთვა, მათი ფერით დატვირთვა და შინაგანი ემოციის შექმნით გარეთ გამოსული ემოციის ლოგიკურ ქარგაში მოყვანა ჰქვია. სცენოგრაფიის ვიზუალური აღქმა სამ ძირითად კანონს ექვემდებარება: მასების ურთიერთქმედება, რომელიც სასცენო სივრცისთვისაა შექმნილი; მისი კოლორიტულ-შუქ-ჩრდილოვანი პალიტრა და პლასტიკურად დამუშავებული ფორმები. სპექტაკლის მთლიანობის მისაღწევად, ყველა ზემო ჩამოთვლილი პირობების გარდა, აუცილებელია მისი დროით-სივრცობრივი გადაწყვეტა.

მიუხედავად იმისა, რომ სცენოგრაფია თეატრის კანონების წყალობით არსებობს, მას მაინც გააჩნია თავისი შინაგანი სიცოცხლე, განვითარების ტემპები. მისი პოტენციური შესაძლებლობები კი, როგორც წესი, პირდაპირ დამოკიდებულია თეატრზე. სწორედ თეატრი განაპირობებს კონკრეტული სპექტაკლის ფარგლებში, როგორ განვითარდება სცენოგრაფია დროსა და სივრცეში. ყოველი ახალი სპექტაკლისთვის ახალი სცენოგრაფია იქმნება, ახალი სამყარო, რომელსაც თავისი დროითი სივრცე გააჩნია. ყოველი სპექტაკლი ახალი სიცოცხლის დასაწყისია და მისი „ჟამთასვლაც" ახალ ათვლას იწყებს.

რა დატვირთვა აქვს დროსა და სივრცეს, რა კონკრეტულ კავშირშია ეს ყველაფერი სცენაზე შექმნილ სამყაროსთან? თეატრალურ სცენაზე მოცულობიანი სამგანზომილებიანი სივრცის შექმნა XX საუკუნის დასაწყისში სახვით ხელოვნებაში არსებულმა მიმდინარეობებმა განაპირობეს. ოციანი წლები თეატრში კონსტრუქტივიზმის ეპოქაა. ახალი მოდერნისტული მიმდინარეობების არსებობა რეალობის უფრო სიღრმისეული აღქმისათვის აღმოჩნდა საჭირო. სწორედ ამ ეპოქის თეატრისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მასალისა და საგნის ფაქტურაა, რითიც იქმნებოდა დეკორაცია. მხატვრები ასევე დაინტერესებულები იყვნენ მიეღწიათ ფაქტურის მრავალფეროვნებისთვის. თანდათანობით აღმოჩნდა, რომ უშუალოდ თავისი გამოყენებითი დანიშნულებით, ესა თუ ის ფაქტურა, შესაძლებელს ხდის სცენოგრაფიული სახის შექმნას. ხე, მეტალი, ტყავი, ჯვალო, სხვადასხვა ქსოვილი, პირველყოვლისა, სცენაზე მხატვრის მიერ შექმნილ არსებულ სამყაროს სიმბოლოს წარმოადგენს. დეკორაციის შექმნისთვის გამოყენებული სხვადასხვა ფაქტურა დამატებით პლასტიკურ სახეს ქმნის. იგი გამომსახველობით ამდიდრებს სცენას. ფაქტურაზე მუშაობა თანამედროვე სცენოგრაფიის ერთ-ერთი განუყოფელი შემოქმედებითი პროცესის ნაწილია. თანამედროვე სცენოგრაფიისათვის და თანამედროვე დადგმების მხატვრული სახის გააზრებისა და შექმნისათვის აუცილებელია გასული საუკუნის დასაწყისში, თეატრალურ ესთეტიკასა და სპექტაკლის გაფორმებაში მომხდარი ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებების გათვალისწინება. მით უმეტეს, რომ მათ განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს თანამედროვე თეატრზე და ეს მკაფიოდ და თვალნათლივ ჩანს ქართული სცენოგრაფიის განვითარების მაგალითზე.

თანამედროვე სცენოგრაფიაში არსებობს სცენიური დროისა და სივრცის ცნება. იგი XX საუკუნის 20-ანი წლების თეატრის მხატვრობამ კონკრეტულად და ძალიან მკაფიოდ განსაზღვრა. სცენოგრაფის მიერ სასცენო სივრცეში სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ხერხებით და კანონებით, შექმნილ სამყაროში სრულფასოვნად გაიაზრება სცენიური დროისა და სივრცის პრობლემა. სცენიური დრო პირობითი და ირეალურია. იგი შეკუმშულია სცენის სივრცეში მოცემულ პლასტიკურ ფორმებში და მთლიანად გამიჯნულია რეალურ დროსთან, რომელსაც სპექტაკლის ქრონომეტრაჟი წარმოადგენს.

თითქმის ყველა კონსტრუქციული დეკორაციის პრობლემა მისი სტატიკურობაა. იგი ზღუდავს სცენაზე შექმნილ პირობით დროს. ამ პრობლემის დასაძლევად განსაკუთრებით 1920-იან წლებში რეჟისორები ცდილობდნენ ან მთლიანად გადაეადგილებინათ დეკორაცია სცენაზე, ან მისი ნაწილები მაინც, რომ ამით დროის მოძრაობა გამოეხატათ. მიუხედავად იმისა, რომ დეკორაციის ეს გარეგნული მოძრაობა დაკავშირებული იყო, როგორც წესი, სცენაზე მოქმედების განვითარებასთან და მას პიესა მოითხოვდა, ის უფრო მექანიკური მოძრაობა იყო და მას არც პლასტიკური დროით-სივრცობრივი და არც სცენის შიდა დროის სრულყოფილი აღქმის შექმნა არ შეეძლო. სცენიური და რეალური დრო სპექტაკლში განსხ-

ვავებულია. იმ 2-3 საათის განმავლობაში, რაც სპექტაკლი მიდის, შიდა სცენიური დრო შესაძლოა ან ძალიან სწრაფად მიდიოდეს და ჩვენს წინაშე ათეულობით წლები გადაიშალოს, ან პირიქით, სულ რაღაც ერთი საათის განმავლობაში განვითარდეს მოვლენები. ასევე შესაძლოა სპექტაკლში მიმდინარე ამბავი აზრობრივად საუკუნის ხანგრძლივობისა იყოს და მან უკვე მეტაფორული დროის ნიშნები შეიძინოს. ამ შემთხვევაში ყველაზე რთულ ვითარებაში მსახიობია, რადგან ის თითქოს ორ დროში ცხოვრობს ერთდროულად. მისთვის სათამაშოდ განკუთვნილ დროში, რომელიც რეალურ დროს წარმოადგენს და მეორე ირეალური დრო, რომელიც სცენაზე მხატვრის მიერ აგებული სამყაროს დროს წარმოადგენს.

თუ სცენაზე შექმნილი დეკორაცია ან აგებული კონსტრუქცია დიდი და რთული კონფიგურაციისაა და მისი გადაადგილება სცენაზე შეუძლებელია, მხატვარი ან დეკორაციის ცალკეული დეტალის ადგილმონაცვლეობას სჯერდება ან საათის სვლის, ხმის, გონგის ან სხვა ისეთი სიმბოლური საშუალებების გამოყენებას მიმართავს, რომელიც დროის მსვლელობასთან ასოცირდება. თუ სცენიური დროის მოძრაობას დეკორაციის ფიზიკური მოძრაობა ემატება, რომელიც რეალურ დროში ხორციელდება, ამით ირღვევა სცენიური დროის სვლა. ამ მხრივ საინტერესო მაგალითი ალ. ახმეტელისა და ი. გამრეკელის მიერ სპექტაკლ „თეთნულდში" გამოყენებული ხერხია, როდესაც მაყურებლის წინაშე განთიადზე იხსნება სვანეთის კოშკები და მათ უკან წმინდა და მისტიკური სვანური ლეგენდებით მოსილი თეთნულდის მთა გამოჩნდება. მაგრამ ასეთი რამ უფრო იშვიათობაა, ვიდრე კანონზომიერი, როცა რეალური და სცენიური დროის დამთხვევა შესაძლებელი ხდება. (ასეთივე მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ პ. ჩაიკოვსკის ბალეტ „მაკნატუნაში" გამოყენებული სცენოგრაფიული ხერხი, რითიც რეალური დროის ზღაპრულ დროში ტრანსფორმაცია გახდა შესაძლებელი. „მაკნატუნას" შინაარსის თანახმად მოჯადოვებული პრინცი თოჯინად გადაიქცევა და იგი საშობაო ნაძვის ხის მოსართავი სათამაშო გახდება. ამ ჯადოქრობის სცენიურ მოქმედებაში გადატანა ნაძვის ხის ზომის გაზრდით მოხდა, ანუ დეკორაცია სცენაზე მოქმედების მსვლელობაში მასშტაბურად გაიზარდა და რეალური და სცენიური დროის დამთხვევით აზრობრივი კვანძიც გაიხსნა. ეს ხერხი სრულიად გენიალური და ძალიან მარტივი სცენოგრაფიული მიგნება ცნობილი ქართველი სცენოგრაფის ს. ვირსალაძის შემოქმედებით აღმოჩენად ითვლება.)

ერთი მსახიობის, ან მიზანსცენაში გაერთიანებული მსახიობთა ჯგუფის გადაადგილება სცენაზე ხშირად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე დეკორაციის გადაადგილება. როგორც უკვე ვთქვი, დეკორაციის ადგილის შენაცვლება რეალურ დროში ხდება, ამიტომ იგი იმორჩილებს მსახიობს, რომელიც სცენიურ დროში ცხოვრობს. თანამედროვე თეატრში ხშირია ისეთი ხერხები, როდესაც თავად მსახიობი ამოძრავებს დეკორაციას. როგორც წესი, ამგვარ მოქმედებას აზრობრივი დატვირთვა აქვს. ეს ან სპექტაკლის პლასტიკურ-ქორეოგრაფიული გადაწყვეტისთვისაა აუცილებელი, ან ისევ და ისევ, მიზანსცენობრივ ქარგაშია მოქცეული. რაც არ უნდა იყოს, ირღვევა სცენიური დროის ჩართული მექანიზმი. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ძველი დროის თეატრის გაფორმების პრინციპები.

აღორძინებისა და განსაკუთრებით კლასიციზმის ეპოქებში სპექტაკლებში დეკორაცია საერთოდ არ იცვლებოდა და სტატიკური იყო. მას, როგორც წესი, ჰქონდა დატანებული ორი ან სამი ღიობი, საიდანაც გადიოდნენ და შემოდიოდნენ არტისტები. ერთი შეხედვით სივრცის ასეთი შეზღუდულობა ეწინააღმდეგება სცენიური დროის სვლას, მაგრამ რაც უფრო ნაკლებია დეკორაცია და კონსტრუქცია, იგი არ ერევა მოქმედებაში, უფრო პირობითი ხდება და სცენიურ დროს უფრო მკაფიოს და ემოციურად დატვირთულს ხდის. ასეთ გარემოში დრო ან მაქსიმალურად შეკუმშულია, ან პირიქით, გაწელილია დრამატურგიული მასალის მოთხოვნის შესაბამისად. მოქმედების გასააქტიურებლად, აქაც სხვა დამატებითი სცენოგრაფიული ხერხები გამოიყენება. ერთგვარი პროტოტიპი იმისა, რასაც ჩვენ სცენოგრაფიულ კონფლიქტს ვუწოდებთ და რაც დღეისათვის მიჩნეულია 1960–იანი წლების სპექტაკლების მხატვრული გადაწყვეტის მიგნებად.

როგორი დეკორაცია უნდა შექმნას მხატვრმა, რომ ხელოვნურად შექმნილ დრამატურგიულ და სცენიურ დროს სცენოგრაფიული დრო დაამთხვიოს? ამის მისაღწევად ყველაზე მარტივია სცენა ან დატვირთო, ან პირიქით მაქსიმალურად განტვირთო დეკორაციისგან. გაფორმების ელემენტებად ერთი და იგივე, ან მსგავსი საგნების ხშირი გამოყენება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების საგნების გამოყენება. რადგან, რაც უფრო მეტი მრავალფეროვნებაა სცენაზე, მით უფრო მეტი ინფორმაცია მოაქვს საგანს მაყურებლამდე. თითოეულ საგანს ხომ თავისი ისტორია და დროითი სიმბოლო გააჩნია. ეს საგნები ხან ეპოქის, ხან მოდის, ხან მარადიულობის, ხან კი, ცვალებადობის ნიშნებს ატარებს. ხან ფორმისეული, ხან კი სრულიად უფორმო და სხვადასხვა სუბსტანციის მქონე არიან. მათ თავისი ხასიათი და ფუნქციონალური დანიშნულება გააჩნიათ. ამ შემთხვევაში ყველა საგანი დროით ერთეულს წარმოადგენს. რასაც სრულიად არასასურველი ლიტერატურულ - სიუჟეტური ასოციაციების გამოწვევა შეუ-

ძლია. მათ კი დროის დაკონკრეტებისკენ მივყავართ. მაგალითად, უ. შექსპირის „მეფე ლირში" მოქმედება ძვ.წ. VIII საუკუნეში ვითარდება. იმ დროის ბრიტანეთში ისტორიულად საერთოდ არ არსებობდა სახელმწიფო. უ. შექსპირი ანზოგადებს თემის მნიშვნელობას და მასში ჩადებულ მარადიულ ფასეულობებს უდროო მარადიულ სივრცეში წარმოგვიდგენს. მაგრამ ამავდროულად ავტორი ზრუნავს რეჟისორზეც და მხატვარზეც. იგი საშუალებას უტოვებს მხატვარს გამოგონილ დროსა და სივრცეში შექმნას მოქმედების ადგილი. რა საგანიც არ უნდა გაჩნდეს სცენაზე, მას აზრობრივი დატვირთვა აქვს და ის დრამატურგიული დროის განვითარებისათვისაა აუცილებელი. თუ დეკორაცია ერთგვარი ელემენტებისგან შედგება, იგი უფრო მეტ საშუალებას იძლევა დროის ჩარხი დაატრიალოს. მაგრამ თუ დეკორაცია მარტივ შემადგენელ ერთეულებად დაიშლება და ამას არ ექნება თავისი დროითი გამართლება, ის თვისობრივად რაოდენობრივ ხასიათს მიიღებს და მოცემულ სივრცეში დროის დაშლას უფრო გვიჩვენებს, ვიდრე მის ერთიანობას.

სასცენო სივრცის ორგანიზებისა და სცენაზე კონსტრუქციის აგებისას წინასწარ გათვლილ ქმედებას, სცენიური დროის შექმნის თვალსაზრისით, სცენოგრაფიაში სივრცის დეზორგანიზებისა და დესტრუქტურიზებისკენ მივყავართ. საინტერესო კი ისეთი სცენოგრაფიული სივრცის შექმნაა, სადაც სულ თავიდანვე კი არ ხდება დროითი სივრცის აგება, არამედ ის მოქმედების პროცესში ყალიბდება. ის დრო თავის მოქმედებას პოულობს და მოქმედებასთან ერთად იწყებს ათვლას. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ თავისთავად თეატრის არსი, რადგან იგი შედგება „პროცესისგან" და „შედეგამდე" მივყავართ. ყველა სხვა ხელოვნების დარგში შექმნის პროცესი უკანა პლანზე გადადის და ერთგვარ ესთეტიკურ ფონს ქმნის. იგი შემოქმედების პროცესში რჩება. თეატრში მაყურებლისთვის მთავარია შემოქმედებითი პროცესი, ამიტომ პროცესი, რომელსაც სცენოგრაფია წარმოადგენს, ასევე უნდა მოქმედებდეს და შედეგს აღწევდეს მაყურებლის თვალწინ.

დრო ყველაზე რთული კატეგორიაა. ის რეალურიცაა და გამოგონილიც. განსაკუთრებით რთული სცენიური დროა, რადგან იგი, როგორც არ უნდა იყოს თავისუფალი და განუსაზღვრელი, მაინც სცენის ფიზიკურ ჩარჩოებშია მოქცეული. აქაც სცენის ფიზიკური მონაცემები, არქიტექტურული სივრცე, მას კონკრეტულ ჩარჩოებში სვამს. სცენოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სცენაზე შექმნილ „სამყაროს" თავისი დრო მიაკუთვნოს. ეს „სამყარო" ხან მასშტაბურად მცირეა, ხან კი უკიდეგანოდ დიდი. რაც უფრო მრავალფეროვანია დეკორაცია სხვადასხვა სუბსტანციებისგან შემდგარი საგნებით, მით უფრო დატვირთულია ის მასშტაბურად, როგორც პატარიდან დიდისკენ, ასევე დიდიდან პატარისკენ სწრაფვით. სივრცობრივი საზღვრები დაკარგულია თეატრის სანახაობრივ არსში და რეალურ ცხოვრებას შეერწყა.

სასცენო სივრცე ნებისმიერ საგანს თავისი თანდაყოლილი დროისა და სივრცისაგან ერთგვარ იზოლაციაში აქცევს და იგი სულ სხვა სივრცობრივ სისტემაში გადაჰყავს. ამით ეს საგნები ახალ დროით-სივრცობრივ სიცოცხლეს იწყებენ. იცვლება მათი ფიზიკური მახასიათებლებიც. ისინი ახალ ფაქტურას, ფერს, ხშირად შინაარსაც იძენენ. სიმბოლოებადაც კი იქცევიან ხოლმე. ამის თვალსაჩინო მაგალითი აღმოსავლური თეატრია, სადაც საგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს (სადაც ნიღაბსაც, კოსტიუმსაც და გათამაშებულ საგანსაც ერთნაირი საგნობრივი და პერსონაჟული დატვირთვა აქვს). აქ თითქოს სიმბოლოების თამაში მიმდინარეობს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ საოცარი შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლიათ მაყურებელზე. რაც უფრო ნაკლებად დააკონკრეტებს მხატვარი სცენაზე საგანს, მით უფრო დიდ სიმბოლურ დატვირთვას იღებს ეს საგანი. ამიტომ პირობით დეკორაციაში და მოქმედების პირობით გარემოში დრო უფრო კარგად იკვეთება და ის ამ საგნისგან უფრო კარგად იძერწება. ამიტომაა, რომ პირობითი გაფორმება, რომელიც ხშირად რეალური ფორმისგან იქმნება, დროსაც უფრო ხელშესახებს ხდის. მაგალითად, თუ სცენაზე მხატვარი ქვიშას გამოიყენებს, იგი ამორფულია თავისთავად, მაგრამ არის მიწის, უდაბნოს, სანაპიროს და სხვა ბევრი რამის სიმბოლო. ამგვარ საგნებს კრებითი სიმბოლოების სახე აქვთ.

დეკორაციის ფაქტურა, ანუ ის მასალა, რითიც დეკორაციაა გაკეთებული, ყოველთვის იყო საგნის თანმდევი ატრიბუტი და მას საკმარისი თავისი საკუთარი სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა. თუ მას კონკრეტულ ფორმაში არ შევზღუდავთ, სწორედ იმ მასალად გარდაიქმნება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი დეკორაციის შექმნისათვის. ასევე სხვა საგნებსაც უვლინდებათ შესაძლებლობები სახეცვლილი გამოჩნდნენ სცენაზე. თუ ამ საგნებს მხატვარი გამოიყენებს დეკორაციისათვის, ასეთ შემთხვევაში სწორედ ფაქტურა ხდება ის პირვანდელი სუბსტანცია, რომელსაც სცენოგრაფი საჭიროებისამებრ გამოიყენებს დროით - სივრცობრივი გარემოს შესაქმნელად. რაც შეეხება ფაქტურას, იგი უფრო საგნის სიმკვრივეს, სიმტკიცეს, სირბილეს, სითბოსა, სიცივესაც გამოხატავს. დეკორაცია, რომელიც ფაქტურას და მის სუბსტანციას გამოიყენებს სივრცობრივი დეკორაცია გახდება. რეალურ ცხოვრებასა და სცენაზე ფაქტურა გარემოს აღმნიშვნელი ხდება. მაგრამ ფაქტურა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნის თვისობრივი ნიშნები მაინც გარემოსგან ისაზღვრება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გარემო ფაქტურის მატარებელია, მაგრამ არ გააჩნია მყარი ფორმა, სპექტაკლის გაფორმებაში იგი კიდევ უფრო მეტ მხატვრულ შესაძლებლობებს ავლენს. ამის მაგალითია მ. შველიძის მიერ სპექტაკლ „მაკბეტში" (რეჟ. რ.სტურუა) გამოყენებული უზარმაზარი პოლიეთილენის ნაჭერი, რომელიც თავისი ამორფულობის გამო, მრავალფეროვან ფორმებად და მოცულობებად სპექტაკლის მსვლელობისას გარდაიქმნება.

საგნის ფაქტურა, როგორი ხელშესახები ან ირეალური არ უნდა იყოს, მით უმეტეს თუ მას უნარი აქვს ადამიანისგან დამოუკიდებლად იარსებოს, კიდევ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. ამით სივრცობრივ გარემოში ეს საგანი სპექტაკლის მოქმედების გააქტიურებას შეუწყობს ხელს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ, მ. შველიძის „მეფე ლირის" სცენოგრაფია, სადაც მხატვარს შექმნილი აქვს ჭუჭყიანი თეთრისა და მტვრისფერ-ნაცრისფერ ტონებში გადაწყვეტილი უფაქტურო, მაგრამ ფორმისეული სამყარო (თეატრის ანარეკლი). აქ ფაქტურა უფრო მნიშვნელოვანია და მრავლისმთქმელია, ვიდრე დეკორაციის ფორმა. მხოლოდ პიესის ბოლოს იგი დაინგრევა და ლირისა და მთლიანად საზოგადოების რღვევის პროცესს საოცრად შემჭიდროვებულ დროში გვაჩვენებს. მ. შველიძემ „მეფე ლირში", საგნების მინიმალური გამოყენებით, მთლიანად დეკორაციის ფაქტურას მიანდო სივრცის შექმნა. ამ სივრცემ კი თავისი დრო წარმოშვა. ანუ ეს ურთიერთკავშირი დროსა და სივრცეს შორის არის და იქნება სცენოგრაფიული კომპოზიციის განუყოფელი ნაწილი. რა კონცეფციასაც არ უნდა პასუხობდეს სცენოგრაფია, მას თავისი მხატვრული და სახვითი კანონები აქვს, თეატრალურ ხელოვნებაში და მით უფრო სცენოგრაფიაში, როგორც თეატრალური ხელოვნების შემადგენელ სისტემაში. არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ ქართულ სცენოგრაფიაში და ეს განსაკუთრებით კარგად 1920-1930 - იანი წლების მხატვრობაში გამოიკვეთა. სცენაზე მხატვრის მიერ შექმნილ გარემოში დიდი მნიშვნელობა სცენის პლანშეტმა შეიძინა. როგორც წესი, სცენის იატაკი ნაკლებად არის ხოლმე ჩართული მოქმედებაში და ის უცვლელი რჩება. დედამიწა კი თავისი რელიეფითა და ბუნებრივი მოცემულობით თავისთავად ძალიან მრავალფეროვანია. იგი გავლენას ახდენს რეალურ ცხოვრებაში ადამიანების ფსიქიკასა და მათ მოქმედებაზე. მხატვარმა ირაკლი გამრეკელმა სპექტაკლ „ანზორ"-ში სცენის პლანშეტი აყარა. ამით მხატვარმა სპექტაკლის მოქმედების ადგილი განსაზღვრა, მაგრამ კი არ დააკონკრეტა, არამედ კრებითი სახე მიანიჭა.

დაბოლოს, რა არის ის მამოძრავებელი, რაც ცვლის სპექტაკლში გარემოსა და დროის სვლას. რაღა თქმა უნდა, ეს არის მსახიობი თავისი კოსტიუმით და გრიმით, რადგან მსახიობი გახლავთ დეკორაციის განუყოფელი პლასტიკური ერთეული. ამ შემთხვევაში კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ფერს ენიჭება. მაგრამ სცენოგრაფმა ისე უნდა გამოიყენოს ფერი, რომ მან თავის არც ღირებულება, არც ესთეტიკურობა, არც ჟღერადობა და არც ფაქტურულობა არ დაკარგოს. თუ ამას კიდევ შუქ-წერასაც დავუმატებთ, ვნახავთ თუ რამდენი შეუძლია ფერს. მას თავისი ნათება აქვს, ამიტომ სცენოგრაფიაში ფერი განათებასთან ერთად ჯამში იქმნება და აღიქმება კიდეც. შუქით შეფერილ გარემოს შეუძლია თვისობრივად გამოავლინოს სივრცე. ეს ის შუქია, რომელიც ღებავს გარემოს. თანაც საგანმა მისი კუთვნილი ფერი არ უნდა დაკარგოს. მაგრამ სცენოგრაფიაში რთულად გამოსაძერწი ფორმაა, არანაკლებ სირთულეს სცენაზე სცენოგრაფიული კონფლიქტის შექმნა წარმოადგენს...

გამოყენებული ლიტერატურა:

В. Березкин «История сценографии мирового театра» т.1 т.2

В. Березкин «Искусство оформления спектаклей»М. 1986

Бачелис А. «Пространственное мышление в театре XX века» М. 1994

Бояджев Г. «От Софокла до Брехта за сорок театральных вечеров» М. 1988 г

М. Френкель «Пластика сценического пространства» Киев «Мистецтво» 1987 г.

М. Френкель «Современная сценография» Киев «Мистецтво» 1980 г

Художник и сцена (сборник статей) М. 1978г

ნ. გურაბანიძე „მირიან შველიძის იმპროვიზაციები" ხელოვნება 3-4 1992 წ.

მ. თევზაძე სასცენო სივრცის პრობლემა სანდრო ახმეტელისა და ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში თბილისი 2001 წ.

ნ. ქიქოძე „შალვა დადიანის „თეთნულდის" შესახებ" საბჭოთა ხელოვნება 3 1973 წ.



მარა მიქაია

მინა ხელოვნების განზომილებაში

თუ ხარ ხელოვანი, თუ შენში აღმოაჩენ მიდრეკილებას იშრომო, შექმნა, დახვეწო — ყოველთვის იპოვი მასალას, რომელსაც შენს სულიერ განწყობას გადასცემ, ფორმას მოუძებნი და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტან. ხელოვანის ხელში დასამუშავებელი მასალის სახეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ანუ არა აქვს მნიშვნელობა — ეს ქვა იქნება, თიხა, სიტყვა, ხე თუ... მინა.

მინა, რომელსაც დღეს თანამედროვე ფანჯრების, ავეჯისა და ავტომობილებისათვის იყენებენ, არც ისე ძველი, სულ რაღაც ორი საუკუნის წინანდელი გამოგონებაა. საფანჯრე მინა მრგვალი მასალის ან ცილინდრების გამოყენებით მზადდებოდა. ბრტყელი მინის წარმოების ხერხი ინგლისელ ინჟინერს ჰენრი ბესემერს ეკუთვნის, რომელმაც პირველმა მიიღო ბრტყელი მინის უწყვეტი ნაკადი. ხოლო ბრიტანელმა ძმებმა პილკინგტონებმა თუნუქის აბაზანის გამოყენებით ჩამოასხეს უწყვეტი ლენტის ფორმის მქონე მინა, ანუ — გააადვილეს და გააიაფეს გაპრიალების პროცესი.

ამჟამად გაპრიალებული ფურცლოვანი მინა ნედლეულის გადნობის გზით მზადდება. ერთმანეთში შერეული ნედლეული მიეწოდება ბუნებრივი აირით ან სხვა საწვავით გახურებულ ღუმელს, საიდანაც ეს მასა გადაედინება თუნუქის აბაზანაში, ხოლო იქიდან თუნუქისავე ზედაპირზე და წარმოქმნის გაპრიალებულ ლენტს, რომელსაც ორივე მხარეს იდეალურად გლუვი, პრიალა ზედაპირი აქვს...

ეს, ასე ვთქვათ, მინის შექმნისა და დახვეწის მოკლე ისტორიული ექსკურსი გახლდათ.

თანამედროვე ყოფაში, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინში მინა საკმაოდ პრაქტიკული და აქტუალურია. თუმცა, ნამდვილი ხელოვანის გემოვნებიან ფანტაზიას ეს გამჭვირვალე და ფაქიზი მასალა ხელოვნების განზომილებაში გადაჰყავს. შემოქმედი ფერებისა და ფორმების მრავალფეროვნებით აღწევს სასიამოვნოდ აღსაქმელ ვიზუალურ ეფექტს.

მინა რაღაცით ყინულს გვაგონებს და თითქოს სიცივისა და ზამთრის ასოციაცია უნდა გამოიწვიოს, მაგრამ ეს შეგრძნება მაშინვე ქრება, როგორც კი ქალბატონ თამარ გრიგოლიას სახელოსნოში შეაბიჯებ. სახელოსნოში, ერთი შეხედვით, შემოქმედებითი ქაოსი სულ ცოტა ხანში ერთბაშად ლაგდება, ყველაფერი თავის ადგილს იკავებს და ხვდები ყველა კუთხისა და ნივთის დანიშნულებას. აქ არ არის უსარგებლო არც ერთი ნაჭერი და დეტალი, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც უფორმო და თითქოს უმნიშვნელო. მხატვრის გამოცდილი ხელი ოდესმე აუცილებლად დასწვდება დროებით გადადებულ მინის ნაჭერს, დაადებს ფერს, რომელიც იმ მომენტში მის შთაგონებას შეესაბამება, მისცემს ფორმას, რომელიც სწორედ იმ ნივთისთვის იქნება მისაღები და მინის პატარა ნაჭერი ახალ ცხოვრებას იწყებს. აქ ნახავთ ერთმანეთში შეჭრილი ფერებით აციმციმებულ მინის დეტალებს, უცნაური ფორმის გეომეტრიულ ფიგურებს, რომლებიც ფერების მონაცვლეობისა და მოხერხებულად მორგებული განათების საშუალებით ელასტიკურობასაც კი იძენენ; ნახავთ რკინის სპეციალურ, მოჩუქურთმებულ სადგამებზე დაკიდულ, მინისგან ოსტატურად დამზადებულ, ფოლკლორულ საცეკვაო ფორმებს, მდიდრულ ლარნაკებსა და გრაფიკულ ნახატებს, რომლებზეც მინის სტრუქტურისათვის თითქოს სრულიად შეუსაბამო ფიგურებია გამოსახული.

მინის დამუშავების შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესი, რა თქმა უნდა, ნაკლებად რომანტიკულია. მინა საკმაოდ რთული დასამუშავებელია. არსებობს დამუშავების ორი ტექნიკა: ამობერვის და სიბრტყობრივი გამოწვის. ქალ-





ბატონ თამარის მოსწავლეები სწორედ მეორე ხერხს იყენებენ. მზადდება ესკიზი, შემდეგ პლასტები და სპეციალური შეკვეთით რკინის კარკასი. ერთმანეთთან ხარისხობრივად შეხამებული მინა სპეციალურ ღუმელში გამოიწვება და მაღალ ტემპერატურაზე დნობის შედეგად იღებს საჭირო ფორმას, რომელიც შემდგომ კარკასში მონტაჟდება. საბოლოო სახის მიღებამდე ნამუშევარს ეკვრება ფერადი ბისერები და დამატებითი, წვრილმანი, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალები, რომლებიც საბოლოოდ, მნახველისა და დამთვალიერებლისთვის შეუმჩნეველიც კი შეიძლება დარჩეს. შიგნიდან მონტაჟდება თანამედროვე, ფერადი ელექტროგანათება და ისედაც ულამაზესი ქმნილება შუქის ანთებისთანავე ახალ მშვენიერებასა და ეფექტს იძენს.

ქალბატონი თამარი უკვე ექვსი წელია ხელმძღვანელობს სამხატვრო აკადემიის მინის დიზაინის ფაკულტეტის ჯერ სტუდენტების, ახლა კი მაგისტრანტების ჯგუფს. მათ ერთად შექმნეს ექსპოზიციები გამოფენისათვის, რომელიც აპრილში „ქარვასლაში“ მოეწყო. გამოფენა მინის, არქიტექტურისა და განათების ნაზავს წარმოადგენდა, ხოლო თემა გრაფიკული ფერწერა, ულამაზესი დეკორატიული ლარნაკები, სეზონის მიხედვით შექმნილი დეკორატიული ხეები: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“ და „ზამთარი“ გახლდათ. აქ კიდევ ერთი დეკორატიული ხეა, „ნატვრის ხე“, რომელიც ნინო დოლმაზაშვილმა შექმნა. ისინი თავიდან ხუთნი იყვნენ: თამთა მატინოვი, ნინო სიხუაშვილი, ნათია პაპიაშვილი, ლელა დოლმაზაშვილი და გურამ გოგოლაძე. სამწუხაროდ, თამთა მატინოვი, რომელსაც ეკუთვნის ულამაზესი დეკორატიული ხე „გაზაფხული“, სწორედ გაზაფხულზე ტრაგიკულად დაიღუპა. მის მიერ დაწყებული საგამოფენო ნამუშევრები გარდაცვალების შემდეგ მეგობრებმა დაასრულეს და გამოფინეს. გამოფენა ახალგაზრდა ხელოვანებმა თამთას ხსოვნას მიუძღვნეს.

„ქარვასლაში“ სამოცდაათამდე ნამუშევარი გამოიფინა. ჯგუფისთვის ეს რიგით მეორე გამოფენა იყო. ის ენთუზიაზმი, რომლითაც ახალგაზრდა შემოქმედები, თავიანთ უნიჭიერეს ხელმძღვანელთან ერთად, ვიწრო და კეთილმოუწყობელ სახელოსნოში მუშაობენ, ჯგუფისა და მათი ნამუშევრების მიმართ პატივისცემითა და ინტერესით განგაწყობს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დიზაინისათვის მინა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, ინფორმაციის სიმწირის გამო, საზოგადოება მაინც ნაკლებად იცნობს მინის სპეციფიკას და ეს გამოფენა გარკვეულწილად ინფორმაციულ ხასიათსაც ატარებდა.

ერთი შეხედვითაც საგრძნობია სხვაობა ქალბატონ თამარის მოსწავლეების მიერ შექმნილ ადრინდელ და ბოლოდროინდელ ნამუშევრებს შორის. საგამოფენო ნიმუშები გაცილებით უფრო დახვეწილია, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ესთეტიკურად. ეს პროცესი გამოფენით არ დასრულებულა — ისინი ყოველდღე იზრდებიან, როგორც შემოქმედები. ყველა დეტალი, ყოველი ფერადი შტრიხი თუ გრაფიკული ხაზი ხანგრძლივი, გულმოდგინე და არც ისე უსაფრთხო შრომის შედეგია. ულამაზესი, ფერადი შუქით აბრდღვიალებული ნამუშევრის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა მხატვრები ღიმილით იხსენებენ ხოლმე მისი შექმნის პროცესს, დაღლას და მინით დასერილ ხელებს. თუმცა, მთავარი მაინც შედეგია, მთავარი მაინც ის აღტაცებაა, რომელიც დამთვალიერებლების თვალებში ჩანს და ის შთაბეჭდილება, რომელიც დიდხანს გაგყვება.

ამჯერად ახალგაზრდა მხატვარ-დიზაინერები სადიპლომო ნამუშევრებზე მუშაობენ. კომპოზიცია „ადამი და ევა“ ჯერ მხოლოდ პლასტელინისგან მზადდება, რომ საწყის ეტაპზე ავტორს წარმოდგენა შეექმნას მის საბოლოო სახეზე; იქვე მაგიდაზე იხაზება გრაფიკული ტილოს ახალი ესკიზი, რომელზეც აბსტრაქტული ფიგურები კოსმიურ ფორმებს ქმნიან; უკვე გამზადებულია სამი ჩარჩო მინაში შესრულებული ნახატებისათვის — ასე რომ, შემოქმედებითი პროცესი თამარ გრიგოლიას სახელოსნოში ახლაც გრძელდება.



გურამი ფასალია

ნება, ეროვნება, პიროვნება, ხელოვნება...

(შტრიხები მხატვარ ნუგზარ მგალობლიშვილის ფსიქო-პოლიტიკური პორტრეტისთვის)

...წაღმართი კაცია ნუგზარ მგალობლიშვილი. საუკუნის მეოთხედი დამჭირდა, რომ მასზე რამდენიმე საზრისიანი წინადადება ამდენი "ნებით" დამესათაურებინა. ქვესათაურზე ჯერ აღარაფერს გეტყვით იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ, როცა მოყვასი გეუბნება-აპოლიტიკური ვარო, ის პრიმიტიულად ცრუობს. რაკი ცხოვრება ქრონიკული ჯანყია, შეუძლებელია გაუუცხოვდე რეალობას და, თუკი ასეთი მაინც დაიჩემე თუ იზიარე, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამბოხში მყოფობაა შენი პიროვნული სტატუსი. ამგვარად, ნებისმიერი პიროვნული მდგომარეობა თავისთავადაა პოლიტიკური რამ. . .

...წაღმართი, მეამბოხე, დისიდენტი და მამხილებელია ნუგზარ მგალობლიშვილი. გარემო მის გარშემო, ცხადია ვერ არის მართალ-მადიდებელი და, ისიც, ვერ ისვენებს. მხატვარი, მხატვრულად შემოქმედი ვერასდროს დაისვენებს ამ ორერთოვან წუთისოფელში. ისე, კაცმა რომ თქვას, ის, ვინც შემოქმედებას "მხატვრულის" დეფინიცია მისცა პირველმა, უდავოდ გენიალური იყო, რადგან "მხატვრის" ცნება, სემანტიკურად, ყველაფრის დამტევია — ხატი ძევს ფუძეში, ის ხატი, რომელიც გვიცნობიერებს ჩვენს იდენტობას უფლის ნებასთან. ამიტომ, ხატავს ყველა-კალმით, ფუნჯით, თოხით, წალდით, თოფით, სიკეთით, სიბოროტით. . . ხატავენ ცუდად, კარგად, გენიალურად. ხატავენ ღვთის ნებით და უღვთოდ!

მოდით, შევთანხმდეთ: ჩვენ, ყველანი, ვართ მხატვრები, ანუ, ჩვენი არსებობის არსი, არსება არის მხატვრობა; არსებობა კი, არის ცხოვრება და, ჩვენი თანაარსებობა, ე.ი. მხატვრების თანაარსებობა ქმნის საზოგადოებას, ეს უკანასკნელი კი პოლიტიკის (განურჩევლად როგორობისა) გარეშე ვერანაირად ვერ იარსებებს. ეს წანამძღვრები "თავზე გვამხობს" ლოგიკურ დასკვნას: მხატვრობა არის პოლიტიკა! მხატვარი არის პოლიტიკოსი! ჩვენ, ყველანი, ვართ პოლიტიკოსები! (აქაც განურჩევლად როგორობისა).

ამ ჩემი, "არაკლასიკური" თეორიიდან გამომდინარე, მხატვარიც მხატვარია! ეს რა ტავტოლოგია და დემაგოგიაარ, — მეტყვით, გამიწყრებით, მაგრამ, ღმერთმანი, ასეა ეს და ასეა იმიტომ, რომ მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი (როგორც ჩვენ, ყველანი), არის პოლიტიკოსი და თუკი ჩვენზე ვინმემ ოდესმე მოიწადინა მეტ-ნაკლებად სრული პორტრეტის მიწოდება მკითხველ-მხატვარ-პოლიტიკოსებისთვის, ეს პორტრეტი ყოველთვის იქნება ფსიქოპოლიტიკური. ერთ მიზანს უკვე მივაღწიე და წერილის ქვესათაური ავხსენი. პირველი მადლობა ნუგზარ მგალობლიშვილს! მასზე ფიქრი რომ არა, ამ "გენიალობას" ვერ მივაგნებდი. ისე, აქვე დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ ქვემოთ ჩემეული "დემაგოგია-ტავტოლოგიის" საიდუმლოსაც გაგიმხელთ. . .

ახლა, დროა, სათაურს მივხედოთ, თანაც, ნებანება (იმდენი "ნებაა" სათაურში). თავად იქამდე ნატანჯი ვარ, თქვენი მონა-მორჩილი, რომ მარტვილ ნუგზარ მგალობლიშვილზე ნაფიქრალის ქაღალდზე გადატანა, მერწმუნეთ, ისედაც, ღონემიცლილს, არანაირ ენერგიას არ წამართმევს. ჩვენ ვგავართ ერთმანეთს.

მაინც, რა ასეთი განსაკუთრებით გამორჩეული მსგავსებაა (გარდა ჩვენში თანაბრად გადმოსული უფლის ნებისა), ჩემსა და ნუგზარ მგალობლიშვილს — ორ "მხატვარ-პოლიტიკოსს" — შორის?

— განსაკუთრებული და გამორჩეული მსგავსება ის გახლავთ, რომ ჩვენ, ორივენი, ზღვის, სოხუმის შვილები ვართ, იმ სოხუმისა, რომელსაც ეფერებოდნენ, გულში იკრავდნენ, როგორც ქალაქს არიფების გარეშე! ეს ქალაქი კი ასეთი იმიტომ იყო, რომ მას არასდროს უგრძვნია სიხალვათე და დეფიციტი ისეთი მხატვარ-პოლიტიკოსებისა, როგორიც ნუგზარია, მაგრამ შურდამცხრალი ყოველთვის დაინახავს დიდს დიდ მოყვასში.

დიდ საწნახელში დიდძალი ღვინო იწურება; დიდი ქვევრი დიდძალ ღვინოს იტევს; დიდი კაცი არასდროს დიდკაცობს, ის დიდი განსაცდელის დამტევი და დამტარებელია, შემწე და მეოხია. დიდი კაცია ნუგზარი, ჩემზე და ბევრზე დიდი (არა ასაკით), მაგრამ ერთი უმთავრესი მსგავსება იმ კითხვაშია, რომელიც ერთდროულად გაგვიჩნდა ჩვენ: რატომ დაუზამთრდა საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ხვატსა და პაპანაქებაში? ამ კითხვას პასუხს გასცემს ჩვენზე უკეთესი, არა



უბედური, არამედ ბედნიერი, ნებათავისუფალი ქართველი, რომელიც ადექვატურად ახსნის ამგვარი „დაზამთრების" მიზეზებსა და იმასაც, თუ რატომ ექცა ჩვენს ერსა და სახელმწიფოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარი ჯოჯოხეთად და 1993 წლის 27 სექტემბრის ჯვართამაღლება ჯვარცმად. ის, მომავალი, ნებათავისუფალი ქართველი მატიანეში ადგილს მიუჩენს უსაზღვრო სისასტიკის შემცველ ჭეშმარიტებას და, მომდევნო თაობები, ჩვენი ცოდვებისა და საცოდაობის გამო, წუხილს მიეცემიან. ის — ნებათავისუფალი ქართველი — იტყვის ჩვენზე — ნებააყრილნი ყოფილანო. . .

ნუგზარ მგალობლიშვილს და მე (ჩვენ, ყველას) თავს გადაგვახიეს ორივეს მიერ ხელმოწერილი დამოუკიდებლობის აქტი. ჩვენ ბითუმად გაგვყიდეს ისკარიოტელი იუდას ნაშიერებმა.

აქ უნდა დავასრულო ჩემეული „დემაგოგიატავტოლოგიის" პირველი რაუნდი და ერთმანეთისგან გავმიჯნო პროფესიონალი მხატვარი ნუგზარ მგალობლიშვილი პოლიტიკოს ნუგზარ მგალობლიშვილისგან. ჩემმიერი გამიჯვნა რაღა მოსატანია, როცა მის მხატვრობას პოლიტიკურ ექსპლიკაციას აძლევდნენ მისსავე ყმაწვილკაცობაში. ზემოთ მის დისიდენტობასა და მეამბოხეობაზე მიგანიშნეთ. ეს, ეტყობა, ის არსობრივი ატრიბუტებია, რომლებიც აღარასოდეს ქრებიან. როცა საბჭოთა КГБ-მ 1975 წელს, 27 წლის ნუგზარს ქ. მოსკოვში გამოფენა ვანდალურად დაურბია, მას იმხანად მეტი „მისიანი" რუსი დაუდგა, ვიდრე ჩვენიანი უდგას დღეს. ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, რომ აგენტები მაშინ და მხოლოდ მაშინ კვდებიან, რაც მათ მიტოვებულ საფლავებზე ამოსულ ხეებს 30 წელი შეუსრულდებათო. დისიდენტებისა და მეამბოხეების ბედიც ასეთია. იმხანად ნუგზარი ებრძოდა "სოციალისტურ რეალიზმს", ამჟამად ებრძვის ქართულ „ნაციონალურ რეალიზმს"...

...არ მიყვარს სიტყვა "მეტამორფოზა". არ მიყვარს იმიტომ, რომ თუ კარგი ცუდად მოექცა – ცუდია, თუ ცუდი კარგად – კარგია. სიტუაციას დამორჩილებულ ზნეობას მაგონებს მეტამორფოზა. მრუშობა არის ერთჯერადი აქტი. იბოზე და იყავი შენთვის, შენი პრობლემაა და მე რაღას მზაფრავ. რას მიხსნი ადამიანო — ისეთი სიტუაცია იყო, სხვა გამოსავალი არ არსებობდაო. დღეს უარესი რამეებიც ხდება: სიტუაციას არათუ მორალი, არამედ — ლოგიკაც დაუქვემდებარეს. თურმე, მძიმე სიტუაციაა და, ორჯერ ორი ხუთიც შეიძლება იყოსო. დღეს ნუგზარ მგალობლიშვილს „სიკეთის ტომრები" რჩევას აძლევენ — შიდა ავის მხილების დრო არ არის — გარედან უდიდესი სიავე გვემუქრებაო. მიხვდით ნუგზარის „მოყვასნო", "სიტუაციის რაინდებო", რომ ამ კაცის ნების, ეროვნების, პიროვნებისა და ხელოვნების მეტამორფოზირება შეუძლებელია.

ასეთია მისი პიროვნული პოლიტიკაც და, ვაი საოცრებავ:ნუგზარმგალობლიშვილისპიროვნების, მისი როგორც მხატვრისა და პოლიტიკოსის საზრისი და არსი მის მეგობარ უცხოტომელებს უფრო აქვთ გაცნობიერებული, ვიდრე — ჩვენ, მისიანებს. 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ცნობილი რუსი მწერალი და მუსიკოსი ანატოლი გოლოვკოვი, რუსეთის იმპერიის დედაქალაქში სულისშემძვრელ ნარკვევს („განდევნილი") აქვეყნებს ნუგზარის პიროვნულ, ეროვნულ და შემოქმედებით ტრაგედიაზე და მისი სიტყვების ციტირებას ახდენს: არის ადგილები განათებული, მაგრამ არის — გაბრწყინებულიც, რადგან სინათლის შემოქმედი უფალია.

ყველა თბილისელმა იცის ნიაზ დიასამიძის შუაღამისეული რეპლიკა-მე ძმაკაცობა „კრუგლასუტოჩნი" მეგონაო... ეს სენტენცია გამახსენა ჩემს მიერ ხსენებულმა ანატოლი გოლოვკოვის „კრუგლოსუტოჩნი" სიყვარულით ლექსმა, რომელიც მას 2008 წლის 8 აგვისტოს (რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებისთანავე!) დაუწერია და ნუგზარს უძღვნა. ლექსის სათაურია „8 აგვისტოს":

წვიმის შხეფებმა ჯვარედინად სივრცე დასერეს,
წყალსაწრეტებში ღამე ხმობდა ქარების ხმითა,-
დარაბებს მიღმა მერამდენედ ვიღაც ახსენეს,
ჩანდა, გმირობას ადიდებდნენ უთუოდ მისსას!
იქ აბნევდნენო აღტაცებით კიტელზე ვარსკვლავს,
მავანს ებოძა მკვლელობისთვის ახლახან ჯილდო,-
საკვირველია, როცა თვალზე სიბნელე გაკრავს,
სანამდე გინდა იცოცხლო და ცოდვები ზიდო?!
საიმპერიო კვერთხს ეძებენ, როცა ჰაერი
მოწამლული აქვთ ზღვით და
ხმელით დაყრილ ჯალათებს,-
სხვათა მიწისკენ მიისწრაფვით, - ეს თქვენნაირნი
ანგრევენ ძმობას! აღშენებით? – ქმნიან არაფერს!

(თარგმნა დილარ ივარდავამ)

ქ. მოსკოვში გამოქვეყნებულ „განდევნილში" ის წერს, რომ „დიდი მხატვრების (ისეთების, როგორიც ნუგზარ მგალობლიშვილია) შემოქმედებას სპეციალისტები პერიოდებად ყოფენ. ისინი ასე მიიჩნევენ... მან დაანგრია ჩვენი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიციები, გვასწავლიდა ისეთ თავგანწირვასა და სიყვარულს, რომლის შესახებაც ადრე აღარაფერი ვუწყოდით. როცა იური შეკოჩიხინი მოგვიკლეს, ნუგზარმა მას ისეთი მშვენიერი და ზუსტი ძეგლი შეუქმნა (პერედელკინოში მის საფლავზეა აღმართული), რომელიც უბრალოდ მონუმენტი კი არ არის, არამედ ხელოვნების ნიმუში: მისით ნებისმიერი მუზეუმი იამაყებდა. მან თავისი ქმნილების გვერდით ქართული ვაზი დარგო, მოილოცა, უფალმაც შეისმინა და პირველივე შემოდგომაზე ნაყოფი მოისხა"...

ეს იმ ანატოლი გოლოვკოვის სიტყვებია, რომელიც, ასევე ნუგზარის მეგობარ, ჩვენთვის სათაყვანებელ იური როსტთან ერთად, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიასა და მისტერიას ქვეყნიერებისთვის აფიქსირებდა და რომლის საფუძველზეც შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „უკომენტაროდ". დიდი კაცები არიან ისინი და ასეთები არ პატარავდებიან. ეს, პატარებია დიდ სამიზნეებს რომ დასდევენ, ადვილია ტყვიის მოხვედრება დიდ სამიზნეში...

ნუგზარ მგალობლიშვილი, ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი იყო, მათი თანამებრძოლია დღესაც, ხვალაც იქნება და ზეგაც, ასე იქნება უსასრულოდ, სააქაოშიც და საიქიოშიც. დიდი ეპოქის დასასრულის სეირით ვცხოვრობთ ჩვენ, ქართველები. ველოდებით სეირს და მერმე მოვთქვამთ — მოვკალით ილია და დასრულდა ეპოქა დიდი; მოვკალით ზვიადი და დასრულდა ეპოქა დიდი. ახლა ჩვენი დიდი უბედურება ისაა, რომ ეპოქალურად დიდი აღარავინ გვყავს და, როგორც ღმერთთან მოფუსფუსე ვაჟა გვეტყოდა — ვწარამარაობთ!. .

თუკი შევძელი მცირედით მაინც დამემოკლებინა ნუგზარის პიროვნების არსამდე და შინაარსამდე მისასვლელი გზა, ეს იმას მაინც ნიშნავს, რომ უკვე მოსჩანს კონტურები მისი ერთიანი იპოსტასის ერთი უმთავრესი სეგმენტის-მხატვრისა და მხატვრობის-მისიისა. მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი, გარეგამოვლენილი, ფენომენიზებული სულის მატერიალური ნიმუშები, სამშობლოს განადგურების პირდაპირპროპორციულია, მაგრამ აშშ-ს, რუსეთის, ავსტრალიის, პოლონეთის გერმანიის, ლატვიის თუ ჩვენში კერძო კოლექციებსა და გალერეებში დაცული მისი ნახატები, იდეალური ადეკვაციაა იმის დასასაბუთებლად, რომ ნუგზარ მგალობლიშვილი პლურალისტური მონოლითია და ასეთივე ფენომენია საქართველოსა და ყოველთა ქრთველთა ტრაგიკული ყოფისა და ყოფიერებისა. ნუგზარის პიროვნებით, მისი შემოქმედებით დაინტერესებულთ ვურჩევ (ეს ჩემში აღმოვიჩინე), მეგზურად და შემწედ ნუ უხმობთ ხელოვნებათმცოდნეებს, ნუ მოარევინებენ საკუთარ აზრებს სხვისას, რამეთუ ყველანი პიროვნულად დამოუკიდებლად გაიხსნებიან მისი შემოქმედების შინაგანი მზერისას. ასე იმიტომ მოხდება, რომ ის მოსისხლე მტერია ეპიგონობის.

...ებრძოდნენ და ებრძვიან ნუგზარს. ამას ისინი აკეთებენ, რომელთათვისაც სიტუაციას დამონებული მორალი და სიტუაციას დამორჩილებული ლოგიკა, ავშემგუებლობა და „ბილწთან ზავის შეკვრა" (ვაჟა) ღირებულებათა სფეროა! მეც შევცოდე ნუგზარის წინაშე, როცა დავუჩოქე და ვაიძულე, რომ ის, როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სამართლებრივ საკითხთა კომისიას ჩასდგომოდა სათავეში. ის იმაში დავიყოლიე, რომ მოსვენება დავუკარგე მის ერთიან, ორერთოვან სულს და გვარიანი ხნით გავანიავებინე, მხატვრობისთვის უფლისგან ბოძებული, დრო. . .

...ეშმაკი გვასაზრდოებს ღმერთის მოსატყუებლად. აფხაზეთიდან დევნილობაშიც "ვწარამარაობთ" და გავიძახით — აფხაზები უნდა დავიბრუნოთო. როგორღა დავიბრუნოთ საკუთარი თავები უთავოებმა? — თუკი აფსუას დაბრუნებაზეა ლაპარაკი, მან მისი "შემოქმედი" დაიბრუნა და მასვე დაუბრუნდა. ქართული სიტყვით, ქართული ტერმინით, ქართული ცნებით — აფხაზით! — აღბეჭდილი ერი — ქართველი — მე ვარ და რომელ „ნათლიმამას" ვემორჩილები? ჩაბჟირდა აფსუა და მისი „ნათლიმამა" ჩვენი სისულელეებით!..

შეეგუოს კი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ამას? შევეგუოთ ქართველები? — შევეგუებით და სხვას ნუღარაფერს გადავაბრალებთ. არა ვართ ჩვენ უბრალოები, ბრალი მიგვიძღვის უდიდესი, ღვთისა და ერის წინაშე, ჩვენვე „ვიჩალიჩებთ" წარღვნას. ნუგზარი რომ ოქროს მაძიებელი ყოფილიყო, დადუმდებოდა, მაგრამ ის, ბიბლიიდან მომზირალი, არასდროს იტყვის, რომ დღევანდელ საქართველოში დუმილი არის ოქრო! მოსყიდული, მონუსხული, ოკუპირებული ნებით ვერანაირი დეოკუპაცია ვერ მიიღწევა.

P.S. ნუგზარ, ჩემო და ჩემიანო, ნამეტანი ვუფრთხი პოეზიას, სახეებით აზროვნებას, მაგრამ, მაინც გავბედავ და, ჩემეულად, შიშნარევად გეტყვი:

...ინავლება სანათი,
სულში ისევ გამცრა,
წიკწიკს ვუსმენ საათის,
ახლოსაა ჯვარცმა. . .

b 71/22

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალი გამოცემები

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“– ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ოპერატორი:
მაია ჯინორიძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ფუფაცა
ინსტალაციები
ქალის პორტრეტი

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი

„ცისფერი ტაძარი"

„ევაკლიპტები"



„ლურჯი პეიზაჟი"